



შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო



სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

*ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-  
ეკონომიკური მდგომარეობისა და განწყობების  
შესწავლა*

*თბილისი 2011*

## სარჩევი

კვლევის ძირითადი მიზნები.....	4
D ქვემო ქართლის მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები და ეკონომიკური მდგომარეობა .....	26
რეზიუმე.....	26
ოჯახის სტრუქტურა .....	29
ოჯახური მდგომარეობა.....	31
რელიგიური აღმსარებლობა .....	31
ეთნიკური შემადგენლობა .....	32
მშობლიური ენა და ქართული ენის ცოდნის დონე.....	33
განათლების მიღწეული დონე .....	36
დასაქმების მაჩვენებლები ქვემო ქართლში.....	37
ოჯახების შემოსავლები და ეკონომიკური მდგომარეობა.....	41
FBS ქვემო ქართლის ინფრასტრუქტურა და საბინაო პირობები.....	47
რეზიუმე.....	47
ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ქვემო ქართლის რეგიონში.....	49
ქვემო ქართლის რეგიონის პრობლემური საკითხები.....	53
საბინაო პირობები.....	58
M განათლება.....	68
რეზიუმე.....	68
სკოლამდელი განათლება.....	71
სასკოლო განათლება.....	76
სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები.....	80
უმაღლესი განათლება.....	81
განათლება: ეთნიკური უმცირესობების განწყობები და მათ მიმართ დამოკიდებულება.....	84
ინფორმირებულობა და ხელმისაწვდომობა სხვადასხვა პროგრამებსა და სავანმანათლებლო-კულტურულ დაწესებულებებზე.....	90
ჯანდაცვა.....	99
რეზიუმე.....	99
მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა.....	100
სამედიცინო მომსახურების მიღება.....	102
მიღებული სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილების ხარისხი.....	105
სამედიცინო ხარჯების დაფარვა.....	108
სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა.....	111

სამედიცინო დაზღვევა.....	112
სამედიცინო დაზღვევის არმქონე ოჯახები.....	114
N. მისამართული სოციალური დახმარება.....	115
რეზიუმე.....	115
საარსებო შემწეობის შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემები.....	116
F. ეკონომიკური განვითარების ტენდენციები.....	124
რეზიუმე.....	124
ნავთობსადენი.....	132
მიკრო საფინანსო სესხები.....	133
სავაჭრო ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან.....	137
ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელებული პროგრამები.....	145
N. სოფლის მხარდამჭერი პროგრამა.....	150
რეზიუმე.....	150
სოფლის მხარდამჭერი პროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობა.....	151
სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფუნქციონირება და მოსახლეობის ჩართულობის დონე.....	153
მიგრაცია.....	158
რეზიუმე.....	158
ქვემო ქართლის მოსახლეობის მობილობის პროფილი.....	159
Q. ეთნიკური უმცირესობები.....	162
რეზიუმე.....	162
რესპონდენტთა მიერ უფლებრივი მდგომარეობის შეფასება.....	163
გენდერული თანასწორობა.....	172
რეზიუმე.....	172
გენდერული როლები.....	173
ქვემო ქართლში მოქმედი სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების შესახებ მოსახლეობის დამოკიდებულება.....	185
რეზიუმე.....	185
არასამთავრობო სექტორის შეფასება.....	186
სახელმწიფო ინსტიტუტები და საზოგადოებრივი პოლიტიკა.....	188
Z. მასმედია.....	203
რეზიუმე.....	203
საინფორმაციო საშუალებები.....	204
საინფორმაციო საშუალებების მიმართ ნდობა და მასმედიის საქმიანობის შეფასება.....	208

### კვლევის ძირითადი მიზნები

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი“ 2011 წლის აგვისტო-სექტემბერში ქვემო ქართლის რეგიონში ჩაატარა ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და განწყობების კვლევა, რომლის მიზანი იყო ქვემო ქართლის რეგიონის სოციალური და ეკონომიკური პროფილის შესწავლა, ამ რეგიონის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და შესაძლებლობების გამოვლენა. კონკრეტულად, კვლევამ დათვარა შემდეგი საკითხები:

- შინამეურნეობის ეკონომიკური და დემოგრაფიული პროფილი;
- დასაქმების სტრუქტურა;
- ინფრასტრუქტურის განვითარების დონე და მისი რეაბილიტაციის პროგრამების გავლენა;
- შინამეურნეობების საბინაო მდგომარეობა;
- მოსახლეობის განათლების დონე და მის სხვადასხვა საფეხურზე არსებული ბარიერები;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა და სამედიცინო დაზღვევის გავლენა ჯანდაცვაზე;
- სოციალური დახმარების (კერძოდ, უმწეოთა დახმარების პროგრამის) შესახებ ინფორმირებულობის დონე და პროგრამაში ჩართულობის ხარისხი;
- რეგიონის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები, სხვადასხვა, მიმდინარე პროექტის მოსახლეობისა და რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე გავლენის შესწავლა;
- სოფლის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმირებულობა, პროგრამაში ჩართულობის დონე და შედეგების ეფექტურობის განსაზღვრა;
- ქვემო ქართლის რეგიონში არსებული მიგრაციის ტენდენციების კვლევა;
- ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა;
- სიტუაცია გენდერული თვალსაზრისით ოჯახში, თემსა და საზოგადოებაში; გენდერული სტერეოტიპები;
- საზოგადოებაში მოქმედი სხვადასხვა სტრუქტურის მიმართ დამოკიდებულება<sup>1</sup>; მმართველ სტრუქტურებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის შესწავლა;
- ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროები და მასმედიის შეფასება.

### კვლევის მეთოდოლოგიური წანამძღვარი:

კვლევის სამიზნე ჯგუფი: ქვემო ქართლის მოსახლეობა (18 +);

შერჩევის ზომა: დაახლოებით 3000<sup>1</sup> რესპონდენტი;

<sup>1</sup> საველე სამუშაოების კონტროლის შედეგად გაუქმდა 10 ან კვტა. შესაბამისად, ბაზაში სულ ირიცხება 2990 ინტერვიუ.

აღნიშნული შერჩევის ზომის მიხედვით, კვლევის შედეგები რეპრეზენტატულია მთელი რეგიონისათვის, ცალკეული რაიონებისა და ეთნიკური და გენდერული ჯგუფისათვის. ცხრილ №1 ში ასახულია შერჩევითი ერთობლიობის განაწილება რაიონების მიხედვით:

**ცხრილი №1: შერჩევის განაწილება ქვემო ქართლის რეგიონის ადმინისტრაციული ერთეულებისათვის.**

რუსთავი	460	15.4%
მარნეული	461	15.4%
ბოლნისი	437	14.6%
ღმანისი	397	13.3%
თეთრიწყარო	400	13.4%
წალკა	397	13.3%
გარდაბანი	438	14.6%
ჯამი	2,990	100.0%

კვლევის ინსტრუმენტი: კითხვარი;

გამოკითხვის მეთოდი: პირისპირ ინტერვიუ;

შერჩევის ჩარჩო: 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგები;

შერჩევის დიზაინი: მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა;

შერჩევა პროპორციულად იყო განაწილებული გენდერული ჯგუფისა და დასახლებების ტიპის მიხედვით. თითოეული რაიონი და ქალაქი დაყოფილი იყო დასახლებების ზომის შესაბამის სტრატეგად. თითოეულ რაიონში გამოიყო სამი სტრატა:

1. რეგიონალური ურბანული ცენტრი;
2. პატარა ქალაქები და რაიონული ცენტრები;
3. სოფლები.

პირველადი შერჩევის ერთეული: ქალაქური და სოფლის დასახლებების სტრატეგები. თითოეულ შერჩევით ერთეულში ჩატარდა 15 ინტერვიუ. პირველადი შერჩევის ერთეული არჩეული იყო probability proportional to size მეთოდის გამოყენებით<sup>2</sup>.

მეორადი შერჩევის ერთეული: შინამეურნეობა.

თითოეულ პირველადი შერჩევის ერთეულში მეორადი ერთეულის შერჩევა განხორციელდა შემთხვევითი ხეტილის მეთოდით. ბიჯის ზომა განსხვავდებოდა სხვადასხვა ტიპის დასახლებებში.

<sup>2</sup>Probability Proportional to Size – ზომის პროპორციული აღება.

**საბოლოო შერჩევის ერთეული:** თვრამეტი და უფროსი ასაკის ინდივიდი.

საბოლოო ერთეულის შერჩევა ხდებოდა ოჯახებში, ოჯახის წევრთა შორის, კიშის ცხრილის გამოყენებით.

კვლევის მოსამზადებელ ეტაპზე შედგა კითხვარი. განხორციელდა პილოტური კვლევა, რომლის დროსაც ჩატარდა 20 პირისპირი ინტერვიუ. პილოტური კვლევის ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზები გასწორდა კითხვარში.

**საველე სამუშაოები:** საველე სამუშაოები განხორციელდა სამმა სუპერვაიზორმა და სამოცდარვა ინტერვიუერმა.

საველე სამუშაოების დაწყებამდე მოხდა სუპერვაიზორებისა და ინტერვიუერების ტრენინგი, რომლის დროსაც მათ მიეცათ დეტალური ინსტრუქტაჟი კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებით. საველე სამუშაოები მიმდინარეობდა ოთხი კვირა (2011 წლის აგვისტო-სექტემბერი).

**საველე სამუშაოების კონტროლი:** საველე სამუშაოების დასრულებისთანავე განხორციელდა მათი კონტროლი. საველე კონტროლი ჩატარდა შერჩევითი ერთობლიობის 10%-ს (300 ინტერვიუ). კონტროლის პერიოდში მნიშვნელოვანი დარღვევები არ დაფიქსირებულა. მცირედი დარღვევების გამო შერჩევითი ერთობლიობიდან ამოიღეს 10 ანკეტი.

**მონაცემთა შეყვანა და დამუშავება:** საველე სამუშაოების კონტროლის დასრულების შემდგომ კოდირებული მონაცემები SPSS-ის პროგრამაში (წინასწარ შექმნილ ბაღეში) შეიყვანეს. მონაცემების შეყვანის შემდგომ SPSS ფაილი განმინდეს და მონაცემები დაამუშავეს. მონაცემები დაამუშავეს შემდეგი მეთოდებით: მონაცემთა სისპირული განაწილება, საშუალოების დათვლა, კროსტაბულაცია, კორელაცია, რეგრესული ანალიზი.

## ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები

კვლევის შედეგების ნათლად წარმოდგენისათვის აუცილებელია სრულყოფილი ინფორმაცია გვექონდეს საკვლევი ჯგუფის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში გავრცელებულია გაფართოებული ოჯახები, რომლებშიც რამოდენიმე თაობა ერთ შინამეურნეობაში ცხოვრობს. ქვემო ქართლის რეგიონში შინამეურნეობის საშუალო ზომა აღემატება საქართველოში საშუალო ოჯახის ზომას<sup>3</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლის რეგიონისათვის შრომითი მიგრაციაა დამახასიათებელი, აქ ბავშვებისა და ახალგაზრდების სიმცირე არ შეიმჩნევა, ანუ რეგიონს დაბერების ტენდენცია არ ახასიათებს. დიდი ოჯახები განსაკუთრებით სჭარბობს მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში.

<sup>3</sup> ქვემო ქართლის რეგიონში ოჯახის საშუალო ზომა აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (რომელიც 3.6-ის ტოლია) და შეადგენს 3.9-ს.

ქვემო ქართლის მოსახლეობის ორი მესამედი დაქორწინებულია, ხოლო ოჯახის უფროსად კი, უმრავლეს შემთხვევებში, მამაკაცი გვევლინება<sup>4</sup>. გაფართოებული ოჯახი, ადრეული ქორწინება და ოჯახის უფროსის სტატუსის მამაკაცისთვის მიკუთვნება მიუთებს ქვემო ქართლის რეგიონში ოჯახის ტრადიციული მოდელის არსებობაზე.

ქვემო ქართლის რეგიონი ეთნიკურად მრავალფეროვანი რეგიონია, რომელშიც დომინანტური ეთნიკური ჯგუფებია ქართველები (56.3%), აზერბაიჯანელები (36.8%) და სომხები (5.6%). რეგიონში ასევე გვხვდებიან ბერძნები, რუსები, პოლონელები. თუმცა ამ ეთნიკური ჯგუფების წილი მცირეა. ეთნიკური კუთვნილება შეჭიდულია ორ დემოგრაფიულ მახასიათებელთან: რელიგიურ კუთვნილებასა და მშობლიურ ენასთან. შესაბამისად, ამ ორი მახასიათებლის განაწილება იგივე პროპორციით ხდება, როგორც ეთნიკური შემადგენლობისა.

ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონში სახელმწიფო ენის ცოდნის დონე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ არაქართულენოვანი მოსახლეობის ორ მესამედზე მეტმა (71.5%) არ იცის ქართული. ამ თვალსაზრისით გამოირჩევიან აზერბაიჯანელები, რომელთა 78.3%-მა აღნიშნა, რომ არ შეუძლია ქართულად საუბარი. სომეხ მოსახლეობაში ეს რიცხვი ნაკლებია, მათმა მესამედზე ოდნავ მეტმა (36.3%) არ იცის სახელმწიფო ენა, რომლის ცოდნის დონე განსხვავდება რაიონების მიხედვით. ქართული ენის ცოდნის დონე განსაკუთრებით დაბალია მარნეულში, გარდაბანსა და ღმანისში. სახელმწიფო ენის ცოდნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური ჩართულობისათვის. ქართული ენის არცოდნა იწვევს არაქართველი მოქალაქეების გაუცხოებას და აჩენს გარკვეულ ავრესიას. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა სხვადასხვა პროექტებისა და სტრუქტურების შესახებ ეთნიკურ ქართველებზე ნაკლებ ინფორმირებულია. ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფო ენის ცოდნის დონე სხვადასხვა ეთნიკურ უმცირესობებში დამოკიდებულია მათს კომპაქტურ დასახლებებზე. ის ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც რეგიონში მცირე რაოდენობით ცხოვრობენ (რუსები, ბერძნები, პოლონელები და სხვ.) ქართული ენის ცოდნის უფრო მაღალ დონეს ავლენენ, ვიდრე კომპაქტურად ჩასახლებული აზერბაიჯანელი და სომეხი რესპონდენტები, რომლებიც თემში საურთიერთობოდ, ძირითადად, თავის მშობლიურ ენას იყენებენ და სახელმწიფო ენის შესწავლის საჭიროებას ნაკლებად გრძნობენ.

საკვლევი ჯგუფის დახასიათებისათვის დასაქმების მდგომარეობა მნიშვნელოვანი კრიტერიუმი. დასაქმების მდგომარეობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ აღიარებული სტანდარტის მიხედვით გაიზომა, რომლის მიხედვით, ქვემო ქართლის რეგიონში მოსახლეობის 43.7%-ია დასაქმებული. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია დასაქმებულის სტატუსის გავებასთან დაკავშირებული სირთულე. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტის თანახმად, დასაქმებულად ჩაითვლება ყველა, ვინც ჩართულია რაიმე ტიპის შემოსავლიან საქმიანობაში (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში), იმის მიუხედავად, ეს შემოსავალი გამოხატულია

<sup>4</sup> გამონაკლისს წარმოადგენს ის ოჯახები, რომლებშიც შინამეურნეობაში სრულწლოვანი მამაკაცი არ არის.

<sup>5</sup> დასაქმებულად ითვლება პირი, რომელიც გასულ კვირაში თუნდაც ერთი საათით იყო დასაქმებული.



ფულადი თუ არაფულადი სახით (ცხადია, ასეთი განსაზღვრება წინააღმდეგობას აწყდება მოქალაქეთა მხრიდან, რაც აღნიშნული კვლევის სავსე საშუალებამაც დაადასტურა). გარდა ამისა, პრობლემატურია, აგრეთვე, უმუშევრობის განსაზღვრებაც. პრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით უმუშევარია პირი, რომელიც უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ეძებდა სამუშაოს, შედეგის მიუხედავად. შესაბამისად, ის დაუსაქმებელი პირები, რომლებიც ბოლო ერთი კვირის განმავლობაში სამუშაოს არ ეძებდნენ, არ კვალიფიცირდებიან „უმუშევრებად“. თუ ამ კრიტერიუმს გავიზიარებთ, ქვემო ქართლის რეგიონში მოსახლეობის მხოლოდ 15%-ია უმუშევარი. თუმცა, გამოკითხვის პროცესში გამოვლინდა რესპონდენტთა კიდევ 20%, რომლებიც არ არიან დასაქმებულნი (და არ შედიან „დასახლისი“ ან „პენსიონერი“ კატეგორიებში) და არც ეძებენ სამუშაოს. სამუშაოს არმოძებნის ძირითადი მიზეზი კი უიმედობაა (რესპონდენტები აცხადებენ, რომ სამსახურის ძებნას აზრი აღარც აქვს, მაინც ვერ იშოვნებენ). დაუსაქმებელთა არამოტივაცირება (სამსახურის მოძებნის თვალსაზრისით) უფრო მეტად სოფლის დასახლებებსა და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებშია გავრცელებული.

## ქვემო ქართლის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა

საკვლევი ერთობლიობის სხვადასხვა ასპექტების ანალიზისას ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს. შინამეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობა მჭიდრო კორელაციაშია არ მხოლოდ ქვემო ქართლის რეგიონის, არამედ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის აღქმასთან. ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება კომპლექსური ამოცანაა, რადგან მასში გასათვალისწინებელია ეკონომიკური მდგომარეობის სუბიექტური თვითშეფასება ისევე, როგორც ამ მდგომარეობის ობიექტური ინდიკატორები.

ზოგადად რომ შევაფასოთ, ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით, ეთნიკური უმცირესობები ეთნიკურ ქართველებზე უფრო მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში არიან. ეს შეიძლება აიხსნას ეთნიკური უმცირესობებისათვის სხვადასხვა საზოგადოებრივი სიკეთის შეზღუდულობით. ეს არის არა მათი დისკრიმინაციის გამოხატულება, არამედ – საზოგადოებაში მათი დაბალი ინტეგრაციის შედეგი.

ქვემო ქართლის მოსახლეობის შემოსავალს, ძირითადად, ხელფასი/გამომუშავებული ანაზღაურება, პენსია და სასოფლო სამეურნეო პროდუქტები შეადგენს. ოფიციალური თუ არაფორმალური (ნათესავების, მეზობლების, მიგრანტების) დახმარებები შინამეურნეობების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილისთვისაა შემოსავლის ძირითადი წყარო. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, ოჯახების შემოსავალი, ძირითადად, კვებაზე, გადასახადებსა და მედიკამენტებზე იხარჯება. ეს ფაქტორი კი შინამეურნეობების არასახარბიელო ეკონომიკურ ფონზე მიუთითებს (ანუ ოჯახებს არ აქვთ საკმარისი შემოსავალი, რომ იფიქრონ ნივთების შეძენაზე, დასვენებაზე ან ბიზნესსა და სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ინვესტირებაზე).

ქვემო ქართლის რეგიონის შინამეურნეობების სიღარიბის დონე გაიზომა ერთ-ერთი ალტერნატიული მეთოდით, კერძოდ, ოჯახის მთლიან დანახარჯებში საკვებზე დანახარჯების



წილის მიხედვით. ზოგადად, რაც უფრო დაბალია ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა, მით უფრო მეტი წილი უჭირავს საკვებზე დანახარჯებს მის მთლიან დანახარჯებში. როცა ეს წილი გადააჭარბებს 70%-ს, თვლიან, რომ ოჯახი ღარიბია. აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით, ქვემო ქართლის რეგიონის ოჯახების მესამედი (33.1%) ღარიბი გამოდის.

აღნიშნულ კვლევაში შინამეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის ალტერნატიულ საზომად გამოყენებული იყო დეპრივაციული სიღარიბე. ამ მიდგომის მიხედვით, ოჯახს უწოდებენ ღარიბს, თუ მას არ შეუძლია განახორციელოს გარკვეული აქტივობა და არა აქვს ის ნივთები, რომლებიც ტიპურია ამ საზოგადოებაში აქტიური ცხოვრებისთვის (სულ რესპონდენტებს ეძლეოდათ 10 კრიტერიუმი და თუ მათი შინამეურნეობა შვიდს ვერ აკმაყოფილებდა, ოჯახი ითვლებოდა ღარიბად.). აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით, ქვემო ქართლის შინამეურნეობების 34.5% დეპრივაციულად ღარიბია.

მოსახლეობა ეკონომიკურად შეათვასეს თვითშეფასების საფუძველზე. კვლევის პროცესში რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა შეათვასა, როგორც „ცუდი“ („შემოსავალი/მონეული მოსავალი მხოლოდ კვებაზე გვყოფნის“ – 52%), ოჯახების 9%-მა საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობა შეათვასა, როგორც „მძიმე“ („ხან ვინ გვეხმარება და ხან ვინ, რომ საკვები მივიღოთ“), ხოლო 10%-მა, როგორც „ძალიან მძიმე“ („სისტემატურად ვშიშობ“).

თუკი მოცემულ შედეგებს ერთმანეთს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ოჯახები საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას უფრო ცუდად აფასებენ, ვიდრე ამას ობიექტური კრიტერიუმები ავლენს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ობიექტური კრიტერიუმებითაც კი ქვემო ქართლში მცხოვრები ოჯახების მესამედი ღარიბია. სიღარიბე ყველა მაჩვენებლით ქალაქებში უფრო დაბალია, ვიდრე სოფლის დასახლებებში. ეს განსხვავება იმით აიხსნება, რომ სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა დამოკიდებულია სოფლის მეურნეობაზე, რომლიდანაც შემოსავალი მცირეა, მაშინ როცა ქალაქში დასაქმებულებს აქვთ სტაბილური ანაზღაურება, რომლის შემოსავალი ოჯახის ეკონომიკას შედარებით უფრო უზრუნველყოფს<sup>6</sup>. სამივე კრიტერიუმის მიხედვით გაზომილი სიღარიბის დონე მაღალია მარნეულის, ბოლნისისა და გარდაბნის რაიონებში. ნალკა და რუსთავი სიღარიბის თვალსაზრისით უფრო პოზიტიურ ტენდენციას ავლენენ. დმანისსა და თეთრიწყაროში სიღარიბის მაჩვენებლები იცვლება გაზომვის მეთოდის მიხედვით. კვებაზე დახარჯული თანხის მიხედვით, სიღარიბე დმანისსა და თეთრიწყაროში დაბალია, თუმცა, დეპრივაციული სიღარიბის მაჩვენებლების მიხედვით – მაღალი. რაც შეეხება ეკონომიკურ მდგომარეობას სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებში: სიღარიბე ქართველებში უფრო დაბალია, ვიდრე ეთნიკურ სომხებსა და აზერბაიჯანელებში.

<sup>6</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის მონაცემების გათვალისწინებით, საქართველოში სხვადასხვა საქმიანობის მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში შეადგენდა 279.2 ლარს, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ყველა სხვა საქმიანობის მიხედვით საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასს (<http://www.geostat.ge>).

## ქვემო ქართლის ინფრასტრუქტურა და საბინაო პირობები

ცნობილია, რომ ინფრასტრუქტურა ურთიერთდაკავშირებული სტრუქტურული ელემენტების ერთობლიობაა, რომელიც მთელი საზოგადოების გამართული ფუნქციონირების საერთო ჩარჩოს ქმნის. პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს სახლმშენებლო ეკონომიკური სირთულეები არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობაზე ნეგატიურად აისახა. ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლის პროცესი განსაკუთრებით სოფლის დასახლებებს შეეხო. უკანასკნელ პერიოდში ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია გახდა და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა. ამ მხრივ, გამონაკლისს არც ქვემო ქართლის რეგიონი წარმოადგენს. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობისათვის თითქმის გადაჭრილია ელექტროენერჯით მომარაგება. ნაგვის გატანა, გარე განათება და გზების მოწესრიგება ნაწილობრივ მოგვარებული საკითხებია, თუმცა არა ყველა რაიონისათვის. სარწყავი წყლისა და კანალიზაციის სისტემების გამართულობა კი კვლავ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ქვემო ქართლის მცხოვრებთათვის. თუკი ინფრასტრუქტურის სხვადასხვა დარგის რეაბილიტაციის პროცესს განვიხილავთ, ვლინდება, რომ მოსახლეობა ყველაზე მეტად გაზომვარაგების სისტემის რეაბილიტაცია/გაყვანაზე მიუთითებს, შემდეგ - წყლის სისტემების გაყვანა/შეკეთებაზე, სკოლების რემონტსა და აღჭურვაზე. სკოლამდელი და სამედიცინო დაწესებულებები კი ყველაზე ნაკლებ რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის რიგებში გვხვდება. ინფრასტრუქტურის სხვადასხვა დარგის რეაბილიტაციის პროცესს ქვემო ქართლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის კეთილდღეობაზე უშუალო გავლენა არ მოუხდენია,<sup>7</sup> თუმცა გამოვლინდა ერთეული შემთხვევები, როდესაც ოჯახის წევრი მოკლე ან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დასაქმდა, ოჯახმა დაიწყო ან გააფართოვა ბიზნესი.

კვლევის პროცესში გამოვლინდა ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემები, რომლებიც განსხვავებულია ქვემო ქართლის სხვადასხვა რაიონისათვის:

**ინფრასტრუქტურული პრობლემები:** როგორც კვლევის მონაცემებიდან ჩანს, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, უმთავრესად, ქვემო ქართლის ურბანულ ცენტრს – რუსთავს – შეეხო. თუმცა, ელექტროენერჯით უზრუნველყოფა მოგვარებულია რეგიონის თითქმის ყველა რაიონისათვის. სკოლამდელი დაწესებულებების მდგომარეობა განსაკუთრებით აწუხებთ მარნეულისა და წალკის დასახლებებში. საგანმანათლებლო-შემეცნებითი დაწესებულებები (ბიბლიოთეკა, მუზეუმი და სხვ.) და გართობის კერები ხელმიუწვდომელია, რუსთავის გარდა, თითქმის ყველა რაიონში. კანალიზაციის სისტემა თითქმის ყველა რაიონში გაუმართავია. გარე განათების პრობლემა საშუალოდ აქტუალურია რაიონებში, თუმცა, განსაკუთრებით მწვავედ წალკის რაიონში ფასდება. გზების მოწესრიგებლობაზე უფრო მიუთითებენ გარდაბნის, მარნეულისა და ბოლნისის მცხოვრებნი. საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებული პრობლემები უფრო მეტად გარდაბნისა და

<sup>7</sup> აქ იგულისხმება უშუალო ეკონომიკური გავლენა, როდესაც ოჯახის ბიზნესი გაფართოვდა, ოჯახის წევრი დასაქმდა ან მან რაიმე ინსტიტუციით სარგებლობა დაიწყო.

მარნეულში აწუხებთ.<sup>8</sup>ნაგვის გატანის პრობლემა ყველა რაიონში დგას (განსაკუთრებით კი, წალკაში). გაზომარაგება პრობლემური ქვემო ქართლის სამ რაიონშია (წალკა, მარნეული და დმანისი). სარწყავი წყლის პრობლემა რელევანტურია ყველა რაიონისათვის გარდაბნის გარდა მაშინ, როცა სასმელი წყლის პრობლემა უდგას მარნეულისა და თეთრიწყაროს მაცხოვრებლებს. სახნავ-სათესი მიწით მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია ყველა რაიონი, გარდა გარდაბნისა და მარნეულისა.

**სოციალური პრობლემები:** სოციალურ პრობლემებს შორის ყველა ტერიტორიულ ერთეულში (რუსთავის ჩათვლით) უმწვავესია დასაქმების პრობლემა. ყველა რაიონში მოგვარებულია უსაფრთხოების, ტრანსპორტირების, პენსიებისა და დახმარებების დროულად გაცემის საკითხები. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა მეტ-ნაკლებად მოგვარებულია ყველა რაიონისათვის, თუმცა მას რამდენადმე უჩივიან მარნეულსა და ბოლნისში. შეკრებებისა და დემონსტრაციების ორგანიზება პრობლემურია თითქმის ყველა რაიონისათვის (რუსთავის გარდა).

საბინაო პირობები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ერთ-ერთი მახასიათებელია. ისინი დამოკიდებულია, ერთი მხრივ, ოჯახის მატერიალურ შესაძლებლობებზე, ხოლო, მეორე მხრივ, დასახლების ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე. ქვემო ქართლის რეგიონის მცხოვრებთა უმრავლესობა თავად არის ბინის მეპატრონე. შესაბამისად, შინამეურნეობების უმრავლესობას არ უდგას ბინის ქირის გადახდის პრობლემა. ფიქსირდება გარკვეული შემთხვევები, როდესაც ოჯახები მეპატრონის მიერ დროებით დათმობილ ბინაში ცხოვრობენ (განსაკუთრებით, წალკის რაიონში).

ქვემო ქართლის რეგიონში მოსახლეობის თითქმის სამი მეოთხედი ცხოვრობს ბინაში, რომელიც სამი და მეტი ოთახისაგან შედგება. ფართის მიხედვით, შინამეურნეობების ორი მესამედი ცხოვრობს 50კვ.მ-ზე მეტი ფართის მქონე ბინებში. როგორც წესი, ოჯახის ზომის ზრდის შესაბამისად იზრდება ოთახებისა და ფართების ოდენობა. თუმცა არის გამონაკლისები, როცა ოჯახი იმდენად დიდია, რომ აქვს საცხოვრებელი ფართის პრობლემა. ეს განსაკუთრებით მარნეულის რაიონს ეხება. მიუხედავად იმისა, რომ წალკის რაიონში დიდი ოჯახების სიჭარბე არ შეიმჩნევა, ამ რაიონში მცხოვრებ ოჯახებს ყველაზე მწვავედ უდგათ არასაკმარისი საცხოვრებელი ფართის პრობლემა. აღსანიშნავია, რომ რუსთავში ერთ და ორ ოთახიანი საცხოვრებელი ბინები ჭარბობს, თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ ურბანულ ცენტრში ოჯახები ნუკლეარული და მცირე ზომისაა, რუსთავში საცხოვრებელი ფართის პრობლემა ნაკლებად შეინიშნება.

კვლევის პროცესში გამოვლინდა ქვემო ქართლის რეგიონში საცხოვრებელ ბინებთან დაკავშირებული პრობლემები. ყველაზე აქტუალური სარემონტო საცხოვრებელი ბინებია, რომლებზეც გამოკითხულთა ორი მესამედი მიუთითებს. წყლის გათბობისა და დაბანის პრობლემა რიგით მეორე პრობლემაა, რომელიც ხელმიუწვდომელია ქვემო ქართლის ოჯახების ორი მეხუთედისათვის. ეს პრობლემა განსაკუთრებით სოფლის დასახლებებს უდგათ, რაიონებს შორის

<sup>8</sup> მარნეულში მცხოვრებლებს, ძირითადად, ფართის პრობლემა აქვთ მაშინ, როცა გარდაბანში მცხოვრები შინამეურნეობები ხშირად მიუთითებენ, რომ მათი საცხოვრებელი ავარიულ მდგომარეობაშია.

კი - წალკის რაიონს. ასევე პრობლემურია საცხოვრებელი ფართის გათბობის პრობლემა, რომელსაც თავს ვერ ართმევს ოჯახების ორი მეხუთედი. ეს პრობლემა მწვავედ სოფლის დასახლებებში ვლინდება, განსაკუთრებით, ბოლნისის რაიონში.

მოსახლეობის სუფთა სასმელი წყლით სისტემატური მომარაგება აქტუალური თემაა ქვემო ქართლში, რაც, შესაბამისად, გავლენას ახდენს ინდივიდების ჯანმრთელობის მდგომარეობასა და კეთილდღეობის დონეზე. წყლის მიწოდების საკითხი მნიშვნელოვანია გენდერული ჭრილის მიხედვით, რადგან, კვლევის შედეგების მიხედვით, წყლის მოზიდვის ტვირთს მნიშვნელოვანწილად მანდილოსნები და ბავშვები იღებენ. გარდა ამისა, წყლის არასისტემატური მიწოდება ოჯახის დიასახლისის გრაფიკს ცვლის. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა სოფლის დასახლებებში. სასმელი წყლით მომარაგების საკითხი პრობლემატურია თითქმის ყველა რაიონისათვის (გარდა რუსთავისა), თუმცა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში, ამ თვალსაზრისით, მარნეულის რაიონის მაცხოვრებლები არიან.

ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები შინამეურნეობების მეხუთედი მიუთითებს ბინის ავარიულ მდგომარეობაზე. ავარიულ მდგომარეობაში საცხოვრებელი ბინები უფრო ხშირად სოფლის დასახლებებშია, განსაკუთრებით ხშირად კი გარდაბანსა და თეთრიწყაროში. საცხოვრებელთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის მოსახლეობის მცირე რაოდენობა მოუგვარებელ საბუთებს ასახელებს, რაც კვლავ სოფლად მაცხოვრებლებისთვისაა საჭირობო. მოუგვარებელი საბუთები უკავშირდება ადმინისტრაციული ორგანოების სიშორეს, ტრანსპორტირების ხარჯებსა და ინფორმირებულობის დაბალ დონეს.

ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობა შიდა მიგრაციის სუსტ ტენდენციას ავლენს. ერთ საცხოვრებელ ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობით განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობები გამოირჩევიან. ეს განპირობებულია ამ ჯგუფების კომპაქტური დასახლებებით და ჯგუფებს შორის მჭიდრო სოციალური კავშირების შენარჩუნების სურვილით. შესაბამისად, საცხოვრებელი ადგილის ცვლილება, ძირითადად, ქალაქსა და ქართულ ეთნიკურ ჯგუფში გვხვდება. სავარაუდოა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში შიდა მიგრაციის დაბალი დონე შენარჩუნდება მომავალშიც. გამოკითხვის პროცესმა აჩვენა, რომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლას უმნიშვნელო რაოდენობა ფიქრობს. მიუხედავად იმისა, რომ საკვლევ ჯგუფს სერიოზული ინფრასტრუქტურული და საბინაო პრობლემები აქვს, მისი ნახევარი საცხოვრებელი ადგილის შეცვლას არ აპირებს, რადგან ისინი არსებული მდგომარეობით მეტ-ნაკლებად კმაყოფილია. არსებულ საცხოვრებელ პირობებთან შეგუების დონე განსაკუთრებით მაღალია მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში. მნიშვნელოვანია შინამეურნეობების მესამედი, რომელსაც არ აკმაყოფილებს არსებული პირობები, თუმცა, რადგან ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი არ აქვს, საცხოვრებლის შეცვლას არ ფიქრობს უახლოეს ექვს თვეში.

## განათლება

მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა (1991 წელს), სახელმწიფოს მხრიდან განათლების სფეროს დაფინანსება მკვეთრად შემცირდა. დაწყებითი და საშუალო სკოლის განათლება, ძირითადად, კვლავ უფასო დარჩა, თუმცა სწავლისათვის საჭირო ხარჯების გაღება (სასკოლო ინვენტარის შეძენა, შესაბამისი ჩაცმულობა, სწავლების გადასახადი ცალკეულ შემთხვევებში და სხვ.) ოჯახებს მაინც უჭირთ. საქართველოს განათლების სისტემამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. შეიცვალა მართვისა და დაფინანსების მოდელები, მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო დონორების ჩართულობა საგანმანათლებლო სისტემის რეორგანიზაციაში, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს განათლების სისტემის ისეთი ხარისხის მიღწევა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში განათლებამიღებული ინდივიდების საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციას.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ქვემო ქართლის რეგიონში ახალგაზრდების ჩართულობა საგანმანათლებლო ინსტიტუტებში, განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები და ბარიერები. როგორც მონაცემები აჩვენებს, ქვემო ქართლის რეგიონში სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 7 წლამდე ბავშვების ჩართულობის დონე საკმაოდ დაბალია და დაახლოებით ერთ მეხუთედს შეადგენს. შვიდ წლამდე ბავშვების საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართულობა, ძირითადად, განპირობებულია ქვემო ქართლის რეგიონში ბაღების სისტემის განუვითარებლობითა და ოჯახის ფინანსური პრობლემებით. ბუნებრივია, რომ სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი განვითარებულია ქვემო ქართლის ურბანულ ცენტრში, რუსთავში, სადაც ბავშვების ჩართულობის მაჩვენებელი მაღალია. რუსთავს მოსდევს დმანისის რაიონი, შემდეგ გარდაბანი და ბოლნისი. სკოლამდელი ასაკის ბავშვების საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართულობის განსაკუთრებით დაბალი დონეა წალკისა და მარნეულის რაიონებში. წალკის რაიონის ბავშვიანი ოჯახების ორი მესამედი, ხოლო მარნეულის რაიონის ბავშვიანი ოჯახების ნახევარი მიუთითებს, რომ მათს დასახლებაში საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებს. სკოლამდელი დაწესებულების გადასახადები განსაკუთრებით დიდ ბარიერს რუსთავისა და თეთრიწყაროს რაიონის მაცხოვრებლებისათვის წარმოადგენს. ეკონომიკური ფაქტორითაა განპირობებული ის, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობა, ძირითადად, სახელმწიფო საბავშვო ბაღებით სარგებლობს, რადგან კერძო ბაღების გადასახადები მათთვის ხელმიუწვდომელია. სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებებით მოსარგებლე რესპონდენტები ამ დაწესებულებების მომსახურებით კმაყოფილების მნიშვნელოვან დონეს ავლენენ. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ბაღები, ძირითადად, ქართულენოვანია, ხოლო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების შვილებისათვის კი ეს მნიშვნელოვანი გარემოებაა ქართული ენის შესასწავლად. შესაბამისად, თუკი სკოლამდელი საგანმანათლებლო ინსტიტუტების სისტემა გაიმართება ქვემო ქართლის რეგიონში, ჩართულობის დონე, შესაბამისად, მაღალი იქნება. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციას.



მოცემული კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ქვემო ქართლის რეგიონის მცხოვრებთა მიერ მიღწეული განათლების დონე შედარდა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ ბოლო კვლევის შედეგებს. საქართველოში საშუალო განათლების მქონეთა ხვედრითი წილი უფრო ნაკლებია, ვიდრე ქვემო ქართლში. უმაღლესი განათლების შემთხვევაში კი საპირისპირო ტენდენციაა – უმაღლესი განათლების მქონეთა ხვედრითი წილი საქართველოს მასშტაბით აღემატება ქვემო ქართლში მიღებულ იგივე მაჩვენებელს (გაეროს ბავშვთა ფონდი. 2011. კეთილდღეობის მონიტორინგის კვლევა<sup>9</sup>) (იხ ქვეთავი განათლება).

სასკოლო განათლება, სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შედარებით, უფრო ხელმისაწვდომია. ქვემო ქართლის რეგიონში სასკოლო განათლებაში ჩართულია შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის ინდივიდების 95.8%. გოგონები და ვაჟები თითქმის თანაბრად არიან ჩართულნი სასკოლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. სკოლაში ჩართულობის შედარებით დაბალ დონეს აჩვენებენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები (ძირითადად აზერბაიჯანული წარმოშობის სასკოლო ასაკის ბავშვები). ოჯახების უმრავლესობა არ ხსნის, რატომ მიატოვა მათმა შვილმა სწავლა-განათლება, დასახელებულ მიზეზებს შორის კი სჭარბობს თავად მოზარდის გადაწყვეტილება, ავადმყოფობა და საბუთების არქონა. თვისებრივ კვლევაში (ფოკუს-ჯგუფების დროს) გამოვლინდა ტენდენცია, რომ აზერბაიჯანული წარმოშობის ოჯახებში ხშირია სკოლის მიტოვებისა და სწავლის შეწყვეტის ფაქტები. ამის მიზეზად, ძირითადად, ადრეული ქორწინება და დაქორწინების შემდგომ განათლების საჭიროების არქონა დასახელდა. მიუხედავად იმისა, რომ საშუალო განათლების შეწყვეტის მიზეზად ადრეულ ასაკში ქორწინება მხოლოდ განათლების პროცესის შემწყვეტი გოგონების 7.7%-ის შემთხვევაში დასახელდა, სავარაუდოა, რომ ეს მაჩვენებელი მართლაც მაღალი იყოს. შესაძლებელია სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა არ ხსნის მოზარდის მიერ სწავლის მიტოვების მიზეზს ან მიზეზად მოზარდის პირად გადაწყვეტილებას დასახელებს. სასკოლო განათლების შეწყვეტის მიზეზად 7.7%-მა სკოლის სიმორე დაასახელა, რაც განსაკუთრებით აქცენტირებულ იქნა თეთრინყაროს, ღმანისისა და გარდაბნის რაიონებში. სასკოლო განათლების მიღების პროცესში ბარიერი არ აქვს ქვემო ქართლის რეგიონის შინამეურნეობების მეხუთედზე მეტს. გამოკითხულთა ნახევარი პრობლემად არასაკმარის ფინანსებს მიუთითებს, რის გამოც ოჯახს უჭირს სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სხვა ინვენტარის შეძენა.

ქვემო ქართლის რეგიონში უმაღლესგანათლებულთა რაოდენობა ჩამოუვარდება მთლიანად საქართველოში უმაღლესგანათლებულთა პროცენტულ მაჩვენებელს<sup>10</sup>. რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა უმაღლეს განათლებას იღებს/მიიღო საქართველოში (კერძოდ, თბილისში); თუმცა, არის უმნიშვნელო შემთხვევები, როდესაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები განათლების მისაღებად თავიანთ ეთნიკურ სამშობლოში ან რუსეთში მიდიან. უმაღლესი განათლების ხელმიუწვდომლობის ერთ-ერთი მიზეზი მატერიალურია. ფინანსურ

<sup>9</sup> Unicef. 2011. Welfare Monitoring Survey

<sup>10</sup> საქართველოს მასშტაბით უმაღლეს განათლებულთა წილი 26.1%-ია, ხოლო ქვემო ქართლის რეგიონში 18.8% (გაეროს ბავშვთა ფონდი. 2011. კეთილდღეობის მონიტორინგის კვლევა)

პრობლემებთანაა კორელაციაში სასწავლებლის სიშორე (მგზავრობის თანხის საჭიროება), სასწავლებლის გადასახადი, ტრანსპორტის ხარჯები.

გარდა იმისა, რომ არასაკმარისი ფინანსები აფერხებს სწავლის სურვილს, ხშირია შემთხვევები, როცა უმაღლესი განათლების მიღებაზე უარს ენობრივი ბარიერის პრობლემა და კულტურული თავისებურებები განაპირობებს (არაქართველებში), რაც არაქართულ მოსახლეობას ნაკლებად ინტეგრირებულს ხდის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ რესპონდენტთა უმრავლესობა აღიარებს ქართული ენის ცოდნის საჭიროებას. აქ მთავარი მაპროგნოზირებელი ფაქტორი ისაა, რომ ენობრივი ბარიერის მოხსნა კორელაციაშია დასაქმებასა და, შესაბამისად, ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან. კვლევამ გამოავლინა, რომ ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობის თვალსაზრისით ეთნიკურ უმცირესობებს რამდენადმე სერიოზული პრობლემები არ ექმნებათ და, ამ მხრივ, მათი კმაყოფილების ხარისხიც მაღალია. ამასთან, კვლევამ არ გამოავლინა ეროვნული უმცირესობების დისკრიმინაციის შემთხვევები განათლების მიღების კონტექსტში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონის აზერბაიჯანულ მოსახლეობაში სახიფათო გენდერული სტერეოტიპები, განათლების მიღებასთან დაკავშირებით, რაც გამოხატულია ვაჟის უპირატესობის აღიარებით სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით (ინგლისური ენის სწავლის გაძლიერებული პროგრამა, შშმ ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩართვის პროგრამა, ეროვნულ უმცირესობათა ენების სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროგრამა, განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა, სტუდენტთა დაფინანსების სოციალური პროგრამა, პროფესიული განათლება დასაქმებისთვის). გამოიკვეთა ინფორმირების პრობლემა: არც ერთი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ არ სმენია რესპონდენტთა ნახევარზე ოდნავ მეტს. ამას გარდა, რესპონდენტთა ნაწილი ვერ ხედავს ამა თუ იმ პროგრამის საჭიროებას და არ გააჩნია მასში მონაწილეობის სურვილი. თუმცა, დაბალი ინფორმირებულობის პირობებში, სავსებით ლოგიკურია „პასიური“ მოსახლეობის სურვილის არქონა სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონში კულტურული/შემეცნებითი დაწესებულებებით (ბიბლიოთეკები, მუზეუმები, კინოთეატრები, თეატრები და სხვ.) სარგებლობის დაბალი დონეა. ერთი მხრივ, აღნიშნული ფაქტი დაკავშირებულია მოსახლეობის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობასთან (არასაკმარისი ფინანსებთან), თუმცა, გამოიკვეთა რეგიონის რაიონებში ასეთი კულტურულ/შემეცნებითი დაწესებულებების დეფიციტი.

## ჯანდაცვა

მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მოსახლეობა მწვავე ეკონომიკური და სოციალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობაც გაუარესდა. ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სიღარიბეს შორის მრავალმნიშვნელოვანი მიმართება არსებობს. ერთი მხრივ, მწვავე და ქრონიკული დაავადებების მქონეები მოკლებულნი არიან დასაქმების შესაძლებლობას, რაც აისახება მათი ოჯახების ეკონომიკაზე. მეორე მხრივ, იმ



ოჯახებს, რომლებიც სიღუბეში ცხოვრობენ, სრულფასოვან მედიკამენტებსა და სამედიცინო მომსახურებაზე ხელი არ მიუწვდებათ. ასე რომ, საფუძვლიანად ვერ იუმჯობესებენ ჯანმრთელობის მდგომარეობას.

სხვადასხვა სამედიცინო სერვისებს შორის, ქვემო ქართლის მოსახლეობა, ძირითადად, ექიმ სპეციალისტებს მიმართავს რომელიმე სამედიცინო დაწესებულებაში (ამბულატორია, საავადმყოფო და სხვ.). ოჯახის ექიმის გამოყენება შედარებით იშვიათია (21%) და, როგორც წესი, სამედიცინო დაზღვევის მქონე ოჯახების პრაქტიკის ნაწილია. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დაზღვევის მქონე ოჯახები უფრო ხშირად იღებენ სამედიცინო მომსახურებას, განსაკუთრებით ეფექტურად კი სამედიცინო დაზღვევის პოლისს კერძო და კორპორატიული სამედიცინო დაზღვევის მქონე ინდივიდები იყენებენ. ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ინდივიდი, რომელიც თავად იხდის ფულს სამედიცინო დაზღვევაში, მეტადაა ინფორმირებული შესაძლო მომსახურებების შესახებ და ეფექტურად იყენებს ამ შესაძლებლობას. ქვემო ქართლის მოსახლეობა ფართოდ მიმართავს თვითმკურნალობის პრაქტიკას, რაც, ძირითადად, განპირობებულია სამედიცინო მომსახურების მიღების ხელმიწვდომლობით, რაც ორი ფაქტორით არის განპირობებული. პირველი ფაქტორი სამედიცინო მომსახურების ღირებულებაა, რაც განსაკუთრებით გადაუღახავ ბარიერს წარმოადგენს დიაგნოსტიკური გამოკვლევებისა და ჰოსპიტალური მკურნალობის მისაღებად. სამედიცინო დაწესებულების სიმორე მეორე ფაქტორია, რომელიც ქალაქში მცხოვრებლებისათვის ბარიერს თითქმის არ წარმოადგენს მაშინ, როდესაც სამედიცინო დაწესებულებების სიმორე სერიოზულ ბარიერს უქმნის ქვემო ქართლის რეგიონის სოფლის მაცხოვრებლებს.

ოჯახები, რომლებმაც ისარგებლეს სხვადასხვა ტიპის სამედიცინო მომსახურებით, ძირითადად, კმაყოფილების მაღალ დონეს ავლენენ. ამბულატორიულ მომსახურებასთან შედარებით კმაყოფილების მაღალი ხარისხი ვლინდება სტაციონარულ მომსახურებაში (ეს კი გამოწვეულია იმით, რომ სტაციონარული სამედიცინო დახმარების მიღებისას მკურნალობის ეფექტი მყისიერი და თვალსაჩინოა). სამედიცინო მომსახურების მიღები პირები განსაკუთრებით დადებითად ატყობენ სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციასა და პაციენტებისადმი ჰუმანურ დამოკიდებულებას.

სამედიცინო მომსახურების მიღება ეკონომიკურად შეჭირვებული ოჯახებისათვის დიდ ტვირთს წარმოადგენს. კვლევისას გამოვლინდა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯებმა ოჯახების მეექვსედის გაღარიბება გამოიწვია, ხოლო საკმაოდ მძიმე ტვირთი იყო გამოკითხული ოჯახების თითქმის ნახევრისათვის. კვლევის შედეგები ნათელყოფს, რომ სამედიცინო დაზღვევა ოჯახებს სამედიცინო მომსახურების გადახდის ტვირთს უმსუბუქებს, თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით მედიკამენტებზე, რომელთა თანხები სადაზღვევო კომპანიების მიერ ძირითადად არ იფარება.

სამედიცინო მომსახურების მიღების ბარიერებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მომსახურების ღირებულებასთან დაკავშირებული ბარიერია. სამედიცინო დაწესებულებების სიმორე უფრო

პრობლემურია სოფლის დასახლებებისათვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით წალკის რაიონი გამოირჩევა, თუმცა სამედიცინო დაწესებულებების სიშორეზე მიუთითებენ ასევე ბოლნისის, მარნეულისა და თეთრიწყაროს მცხოვრებნი. მიუხედავად დისტანციის პრობლემურობისა, საჭირო ფინანსების არსებობის შემთხვევაში ეს პრობლემა მოიხსნება.

სამედიცინო დაზღვევა ქვემო ქართლის მცხოვრებთა 27.3%-ს აქვს. სამედიცინო დაზღვევის მქონეთა ერთი მესამედი დაზღვეულია უმწეოთა დახმარების ფარგლებში; აღნიშნული ტიპის დაზღვევა კი, ძირითადად, სოფლის, განსაკუთრებით, აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის მოსახლეობას აქვს. ქვემო ქართლის რეგიონში სამედიცინო დაზღვევის არქონა, ძირითადად, განპირობებულია მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით, სახელმწიფო და მუნიციპალური დაზღვევის პროგრამების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობითა და, მკდელობის მიუხედავად, ამ პროგრამებში ჩაურთველობით.

## მისამართული სოციალური დახმარება

ვარდების რევილუციის შემდეგ (2003 წელი) სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა შეიცვალა და სოციალური დახმარებების გაცემა კატეგორიებზე დაფუძნებული დახმარებიდან მისამართულ სოციალურ დახმარებების სისტემაზე გადაერთო. 2006 წლიდან საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო უმწეო ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამამ, რომლის ფარგლებში გამოვლენილ შეჭირვებულ ოჯახებს ენიშნებათ ფულადი დახმარება, ეძლევათ სამედიცინო დახმარების პოლისი და, ზოგიერთ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტების მიერ დაწესებული შეღავათები კომუნალურ გადასახადებზე. პროგრამაში მონაწილეობა დამოკიდებულია ოჯახის მიერ ღარიბად თვითიდენტიფიკაციაზე, რის შემდეგაც ოჯახმა სოციალური მომსახურების სააგენტოში უნდა შეავსოს შესაბამისი განაცხადი. სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირებულობა აღნიშნულ პროგრამის შესახებ. ქვემო ქართლის რეგიონში შინამეურნეობების მეხუთედს არ სმენია უმწეოთა დახმარების პროგრამის შესახებ. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ არაინფორმირებული ოჯახები მოკლებულნი არიან ამ პროგრამით სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობას. პროგრამისა და მისი ასპექტების შესახებ ინფორმირებულობის დაბალ ხარისხს ავლენენ ეთნიკური უმცირესობები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განაცხადი სულ ქვემო ქართლის მოსახლეობის მესამედზე ოდნავ მეტმა შეიტანა. განაცხადის არშეტანის მიზეზები განსხვავდება ეთნიკური ნიშნით: ქართველები პროგრამაში, ძირითადად, იმის გამო არ მონაწილეობენ, რომ ამის საჭიროება არ აქვთ მაშინ, როცა ეთნიკური უმცირესობებისათვის მნიშვნელოვანი ბარიერი ოჯახის სიღარიბის მდგომარეობის არასწორი შეფასების შიშია.

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ უმწეოთა დახმარების სრული პაკეტი მიიღო გამოკითხულთა 11.3%-მა. სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით<sup>11</sup> ქვემო ქართლის რეგიონში უმწეოთა დახმარების მიმღები ოჯახების პროცენტული

<sup>11</sup>სოციალური მომსახურების სააგენტო [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge) (ინფორმაცია მიღებულია 17.10.2011)

მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სხვა რეგიონებს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით (თბილისისა და სამცხე-ჯავახეთის გარდა) ქვემო ქართლის რეგიონში უფრო ნაკლები უმწეო ოჯახი ცხოვრობს. საქართველოს ზოგადი მონაცემების მსგავსად, ქვემო ქართლის რეგიონში პროგრამაში მონაწილე (რეგისტრირებული) ოჯახების უმრავლესობა უკმაყოფილოა შეფასების შედეგებით. განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მიაჩნიათ შეფასება არაობიექტურად.

## ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

ქვემო ქართლი ბუნებრივი რესურსით მდიდარი რეგიონია, რომელსაც, გარდა ამისა, ტურიზმისა და მეზობელ ქვეყნებთან ტრანზიტული მიმოსვლის მნიშვნელოვანი პერსპექტივები აქვს. საბჭოთა პერიოდში რეგიონში განვითარებული იყო მძიმე და მსუბუქი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი წარმოება. პოსტსოციალისტურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად დააზარალა ეკონომიკის ესა თუ ის დარგი. უკანასკნელ პერიოდში ქვემო ქართლის რეგიონში შეინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებები. მოცემულმა კვლევამ გამოავლინა ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება სხვადასხვა ეკონომიკური დარგებისა თუ პროექტების მიმართ. რესპონდენტთა პასუხები, ძირითადად, საკუთარი რაიონის მდგომარეობის და პერსპექტივის აღწერით შემოიფარგლება და საკმაოდ დაბალ ინფორმირებულობის დონეს ავლენს. კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს უნდა განესაზღვრათ რეგიონისათვის პრიორიტეტული ეკონომიკური დარგები, შემდეგ ამ დარგების განვითარებისათვის მოსახლეობის კვალიფიციურობა. რესპონდენტები, ძირითადად, იმ ეკონომიკურ დარგებს აფასებენ პერსპექტიულად, რომლებშიც თავად არიან ჩართულნი. სწორედ ამიტომ, ქვემო ქართლის რეგიონისათვის პრიორიტეტულად სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი, კერძოდ მარცვლეულის მოყვანა, მებოსტნეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის მოშენება სახელდება. გამონაკლისს წარმოადგენს რუსთავი, სადაც მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე მაღალია და მას უფრო ფართო ეკონომიკური ხედვა აქვს. ანუ, რუსთავის მცხოვრებნი პერსპექტიულად თვლიან იმ დარგებს, რომელთა განვითარებისათვის ქვემო ქართლის რეგიონში შესაბამისი რესურსები არსებობს (მაგალითად მეტალურგია, სამთო მოპოვება, ქიმიური წარმოება, ტრანზიტი და ტურიზმი). საერთოდ, ქვემო ქართლის მოსახლეობა სკეპტიკურად აფასებს ინოვაციურ ეკონომიკურ დარგებს, ისეთებს, როგორებიცაა ტურიზმი და ტრანზიტული ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან. ქვემო ქართლის რეგიონისათვის პრიორიტეტული დარგების მსგავსად ფასდება ქვემო ქართლის მოსახლეობის კვალიფიკაცია. ადგილობრივები თვლიან, რომ მოსახლეობას ყველაზე მეტად სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებისათვის საჭირო კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები გააჩნია. ეს ნიშნავს, რომ ალტერნატიული და ახალი ეკონომიკური დარგების განვითარების პარალელურად დღის წესრიგში დგება მოსახლეობისათვის ახალი დარგებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება და კვალიფიკაციის შეცვლა.

რესპონდენტების უმრავლესობა ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარებაში სახელმწიფო და კერძო ბიზნესის ინვესტირებას უარყოფს, ან არ აქვს ამის შესახებ ინფორმაცია.

ქვემო ქართლის რეგიონში მიმდინარე გამსაღდენისა და ნავთობსაღდენის პროექტებს მოსახლეობის უმრავლესობაზე უშუალო გავლენა არ მოუხდენია, თუმცა რესპონდენტები ამ პროექტების პოზიტიურ გავლენაზე მიუთითებენ მთელი რეგიონის მასშტაბით. მოსახლეობა თვლის, რომ ნავთობსაღდენისა და გამსაღდენის პროექტებმა გაზარდა დასაქმება, ხოლო ნაკვეთების საკომპენსაციოდ განეულმა თანხამ გააუმჯობესა ადგილობრივების ეკონომიკური მდგომარეობა.

მიკრო საფინანსო სესხების შესახებ მოსახლეობას მწირი ინფორმაცია აქვს. ქვემო ქართლის მოსახლეობის 9.1%-ს უსარგებლია მიკრო საფინანსო სესხით. მიკრო საფინანსო სესხის მიმღები ოჯახები, ძირითადად, სესხების გამცემი ადგილობრივი ორგანიზაციების მომსახურებით სარგებლობენ, ხოლო სესხის დანიშნულებად, უმთავრესად, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ასახელებენ, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მათი პასუხების ადეკვატურობას (სავარაუდოდ, რესპონდენტები მიკრო საფინანსო სესხში გულისხმობენ ჩვეულებრივ სესხსაც, რამდენადაც მიკრო საფინანსო სესხი მხოლოდ ბიზნესის განვითარებისა და წამოწყების მიზნით გაიყვამა). სესხის მიმღებთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სესხი მიზნების განხორციელებაში დაეხმარა.

მიუხედავად იმისა, რომ მეზობელ ქვეყნებთან ტრანზიტი რესპონდენტებმა არ დაასახელეს პერსპექტიულ ეკონომიკურ დარგად, ისინი, ზოგადად, დადებითად უყურებენ მოსაზღვრე ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების პერსპექტივას. ქვემო ქართლის მოსახლეობა საუბრობს თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ბაზრების მეტ-ნაკლებ ღიაობაზე ექსპორტისა და იმპორტისათვის, თუმცა, რესპონდენტები მიუთითებენ გარკვეულ ბარიერებზეც, რომლებიც ამ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებს უშლის ხელს: მაღალი საბაჟო გადასახადები და ბიუროკრატიული პრობლემები. გამოკითხულებს ყველაზე პერსპექტიულად მიაჩნიათ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები (თუმცა, ისინი კარგად აცნობიერებენ, ამ ეტაპზე, რუსეთის ბაზრის ხელმიუწვდომლობას ექსპორტ-იმპორტისათვის).

მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობისა და შემოსავლის ზრდის მიზნით, საქართველოს ხელისუფლება და საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს. გამოკითხვის პროცესში აქცენტი გაკეთდა სამ პროგრამაზე („იაფი კრედიტი“, „ჰიბრიდული სიმინდის და სხვა თესლის გამოყენების პროგრამა“ და „მეფანიზაციის პროგრამა“), რომლებიც ხორციელდებოდა (ხორციელდება) ქვემო ქართლის რეგიონში. კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის დიდ ნაწილს არა აქვს ინფორმაცია აღნიშნული პროგრამების შესახებ<sup>12</sup>; ინფორმირებული მოსახლეობის ნაწილი კი რელაქტიურია პროექტებში ჩართვის მიმართ. ამას ისინი ხსნიან არასაკმარისი ინფორმაციით, ამ პროექტების საჭიროების არქონითა და საჭირო ფინანსების ნაკლებობით.

<sup>12</sup> პროგრამა „იაფი კრედიტის“ შესახებ არ სმენია ქვემო ქართლის მოსახლეობის 32.1%-ს; „ჰიბრიდული სიმინდისა და სხვა სახის თესლის გამოყენების“ პროგრამის შესახებ არ სმენია ქვემო ქართლის მოსახლეობის 28.1%-ს. „მეფანიზაციის პროგრამის“ შესახებ არ სმენია გამოკითხულთა 32.7%-ს.

## სოფლის მხარდამჭერი პროგრამა

2009 წლიდან საქართველოს მასშტაბით ხორციელდება სოფლის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის ფარგლებში სოფლის მოსახლეობამ უნდა განსაზღვროს თავისი დასახლების საჭირობორბო საკითხები, ხოლო ხელისუფლება აფინანსებს ამ საკითხების მოგვარებისათვის საჭირო ღონისძიებებს. კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტს არ სმენია აღნიშნული პროგრამის შესახებ, ხოლო ის რესპონდენტებიც კი, რომლებსაც სმენიათ პროგრამის შესახებ, პროგრამის მიზნებს არაადეკვატურად განსაზღვრავენ. მაღალია, ასევე, იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებმაც არ იციან მიმდინარეობს თუ არა კონკრეტულად მათს დასახლებაში სოფლის მხარდამჭერი პროგრამა, ჩატარდა თუ არა პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის გამოკითხვა ან სოფლის კრება.

მეორე მხრივ, ქვემო ქართლის რეგიონის სოფლის დახმარების პროგრამაში ჩართული მოსახლეობა ამ პროგრამით, ფინანსების ეფექტური ხარჯვითა და პრობლემების მოგვარებით კმაყოფილების მნიშვნელოვან ხარისხს ავლენს. ქვემო ქართლის რეგიონის ცალკეული რაიონებიდან შეიძლება გამოეყოთ წალკის რაიონი, სადაც სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამა საკმაოდ წარმატებულად წარიმართა (მოსახლეობის ინფორმირების, სამოქალაქო აქტივობის, შედეგების ეფექტურობის თვალსაზრისით); თუ სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის წარმატებას ამ სამი კრიტერიუმის მიხედვით შევაფასებთ, ყველაზე ნაკლებ წარმატებული გარდაბნის რაიონია. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ სომეხი და აზერბაიჯანელი რესპონდენტები უფრო ნაკლებ ინფორმირებულნი არიან და უფრო ნაკლებ სამოქალაქო აქტივობასაც ავლენენ. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ქვემო ქართლის რეგიონში აღნიშნული პროგრამის მიმდინარეობის მთავარი ხარვეზი – მოსახლეობის არაინფორმირებულობაა, რადგან უკვე ინფორმირებული მოსახლეობა სამოქალაქო აქტივობის შედარებით მაღალ დონეს და პროგრამის შედეგებით კმაყოფილებას ავლენს.

## მიგრაცია

პოსტსაბჭოთა ხანაში შრომითი მიგრაცია აქტუალური თემა გახდა, რომელიც ქვემო ქართლის რეგიონს მნიშვნელოვნად შეეხო. სტატისტიკური მონაცემებით, 1989 წლიდან 2002 წლამდე ქვემო ქართლის მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა<sup>13</sup>, რაც მაღალი შობადობის ფონზე, მხოლოდ მაღალი მიგრაციის დონით შეიძლება აიხსნას. ქვემო ქართლის რეგიონიდან მიგრაციას, ეკონომიკური მიზეზების გარდა, ეთნიკური დისკრიმინაციის თავის არიდების მიზეზიც ემატებოდა, რომელთა შედეგადაც ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონს მრავალი ოჯახი ტოვებდა. იმდენად, რამდენადაც შეუძლებელი იყო მიგრირებული ოჯახების გამოკითხვა,

<sup>13</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღწერის მონაცემების მიხედვით 1989 წელს ქვემო ქართლის მოსახლეობის რიცხოვნობა იყო 608491, ხოლო 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობა არის 497530 ([www.geostat.ge](http://www.geostat.ge)).



მოცემული კვლევის თარგვლებში მხოლოდ იმ ტენდენციის შესწავლა მოხერხდა, რომელიც ოჯახის ერთი ან რამოდენიმე წევრის მიგრაციას უკავშირდება.

გამოკითხვის ჩატარების მომენტში შინამეურნეობის 5.5%-ს ჰყავდა ერთი ან რამოდენიმე წევრი მიგრაციაში, ხოლო ესლა ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობის 3% აქვს მიგრაციის გამოცდილება (ანუ ქვემო ქართლის მოსახლეობის 3% სამი თვით ან მეტი ხანით იყო გასული ქვეყნის თარგვლებს გარეთ). მიგრაციის დომინანტურ მიზეზად კვლავ ეკონომიური პრობლემები გვევლინება, რომელთა გადაჭრას ოჯახის წევრები სხვა ქვეყანაში დასაქმებით ცდილობენ. გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ მიგრაცია ოჯახების ეკონომიკური სიღუბეჭირის გადაჭრის ერთ-ერთი ეფექტური გზაა. სხვადასხვა კრიტერიუმით გაზომილი სიღარიბის დონე მიგრანტიან შინამეურნეობებში ფაქტიურად არ ფიქსირდება. თუმცა, მიგრაცია ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური მოვლენა არ არის და მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის რეგიონის დემოგრაფიას, რადგან მიგრაციაში, ძირითადად, ახალგაზრდა და შრომისუნარიანი პირები მიდიან. მიგრანტის სქესი შეჭიდულია მიგრაციის მიმართულებასთან. მიგრანტი ქალებისათვის სასურველი და დომინანტური მიმართულება საბერძნეთი, იტალია და თურქეთია, ხოლო მამაკაცებისათვის – პოსტსაბჭოთა სივრცე. გვხვდება ასევე შემთხვევები, როდესაც მიგრანტები მიგრაციის მიმართულებად ეთნიკურ სამშობლოს ირჩევენ.

## ეთნიკური უმცირესობები

ქვემო ქართლში, როგორც ეთნიკური შემადგენლობით მრავალფეროვან რეგიონში, არაქართული მოსახლეობის უფლებების დაცვა მნიშვნელოვანი საკითხია. კვლევაში ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა გაანალიზდა სამი ასპექტის მიხედვით: ზოგადად ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა, სახელმწიფო ენის ცოდნის დონე და სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ურთიერთობა.

გამოკითხვის პროცესში ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა, ძირითადად, პოზიტიურად შეფასდა. თავად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები უფრო მეტად მიუთითებენ საკუთარი უფლებების შეზღუდულობაზე. აქ გასათვალისწინებელია ორი ასპექტი: ეთნიკურ უმცირესობებს, ძირითადად, აქვთ ჩაგრულის პოზიცია (მიუხედავად იმისა, როგორია მათ ობიექტური მდგომარეობა) და პოსტსაბჭოთა პერიოდში ერი-სახელმწიფოს თარგვლებში უფლებების შეზღუდვა, რაც, პირველ რიგში, გამოიხატა სახელმწიფო ენის დომინაციათ. გარდა ამისა, ეთნიკური უმცირესობები საკუთარი უფლებრივი მდგომარეობის შეფასებისაგან ხშირად იკავებენ თავს, რაც შეიძლება გამონვეული იყოს რეალური მდგომარეობის შეფასების შეუძლებლობითა და დისკრიმინაციული მდგომარეობის დაფარვის სურვილით.

სახელმწიფო ენის არცოდნა მნიშვნელოვანი ბარიერია ნებისმიერ საზოგადოებაში. ქართული ენის არცოდნა იწვევს ეთნიკური ჯგუფების ექსკლუზიას საზოგადოებრივი პროცესებიდან, განათლების სისტემიდან და შრომის ბაზრიდან. კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ ქვემო ქართლის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ნაწილობრივ გაცნობიერებული აქვთ ეს ბარიერები.

სწორედ ამიტომ, მათი ნაწილი სახელმწიფო ენის შესწავლის მოტივაციას ამჟღავნებს. სახელმწიფო ენის შესწავლისადმი გამოკვეთილ რელაქტანტურობას ამჟღავნებს ეთნიკური უმცირესობების 6–8%, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია.

კვლევა აჩვენებს, რომ ეთნიკურ ქართველებსა და არაქართველებს შორის ურთიერთობები პოზიტიურია. რესპონდენტთა მცირე ნაწილი, რომელიც კონფლიქტურ სიტუაციებზე მიუთითებს (ძირითადად ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის), ამის დომინანტურ მიზეზად საყოფაცხოვრებო საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს ასახელებს, რომლებიც ეთნიკურად ერთგვაროვან ჯგუფებშიც კი გვხვდება. კომპაქტურად ჩასახლებული ეთნიკური უმცირესობები თავისივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან უფრო მჭიდრო კონტაქტებზე მიუთითებენ (ამ შემთხვევაში განსაკუთრებით სჭარბობს ნათესაური კავშირები და მეგობრობა), სხვა ეთნოსის წევრებთან შედარებით დისტანციური ურთიერთობებია (მეზობლობა, ნაცნობობა) გავრცელებული.

## გენდერული თანასწორობა

ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების დაცვა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ინდიკატორია. ტრადიციულ საზოგადოებებში (რომელთა რიგებში საქართველოც უნდა მოვიხაზროთ) გენდერული თანასწორობის მიღწევა განსაკუთრებით პრობლემატურია, რადგან მოსახლეობის განწყობები და ღირებულებები მამაკაცის დომინანტურ როლზე არის აგებული. ასეთ საზოგადოებებში გენდერული დიქტომიები (ქალის მოქმედების არეალი/მამაკაცის მოქმედების არეალი, ქალის საქმე/კაცის საქმე, ქალის უფლება/მამაკაცის უფლება) გადაულახავ ბინარად გვევლინება. ამ მხრივ, გამონაკლისს არც ქვემო ქართლის რეგიონი წარმოადგენს. თვისებრივი კვლევის პროცესში, ჯგუფური დისკუსიის მონაწილეები გენდერული უთანასწორობის საკითხს, ძირითადად, ეთნიკურ ჭრილში განიხილავდნენ და ამ ტიპის უთანასწორობას უფრო მეტად ეთნიკურ უმცირესობებს, განსაკუთრებით, აზერბაიჯანული წარმომადგენლის ოჯახებს მიაწერდნენ. კვლევამ დაადასტურა, რომ ასეთი მიდგომა უფრო მეტად სტერეოტიპულია. ქვემო ქართლის რეგიონისათვის დამახასიათებელია ტრადიციული ღირებულებები, ოჯახები (გათვართობელი ოჯახის) და გენდერული უთანასწორობა. გენდერული უთანასწორობა არ არის მხოლოდ რომელიმე ეთნიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელი და ზოგადად რეგიონს უკავშირდება.

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობაში მართლაც არსებობს ძლიერი გენდერული სტერეოტიპები, თუმცა, მათი დაკავშირება რელიგიურ ფაქტორთან (მუსლიმი/ქრისტიანი), ეთნიკურ წარმომადგენლობასთან (ქართველი/არაქართველი) და დასახლების ტიპთან (ქალაქი/სოფელი) ხშირად გადაჭარბებულია. მაგალითად, გამოვლინდა, რომ სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებით ქვემო ქართლის რეგიონის ქართულ მოსახლეობას ორმაგი სტანდარტები აქვს – სექსუალურ ქცევას უზღუდავენ ქალს, ხოლო მამაკაცს ანიჭებენ თავისუფლებას მაშინ, როცა აზერბაიჯანული მოსახლეობა ორივე სქესის წარმომადგენელს უზღუდავს სექსუალურ ქცევას. იგივე შეიძლება ითქვას ლალატის საკითხთან მიმართებაშიც:



ქართველებს უფრო რადიკალური განწყობა აქვთ ცოლის ღალატთან დაკავშირებით მაშინ, როცა მამაკაცის ღალატის შემთხვევაში ოჯახის დანგრევის აუცილებლობას ვერ ხედავენ. გენდერული სტერეოტიპები ერთმნიშვნელოვნად არ უნდა დაუკავშიროთ რელიგიას, რადგან რიგ საკითხებში, მაგალითად, ეთნიკური ბერძნები და სომხები ეთნიკურ აზერბაიჯანელებზე არანაკლებ ტრადიციულ განწყობებს ამჟღავნებენ. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გენდერული სტერეოტიპები უფრო მეტად რეგიონისათვის არის დამახასიათებელი და ცალკეული დემოგრაფიული მახასიათებლებით არ დეტერმინირდება.

ქვემო ქართლის რეგიონში მამაკაცის დომინანტური როლი განსაკუთრებით ვლინდება ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორებიცაა სათემო და საზოგადოებრივი აქტივობა, თინანსების განკარგვა, სექსუალური ქცევა, ბიზნესი და სამეურნეო საქმიანობა. ქალის აქტივობის სფერო, ძირითადად, ოჯახით შემოიფარგლება და შინამეურნეობის საკითხების გადანაცვება თუ მოგვარება სწორედ სუსტი სქესის წარმომადგენელთა პრეროგატივაა. ქალისა და მამაკაცის ფუნქციების დაყოფა არ ეფუძნება ამ ორ სქესს შორის ფიზიკური ნიშნებით განსხვავებას, რადგან, როგორც კვლევა აჩვენებს, ქალებიც გვევლინებიან საკმაოდ მძიმე სამუშაოს შემსრულებელ ძალად (როგორცაა მაგალითად წყლის მოზიდვა, სოფლის მეურნეობაში ფიზიკური მუშაობა, ოჯახის პრობლემებით უზრუნველყოფა). საინტერესოა, რომ გენდერული სტერეოტიპები თითქმის თანაბრად მუშაობს მამაკაცებსა და ქალებში, რაც ამ საზოგადოების კონფორმულ არსებობას<sup>14</sup> უწყობს ხელს.

## **მოსახლეობის დამოკიდებულება ქვემო ქართლში მოქმედი სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურისა და არასამთავრობო სექტორების მიმართ**

დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია მოსახლეობასა და მმართველ სტრუქტურებს შორის მჭიდრო ურთიერთობა, რომელიც ამ საზოგადოების წარმატებულ ფუნქციონირებას განაპირობებს. ამ მახასიათებლის შესწავლა ქვემო ქართლის რეგიონში ხდებოდა მოსახლეობის მხრიდან სხვადასხვა სტრუქტურის შეფასებით და მმართველ სტრუქტურასა და ადგილობრივებს შორის, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, თანამშრომლობის დონის შესწავლით.

კვლევა აჩვენებს, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობა პოლიტიკისა და მმართველობითი საკითხების მიმართ ინდიფერენტულობის მაღალ ხარისხს ამჟღავნებს. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს მათი მხრიდან სხვადასხვა (ადგილობრივ მმართველობასთან და პოლიტიკასთან დაკავშირებული) საკითხების შეფასებისას თავის შეკავების მაღალი მაჩვენებლით (პოზიცია: „მიჭირს პასუხის გაცემა“). ადგილობრივი თვითმმართველობისგან საკვლევი ჯგუფის დისტანცირებულობას ნაწილობრივ განაპირობებს ენობრივი ბარიერი და ქართული და ადგილობრივი მასმედიის საშუალებებთან ინფორმაციის მიღების დაბალი მაჩვენებელი.

<sup>14</sup> თუკი ქალებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი დისკრიმინირებული პოზიცია, შესაბამისად მაღალი იქნება პროტესტი და ოჯახური კონფლიქტები.

ეთნიკური უმცირესობები ქვემო ქართლის რეგიონის მიმდინარე პროცესებში პასიურ პოზიციას იკავებენ. მათი პასიურობის დამადასტურებელია საზოგადოების სხვადასხვა საკითხებზე ინფორმირებულობის დაბალი დონე, პროგრამებში ჩართულობის დაბალი ხარისხი და მმართველობით სტრუქტურებთან თანამშრომლობის დაბალი ინტენსივობა. სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილების მიხედვით, პასიურობის მაღალი დონე ეთნიკურ აზერბაიჯანელებში შეინიშნება. ეთნიკური უმცირესობების პასიურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ორი კრიტერიუმი: სახელმწიფო (ქართული) ენის ცოდნის დაბალი დონე და მასმედიის დაბალი ხელმისაწვდომობა (რომელიც, ასევე, განპირობებულია ქართული ენის ცოდნის ხარვეზით).

ქვემო ქართლის მოსახლეობა განსაკუთრებით არაინფორმირებულია რეგიონში არასამთავრობო სექტორის საქმიანობის შესახებ. რესპონდენტები ვერ ასახელებენ რეგიონში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს. თუმცა, ინფორმირებული მოქალაქეები სამოქალაქო სექტორის საქმიანობას დადებითად აფასებენ. არასამთავრობო სექტორის გარდა, ადგილობრივ მოსახლეობას უჭირს მასმედიის, მმართველი სტრუქტურებისა და ბიზნეს სექტორის შეფასება. მთავარი მიზეზი აქაც ინფორმაციის მწვავე ნაკლებობაა: ქვემო ქართლის მოსახლეობის დიდ ნაწილს (48.7%) არ აქვს რამდენადმე საკმარისი ინფორმაცია მმართველობითი და თვითმმართველობითი სტრუქტურების საქმიანობის შესახებ. შესაბამისად, რესპონდენტებს უჭირთ შეაფასონ ამ სტრუქტურების მიმართ ნდობის ხარისხი. შეფასებულ ინსტიტუტებს შორის ყველაზე მეტად რელიგიურები სჭარბობს. თუმცა, ამ საკითხთან მიმართებაში მოსახლეობა რელიგიური ცენტრიზმის მაღალ დონეს ავლენს და ნეგატიურად აფასებს სხვა რელიგიურ ინსტიტუტებს. მმართველობითი სტრუქტურებისა და პირების შესახებ ინფორმირებული მოსახლეობა მათს საქმიანობას დადებითად აფასებს, ისევე, როგორც ავლენს მათ მიმართ ნდობის მაღალ ხარისხს. პოლიტიკით მამაკაცები ქალებზე მეტად არიან დაინტერესებულნი. ეთნიკური ჯრილის მიხედვით, პოლიტიკით მეტად ინტერესდება ქართული მოსახლეობა, როდესაც აზერბაიჯანელი და სომეხი რესპონდენტები უფრო ინდიფერენტულები არიან. დიალოგის პროცესი მმართველობისა და თვითმმართველობის სტრუქტურებსა და მოსახლეობას შორის არც თუ ისე წარმატებით მიმდინარეობს. განსაკუთრებით მაღალ ინერტულობას იჩენენ მმართველობითი სტრუქტურები ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტების (ძირითადად, საყოფაცხოვრებო ნიადაგზე) მოგვარების მიმართულებით.

ქვემო ქართლის მოსახლეობაში, ასევე, დაბალია პოლიტიკური პარტიების ცნობადობა. პოზიტიური შეფასებები, უმთავრესად, მმართველი პარტიისა და მისი წარმომადგენლების მიმართ გამოითქმის.

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის რაიონები განსხვავებულ ტენდენციებს აჩვენებენ. მაგალითად, წალკის რაიონი მმართველობითი და თვითმმართველობის სტრუქტურების მიმართ ინფორმირებულობის, ისევე, როგორც მათ მიმართ ნდობის, შედარებით უკეთეს დონეს ავლენს მაშინ, როცა მარნეულის რაიონი ინდიფერენტულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. რაიონებს შორის განსხვავება, ძირითადად, განპირობებულია განსხვავებული ეთნიკური შემადგენლობით. იმ რაიონებში, სადაც სჭარბობს აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობა, პოლიტიკური

პროცესებისა და სტრუქტურების მიმართ მოსახლეობა, ძირითადად, არაინფორმირებული და ინერტულია.

## მასმედია

საზოგადოებაში ჩართულობის მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა და აქტივობების შესახებ ინფორმირება წარმოადგენს (მათ შორის, ინფორმირება ეროვნული უმცირესობებისათვის სხვადასხვა ბენეფიტების არსებობის შესახებ). მასმედიის როლი მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ისეთი რეგიონისთვის, როგორცაა ქვემო ქართლი. კვლევის მონაცემებიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიღების ყველაზე პოპულარული წყარო ტელევიზიაა. თუმცა, ეთნიკური უმცირესობები უპირატესობას ანიჭებენ მეზობელი ქვეყნების ტელეარხების საშუალებით მშობლიურ ენაზე ინფორმაციის მიღებას. ეთნიკური აზერბაიჯანელებით მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში ინფორმაციის მიღების მიზნით გამოყენებულ ტელევიზიებს შორის დასახელდა AZTV, რომელიც სოფლად უფრო პოპულარული აღმოჩნდა, ქალაქებთან შედარებით. გამოიკვეთა ადგილობრივი ტელევიზიით (მარნეული TV) სარგებლობის კარგი მაჩვენებლები. საერთო რეიტინგების მიხედვით, ტელევიზიებიდან ყველაზე კარგი მაჩვენებლები აქვს „რუსთავი 2“-ს და „იმედს“, რომლებსაც არაქართული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებშიც (სარგებლობისა და ნდობის თვალსაზრისით) შედარებით მაღალი ხვედრითი წილი აქვს. რაც შეეხება პრესასა და რადიოს, როგორც მათი ინფორმაციის წყაროდ გამოყენების, ასევე მათ მიმართ ნდობის ხარისხი ძალზე დაბალია, რაც სავარაუდოდ კორელაციაშია დაბალ ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და მოსახლეობის დაბალ ინტერესთან. პრესიდან შედარებით პოპულარულია „კვირის პალიტრა“, ასევე ე.წ. ყვითელი პრესის გამოცემები. უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლის იმ რაიონებში, რომლებშიც არაქართული მოსახლეობა დიდ უმრავლესობას წარმოადგენს, პრესასა და რადიოს თითქმის არ იყენებენ ინფორმაციის მისაღებად (აღნიშნული ფაქტი განსაკუთრებით სოფლის დასახლებებში შეინიშნება).

ინტერნეტი, რუსთავის გარდა, ხელმისაწვდომი არ არის ქვემო ქართლის სხვადასხვა რაიონების მოსახლეობისთვის (ძირითადად, ეკონომიკური პრობლემების გამო).

ქვემო ქართლის მოსახლეობა ინფორმაციას, ძირითადად, მშობლიურ ენაზე ეცნობა. შესაბამისად, ქართველებისათვის ინფორმაციის მიღების ენა ქართულია. რეგიონის მოსახლეობა ინფორმაციის მისაღებად რუსულ ენას აქტიურად გამოიყენებს. თუმცა, ეთნიკური აზერბაიჯანელებით ან სომხებით მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში უპირატესობა ენიჭება ინფორმაციის მიღებას მათს მშობლიურ ენაზე.

ზოგადად, ქვემო ქართლის რეგიონში საინფორმაციო საშუალებების მიმართ უნდობლობის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა (პრესას და რადიო არხებს რესპონდენტთა ნახევარზე მეტი უცხადებს უნდობლობას, ხოლო ტელევიზიას – თითქმის მესუთედი). საინფორმაციო საშუალებების მიმართ ნდობა მისი რეიტინგულობის პირდაპირპროპორციულია: ყველაზე პოპულარულ

საინფორმაციო წყაროს და მასში შემავალ საშუალებებს შედარებით მაღალი ნდობის მაჩვენებელი აქვს (მაგ: ზოგადად, ინფორმაციის მიღების ყველაზე პოპულარული წყაროა ტელევიზია, შესაბამისად მას უნდობლობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს. ტელეკომპანიებს შორის რეიტინგული „რუსთავი 2“ და „იმედი“ ყველაზე სანდოდ დასახელდა). პრესა და რადიო, ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, საგძნობლად ჩამორჩება ტელევიზიას, შესაბამისად, ამ წყაროებს უფრო მეტი რესპონდენტი უცხადებს უნდობლობას.

ზოგადად რომ შევაფასოთ, ქვემო ქართლის რეგიონისათვის დამახასიათებელია ეროვნული საინფორმაციო საშუალებების შეზღუდული ხელმისაწვდომობა, რაც ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის ცოდნის დაბალი დონითაა განპირობებული. აღნიშნული გარემოება კი ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების ქართული საზოგადოებისგან გაუცხოებას.

## D ქვემო ქართლის მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები და ეკონომიკური მდგომარეობა

### რეზიუმე

მოცემულ ქვეთავში წარმოდგენილია ქვემო ქართლის მოსახლეობის ზოგადი დახასიათება ოჯახის ზომის, სტრუქტურის, ოჯახური მდგომარეობის, ეთნიკური შემადგენლობის, აღმსარებლობის, განათლების მიღწეული დონის, სახელმწიფო ენის ცოდნის დონისა და დასაქმების მიხედვით. გარდა ამისა, დახასიათებულია ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა.

კვლევის შედეგები ქვემო ქართლის რეგიონში გაფართოებული ოჯახების გავრცელებაზე მიუთითებს. ბავშვების სიმრავლე და საპენსიო ასაკის მოსახლეობის სიმცირე კი ნათელიყოფს, რომ რეგიონის მოსახლეობის დაბერების ტენდენცია არ შეინიშნება. ამასთან, დაქორწინებულთა დიდი რაოდენობა და განქორწინებების სიმცირე იმაზე მიუთითებს, რომ რეგიონში ტრადიციული ოჯახის მოდელი არსებობს. ეს ტენდენცია იმითაც დასტურდება, რომ ოჯახების სამ მეოთხედში ოჯახის უფროსად მამაკაცია აღიარებული. ქალები ოჯახის უფროსებად მაშინ გვევლინებიან, როდესაც ოჯახში ზრდასრული ასაკის მამაკაცი არ ცხოვრობს. მაღალია შეჭიდულობა აღმსარებლობასა და

ეთნიკურ იდენტობას შორის. შესაბამისად, აღმსარებლობის მიხედვით განაწილების პროპორციები თითქმის ემთხვევა ეთნიკური ჯგუფების განაწილების პროპორციებს. რეგიონში ქართული ეროვნების და, შესაბამისად, მართლმადიდებელი მოსახლეობა სჭარბობს (56.3% ქართველი), აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობა მესამედზე მეტია (36.8% და ძირითადად მუსლიმებისგან შედგება); სომხური მოსახლეობის წილი 5.6%-ია, ისინი, შესაბამისად, გრიგორიანელები არიან და წალკის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში სახლობენ.

ეთნიკური წარმოშობა, ძირითადად, განსაზღვრავს მშობლიურ ენას, შესაბამისად ქვემო ქართლის რეგიონში მშობლიური ენა აზერბაიჯანულია მოსახლეობის 36.8%-ისათვის, რომელიც ეთნიკურად აზერბაიჯანელია. სომხური მშობლიური ენაა ქვემო ქართლის მოსახლეობის 5.4%-თვის, რომელიც ასევე ახლოსაა ამ ეთნიკური ჯგუფის წილთან მთელი ქვემო ქართლის მოსახლეობაში. ქვემო ქართლის რეგიონში ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური დასახლება განაპირობებს იმას, რომ სახელმწიფო ენის ცოდნის დონე ძალიან დაბალია. არაქართულენოვანი მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი არ ფლობს ქართულ ენას. სახელმწიფო ენის არცოდნა განსაკუთრებით გავრცელებულია აზერბაიჯანელებში. ეთნიკური სომხების მესამედზე მეტმა არ იცის ქართული ენა. სხვა ეთნიკურ ჯგუფებში (ბერძნები, რუსები, პოლონელები, სხვ.) ქართული ენის ცოდნის დონე უფრო მაღალია. ეს კი იმით არის განპირობებული, რომ ისინი არაკომპაქტურად ცხოვრობენ, თემში სასაუბროდ მშობლიურ ენას არ იყენებენ და, შესაბამისად, უფრო მეტად სწავლობენ ქართულს.

ყველა საზოგადოებაში მოსახლეობის დასაქმების დონე განიხილება ეკონომიკური წინსვლისა და სიღარიბის დაძლევის წინაპირობად. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, საქართველოში უმუშევრობის დონე 2010 წლისათვის 16.4% იყო. მიუხედავად ამისა, კვლევები, როგორც წესი, ადასტურებს, რომ დასაქმების პრობლემა ძალზე მწვავედ აღიქმება მოსახლეობის მიერ და უმუშევრობა, რესპონდენტების მხრიდან, ყველაზე პრობლემატურ თემად სახელდება. გამონაკლისს არც ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობა წარმოადგენს: მოცემულ კვლევაში რესპონდენტებმა ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად უმუშევრობა დაასახელეს (დეტალურად იხილეთ ქვეთავი: „ქვემო ქართლის ინფრასტრუქტურა და საბინაო პირობები“).

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში დასაქმებულია მოსახლეობის 43.7%. ამ მაჩვენებელს ვერ ჩავთვლით დასაქმებულობის ლეგიტიმურ დონედ, რადგან საქართველოში დასაქმება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებით (ILO) განისაზღვრება. ამ სტანდარტების მიხედვით, უმუშევრად ჩაითვლებიან 15 წელზე მეტი ასაკის პირები, რომელთაც შეეძლოთ მუშაობა, სცადეს მუშაობის დაწყება (ანუ, ეძებდნენ სამუშაოს) გასული 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ სამსახური ვერ იშოვეს. უმუშევართა კატეგორიას განეკუთვნებიან დროებით დათხოვნილი და სამსახურის დაწყების მოლოდინში მყოფებიც. ამ განსაზღვრების მიხედვით, უმუშევრად არ ითვლება პირი, რომელიც დიასახლისია, საპენსიო ასაკისაა ან რეგულარულად არ ეძებს სამუშაოს. შესაბამისად, დასაქმებულად ითვლება ყველა ინდივიდი, რომელიც გასული კვირის განმავლობაში ერთი საათით მაინც ასრულებდა ისეთ საქმიანობას, რომელსაც გარკვეული ანაზღაურება (ფულადი ან არაფულადი) მოჰყვება; ამდენად,



ყველა მოქალაქე, რომელიც ეწევა სასოფლო სამეურნეო საქმიანობას, საიდანაც შემოსავალი, უმეტესწილად, სოფლის მეურნეობის პროდუქტია, დასაქმებულად ითვლება. ცხადია, მოქალაქეები უმუშევრობას განსხვავებული კრიტერიუმებით აფასებენ. საკუთარ თავს უმუშევარს უწოდებენ ისინიც, ვინც არათუ გასული 4 კვირის, არამედ გაცილებით დიდ პერიოდშიც ვაკანსიების შესახებ მონაცემებით არც კი დაინტერესებულა. მეტიც: მოქალაქეთა ნაწილი დასაქმებად მხოლოდ დაქირავებულ შრომას მიიჩნევს, რომლის შედეგადაც სტაბილურ ფულად ანაზღაურებას იღებს. ასეთი განწყობა მოცემულმა კვლევამაც დაადასტურა: კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დაუსაქმებელ რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (71.8%) გასული ოთხი კვირის განმავლობაში არ ეძებდა სამუშაოს (ანუ, ისინი ILO-ს სტანდარტის მიხედვით უმუშევრებად არ ჩაითვლებიან). ამ შემთხვევაში მიზეზი რესპონდენტთა იმედგაცრუებაა. კვლევა აჩვენებს, რომ დაუსაქმებელ რესპონდენტთა ნაწილი რეგულარულად არ ეძებს სამუშაოს და ამ ფაქტს ხსნის იმით, რომ სამუშაოს მაინც ვერ იშოვის. ეს განწყობა განსაკუთრებით ახასიათებს სოფლის მოსახლეობას, სადაც ანაზღაურებადი სამუშაოები თითქმის ხელმიუწვდომელია.

ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა მთლიანად რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის გამოძახილია. კვლევის პროცესში ქვემო ქართლის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვა საზომით მონმდებოდა. ვიყენებდით თვითშეფასებას, სიღარიბის ობიექტურ და შეფარდებით საზომებს.

კვლევის შედეგები ქვემო ქართლის შინამეურნეობების მძიმე ეკონომიკურ ფონზე მიუთითებს. ეს, პირველ რიგში, იქედან ჩანს, რომ ოჯახების შემოსავალი, ძირითადად, იხარჯება პირველად საჭიროებებზე (კვებაზე, გადასახადებსა და მედიკამენტებზე). გართობა/დასვენება და საოჯახო ნივთების შეძენა გამოკითხულებისათვის ხელმიუწვდომელი ფუნქციონირებს.

ერთ-ერთი თანამედროვე მიდგომა სიღარიბის გასაზომად მატერიალური დეპრივაციაა. აქ მოიაზრება ოჯახების მიერ გარკვეული აქტივობების განხორციელება (მაგალითად, გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფარვა, ან დასასვენებლად წასვლა), ან ნივთების ქონა, რაც აუცილებელია საზოგადოებაში ცხოვრებისათვის. მატერიალური დეპრივაციის საზომით ქვემო ქართლის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა, რადგან სიღარიბის ზღვარს დაბლა შინამეურნეობების მესამედია. რაც შეეხება თვითშეფასებას, ქვემო ქართლის მოსახლეობის მხოლოდ 29% აფასებს თავის ეკონომიკურ სტატუსს, როგორც საშუალოს ან საშუალოზე მაღალს.

სხვადასხვა ტრილში მონაცემების განხილვის მიხედვით აღმოჩნდა, რომ სიღარიბე, ძირითადად, სოფლებშია კონცენტრირებული; განსაკუთრებით მწვავე ეკონომიკური მდგომარეობაა მარნეულის, ბოლნისისა და გარდაბნის რაიონებში (წალკასა და რუსთავში მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილი იმყოფება სიღარიბის ზღვარს დაბლა). ეთნიკური ნიშნით ღარიბად თავს უფრო მეტად ეთნიკური უმცირესობები მიიჩნევენ. ეს ტენდენცია, ნაწილობრივ, უმცირესობის ფენომენით არის გამონვეული (მკვლევარები თვლიან, რომ უმცირესობები მიდრეკილნი არიან საკუთარი მდგომარეობა (მათ შორის ეკონომიკურიც) უფრო დაამძიმონ).

### ოჯახის სტრუქტურა

ქვემო ქართლის რეგიონში ოჯახის საშუალო ზომა აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (რომელიც 3.6-ის ტოლია) და შეადგენს 3.9-ს. ეს მაჩვენებელი რეგიონის ცალკეულ რაიონებში განსხვავებულია და მერყეობს 3.1-დან (დმანისში) 4.6-მდე (გარდაბანში). სოფელში ოჯახის საშუალო ზომა (4.1) ცოტათი უფრო მეტია, ვიდრე ქალაქში (3.7). სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წევრების საშუალო რაოდენობები ოჯახში, რაიონების მიხედვით, მოცემულია ცხრილში №D1:

ცხრილი №D1: ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობა სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით (საშუალო მაჩვენებლები)

რაიონი	საშუალო რაოდენობა ოჯახში				
	5 წლამდე ბავშვები	6-დან 18 წლამდე ბავშვები	არასაპენსიო ასაკის მოზრდილები	საპენსიო ასაკის წევრები	ოჯახის წევრები
დმანისი	0.17	0.58	1.85	0.49	<b>3.09</b>
ბოლნისი	0.27	0.62	2.15	0.53	<b>3.57</b>
რუსთავი	0.25	0.52	2.40	0.43	<b>3.61</b>
წალკა	0.31	0.89	2.10	0.56	<b>3.85</b>
თეთრიწყარო	0.32	0.62	2.39	0.74	<b>4.07</b>
მარნეული	0.32	0.81	2.63	0.56	<b>4.32</b>
გარდაბანი	0.48	0.87	2.62	0.67	<b>4.64</b>
ქვემო ქართლი	<b>0.31</b>	<b>0.69</b>	<b>2.40</b>	<b>0.55</b>	<b>3.95</b>

ყველაზე ხშირად დმანისის რაიონში გვხვდება ისეთი ოჯახები, რომელთა წევრებს შორის საპენსიო ასაკის ადამიანები არ ცხოვრობენ. ასეთია დმანისის ოჯახების 18.2%. ის ფაქტი, რომ მხოლოდ პენსიონერებისაგან შემდგარი ოჯახების წილი ყველაზე ნაკლები რუსთავშია (6.1%), გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ რუსთავის მცხოვრებლები პენსიაში გასვლის შემდეგ სოფელში ამჯობინებენ ცხოვრებას. სკოლამდელი ასაკის ბავშვები ყველაზე ხშირად გვხვდება გარდაბანში. თითქმის ყოველ მესამე ოჯახში მაინც არის ერთი 5 წლამდე ასაკის ბავშვი. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისაგან შემდგარი ოჯახების წილი, რაიონების მიხედვით, მოცემულია ცხრილში №D2.

ცხრილი №D2: სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისაგან შემდგარი ოჯახების წილი, რაიონების მიხედვით (პროცენტული მაჩვენებლები)

	ოჯახების წილი ერთობლიობაში			
	5 წლამდე ბავშვ(ებ)ით	6-დან 18 წლამდე ბავშვ(ებ)ით	არასაპენსიო ასაკის მოზრდილების გარეშე	მხოლოდ საპენსიო ასაკის წევრებით
რუსთავი	18.7	34.3	6.1	6.1
მარნეული	23.7	49.7	8.7	8.5



ბოლნისი	19.9	38.0	13.5	12.5
დმანისი	14.2	34.2	18.2	17.7
თეთრიწყარო	21.5	38.7	14.7	14.5
წალკა	23.1	47.2	14.6	13.6
გარდაბანი	32.8	49.7	9.8	9.8
<b>ქვემო ქართლი</b>	<b>22.6</b>	<b>41.8</b>	<b>10.14</b>	<b>9.86</b>

ტრადიციულად, საქართველოში ოჯახის უფროსად კაცი ითვლება, იმის მიუხედავად, არის თუ არა ის, ფინანსური თვალსაზრისით, ძირითადი შემომტანი ოჯახში. ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ქვემო ქართლის ოჯახების მხოლოდ მეოთხედზე ცოტა მეტი (27.8%) თვლის, რომ ოჯახის უფროსი ქალია. ამასთან, ოჯახის უფროსად ქალი, ძირითადად, დაფიქსირებულია ერთ და ორ სულიან ოჯახებში, ანუ, იმ შემთხვევებში, როცა ოჯახი მხოლოდ ქალებისგან შედგება. ოჯახის უფროსად ქალებს ყველაზე ხშირად ასახელებდნენ გარდაბანში (30.5%), ხოლო ყველაზე იშვიათად - წალკაში (ოჯახების 17.4%). იმ ოჯახების წილი, რომელთაც ქალი დაასახელეს ოჯახის უფროსად, რაიონების მიხედვით, მოცემულია ცხრილში №D3.


ცხრილი №D3: ოჯახების წილი, რომელთაც ქალი დაასახელეს ოჯახის უფროსად, რაიონებისა და ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით (პროცენტული მაჩვენებლები)

რაიონი	წევრთა რაოდენობა ოჯახში						სულ
	1	2	3	4	5	6+	
რუსთავი	69.1	42.9	18.8	20.5	17.4	24.1	<b>28.3</b>
მარნეული	78.6	26.8	18.0	19.2	34.6	27.0	<b>28.8</b>
ბოლნისი	82.3	31.5	25.8	13.5	28.0	15.8	<b>29.7</b>
დმანისი	64.0	19.6	12.0	8.2	15.1	25.8	<b>23.9</b>
თეთრიწყარო	73.7	27.5	17.9	15.0	26.6	10.1	<b>23.7</b>
წალკა	71.7	11.9	20.2	6.3	15.5	5.3	<b>17.4</b>
გარდაბანი	69.0	30.3	28.8	20.6	35.4	29.7	<b>30.5</b>
<b>ქვემო ქართლი</b>	<b>73.1</b>	<b>31.3</b>	<b>20.7</b>	<b>17.7</b>	<b>27.3</b>	<b>23.3</b>	<b>27.8</b>

### ოჯახური მდგომარეობა

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ 18 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი ამჟამად ქორწინებაში იმყოფება. მხოლოდ 1.8 პროცენტია განქორწინებული, ხოლო დასაქორწინებელია მოსახლეობის თითქმის მეხუთედი (19.7%). მოსახლეობის განაწილება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით, რაიონებისა და სოფელ/ქალაქის ტერიტორიებში, მოცემულია გრაფიკზე №D1.

გრაფიკი №D1: 18 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით (პროცენტული მაჩვენებლები დასახლების ტიპის, რაიონების და რეგიონისათვის)




### რელიგიური აღმსარებლობა

აღმსარებლობის მიხედვით, ქვემო ქართლის რეგიონში გამოიყოფა სამი ძირითადი რელიგიური ჯგუფი: მართლმადიდებელი ქრისტიანები (მოსახლეობის 57.8%), მუსლიმები (38.9%) და გრიგორიანელები (2.7%). სხვა რელიგიური აღმსარებლობის მიმდევრები (კათოლიკები, იუდეველები და ა.შ.) შედარებით იშვიათად გვხვდებიან და მათი წილი მოსახლეობაში, დაახლოებით, 0.5 პროცენტია.

ქალაქებში უფრო ჭარბობენ მართლმადიდებლები. ისინი ქალაქის მოსახლეობის 86%-ს შეადგენენ, ხოლო სოფლებში უფრო ხშირად მუსლიმები გვხვდებიან (54.8%). რუსთავსა და თეთრიწყაროში, ძირითადად, მართლმადიდებელი ქრისტიანები ცხოვრობენ (მოსახლეობის, შესაბამისად 95.3% და 98.6%), ხოლო მარნეულის რაიონის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (71.2%) მაჰმადიანური რელიგიის მიმდევარია. მუსლიმების წილი ასევე დიდია დმანისის (57.5%), წალკის (50.6%), ბოლნისისა (50.0%) და გარდაბნის (46.6%) რაიონებში. მოსახლეობის განაწილება რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით, რაიონებისა და სოფელ/ქალაქის ჯრილში მოცემულია გრაფიკზე №D2.

გრაფიკი №D2: მოსახლეობის განაწილება რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით (პროცენტული მაჩვენებლები დასახლების ტიპის, რაიონისა და რეგიონისათვის)




### ეთნიკური შემადგენლობა

რეგიონის მოსახლეობის 56.3%-ს ეთნიკური ქართველები შეადგენენ. ისინი წარმოადგენენ ძირითად ეთნიკურ ჯგუფებს რუსთავსა (91.8%) და თეთრიწყაროს (94.5%) რაიონებში. გარდაბნის რაიონის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქართველია (52.1%). აზერბაიჯანელები შეადგენენ მარნეულის (69.2%), დმანისისა (57.4%) და ბოლნისის (50.2) მოსახლეობის ძირითად ნაწილს. სულ აზერბაიჯანელები შეადგენენ ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობის მესამედზე მეტს (36.8%). სომხები, ძირითადად, ცხოვრობენ წალკაში, სადაც ისინი მოსახლეობის 28.8%-ს შეადგენენ.

მოსახლეობის განაწილება ეთნიკური კუთვნილების მიხედვით რეგიონის რაიონებსა და სოფელ/ქალაქში მოცემულია გრაფიკზე №D3.


გრაფიკი №D3: მოსახლეობის განაწილება ეთნიკური კუთვნილების მიხედვით (პროცენტული მაჩვენებლები დასახლების ტიპის, რაიონის და რეგიონისათვის)



### მშობლიური ენა და ქართული ენის ცოდნის დონე

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ მშობლიურ ენას ღიდად განსაზღვრავს ეთნიკური კუთვნილება. ამდენად, ამ კუთხით მოსახლეობის განაწილება მსგავსია ეროვნების მიხედვით მოსახლეობის განაწილებისა. კერძოდ, რეგიონის მოსახლეობის 56.7% ქართულს თვლის თავის მშობლიურ ენად, აზერბაიჯანული მშობლიური ენა მოსახლეობის 36.8%-თვის არის (რომლებიც ეთნიკური აზერბაიჯანელები არიან), ხოლო სომხური მშობლიური ენა მოსახლეობის 5.4%-თვისაა (რომლებიც ეთნიკურ სომხებს წარმოადგენენ). მოსახლეობის განაწილება მშობლიური ენის მიხედვით, რაიონებისა და სოფელ/ქალაქის ჯრილებში მოცემულია გრაფიკზე №D4.

გრაფიკი №D4: მოსახლეობის განაწილება მშობლიური ენის მიხედვით (პროცენტული მაჩვენებლები დასახლების ტიპის, რაიონისა და რეგიონისათვის)




სახელმწიფო ენის ცოდნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსახლეობის რეგიონის ცხოვრებაში სოციალურ-ეკონომიკური ჩართულობისათვის. ქართული ენის არცოდნა იწვევს მათს გაუცხოებას და აჩენს გარკვეულ აგრესიას. ამდენად, საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად კარგად ფლობს რეგიონის არაქართული მოსახლეობა ქართულ ენას. ქართული ენის ცოდნის ხარისხი დაყვავით სამ ღონედ:

1. კარგად ფლობს ქართულ ენას: რესპონდენტმა აღნიშნა, რომ იგი თავისუფლად ფლობს ქართულს ან კარგად შეუძლია ქართულად საუბარი, წერა და კითხვა
2. ცუდად ფლობს ქართულ ენას: რესპონდენტმა აღნიშნა, რომ შეუძლია საუბარი, მაგრამ არ შეუძლია ან წერა, ან კითხვა
3. არ იცის ქართული: რესპონდენტს არ ესმის და არ შეუძლია ქართულად საუბარი.

როგორც გამოკვლევამ აჩვენა, ქვემო ქართლის რეგიონის ნაციონალურ უმცირესობებში საკმაოდ მძიმე მდომარეობაა ქართული ენის ცოდნის მხრივ. 6 წელზე უფროსი, არაქართულენოვანი მოსახლეობის ორ მესამედზე მეტმა (71.5%) არ იცის ქართული. ამ კუთხით გამოირჩევიან აზერბაიჯანელები, რომელთა 78.3%-მა აღნიშნა, რომ არ შეუძლია ქართულად საუბარი. სომეხ მოსახლეობაში ეს რიცხვი ნაკლებია. მათმა მესამედზე ოდნავ მეტმა (36.3%) არ იცის სახელმწიფო ენა. რეგიონის სხვა ეროვნული უმცირესობების დაახლოებით მეხუთედია (20.6%) ისეთი, რომელმაც ქართული არ იცის. ქართულს კარგად ფლობს რეგიონის არაქართულენოვანი


მოსახლეობის მხოლოდ მეცხრედი (11.5%). ქართული ენის ცოდნის მხრივ სოფელთან შედარებით ქალაქში ნაკლები პრობლემებია, თუმცა, აქაც კი არაქართულენოვანი მოსახლეობის ნახევარმა არ იცის ქართული. 6 წელზე უფროსი, არაქართულენოვანი მოსახლეობის განაწილება ქართული ენის ცოდნის დონის მხრივ, ეროვნებებისა და სოფელ/ქალაქის ჭრილში, მოცემულია გრაფიკზე №D5.

გრაფიკი №D5: 6 წელზე უფროსი სხვადასხვა ეროვნების არაქართული მოსახლეობის განაწილება ქართული ენის ცოდნის დონის მიხედვით (პროცენტული მაჩვენებლები დასახლების ტიპის, ეთნიკური ჯგუფებისა და რეგიონისათვის)



რაიონებს შორის, ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით, ყველაზე ცუდი მდგომარეობაა მარნეულში, სადაც არაქართულენოვანი მოსახლეობის 83.4% აღნიშნავს, რომ არ იცის ქართული ენა. ასევე ცუდი მდგომარეობაა გარდაბანსა (80.8%) და დმანისში (76.5%). შედარებით უკეთესი მდგომარეობაა იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობის უმეტესობას ქართველები შეადგენენ. აქ არაქართული მოსახლეობაც ფლობს ქართულს. კერძოდ, არაქართულენოვანი მოსახლეობის 82.2% რუსთავში და 64.9% თეთრიწყაროში კარგად ფლობს ქართულს, ხოლო ქართული ენის არმცოდნეთა წილი - მინიმალურია (შესაბამისად 2.0% და 2.7%). წალკაში არაქართულენოვანი მოსახლეობის მეოთხედმა (24.6%) კარგად იცის ქართული, ხოლო ქართულად ვერ ლაპარაკობს მოსახლეობის მესამედი (32.6%). 6 წელზე უფროსი, არაქართულენოვანი მოსახლეობის განაწილება ქართული ენის ცოდნის დონის მხრივ, რაიონების ჭრილში, მოცემულია გრაფიკზე №D6.

გრაფიკი №D6: სხვადასხვა რაიონის 6 წელზე უფროსი, არაქართველი მოსახლეობის განაწილება ქართული ენის ცოდნის დონის მიხედვით (პროცენტული მაჩვენებლები რაიონულ ჭრილში)




### განათლების მიღწეული დონე

რეგიონის 18 წელზე უფროსი მოსახლეობის ძირითად ნაწილს (68.0%) შეადგენენ საშუალო და საშუალო პროფესიული განათლების მქონე ადამიანები. 19.5%-ს უმაღლესი განათლება აქვს. არასრული საშუალო განათლება აქვს 17.7%-ს. უმაღლესი განათლების მქონეთა წილი გაცილებით მაღალია ქალაქებში (34.0%), ვიდრე სოფლებში (10.6%). 18 წელზე უფროსი მოსახლეობის განაწილება განათლების მიღწეული დონის მხრივ, რაიონებისა და სოფელ/ქალაქის ჭრილში, მოცემულია გრაფიკზე №D7.



გრაფიკი №D7: 18 წელზე უფროსი მოსახლეობის განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით (პროცენტული მაჩვენებლები დასახლების ტიპის, რაიონისა და რეგიონისათვის)



### დასაქმების მაჩვენებლები ქვემო ქართლში

დასაქმების შესახებ შეკითხვა ეძლეოდა ოჯახის 15 წელზე უფროს ყველა წევრს. საკუთარი დასაქმების სტატუსს რესპონდენტი განსაზღვრავდა თავად, შემდეგ შეკითხვაზე პასუხის მეშვეობით: „იყავით თუ არა დასაქმებული ბოლო კვირაში, თუნდაც 1 საათით?“ როგორც გამოკვლევამ აჩვენა, ქვემო ქართლის რეგიონში აღნიშნულ შეკითხვას დადებითად უპასუხა 15 წელზე უფროსი ასაკის ადამიანების 43.7%-მა. ყველაზე მაღალია დასაქმების მაჩვენებელი წალკაში (73.8%) და ყველაზე დაბალია გარდაბანში (29.1%). ასეთი განსხვავების ასახსნელად აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტი: კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით, დასაქმებულად ჩაითვალა პირი, რომელიც გასული ერთი კვირის განმავლობაში თუნდაც ერთი საათით იყო დასაქმებული. აღნიშნული კვლევის სავსე საშუალებები ჩატარდა 2011 წლის აგვისტოს თვეში, როცა გარდაბანში სასოფლო სამეურნეო საშუალებები პაქტიკულად დასრულებული იყო, მაშინ, როდესაც წალკაში მცხოვრებნი აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად საკუთარი დასაქმების სტატუსს მოქალაქეები სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ: ხშირ შემთხვევაში, რესპონდენტი არ თვლის თავს დასაქმებულად, თუ იგი პროფესიით არ მუშაობს, არ იღებს სტაბილურ ანაზღაურებას ან მუშაობს თავის საკარმიდამო ნაკვეთში. არადა, გამოკითხვის მიხედვით (რაც შეესაბამებოდა დასაქმების საერთაშორისო კრიტერიუმებს) დასაქმების ტიპებად ჩაითვალა საკუთარ მიწაზე მუშაობა, ნებისმიერი ინდივიდუალური საქმიანობა (თვითდასაქმება), ოჯახის მიერ მონეული პროდუქციის გაყიდვა, ნებისმიერი სამუშაო, თუნდაც არასტაბილური ანაზღაურებით და ა.შ. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ დასმულ შეკითხვას („იყავით თუ არა დასაქმებული ბოლო კვირაში, თუნდაც 1 საათით?“) დასაქმებულ რესპონდენტთა გარკვეულმა ნაწილმა უარყოფითად უპასუხა. შესაბამისად, დასაქმების მაჩვენებლები, მიღებული აღნიშნული გამოკითხვის შედეგად, დასაქმების ფორმალურ კრიტერიუმებთან შედარებით, სავარაუდოდ, დაბალი იქნება.

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას (რუსთავის გარდა) საკუთარ მიწაზე მუშაობა წარმოადგენს. რუსთავის მოსახლეობის დასაქმების ძირითადი ფორმაა დაქირავებული შრომა ანაზღაურებით. მომუშავეთა 76.3% სწორედ ამ ფორმითაა დასაქმებული (იხ ცხრილი №D4).

ცხრილი №D4: დასაქმებულთა განაწილება რაიონებში საქმიანობის მიხედვით და უმუშევრობის დონე (პროცენტული მაჩვენებლები)

რაიონი	დასაქმებულთა წილი 15 წელზე უფროს მოსახლეობაში	დასაქმებულთა განაწილება მიხედვით		საქმიანობის ტიპის სხვა	უმუშევრობის დონე	
		აქვს საკუთარი ბიზნესი	მუშაობდა ანაზღაურებით			
რუსთავი	40.5	6.0	76.3	2.5	15.3	33.1
მარნეული	52.5	3.7	16.7	63.2	16.4	15.5
ბოლნისი	49.0	1.7	23.0	39.3	36.0	21.7
ღმანისი	42.9	2.4	10.0	76.2	11.5	32.4
თეთრიწყარო	36.6	9.6	25.7	41.8	22.9	35.3
წალკა	73.8	1.6	15.5	80.5	2.4	2.6
გარდაბანი	29.1	4.1	39.3	44.1	12.5	38.5
<b>ქვემო ქართლი</b>	<b>43.7</b>	<b>4.1</b>	<b>35.7</b>	<b>42.5</b>	<b>17.6</b>	<b>26.1</b>


შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) განმარტების მიხედვით, უმუშევრად ითვლება პირი, რომელიც ცდილობდა ანაზღაურებადი სამუშაოს მოძებნას ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში. თუ უმუშევრობის დონეს ამ კრიტერიუმით გავზომავთ, მაშინ საკმაოდ პოზიტიურ შედეგს მივიღებთ, რადგან სამსახურის ძებნას ნაკლებად თუ ცდილობს უმუშევარი მოსახლეობა. ამ თვალსაზრისით, არც ქვემო ქართლია გამონაკლისი - დაუსაქმებელთა 71.8% გასული ოთხი კვირის განმავლობაში

არ ეძებდა სამსახურს (რაც მთლიანი ქვემო ქართლის მოსახლეობის 38.1%-ია). შესაბამისად, თუ ქვემო ქართლის რეგიონში უმუშევრობის დონეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის აღნიშნული სტანდარტის მიხედვით დავითვლით, ის ამ რეგიონში 15% იქნება.

აღმოჩნდა, რომ სამსახურის ძებნას ქალაქის მოსახლეობა სოფლის მოსახლეობაზე მეტად ცდილობს. რაიონების თვალსაზრისით, წალკასა და მარნეულში სამსახურის არმქონე პირთა უმრავლესობა გასული ოთხი კვირის განმავლობაში არ ცდილობდა სამსახურის მოძებნას. განსხვავება გამოვლინდა ეთნიკური ჯგუფის მიხედვითაც: სამსახურის მოძებნას აქტიურად ცდილობენ ქართველი დაუსაქმებლები მაშინ, როცა ინერტულობის მაღალ დონეს ამჟღავნებს სომეხი და აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობა.

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა თუ რა არის მოსახლეობის ეკონომიკური ინერტულობის მიზეზი. გრაფიკზე N<sup>o</sup>D8 ასახულია მიზეზები, თუ რატომ არ ცდილობდა ქვემო ქართლის დაუსაქმებელი მოსახლეობა გასული ოთხი კვირის განმავლობაში სამსახურის მოძებნას. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ დომინანტური მიზეზი რესპონდენტთა პესიმიზმია, ანუ ისინი ფიქრობენ, რომ სამსახურს მაინც ვერ იშოვნებენ. იმ რესპონდენტთაგან, რომლებსაც იმედი არ აქვთ, რომ სამსახურს იშოვნებენ, 76.1% სოფლად, ხოლო 23.9% ქალაქში ცხოვრობს. სოფლის დასახლებებში დასაქმების პოტენციალი ფაქტიურად არ არის; სოფლის მეურნეობაში ანაზღაურებადი სამუშაო ნაკლებადაა. შესაბამისად, სოფლის მოსახლეობის დასაქმების პერსპექტივა სოფლიდან ურბანულ კერებში თუ საზღვარგარეთ მიგრაციაა. შესაბამისად, ის მოქალაქეები, რომლებიც სოფლად რჩებიან, სამუშაოს ნაკლებად ეძებენ. ეთნიკური ნიშნით, აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობა ეთნიკურ ქართველებსა და სომეხებზე მეტად უჩივის სამუშაოს შოვნის უპერსპექტივობას და ამას სამსახურის არძებნის მიზეზად ასახელებს.


გრაფიკი №D8: გასული ოთხი კვირის განმავლობაში რატომ არ უკვლია ანაზღაურებადი სამუშაოს მოძებნა (პროცენტული მაჩვენებლები)



### ოჯახების შემოსავლები და ეკონომიკური მდგომარეობა

ოჯახები შემოსავლის ძირითად წყაროდ ყველაზე ხშირად ასახელებენ ოჯახის წევრის ხელფასს/გამომუშავებულ ანაზღაურებას (ოჯახების 51.5%). ოჯახების 40.5%-თვის პენსიაა ერთ-ერთი ძირითადი შემოსავალი. ოჯახის მიერ ნაწარმოები სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ოჯახების მესამედზე ნაკლებთვის (30.9%) არის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო. ოჯახების პროცენტული წილები, შემოსავლის ძირითადი წყაროს მიხედვით, მოცემულია გრაფიკი №D9-ზე. (პროცენტების ჯამი მეტია 100-ზე იმიტომ, რომ ოჯახს შეიძლება ერთზე მეტი შემოსავლის წყარო ჰქონდეს).

გრაფიკი № D9: რა არის თქვენი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო? (პროცენტული მაჩვენებლები)



როგორც გრაფიკიდან ჩანს, ოჯახების მხოლოდ 3.4%-თვის წარმოადგენს ოჯახიდან დროებით წასული წევრებისაგან მიღებული გზავნილები შემოსავლის მთავარ წყაროს. თუმცა, იმ ოჯახების მესამედზე მეტი (34.7%), რომელთა ერთი წევრი მაინც დროებით ცხოვრობს ოჯახს გარეთ, დამოკიდებულია ამ წევრებისაგან მიღებულ გზავნილებზე.


ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობისთვის (98.3%) საკვებზე დანახარჯები მათი ფულადი დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ასევე, არსებითია გადასახადები, რომლებსაც ოჯახის დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილად თვლის ოჯახების 80.3%. დასვენება/გართობისათვის ოჯახის ბიუჯეტის არსებითი ნაწილის დახარჯვა შეძლო რეგიონის ოჯახების მხოლოდ 0.4%-მა, ხოლო ბიზნესის განვითარებისათვის მხოლოდ ოჯახების 0.3%-მა. ეს



მონაცემები, ცხადია, მიუთითებს ქვემო ქართლის მოსახლეობის არცთუ სახარბიელო ცხოვრების დონეზე.

ოჯახების პროცენტული წილები ძირითადი ფულადი ხარჯების მიხედვით მოცემულია გრაფიკზე № D10. (პროცენტების ჯამი მეტია 100-ზე იმიტომ, რომ ოჯახის ძირითადი ხარჯები შეიძლება ერთზე მეტ პუნქტზე მოდიოდეს).

**გრაფიკი № D10: რაში იხარჯება თქვენი ოჯახის შემოსავლის ძირითადი ნაწილი? (პროცენტული მაჩვენებლები)**




სიღარიბის დონის გასაზომად ყველაზე გავრცელებული მეთოდია ოჯახის სამომხმარებლო ხარჯების შედარება საარსებო მინიმუმთან. მოცემული კვლევის ფარგლებში სამომხმარებლო ხარჯების ზუსტი გაზომვა შეუძლებელი იყო, მათი შეფასების სირთულის და გამოკვლევის კომპლექსურობის გამო. ამიტომ ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გასაზომად გამოვიყენეთ ალტერნატიული მიდგომები. სიღარიბის გაზომვის ეს მეთოდები გამოიყენება არა იმდენად აბსოლუტური სიღარიბის შესაფასებლად, რამდენადაც შერჩევითი ერთობლიობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის (ქალაქი/სოფელი, რაიონები და სხვ.) კეთილდღეობის დონეების შესადარებლად. ისინი გამოხატავენ ოჯახის კეთილდღეობის სხვადასხვა ასპექტებს და მათი გამოყენებით მიღებული შეფასებები ყოველთვის ერთსა და იმავე შედეგს არ იძლევა.

- სიღარიბის დონე ოჯახის მთლიან დანახარჯებში საკვებზე დანახარჯების წილის მიხედვით. რაც უფრო დაბალია ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა, მით უფრო მეტი წილი უჭირავს

საკვებზე დანახარჯებს მის მთლიან დანახარჯებში. როცა ეს წილი გადააჭაბებს 70%-ს, თვლიან, რომ ოჯახი ღარიბია. აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით, ღარიბი გამოდის ქვემო ქართლის რეგიონის ოჯახების მესამედი (33.1%). მიგრანტიან ოჯახებში (იგულისხმება შიდა და გარე მიგრაცია) სიღარიბის დონე უფრო დაბალია (23.8%), ვიდრე იმ ოჯახებში, რომლებშიც არც ერთი წევრი არ ცხოვრობს ოჯახს გარეთ (33.6%). ქალაქებში სიღარიბე გაცილებით დაბალია (23.3%), ვიდრე სოფლებში (39.4%). სიღარიბე უფრო დაბალია ქართულ ოჯახებში (25.3%), ვიდრე სომხურსა (34.4%) და აზერბაიჯანულში (46.4%). რაიონებს შორის სიღარიბე ყველაზე მაღალია მარნეულში (54.2%) და ყველაზე დაბალია წალკაში (15%). სიღარიბის დონეები რაიონებში, გაზომილი ოჯახის მთლიან დანახარჯებში საკვებზე ხარჯების წილის მიხედვით, მოყვებულია გრაფიკზე № D11.

გრაფიკი № D11: სიღარიბის დონეები რაიონებში მთლიან დანახარჯებში საკვებზე დახარჯული წილის მიხედვით.



- დეპრივაციული სიღარიბე. ამ მიდგომის მიხედვით, ოჯახს უწოდებენ ღარიბს, თუ მას არ შეუძლია განახორციელოს გარკვეული აქტივობა და არა აქვს ის ნივთები, რომლებიც ტიპურია საზოგადოებაში აქტიური ცხოვრებისთვის.

დეპრივაციული სიღარიბის გასაზომად რესპონდენტებს დაესვათ შემდეგი შეკითხვა: „შეუძლია თუ არა თქვენს ოჯახს განახორციელოს ქვემოთ აღნიშნული აქტივობები და ფლობს თუ არა ჩამოთვლილ ნივთებს, რომლებიც ამჟამად მუშა მდგომარეობაშია?“


- გაუთვალისწინებელი დანახარჯების დათარვა

- წელიწადში ერთხელ დასასვენებლად წასვლა, ერთი კვირით მაინც
- ვალეების გადახდა
- ორ დღეში ერთხელ მაინც თევზის ან ხორციანი საჭმელის ჭამა
- ბინის გათბობა
- სარეცხი მანქანის ქონა
- ფერადი ტელევიზორის ქონა
- ტელეფონის (ხაზის ან მობილური) ქონა
- პერსონალური ავტომობილის ქონა
- ინტერნეტის ქონა სახლში<sup>15</sup>

ოჯახი ჩაითვალა ღარიბად, თუ მოცემული 10 პუნქტიდან 7 კითხვაზე მეტზე გასცა უარყოფითი პასუხი.<sup>16</sup>

მატერიალური დეპრივაციის კრიტერიუმის მიხედვით, ქვემო ქართლის ოჯახების 34.5% ღარიბია. ამ კუთხით, ქალაქში სიღარიბე (23.9%) გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სოფელში (41.3%). რაიონებს შორის ყველაზე დაბალია სიღარიბე ნალკაში (11.4%), ხოლო ყველაზე მაღალია - ბოლნისში (62.1%). დეპრივაციული სიღარიბის დონეები რაიონების მიხედვით მოცემულია გრაფიკზე № D12.

გრაფიკი № D12: დეპრივაციული სიღარიბე რაიონების მიხედვით



<sup>15</sup> ეს ჩამონათვალი ემთხვევა იმ სიას, რომლის მიხედვითაც ევროკავშირი ზომავს დეპრივაციულ სიღარიბეს


<sup>16</sup> აქ უარყოფითი პასუხების ზღვრული რაოდენობა (შვიდი) აღებულია იმ მოსაზრებით, რომ დეპრივაციული სიღარიბის დონე მაქსიმალურად ახლოს ყოფილიყო საკვებზე დანახარჯების წილის მიხედვით გაზომილ სიღარიბის დონესთან.

ქართულ ოჯახებში დეპრიაციული სიღარიბე (26.1%) ნაკლებია, ვიდრე აზერბაიჯანულ (47.8%) და სომხურ (43.0%) ოჯახებში. იმ ოჯახებში, საიდანაც ერთი წევრი მაინც არის წასული დროებით (საქართველოს სხვა რეგიონში ან საქართველოს ფარგლებს გარეთ), დეპრიაციული სიღარიბე გაცილებით ნაკლებია (19.7%), ვიდრე ოჯახებში მიგრანტის გარეშე (35.4%).

- ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასება. რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვა: „როგორია თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა?“, რომელზე საპასუხოდაც მათ გამოიყენეს შემდეგი სკალა:
  1. ძალიან მძიმე, სისტემატურად ვშიშობლობთ
  2. მძიმე, ხან ვინ გვეხმარება და ხან ვინ, რომ საკვები მივიღოთ
  3. ცუდი, შემოსავალი/მონეული მოსავალი მხოლოდ კვებაზე გვყოფნის
  4. საშუალო, ჩვენი შემოსავალი კვებასა და ჩაცმას უზრუნველყოფს, მაგრამ ძვირად ღირებული საქონლის შესაძენად ფულის დაგროვებას ვერ ვახერხებთ
  5. საშუალოზე მაღალი, ჩვენი შემოსავლით ძვირად ღირებული საქონლის შეძენასაც ვახერხებთ

აღნიშნული პასუხების განაწილება მოცემულია გრაფიკზე № D13.

გრაფიკზე № D13: ოჯახების მიერ ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასება (პროცენტული მაჩვენებლები)




როგორც გრაფიკი №15-დან ჩანს, რესპონდენტების ნახევარზე მეტი თავისი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს, როგორც ცუდს. საშუალო და საშუალოზე მაღალ მდგომარეობაში საკუთარ თავს თვლის ოჯახების 29%.

რაიონებს შორის შედარებით უკეთესი თვითშეფასება, საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, აღმოაჩნდათ წალკაში, დმანისსა და რუსთავში გამოკითხულ ოჯახებს, ხოლო

შედარებით უარესი - მარნეულში, ბოლნისსა და თეთრიწყაროში გამოკითხულებს (იხ. გრაფიკი № D14).


გრაფიკი № D14: ოჯახების მიერ ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასება (პროცენტული მაჩვენებლები რაიონულ ტერიტორიაში)



სხვადასხვა ეროვნების ოჯახებს შორის, თავიანთ ეკონომიკურ მდგომარეობას დადებითად ყველაზე ხშირად აფასებენ ქართველები (ოჯახების 34.5%), ხოლო მძიმედ და ძალიან მძიმედ - აზერბაიჯანელები (22.0%). სხვადასხვა ეროვნების ოჯახების განაწილება, ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასების მიხედვით, მოცემულია გრაფიკზე № D15.

გრაფიკი № D10: ოჯახების მიერ ეკონომიკური მდგომარეობის თვითშეფასება (პროცენტული მაჩვენებლები ეთნიკურ ტერიტორიაში)





### FBS ქვემო ქართლის ინფრასტრუქტურა და საბინაო პირობები

#### რეზიუმე

ინფრასტრუქტურა საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი ფიზიკური და ორგანიზაციული სტრუქტურაა, რომლის გამართული ფუნქციონირება აუცილებელი წინაპირობაა საზოგადოების ოპერირებისათვის. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომ საქართველოში, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსად, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა დაზიანდა, მწყობრიდან გამოვიდა და უფუნქციო გახდა. ეს პროცესები განსაკუთრებით მწვავედ რეგიონებში წარიმართა; ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, იზრდებოდა ნაპრალი ცენტრსა და პერიფერიას შორის. უკანასკნელ წლებში საქართველოს ხელისუფლება აქცენტს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და განვითარებაზე აკეთებს. ეს ტენდენცია ქვემო ქართლის რეგიონსაც მნიშვნელოვნად შეეხო. კვლევის პროცესში ვარკვევდით, ერთი მხრივ, რა პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენა მოახდინა სხვადასხვა ინფრასტრუქტურის კომპონენტების რეაბილიტაციამ ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობაზე და როგორია ინფრასტრუქტურის მდგომარეობა დღეს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსახლეობა ყველაზე ხშირად გაზომვარაგების სისტემის რეაბილიტაცია/გათვართობაზე მიუთითებს. რემონტისა და რეაბილიტაციის პროცესი ასევე შეეხო სკოლებს, გზებსა და წყლის სისტემებს. რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის კომპონენტებს შორის ყველაზე ნაკლებად ხვდება სკოლამდელი ინსტიტუტები და სამედიცინო დაწესებულებები. მონაცემების რაიონულ ტერიტორიაში შემოწმება გვიჩვენებს, რომ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროცესი, ძირითადად, ქვემო ქართლის რეგიონულ და ურბანულ ცენტრს - რუსთავს შეეხო. ინფრასტრუქტურის განვითარებაზე კი ყველაზე ნაკლებად მიუთითებენ წალკისა და მარნეულის წარმომადგენლები.

როგორც ცნობილია, ინფრასტრუქტურის გამართულობა ზრდის მოსახლეობაში ამ კომპონენტებით სარგებლობის სიხშირეს ისევე, როგორც აუმჯობესებს ეკონომიკურ საქმიანობას. შესაბამისად, კვლევის პროცესში ვარკვევდით ინფრასტრუქტურის სხვადასხვა კომპონენტის რეაბილიტაციის შედეგად მიღებულ მოკლევადიან და გრძელვადიან პოზიტიურ შედეგებს. მიუხედავად იმისა, რომ პროექტებს სერიოზული გავლენა არ ჰქონია, რომლის გამოსახვა შესაძლებელი იქნებოდა წონად პროცენტულ მაჩვენებლებში (რესპონდენტთა უმრავლესობა (98-99%) მიუთითებს, რომ რეაბილიტაციას მათზე გავლენა არ მოუხდენია), მაინც გამოვლინდა მცირედი დათვლადი პოზიტიური შედეგები: რეაბილიტაციის პროცესში და რეაბილიტაციის შედეგად დასაქმდნენ ოჯახის წევრები, ოჯახებმა დაიწყეს და განავითარეს მცირე/საშუალო ბიზნესი, გაიზარდა სასკოლო განათლების დონე ან სამედიცინო დაწესებულებებით სარგებლობის მაჩვენებელი.

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის შედეგად მიღწეული შედეგები აისახა რესპონდენტთა მიერ სხვადასხვა პრობლემის მონსტრირებულობის შეფასებაში. ყველაზე მეტად ქვემო ქართლის მოსახლეობისათვის გადაჭრილია შემდეგი პრობლემები: ელექტროენერჯით მომარაგება, პენსიების/დახმარებების გაცემა, უსაფრთხო გარემო და ტრანსპორტის მუშაობა. ყველაზე მწვავედ ქვემო ქართლის მოსახლეობა უმუშევრობის პრობლემას აღიქვამს და ამ ტენდენციაში ის გამონაკლისს არ წარმოადგენს<sup>17</sup>. დასაქმების შემდეგ მწვავე პრობლემად სახელდება გართობის კერების (კინო, თეატრი, სხვ.) არარსებობა/გაუმართაობა, შეკრებებისა და დემონსტრაციების ორგანიზების შეზღუდულობა, საგანმანათლებლო-შემეცნებითი დაწესებულებების არარსებობა/გაუმართაობა და სარწყავი წყლით მომარაგება. მიუხედავად ამ ზოგადი ტენდენციებისა, მონაცემების განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ რაიონული ჭრილი, რომლის მიხედვითაც კარგად ჩანს თითოეული რაიონისათვის რელევანტური პრობლემები (იხ. ქვეთავი - ქვემო ქართლის რეგიონის პრობლემური საკითხები).

შინამეურნეობის საბინაო პირობებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ორი ფაქტორი: ერთი მხრივ, ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო, მეორე მხრივ, დასახლების ინფრასტრუქტურის განვითარების დონე. სხვადასხვა სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ საბინაო პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება სოფლისა და ქალაქის ტიპის დასახლებებში. სოფლის დასახლებების უმეტესობა მოკლებულია ცენტრალიზებულ და მუდმივ წყალმომარაგებას, ცენტრალიზებულ საკანალიზაციო სისტემას, ცენტრალიზებულ გათბობას, ცხელ წყალს და ასე შემდეგ. თუმცა ქვემო ქართლის რეგიონში, რაიონულ ცენტრებსა და მცირე ზომის ქალაქებში მსგავსი ინფრასტრუქტურა ასევე განუვითარებელია. ყოველივე ეს კი ნეგატიურად აისახება ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე; იზრდება საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად დახარჯული დრო, რომელიც განსაკუთრებით მძიმე ტვირთად მანდილოსნებს აწვება.

ქვემო ქართლის რეგიონში საცხოვრებელი ფართი ოჯახებს, ძირითადად, კერძო საკუთრებაში აქვთ. შესაბამისად, აქ ქირის გადახდის პრობლემა ნაკლებად დგას. თუმცა, არის შემთხვევები


<sup>17</sup> გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებულ კვლევაში (Welfare monitoring survey, 2010) უმუშევრობა პირველი რიგის პრობლემად სახელდება.

(ძირითადად, წალკის რაიონში), როდესაც ოჯახს მეპატრონემ დროებით დაუთმო საცხოვრებელი. ამ შემთხვევებში მათი პრობლემა იმის მოლოდინია, თუ როდის მოსთხოვს მეპატრონე ბინის დაცლას. იმის გამო, რომ ქვემო ქართლის რეგიონში მრავლადაა დიდი ოჯახები, შინამეურნეობების ნაწილს არასაკმარისი საცხოვრებელი ფართის პრობლემა აწუხებს. არის შემთხვევები, როდესაც ერთ საცხოვრებელ ოთახში რვა და მეტ ნევრიანი ოჯახი ცხოვრობს. ქვემო ქართლის რეგიონისათვის განსაკუთრებით პრობლემატურია ავარიული საცხოვრებელი სახლები, მოუნესრიგებელი წყალმომარაგება და საცხოვრებელი ფართის გათბობა. მიუხედავად პრობლემებისა, ქვემო ქართლის მოსახლეობის ნახევარი მეტ-ნაკლებად კმაყოფილია თავისი საცხოვრებელი პირობებით, ხოლო ის ნაწილი, რომელსაც აწუხებს საცხოვრებელთან დაკავშირებული პრობლემები, ახლო მომავალში პირობების გაუმჯობესების პერსპექტივას ვერ ხედავს.

### *ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ქვემო ქართლის რეგიონში*


ქვემო ქართლის რეგიონში ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, არაერთი პროექტი განხორციელდა, რომლებიც ინიცირებული იყო როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო ბიზნესის მიერ. კვლევის პროცესში რესპონდენტებს მივანოღეთ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შვიდი სხვადასხვა პროექტი, მათ კი უნდა შეეფასებინათ, მოხდა თუ არა თითოეული მათგანის რეაბილიტაცია ან განვითარება ქვემო ქართლის რეგიონში. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ქვემო ქართლის რეგიონზე მითითების მიუხედავად, რესპონდენტები, ძირითადად, საკუთარი დასახლების მიხედვით სცემდნენ პასუხს. ამ ტენდენციას ერთი დადებითი მხარე აქვს: ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რამდენად შეეხო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროცესი ცალკეულ რაიონებს. გრაფიკი №H1-ზე ასახულია ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის შეფასების საშუალო მაჩვენებლები. შეფასება ხდებოდა 3 ბალიან სკალაზე, სადაც 3 ნიშნავდა „სრულიად განხორციელდა“, 2 – „ნაწილობრივ განხორციელდა“, ხოლო 1 – „არ განხორციელბულა“ (ანუ, რაც უფრო მაღალია საშუალო შეფასება, მით უფრო მეტი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ რეაბილიტაცია განხორციელდა). შედეგები ნათელყოფს, რომ ყველაზე მეტად რესპონდენტები გაზომომარაგების სისტემის გაყვანა/რეაბილიტაციაზე მიუთითებენ. რეაბილიტაციის თვალსაზრისით მეორე ადგილზეა სკოლების რემონტი/აღჭურვა, მესამე ადგილზეა წყლის სისტემების გაყვანა. გარე განათება და გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია ერთნაირ შეფასებას იღებს და ორივე მეტ-ნაკლებად პოზიტიურია. ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროცესი ყველაზე ნაკლებად საბავშვო ბაღებისა და სამედიცინო დაწესებულებების რემონტსა და აღჭურვას შეეხო.

გრაფიკი №H1: მოხდა თუ არა ინფრასტრუქტურის თითოეული დარგის აღდგენა/რეაბილიტაცია ქვემო ქართლის რეგიონში (საშუალო მაჩვენებლები 3 ბალიან სკალაზე: 3 – „სრულად განხორციელდა“, 1 – „არ განხორციელებულა“)



გრაფიკი №H2–ზე ასახულია აღნიშნული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება რაიონული ჭრილის მიხედვით. როგორც შედეგებიდან ჩანს, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ძირითადად, ქვემო ქართლის რეგიონალურ ცენტრს – რუსთავს შეეხო, ხოლო ყველაზე ნაკლებად – მარნეულსა და წალკას. რესპონდენტები რუსთავში ხშირად მიუთითებენ გამომარაგების, გარე განათებისა და წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე. გზების რეაბილიტაციაზე ყველაზე ნაკლებად მარნეულისა და გარდაბნის მოსახლეობა მიუთითებს. გამომარაგების გაუმჯობესება ნაკლებად შეეხო წალკის, დმანისისა და მარნეულის რაიონებს. წყლის სისტემების რეაბილიტაცია არ განხორციელებულა მარნეულის, თეთრიწყაროსა და წალკის რაიონებში. სკოლების რემონტი/რეაბილიტაციაზე ყველაზე ხშირად რუსთავის, დმანისისა და თეთრიწყაროს მცხოვრებნი მიუთითებენ. საბავშვო ბაღების რემონტი/აღჭურვა არ განხორციელებულა წალკაში, მარნეულში, გარდაბანსა და ბოლნისის რაიონებში. სამედიცინო დაწესებულებების რემონტი მხოლოდ რუსთავში განხორციელდა, ხოლო თეთრიწყაროში – ნაწილობრივ. გარე განათების რეაბილიტაცია ასევე არ მომხდარა წალკაში, მარნეულსა და გარდაბანში.

№H2: მოხდა თუ არა ინფრასტრუქტურის თითოეული დარგის აღდგენა/რეაბილიტაცია ქვემო ქართლის რეგიონში (საშუალო მაჩვენებლები რაიონული ტერიტორიის მიხედვით 3 ბალიან სკალაზე: რაც მაღალია მაჩვენებელი, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია უფრო განხორციელდა)



კვლევის ფარგლებში, ასევე, მონმდებოდა ამა თუ იმ ინფრასტრუქტურის აღდგენა/რეაბილიტაციის პროექტებს რა გავლენა ჰქონდა ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობაზე. რესპონდენტებს წარუდგინეთ შვიდი ინფრასტრუქტურის აღდგენა/რეაბილიტაციის პროექტები, მათ კი უნდა დაესახელებინათ თითოეული პროექტის განხორციელებისას მოხდა თუ არა მათი ოჯახის წევრების დასაქმება, მცირე ან საშუალო ბიზნესის წამოწყება, ბიზნესის გაფართოება, ან დაიწყეს თუ არა სკოლამდელი და სკოლის საგანმანათლებლო ინსტიტუტებითა თუ სამედიცინო დაწესებულებებით სარგებლობა.

კვლევის შედეგებიდან ნათელია, რომ აღნიშნულ პროექტს სერიოზული გავლენა ქვემო ქართლში მცხოვრებ შინამეურნეობებზე არ ჰქონია (იხ.ცხრილი № H1).



ცხრილი № H1: აღნიშნული ინფრასტრუქტურის აღდგენა/გაუმჯობესებამ რა გავლენა მოახდინა თქვენი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე? (პროცენტული მაჩვენებლები)

	გზების მშენებლობა /რემონტი	გაზმომარაგება	წყლის სისტემების გაყვანა/შეკეთება	სკოლების რემონტი/ აღჭურვა	საბავშვო ბაღების რემონტი/ აღჭურვა	სამედიცინო დაწესებულებების რემონტი/ აღჭურვა	გარე განათება
პირდაპირი გავლენა არ ქონია	98.7%	99.7%	99.9%	99.8%	99.6%	98.6%	99.5%

იმისათვის, რათა აღნიშნული პროექტების თუნდაც მცირედი გავლენა შევისწავლოთ, საჭიროა გადავხედოთ მაჩვენებლებს<sup>18</sup>. გზების მშენებლობა/რემონტმა უშუალო გავლენა 67 ოჯახზე მოახდინა. ყველაზე ხშირად ოჯახები გზების რეაბილიტაციის პროცესში ოჯახის რომელიმე წევრის დასაქმებას ასახელებენ (სულ 43 შემთხვევა). გზების მშენებლობა/რემონტის შედეგად სამი შინამეურნეობის ზოგიერთი წევრი დასაქმდა. ამ შემთხვევაში, ხანგრძლივი ეკონომიკური ეფექტი (ანუ სტაბილური დასაქმება) უფრო რთული მისაღწევია და მხოლოდ სამ ოჯახს შეეხო. ათმა შინამეურნეობამ დაიწყო/განაგრძელა მცირე/საშუალო ბიზნესი; ინფრასტრუქტურის განვითარებამდე არსებული ბიზნესის განვითარების ხარჯზე ექვს შინამეურნეობას გაეზარდა შემოსავალი; გზების რეაბილიტაციამ ზოგიერთ ოჯახს განათლების ხელმისაწვდომობა გაეზარდა, ანუ, ერთმა შინამეურნეობამ დაიწყო საბავშვო ბაღით სარგებლობა, ხოლო სამ ოჯახში სასკოლო განათლების დონე ამაღლდა, ვინაიდან მოხდა ბავშვების სასწავლო პროცესში ინტენსიური ჩართვა. ერთი ოჯახი მიუთითებს, რომ სამედიცინო მომსახურება გაუმჯობესდა, ამ შემთხვევაშიც რესპონდენტი სამედიცინო დაწესებულებების ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას გულისხმობს.

გაზმომარაგებას უფრო ნაკლები გავლენა ჰქონდა ოჯახებზე დასაქმების ან სხვა სოციალური ბენეფიტებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. გაზმომარაგების სისტემის გაფართოება-აღდგენის სამუშაოებში ჩაერთო ერთი ოჯახის წევრი, ხოლო სამი ოჯახის წევრი გაზმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის შემდეგ დასაქმდა. ერთ შემთხვევაში ოჯახმა განაგრძო ბიზნესი, ხოლო ორ ოჯახში, გაზმომარაგების მოწესრიგების შემდეგ, არსებული ბიზნესის გაფართოების ხარჯზე გაიზარდა შემოსავალი. ერთი ოჯახი მიუთითებს, რომ სასკოლო განათლების დონე ამაღლდა. ამ შემთხვევაში გაზმომარაგებას შეიძლება ჰქონოდა უშუალო გავლენა საბინაო და სასკოლო პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ორი ოჯახის თქმით კი, გაზმომარაგებამ გააუმჯობესა სამედიცინო მომსახურება.

<sup>18</sup> იმდენად მცირეა პროცენტული რაოდენობა ოჯახებისა, რომლებმაც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებამ უშუალო გავლენა მოახდინა, რომ საჭიროა მხოლოდ აბსოლუტური მაჩვენებლებით დავიწყოთ მანიპულაცია.

წყლის სისტემების გაყვანა/შეკეთებას გავლენა მხოლოდ ოთხ ოჯახზე ჰქონდა: ერთი წევრი დასაქმდა, ხოლო სამმა ოჯახმა განავითარა მცირე/საშუალო ბიზნესი. სკოლების რემონტისა და აღჭურვის პროცესში დასაქმდა ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები 3 შინამეურნეობის წევრი, სკოლების რემონტისა და აღჭურვის შედეგად დასაქმდა 2 წევრი. ერთ შემთხვევაში ოჯახმა დაიწყო მცირე/საშუალო ბიზნესი, ხოლო 1 ოჯახში გაუმჯობესდა განათლების დონე.

საბავშვო ბაღების რემონტმა და აღჭურვამ უშუალო გავლენა ცხრა შინამეურნეობაზე მოახდინა. აქედან ორი ოჯახის წევრი დასაქმდა რეაბილიტაციის პროცესში, ორი შინამეურნეობის წევრი დასაქმდა შემდგომ ეტაპზე. ბაღების რეაბილიტაციის შემდეგ საბავშვო ბაღებით მომსახურება დაიწყო ხუთმა შინამეურნეობამ.

გარე განათების მონესრიგებამ გავლენა 39 ოჯახზე მოახდინა. 31 ოჯახი მიუთითებს, რომ გარე განათების მონესრიგების შემდეგ მათი ოჯახის შემოსავალი გაიზარდა უკვე არსებული ბიზნესის განვითარების ხარჯზე. ამ შემთხვევაში გარე განათების მონესრიგება უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული, რამაც გავლენა მოახდინა ბიზნესის განვითარებაზე. სამი ოჯახის წევრი დასაქმდა გარე განათების რეაბილიტაციის პროცესში, ხოლო სამი ოჯახის წევრი რეაბილიტაციის შემდგომ ეტაპზე. სამედიცინო დაწესებულების რემონტი/აღჭურვა, ძირითადად, გავლენას თავად სამედიცინო დაწესებულების მომსახურების დონეზე ახდენს. ამ შემთხვევაში, გამოკითხული ოჯახებიდან 15 ოჯახი ამბობს, რომ მისი და მისი ოჯახის წევრების სამედიცინო მომსახურება გაუმჯობესდა. სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციის პროცესში სამი შინამეურნეობიდან დასაქმდა ოჯახის ზოგიერთი წევრი.


მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას ხელშესახები ეფექტი არ მოუხდენია ქვემო ქართლის შინამეურნეობების ოჯახების სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, კვლევის შედეგები პოზიტიურ სურათს გვაჩვენებს. წინა კითხვის მიხედვით, სარეაბილიტაციო სამუშაოები ყველა რაიონს არ შეეხო ან შეეხო ნაწილობრივ. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ თუკი სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესი კვლავ გაგრძელდება, ეს პოზიტიურ გავლენას მოახდენს ქვემო ქართლის რაიონის მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მახასიათებლებზე.

### *ქვემო ქართლის რეგიონის პრობლემური საკითხები*

ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებთ გამოკითხვისას მიენოდათ 19 სხვადასხვა საკითხი (ეს საკითხები ეხებოდა ინფრასტრუქტურას, საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებებს და სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემათიკას), რომელთა პრობლემურობა (თავიანთი დასახლებისათვის) მათ უნდა შეეფასებინათ 3 ბალიან სკალაზე (შეფასება 3 ნიშნავდა საკითხი სრულიად მოგვარებულია, 2 – საკითხი მონესრიგებულია, საჭიროებს უმნიშვნელო გაუმჯობესებას

და 1 – სრულიად მოუნესრიგებელია/საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას). გრაფიკი №H3 გამოსხავეს თითოეული ფაქტორის პრობლემურობის შეფასების საშუალო მაჩვენებლებს<sup>19</sup>.

**გრაფიკი №H3: ქვემო ქართლის რეგიონის მცხოვრებთა მიერ სხვადასხვა საკითხების პრობლემურობის შეფასების საშუალო მაჩვენებლები 3 ბალიან სკალაზე (რაც უფრო მაღალი შეფასება აქვს ფაქტორს, ეს საკითხი მით უფრო მოგვარებულია)**




<sup>19</sup> აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ რაც უფრო მაღალია შეფასების საშუალო მაჩვენებელი, ეს პრობლემა მით უფრო მოუნესრიგებულია ქვემო ქართლის რეგიონისათვის.

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, ყველაზე მეტად მონესრიგებული ქვემო ქართლის რეგიონისათვის არის ელექტროენერჯით მომარაგება, პენსიების/დახმარებების გაცემა, უსაფრთხო გარემო და ტრანსპორტის მუშაობა. საქართველოს მშტაბით ჩატარებულ ყველა კვლევაში დასაქმება მოსახლეობის მიერ სახელდება ნომერ პირველ პრობლემად. ამ ტენდენციას არც ქვემო ქართლის რეგიონი ღალატობს და მოსახლეობის მიერ ის სახელდება ყველაზე მოუგვარებელ პრობლემად. დასაქმების შემდეგ მწვავე პრობლემად სახელდება გართობის კერების (კინო, თეატრი, სხვ.) არარსებობა/გაუმართაობა, შეკრებებისა და დემონსტრაციების ორგანიზება, საგანმანათლებლო-შემეცნებითი დაწესებულებების არარსებობა/გაუმართაობა და სარწყავი წყლით მომარაგება. მნიშვნელოვანია, განვიხილოთ თითოეული საკითხი რაიონულ ტერიტორიაში (იხ. გრაფიკი №H4).

დასაქმება ყველა რაიონში მწვავე პრობლემას წარმოადგენს, თუმცა, სხვა რაიონებთან შედარებით, ნაკლებ პრობლემურად ეს საკითხი ქვემო ქართლის რეგიონის ურბანულ ცენტრში – რუსთავში – ფასდება. შეკრებებისა და დემონსტრაციების ორგანიზება პრობლემურია ყველა რაიონში, გარდა რუსთავისა, სადაც, მოსახლეობის შეფასებით, ეს საკითხი მონესრიგებულია და საჭიროებს მცირედ გაუმჯობესებას. სკოლამდელი დაწესებულებების (ბაგა-ბაღების) მუშაობა ნაკლებ პრობლემურია რუსთავისა და გარდაბნისათვის, ხოლო ყველაზე პრობლემური საკითხია წალკისა და მარნეულის რაიონებისათვის. ქვემო ქართლის ურბანულ ცენტრში გართობის კერები (კინო, თეატრი, სხვ.) ყველაზე მონესრიგებულია მაშინ, როდესაც სხვა რაიონებში გამოკითხულთა უმრავლესობა ამ საკითხის მოუგვარებლობაზე მიუთითებს (განსაკუთრებით პრობლემურად ამ საკითხს თეთრიწყაროს რაიონში მცხოვრებნი აფასებენ). სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა მეტ-ნაკლებად გადაჭრილი საკითხია ქვემო ქართლის რეგიონისათვის. თუმცა, ყურადღებას იქცევს ორი რაიონი (მარნეული და ბოლნისი), რომლებშიც მოსახლეობის უმრავლესობა სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფას უჩივის. უსაფრთხო გარემო სხვა ფაქტორებთან შედარებით პოზიტიურადაა შეფასებული, თუმცა, ამ ფაქტორს მცირედ პრობლემურად აღიქვამენ მარნეულის, გარდაბნისა და ბოლნისის რაიონების მცხოვრებნი. ტრანსპორტის მუშაობა ქვემო ქართლის რაიონებისათვის მეტ-ნაკლებად მოგვარებული საკითხია, თუმცა, ტრანსპორტის მოუნესრიგებლობას, სხვა რაიონებთან შედარებით, დმანისის რაიონში მცხოვრებნი უჩივიან. პენსიებისა და დახმარებების გაცემა სრულად გადაჭრილი პრობლემაა ქვემო ქართლის რეგიონის ყველა რაიონისათვის, თუმცა მცირე პრობლემები შეიმჩნევა მარნეულის რაიონში. კანალიზაციის მუშაობა კი ინფრასტრუქტურული საკითხებიდან ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხია, რომელიც, რუსთავის გარდა, ყველა რაიონში მოუგვარებელია (განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა კი წალკის რაიონშია). როგორც კვლევამ აჩვენა, ქვემო ქართლის რაიონებს გარე განათების პრობლემა აწუხებს. ეს არ ეხება რუსთავს, სადაც თვისებრივი კვლევის დროს მოსახლეობა წუხილსაც კი გამოთქვამდა გარე განათებაზე ხელისუფლების მიერ გადამეტებულ ყურადღების გამოჩენის გამო. მიუხედავად იმისა, რომ გზები ქვემო ქართლის რეგიონშიც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, გამოკითხული მოსახლეობა (გარდა რუსთავისა), გარკვეულ გაუმჯობესებას მაინც საჭიროდ მიიჩნევს. სავარაუდოა, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობა ამ შემთხვევაში შიდა სასოფლო და საქალაქო გზებს გულისხმობს. საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებული პრობლემები შედარებით მწვავეა მარნეულისა და

გარდაბნის მოსახლეობისათვის მაშინ, როდესაც სხვა რაიონების მცხოვრებნი ამ საკითხს მოგვარებულად თვლიან. სახნავე-სათესი მიწით უზრუნველყოფას ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობა არ უჩივის, გარდა მარნეულისა და გარდაბნის რაიონებისა. ნაგვის გატანა სრულიად მოგვარებულია რუსთავში, თუმცა, ამ პრობლემას სხვა რაიონის მცხოვრებნი უჩივიან (განსაკუთრებით პრობლემურად ამ საკითხს გარდაბნისა და მარნეულში ასახელებენ). ელექტროენერგიით მომარაგება ის საკითხია, რომელიც ქვემო ქართლის ყველა რაიონში გადაჭრილია (მცირედი პრობლემები სახელდება ბოლნისის რაიონში). გაზით მომარაგება სრულად გადაჭრილია რუსთავში, მცირედი პრობლემებია გარდაბანში, ბოლნისსა და თეთრიწყაროში, თუმცა გაზმომარაგების არქონას (ან გაუმართაობას) უჩივიან წალკაში, დმანისსა და მარნეულში. სარწყავი წყლით მომარაგება რელევანტური საკითხია თითქმის ყველა რაიონისათვის. (სარწყავი წყლის მიწოდებით შედარებით კმაყოფილია გარდაბნისა და ბოლნისის მოსახლეობა). სასმელი წყლით მომარაგების არქონას (ან გაუმართაობას) ყველაზე მეტად უჩივიან მარნეულისა და თეთრიწყაროს რაიონების მცხოვრებნი.

**გრაფიკი H4: ქვემო ქართლის რაიონების მცხოვრებთა სხვადასხვა საკითხების პრობლემურობის შეფასების საშუალო მაჩვენებლები (რაც უფრო მაღალი შეფასება აქვს ფაქტორს, ეს საკითხი მით უფრო მოუგვარებელია)**





საბინაო პირობები


ქვემო ქართლის რეგიონში გამოკითხული შინამეურნეობების უმრავლესობა თავად არის ბინის მპატრონე (შინამეურნეობების 91.1%-ს ბინა საკუთრებაში აქვს). რაიონების მიხედვით გამონაკლისს წარმოადგენს წალკა, სადაც ბინის მესაკუთრე გამოკითხული ოჯახების 63.4%-ია. წალკის რაიონში გამოკითხულთა თითქმის მესამედს (30.8%) სახლის პატრონმა, რომელიც არ არის მათი ნათესავი, ოჯახს ბინა უსასყიდლოდ დაუთმო. მთლიანად ქვემო ქართლის რეგიონში შინამეურნეობების 2.4%-ს ბინა სახლის პატრონმა (არანათესავმა) დაუთმო უსასყიდლოდ, ხოლო 2.8%-ს ბინა ნათესავმა დაუთმო უსასყიდლოდ. ქვემო ქართლის რეგიონში საცხოვრებელი ბინის ქირაობის (1.8%), გირაობის (0.3%) და მიტოვებული ბინის თვითნებურად დაკაფების (0.2%) შემთხვევები ფაქტიურად უმნიშვნელოა. ეთნიკური ჯრილის მიხედვით, ბინის მესაკუთრედ ყველაზე ხშირად ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი შინამეურნეობები არიან (94.2%), მათ მოსდევს ეთნიკური სომეხი მოსახლეობა (93.5%). ბინა საკუთრებაში აქვთ ქვემო ქართლში მცხოვრებ ეთნიკურად ქართველთა 88.8%-ს.

ქვემო ქართლის რეგიონში გამოკითხული შინამეურნეობების უმრავლესობაში (95.2%) მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობს<sup>20</sup>. შინამეურნეობების 3.6%-ში ცხოვრობს, ასევე, ნათესავი ან მეგობარი. ერთ საცხოვრებელ ბინაში ნათესავის ცხოვრების შემთხვევები, სხვა რაიონებთან შედარებით, მაღალია ბოლნისის რაიონში და 9.6%-ს შეადგენს.

კვლევის პროცესში ვარკვევდით, რამდენ საცხოვრებელ ოთახს ფლობდნენ (სამზარეულოს, საკუჭნაოს და აბაზანის გარდა) ქვემო ქართლში მცხოვრები შინამეურნეობები. ოჯახების ნახევარზე მეტს (54.2%) აქვს სამ და ოთხ ოთახიანი საცხოვრებელი ბინები. შინამეურნეობების 28.7% ცხოვრობს ერთ და ორ ოთახიან ბინაში. ხუთი და მეტი ოთახი აქვს გამოკითხული შინამეურნეობების 17.1%-ს. მნიშვნელოვანია ეს მონაცემები ვნახოთ ოჯახის ზომასთან მიმართებაში. როგორც გრაფიკი №H5-დან ჩანს, ერთ და ორ ოთახიან ბინაში, ძირითადად, მცირე ზომის ოჯახები ცხოვრობენ, ხოლო ოჯახის ზომის ზრდასთან ერთად იზრდება ოთახების რაოდენობა. მიუხედავად ამისა, არის გამონაკლისები. მაგალითად, 5 და მეტი სულიანი ოჯახების მეხუთედი (20.5%) ცხოვრობს ბინაში, რომელსაც აქვს ერთი ან ორი ოთახი. ისევე, როგორც ერთ და ორ სულიან ოჯახთა 14.8% ცხოვრობს ბინაში, რომელიც 5 და მეტი ოთახისაგან შედგება. რაიონული ჯრილის მიხედვით, 5 ოთახი და მეტი საცხოვრებელი უფრო მეტად აქვთ თეთრიწყაროში (ოჯახების 30.2%) და მარნეულში (25.2%) მაშინ, როცა ერთ და ორ ოთახიანი საცხოვრებელი ფართი აქვს რუსთავეში მცხოვრებ ოჯახთა მესამედზე მეტს (36.7%).

<sup>20</sup> ამ შემთხვევაში ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ქვემო ქართლის რეგიონში გავრცელებულია გაფართოებული ოჯახები (ოჯახის წევრთა მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა ოჯახში 17 ადამიანის სახით). კულტურული სპეციფიკის გამო, კვლევაში მონაწილე რესპონდენტები, ამას ერთ ოჯახად თვლიდნენ.

გრაფიკი №H5: რამდენი ოთახისაგან შედგება თქვენი საცხოვრებელი ბინა? (პროცენტული მაჩვენებლები ოჯახის ზომასთან მიმართებაში)



ოთახების რაოდენობის გარდა, ასევე მნიშვნელოვანია საცხოვრებელი ბინების საერთო ფართი. როგორც კვლევის მონაცემებიდან ჩანს (ცხრილი №H1), მოსახლეობის მესამედის (33.1%) საცხოვრებელი ფართი 50 კვ. მეტრამდეა. 50 კვ. მეტრამდე საცხოვრებელ ფართში ცხოვრობს რუსთავის მოსახლეობის ნახევარზე მეტი (53.9%) მაშინ, როცა თეთრიწყაროსა და მარნეულში ამ ზომის ფართი რაიონის მცხოვრებთა დაახლოებით 16%-ს აქვს. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, გასათვალისწინებელია, რომ რუსთავში, ძირითადად, მრავალსართულიანი სახლები სჭარბობს, როცა რაიონებში მოსახლეობას, ძირითადად, კერძო სახლები აქვს. ოთახების რაოდენობის მსგავსად, ოჯახის ზომის ზრდასთან ერთად იზრდება ფართის ზომაც (იხ. ცხრილი №H2). თუმცა ამ შემთხვევაშიც გვაქვს გამონაკლისები, როდესაც პატარა ფართში ცხოვრობენ დიდი ოჯახები ან პირიქით.

**ცხრილი №H2: რამდენია თქვენი საცხოვრებელი ოთახების საერთო ფართი? (პროცენტული მაჩვენებლები ოჯახის ზომის მიხედვით)**

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	13	15	17	საშუალო
	სული													სული	
50 კვ.მ-მდე	52.2	40.7	39.9	36.6	23.8	16.9	16.4	16.7	21.5	0	0	0	0	0	<b>33.1</b>
50-69 კვ.მ	15.6	19.1	20.6	19.9	18.6	19.7	19.1	24.0	27.5	25.5	0	100.0	0	0	<b>19.4</b>
70-99 კვ.მ	13.2	17.5	16.3	17.9	21.2	25.9	24.3	26.2	13.4	18.1	17.3		100.0		<b>19.1</b>
100 კვ.მ და მეტი	6.0	10.4	12.4	14.9	22.4	22.8	25.9	17.1	32.8	35.8	82.7	0	0	100.0	<b>16.0</b>
უარი პასუხზე	1.5	0.4	0.3	0.2	0.1	0.1	0	0.9	0	0	0	0	0	0	<b>0.3</b>
მიჭირს პასუხის გაცემა	11.5	12.0	10.6	10.5	13.8	14.6	14.2	15.2	4.7	20.6	0	0	0	0	<b>12.1</b>

ქვემო ქართლის მოსახლეობის საბინაო პირობების განსასაზღვრად რესპონდენტებს თავისი საცხოვრებელი ბინები უნდა შეეფასებინათ 11 კრიტერიუმის მიხედვით, რომლებიც საცხოვრებელი პირობების პრობლემებს ეხება. ცხრილ №H3-ში ასახულია, თუ რამდენ პროცენტს აქვს ესა თუ ის პრობლემა.

**ცხრილი №H3: ქვემო ქართლის მოსახლეობის რა ნაწილს აქვს საცხოვრებელთან დაკავშირებული პრობლემები (პროცენტული მაჩვენებლები)**

	საცხოვრებელ ბინასთან დაკავშირებული პრობლემების ჩამონათვალი	პრობლემების მქონე შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებლები
1.	ბინა სარემონტოა	<b>71.6</b>
2.	არ აქვთ წყლის გაცხელებისა და დაბანის საშუალება	<b>41.9</b>
3.	ბინას ვერ ათბობენ	<b>41.4</b>
4.	ბინაში არის სასმელი წყლის პრობლემა	<b>35.8</b>
5.	ბინის ფართი საცხოვრებლად არასაკმარისია	<b>30.6</b>
6.	ბინა ავარიულ მდგომარეობაშია	<b>23.1</b>
7.	ბინა საცხოვრებლად უვარგისია	<b>20.3</b>
8.	სახლის/ბინის საბუთები მოუვარებელია	<b>12.7</b>

9.	შეიძლება ბინის დაცლა მოთხოვონ	5.6
10.	ბინის ქირის გადახდა უჭირთ	4.8
11.	ბინაში არ აქვთ ელექტროგაყვანილობა	3.6

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, ქვემო ქართლის მოსახლეობის ორ მესამედზე მეტს გაურემონტებელი საცხოვრებელი სახლის პრობლემა აქვს. სარემონტო ფართის პრობლემა სოფლად უფრო დგას, ვიდრე ქალაქის დასახლებებში (ქალაქის დასახლებების 64.1% აცხადებს, რომ მათ ეს პრობლემა აწუხებთ; ეს მაჩვენებელი სოფლის დასახლებებში 76.4%-ია). რაიონების მიხედვით გაურემონტებელი საცხოვრებლის პრობლემა განსაკუთრებით დმანისში, თეთრიწყაროსა და გარდაბანში აქვთ, ყველაზე ნაკლებად კი – რუსთავში.


საცხოვრებელ პრობლებთან დაკავშირებული რიგით მეორე პრობლემა წყლის გაცხელება და ცხელი წყლით დაბანაა. ეს პრობლემა, პირველ რიგში, სოფლის დასახლებების ინფრასტრუქტურულ გაუმართაობას უკავშირდება. შესაბამისად, ჰიგიენის დაცვა სოფლის მოსახლეობის 79%-ს აწუხებს, როდესაც ეს მაჩვენებელი ქალაქში მხოლოდ 21%-ია. წალკის რაიონში განსაკუთრებით მწვავედ დგას წყლის გაცხელებისა და დაბანის პრობლემა (80.5% მიუთითებს, რომ ეს პრობლემა მათ შინამეურნეობას აწუხებს), რომელსაც მოსდევს დმანისისა (64.1%) და ბოლნისის (64.2%) რაიონები. წყლის გაცხელებისა და დაბანის პრობლემა რუსთავში მცხოვრებთა მხოლოდ 16.5%-ს აწუხებს.

საცხოვრებელი ფართის გათბობა რიგით მესამე პრობლემაა და ქვემო ქართლის მოსახლეობის 41.4%-ს აწუხებს. განსხვავება მცირეა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ გათბობის პრობლემა სოფლის დასახლებების მცხოვრებლებს უფრო აწუხებთ. ამ პრობლემას ყველაზე ხშირად ბოლნისის მოსახლეობა ასახელებს (70.2%), მსგავსი პრობლემაა, ასევე, გარდაბნის რაიონში (47.3%). გათბობის პრობლემა ყველაზე ნაკლებად წალკის მცხოვრებთ უდგათ (12.2%).

შემაშფოთებელია მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ქვემო ქართლის მოსახლეობის მესამედზე მეტს სასმელი წყლის პრობლემა აქვს. სუფთა და მონესრიგებული სასმელი წყლით მომარაგება, პირველ რიგში, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე აისახება. უსუფთაო და არასწორ პირობებში შენახული სასმელი წყალი ინვესტს მრავალ დაავადებას. გარდა ამისა, დიდი რაოდენობით წყლის მოზიდვა მნიშვნელოვნად აზარალებს ჯანმრთელობის მდგომარეობას, განსაკუთრებით, ქალების (ამ შემთხვევაში, ეს ხაზგასმა აუცილებელია, რადგან კვლევის მონაცემების მიხედვით, წყლის მომარაგებაში ქალების ჩართვა ინტენსიურია). სასმელი წყლის პრობლემა, პირველ რიგში, ინფრასტრუქტურის განუვითარებლობით არის გამოწვეული. სწორედ ამიტომ, ქალაქში მცხოვრებთა 14.9%-ს აქვს სასმელი წყლის პრობლემა, როცა ეს მონაცემები სოფლად 49.3%-ია. მნიშვნელოვანია ეს მონაცემები განვიხილოთ რაიონული ჭრილის მიხედვით (იხ. გრაფიკი №H6). სასმელი წყლის პრობლემა ყველაზე მწვავედ მარნეულის რაიონში დგას (62.5%), რომელსაც მოსდევს თეთრიწყარო (55%), ბოლნისი (50.5%), წალკა (46.7%) და გარდაბანი (34.8%). გამოკითხული ოჯახების უმრავლესობა სასმელი წყლით დაკმაყოფილებულია დმანისსა და რუსთავში.

დმანისში სასმელი წყლის პრობლემა უდგას შინამეურნეობების 19.2%-ს, ხოლო რუსთავში – 5.2%-ს. ეს მნიშვნელოვანი მონაცემებია, რომელთა მიხედვითაც უნდა დაიგეგმოს წყლის სისტემის გაუმჯობესების სტრატეგია.


გრაფიკი №H6: შინამეურნეობას აქვს სასმელი წყლის პრობლემა (პროცენტული მაჩვენებლები რაიონული ჯრილის მიხედვით)



საცხოვრებელი ფართი არასაკმარისია ქვემო ქართლის მოსახლეობის თითქმის მესამედისათვის. იმ ოჯახებისაგან, რომლებიც ამ პრობლემაზე მიუთითებენ, ნახევარი (52.2%) ერთ ან ორ ოთახიან ბინაში ცხოვრობს, ხოლო ამ ოჯახების 83.4% 3 სულზე მეტი წევრისაგან შედგება. ფართის პრობლემას უჩივის სამი და ოთხი ოთახის მქონე ოჯახების 41.8%. თუმცა, ამ შემთხვევაში ოჯახის შემადგენლობა ოთხი წევრი და მეტია. შინამეურნეობები, რომელთაც 5 და მეტი საცხოვრებელი ოთახი აქვთ, ოჯახის ზომის მიუხედავად, თითქმის არ უჩივიან ამ პრობლემას (ამ პრობლემაზე მიუთითებს მხოლოდ 6%). იგივე ტენდენცია ფიქსირდება ოჯახის საცხოვრებელ ფართთან მიმართებაში. იმ რესპონდენტების ნახევარზე მეტი (51.9%), რომლებიც საცხოვრებელი ფართის არასაკმარისობაზე მიუთითებენ, ძირითადად, 50 კვ. მეტრამდე ფართში ცხოვრობენ, ხოლო მათი ოჯახის ზომა კი 3-დან 9 წევრამდე მერყეობს. საცხოვრებელი ფართის პრობლემა ყველაზე მწვავედ წალკის რაიონში ღვას, სადაც ამ პრობლემას მოსახლეობის 48.9% უჩივის. გრაფიკი №H7-ზე ასახულია რაიონების მიხედვით ოჯახის ზომისა და ფართის პრობლემის მიმართება. რაიონებში ფართის პრობლემა, ძირითადად, გამომწვეულია ოჯახის განსხვავებული ზომით. ქალაქ რუსთავში ფართის პრობლემა აქვს შინამეურნეობების მხოლოდ 5.2%-ს. ამის მიზეზი ისაა, რომ ქალაქ რუსთავში ოჯახების უმეტესობა მცირე ზომისაა (1-3 წევრი). მარნეულში მცხოვრები შინამეურნეობების თითქმის მესამედი რვა და მეტი წევრისაგან შედგება, სწორედ ამიტომ, რომ მარნეულში მცხოვრები ოჯახების 62.5% არასაკმარის ფართს უჩივის. გარდაბნის რაიონებში ყველაზე მეტად არის გავრცელებული დიდი ოჯახები (შინამეურნეობების 38.2%-ში ცხოვრობს 8 და მეტი წევრი). თუმცა, ამ რაიონში ფართის პრობლემა დიდი სიმწვავეით არ გამოიჩინება. ასევე გამონაკლისს წარმოადგენს წალკა, თეთრიწყარო და ბოლნისი, სადაც დიდი ოჯახები ნაკლებია, თუმცა, ოჯახებს საცხოვრებელი ფართი არ ყოფნით.



გრაფიკი №H7: ოჯახის ზომა რაიონების მიხედვით და საცხოვრებელი ფართის პრობლემა (პროცენტული მაჩვენებლები რაიონულ ტერიტორიაში)



შემაშფოთებელია მონაცემი, რომლის მიხედვითაც ქვემო ქართლის შინამეურნეობების თითქმის მეოთხედის (23.1%) საცხოვრებელი ბინები ავარიულ მდგომარეობაშია. ავარიულ მდგომარეობაში ბინები უფრო ხშირად სოფლის დასახლებებშია (26.9% სოფლად, 17.3% – ქალაქში). საცხოვრებელი ბინების ავარიულ მდგომარეობაზე ქვემო ქართლის სხვა რაიონებთან შედარებით ყველაზე ხშირად გარდაბნის (48.3%) და თეთრიწყაროს (44%) რაიონებში მიუთითებენ. დმანისში ავარიული საცხოვრებელი სახლი აქვს გამოკითხულთა 29.2%-ს, წალკაში 18.7%-ს, ხოლო მარნეულის რაიონში – 16.9%-ს. ასევე პრობლემურია ქვემო ქართლის შინამეურნეობების მეხუთედის (20.3%) მდგომარეობა, რომლებიც აცხადებენ, რომ ფართი საცხოვრებლად უვარგისია. ამ შემთხვევაში ბინის საცხოვრებლად არავარგისიანობა, ძირითადად, ბინის ავარიულობას უკავშირდება და განსაკუთრებით მწვავედ გარდაბანსა და თეთრიწყაროს რაიონებში ვლინდება.

ბინის საბუთების მოგვარება პრობლემაა ოჯახების მცირე ნაწილისათვის. თუმცა, ეს პრობლემა განსაკუთრებით ბევრ ოჯახს აწუხებს თეთრიწყაროსა (46.5%) და წალკის (40.7%) რაიონებში. იგივე პრობლემა აწუხებს გარდაბნის რაიონში მცხოვრებ ოჯახთა თითქმის მეხუთედს (19.6%).


იმ ოჯახებისათვის, რომლებსაც საცხოვრებელი ბინა საკუთრებაში არ აქვთ, ასევე არსებობს ორი პრობლემა – ქირის გადახდა და ის, რომ შეიძლება მეპატრონემ მათ ბინის დაცლა მოსთხოვოს. ქირის გადახდის პრობლემა ძირითადად მარნეულს (11.2%) და რუსთავს შეეხება

(5.4%). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წალკის რაიონში ოჯახების თითქმის მესამედი ბინაში პატრონის ნებართვით დროებით არის შესული, ამიტომაც ამ რაიონში მცხოვრებთა 28.4%-ს აწუხებს ის, რომ მათ შეიძლება მეპატრონემ ბინის დაკლა მოსთხოვოს. სხვა რაიონებში ეს მაჩვენებელი კი დაახლოებით 5%-ია.

ქვემო ქართლის რეგიონში ელექტრიფიკაციის პრობლემა უმნიშვნელოა და მხოლოდ ოჯახების 3.6%-ს აწუხებს. ეს პრობლემა არ არის რომელიმე კონკრეტული რაიონისათვის უფრო მწვავე, თუმცა ოდნავ მეტი ინტენსივობით ფიქსირდება ბოლნისის რაიონში (6.9%-ს აწუხებს ელექტროფიკაციის პრობლემა).

საბინაო პირობების კვლევის პროცესში ვარკვევდით რამდენი წელია ცხოვრობენ შინამეურნეობები ახლანდელ საცხოვრებელ ადგილას. პასუხები დაჯგუფდა ოთხ ჯგუფად: 1. ხუთი წელი; 2. ექვსიდან 20 წლის მანძილზე; 3. 21 წლიდან 40 წლამდე და 4. 41 წელი და მეტი. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობა ნაკლებად განიცდის მიგრირებას, ანუ შინამეურნეობების ნახევარზე მეტი (57.1%) 21 წელი და მეტი ცხოვრობს ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას, ბოლო ხუთი წელია საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა ოჯახების 11.7%-მა. საინტერესოა ამ მონაცემების ნახვა რაიონული და ეროვნების ჭრილების მიხედვით. გრაფიკი №H8-ზე ასახულია ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას შინამეურნეობების მიერ ნაცხოვრები წლების საშუალო მაჩვენებლები. ყველაზე ხანგრძლივად ერთ საცხოვრებელ ადგილას მარნეულის მოსახლეობა ცხოვრობს (ამ შემთხვევაში, ერთ საცხოვრებელ ადგილას ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა 37 წელია). ერთ საცხოვრებელ ადგილას დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობს სომეხი და აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობა (ქართველებთან ერთ ადგილზე ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა 23.7%-ია, როდესაც აზერბაიჯანული და სომეხი ეროვნების მკვიდრებთან ეს მაჩვენებელი 35.2%-ია. ეს შეიძლება იყოს განპირობებული ორი მიზეზით: ერთი მიზეზი არის მიწისძვრით დაზარალებული და მენყერსაშიში ზონებიდან მოსახლეობის ქვემო ქართლში ჩასახლება. ეს განსაკუთრებით წალკის მაგალითზე ჩანს, სადაც ყველაზე დაბალია ერთ ადგილას ცხოვრების საშუალო მაჩვენებელი). მეორე მიზეზი არის ის, რომ ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ კომპაქტურად და მეტნაკლებად ჩაკეტილ სოციალურ ჯგუფებს წარმოადგენენ. ამდენად, საცხოვრებლის გამოცვლა მათთვის არასასურველია. გარდა ამისა, ეთნიკური უმცირესობები, ძირითადად, ცხოვრობენ სოფლის ტიპის დასახლებებში, ხოლო მიგრირება უფრო ქალაქის ტიპისათვის არის დამახასიათებელი, ანუ ურნაბული მოვლენაა.


გრაფიკი №H8: რამდენი წელია ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას ცხოვრობთ? (წლების მიხედვით საშუალო მაჩვენებლები ეროვნების, რაიონისა და დასახლების ტიპის მიხედვით).



მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობის საცხოვრებელი ბინები პრობლემურია, საცხოვრებელი ადგილის შეცვლას მომავალი ექვსი თვის განმავლობაში ძალიან მცირე რაოდენობა (1.4% ანუ მხოლოდ 41 შინამეურნეობა) ფიქრობს. საცხოვრებელი ადგილის შეცვლას ძირითადი ნაწილი იმიტომ არ აპირებს, რომ მათ აკმაყოფილებთ არსებული პირობები (შინამეურნეობების 48.4%); ქვემო ქართლის მოსახლეობის მესამედზე მეტს (37.3%) არ აკმაყოფილებს არსებული პირობები, თუმცა მომავალი ექვსი თვის განმავლობაში არ აქვს პირობების გაუმჯობესების მოლოდინი. გრაფიკი №H9–ზე გამოხატულია მიზეზები, თუ რატომ არ აპირებენ შინამეურნეობები საცხოვრებელი ადგილის შეცვლას მომავალი ექვსი თვის განმავლობაში, რაიონების მიხედვით. ის შინამეურნეობები, რომლებშიც ხშირად ანუხებთ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული თუ საცხოვრებელთან დაკავშირებული პრობლემები, აღნიშნავენ, რომ არ აქვთ პირობების გაუმჯობესების იმედი. ამის მაგალითია გარდაბანი და თეთრიწყარო, სადაც განსაკუთრებით უჩიოდნენ სახლების ავარიულ მდგომარეობას და წალკა, სადაც უჩივიან არასკმარის ფართს, წყლის გათბობისა და აბაზანის პრობლემას. პირობებით კმაყოფილია მოსახლეობის ორი მესამედი მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში.

რუსთავი წარმოადგენს გამონაკლისს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა საცხოვრებლის პრობლემა რუსთავში ნაკლებად დგას, შინამეურნეობები საკმაოდ უკმაყოფილონი არიან არსებული საცხოვრებელი პირობებით, თუმცა, შეცვლის იმედი არ აქვთ.

**გრაფიკი №H9: რატომ არ აპირებთ საცხოვრებელი ადგილის შეცვლას მომავალი 6 თვის განმავლობაში (პროცენტული მაჩვენებლები რაიონულ ტერიტორიაში)**



ადგილმდებარეობის შეცვლას მომავალი ექვსი თვის განმავლობაში თქვენს რაიონში 41 ოჯახი, აქედან 28 ქართველია, 10 – აზერბაიჯანული წარმოშობის, ხოლო 3 – სომეხი. 41 შინამეურნეობიდან, რომლებიც მომავალი ექვსი თვის განმავლობაში თქვენს რაიონში საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, თითქმის ნახევარი (41.5%) იგივე დასახლებულ პუნქტში თქვენს რაიონში დასახლდებიან (აქედან 12 ოჯახი ქართველია, 3 აზერბაიჯანული, ხოლო 2 სომხური წარმოშობის). საზღვარგარეთ წასვლას თქვენს რაიონში ექვსი ოჯახი, აქედან 3 აზერბაიჯანული წარმოშობის ოჯახი აპირებს აზერბაიჯანში გადასვლას, თითო-თითო ქართული ოჯახი თურქეთსა და სომხეთში, ხოლო ერთი სომხური ოჯახი – გერმანიაში. დანარჩენი ოჯახები ან ქვემო ქართლის სხვა დასახლებულ პუნქტში აპირებენ გადასვლას, ან საქართველოს სხვა რეგიონში.

## M განათლება

### რეზიუმე

საქართველოს განათლების სისტემამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. შეიცვალა მართვის და დაფინანსების მოდელები, მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო დონორების ჩართულობა საგანმანათლებლო სისტემის რეორგანიზაციაში, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს განათლების სისტემის ისეთი ხარისხის მიღწევა, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციას.

საქართველოში მოსახლეობის დაახლოებით 13%-ისთვის ქართული მშობლიურ ენას არ წარმოადგენს. ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელებისა და სომხების დიდი ნაწილი ქართულ ენას ცუდად ფლობს, რაც აფერხებს მათს ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას და ქმნის მნიშვნელოვან ბარიერს განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. მოცემული კვლევა იძლევა ინფორმაციას ქვემო ქართლის მოსახლეობის განათლების დონის, სხვადასხვა პროგრამების ირგვლივ მათი ინფორმირებულობის ხარისხის, განათლების ხელმისაწვდომობის არსებული პრობლემების და ა.შ. შესახებ.

ქვემო ქართლის რეგიონში სკოლამდელ საგანმანათლებლო ინსტიტუტებში სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჩართულობა დაბალია და მეხუთედზე ნაკლებს შეადგენს. სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვების ჩართულობა ქალაქის ტიპის დასახლებებში, სოფლებთან შედარებით, მაღალია. რაიონულ ჭრილში კი საგანმანათლებლო ორგანიზაციებში ინტეგრირებული ბავშვები უფრო მეტად რუსთავსა და დმანისში არიან. სკოლამდელ საგანმანათლებლო ინსტიტუტებში ჩაურთველობის ორი ძირითადი მიზეზი გამოვლინდა: საგანმანათლებლო ინსტიტუტების არარსებობა და ფინანსური ბარიერი. სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების არარსებობას უფრო მეტად უჩივიან წალკისა და ბოლნისის რაიონებში, ხოლო რუსთავსა და გარდაბნის რაიონში აღნიშნული ბარიერი ყველაზე ნაკლებადაა წარმოდგენილი. სკოლამდელ საგანმანათლებლო ინსტიტუტებში ჩართვის ფინანსური ბარიერი ყველაზე მნიშვნელოვნად გარდაბანში, რუსთავსა და თეთრიწყაროში ვლინდება. სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართული ბავშვების უმრავლესობა განათლებას ქართულ ენაზე იღებს. ამას კი ორი მიზეზი აქვს: ა) ეთნიკური უმცირესობების ენაზე საბავშვო ბაღების არარსებობა და ბ) ოჯახის მოტივირებულობა, ბავშვმა ისწავლოს სახელმწიფო ენა.

სასკოლო საგანმანათლებლო პროცესში ჩართული არ არის ქვემო ქართლის მცხოვრებთა 4.2% და ეს არ არის რომელიმე რაიონისათვის სპეციფიკურად დამახასიათებელი. ოჯახების უმრავლესობა არ ხსნის, რატომ მიატოვა მათმა შვილმა სწავლა–განათლება; დასახელებულ მიზეზებს შორის კი სჭარბობს თავად მოზარდის გადანწყვეტილება, ავადმყოფობა და საბუთების არქონა. ის ფაქტი, რომ სწავლის მიტოვება ქორწინების გამო მხოლოდ გოგონებში გვხვდება, ხოლო სწავლის მიტოვების მაჩვენებელი აზერბაიჯანელებში უფრო მაღალია, სხვა ეთნიკურ

ჯგუფებთან შედარებით, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ კვლევის საწყის ეტაპზე გამოთქმული ვარაუდი (აზერბაიჯანულ ოჯახებში გოგონების მიერ სწავლის მიტოვების შესახებ) ნაწილობრივ დასტურდება. სასკოლო განათლებასთან მიმართებაში პრობლემები არ აქვს გამოკითხულთა მეოთხედს. სასკოლო განათლებასთან მიმართებაში დასახელებულ პრობლემათა ნახევარი ფინანსებს უკავშირდება (ოჯახებს უჭირთ სასკოლო ინვენტარის შეძენა). სკოლის სიშორე 5.6%-ისათვის არის პრობლემა და, ძირითადად, თეთრიწყაროს, დმანისისა და გარდაბნის რაიონებში ვლინდება.

ქვემო ქართლის რეგიონში უმაღლესგანათლებულთა რაოდენობა ჩამოუვარდება მთლიანად საქართველოში უმაღლეს განათლებულთა პროცენტულ მაჩვენებელს. საქართველოში საშუალო განათლების მქონეთა ხვედრითი წილი უფრო ნაკლებია, ვიდრე ქვემო ქართლში. უმაღლესი განათლების შემთხვევაში კი საპირისპირო ტენდენციაა – უმაღლესი განათლების მქონეთა ხვედრითი წილი საქართველოს მასშტაბით აღემატება ქვემო ქართლში მიღებულ იგივე მაჩვენებელს (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011. კეთილდღეობის მონიტორინგის კვლევა). უმაღლეს განათლებას რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა იღებს/მიიღო საქართველოს ფარგლებში (კერძოდ, თბილისში); თუმცა, არის უმნიშვნელო შემთხვევები, როდესაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები განათლების მისაღებად თავიანთ ეთნიკურ სამშობლოში ან რუსეთში მიდიან. უმაღლესი განათლების ხელმიწვდომლობის ერთ-ერთი მიზეზი მატერიალურია. ფინანსურ პრობლემებთანაა კორელაციაში სასწავლებლის სიშორე (მგზავრობის თანხის საჭიროება), სასწავლებლის გადასახადი, ტრანსპორტის ხარჯები.

გარდა იმისა, რომ არასაკმარისი ფინანსები აფერხებს სწავლის სურვილს, ხშირია შემთხვევები, როცა უმაღლეს განათლებაზე უარი ინდივიდმა პირადი სურვილით თქვა. რაც შეეხება სწავლის სურვილის არქონას, ამ შემთხვევაში ჩართულია ენობრივი ბარიერის პრობლემა და კულტურული თავისებურებები, რომლებიც განსაკუთრებით უბიძგებს არაქართველ მოსახლეობას, რათა ნაკლებად იყოს ინტეგრირებული ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში.

ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში საქართველოს საგანმანათლებლო პოლიტიკას ორი მიმართულება გააჩნია: ერთი მხრივ, სახელმწიფო ენის ცოდნის ხარისხის გაუმჯობესება ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, ხოლო, მეორე მხრივ, უმცირესობათა ენების დაცვა და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უზრუნველყოფა.

2009 წელს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ტოლერანტობისა და ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია, რომელიც ეთნიკურ უმცირესობათა განათლების გაუმჯობესების შემდეგ მიმართულებებს შეიცავს: ეთნიკური უმცირესობებისთვის სკოლამდელი ზოგადი და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა, ეთნიკურ უმცირესობათა შორის სახელმწიფო ენის ცოდნის ამაღლება, ზრდასრულთა განათლების პროგრამებისა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა.

კვლევის შედეგების მიხედვით ჩანს, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ რესპონდენტთა უმრავლესობა მოცემულ ეტაპზე აღიარებს ქართული ენის ცოდნის საჭიროებას



(ვინაიდან ენობრივი ბარიერის მოხსნა კორელაციაშია დასაქმებასთან და, შესაბამისად, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან). სახელმწიფო ენის შესწავლის მხრივ, ეთნიკურ უმცირესობებს პრობლემა არ აქვთ და მათი კმაყოფილების ხარისხიც მაღალია. თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობაზე, რაშიც მნიშვნელოვან ბარიერს ამა თუ იმ პროგრამაში ჩართვის სურვილის არქონა წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ არასაკმარისი ფინანსების საკითხი (რომელიც რესპონდენტებმა სკოლამდელი, სასკოლო და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში მიუთითეს, როგორც მნიშვნელოვანი პრობლემა) მეტ-ნაკლებად მოგვარებული იქნებოდა მათი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის პირობებში. შესაძლოა, რესპონდენტები არასაკმარისი ფინანსების პრობლემას საკუთარი „პასიურობის“ (როგორც ქართულ საზოგადოებაში ნაკლებად ჩართულობის სურვილის გამოვლინების) ერთგვარ გამართლებად იყენებენ.

რაც შეეხება ეთნიკურ უმცირესობათა დისკრიმინაციის ფაქტებს განათლების მიღების კონტექსტში: კვლევის მონაცემებიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის რეგიონში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა დისკრიმინაციის ფაქტები ძალზე მცირე რაოდენობითაა საგანმანათლებლო საფეხურის ნებისმიერ დონეზე. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკურ უმცირესობებში, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანულ მოსახლეობაში, მოქმედებს გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც განათლების მიღებასთან მიმართებაში გამოხატულია ვაჟის უპირატესობის აღიარებით.

ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის (განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობების) საზოგადოებრივი ინტეგრაციისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში აქტიური მონაწილეობის გარდა, ძალზე მნიშვნელოვანია მათი კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობა.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში, კვლევის შედეგად, კვლავ გამოიკვეთა ინფორმირების პრობლემა: არც ერთი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ არ სმენია რესპონდენტთა ნახევარზე ოდნავ მეტს (52.5%). ამას გარდა, რესპონდენტთა ნაწილი ვერ ხედავს ამა თუ იმ პროგრამის საჭიროებას და არ გააჩნია მასში მონაწილეობის სურვილი. თუმცა, დაბალი ინფორმირებულობის პირობებში, „პასიური“ მოსახლეობის სურვილის არქონა სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად, სავსებით ლოგიკურია.

კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონში საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებების დეფიციტია. ერთი მხრივ, აღნიშნული ფაქტი დაკავშირებულია მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობასთან (არასაკმარისი ფინანსებთან და კულტურული დაწესებულების არარსებობასთან), რომელიც, თავისთავად, უკარგავს მოქალაქეებს ინტერესს კულტურული ცხოვრების მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, რესპონდენტთა ნიჰილისტური განწყობა („პასიურობა“) და საზოგადოებაში ინტეგრირების ნაკლები სურვილი ხდება იმის ერთ-ერთი საფუძველი, რომ კულტურულ ცხოვრებას რეგიონში ნაკლები ყურადღება ეთმობა.

### სკოლამდელი განათლება

2004 წელს ძალაში შესული „ზოგადი განათლების შესახებ კანონის“ თანახმად, ბალების განვითარების დონე დღესდღეობით მთლიანად მუნიციპალიტეტებზეა დამოკიდებული. 2006 წლიდან საბავშვო ბალები განათლების სამინისტროდან ადგილობრივი თვითმმართველობების დაქვემდებარებაში გადავიდა.

კვლევამ აჩვენა, რომ სკოლამდელი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება არ ხდება სათანადო დონეზე, რაც იწვევს სკოლამდელი ასაკის ბავშვების დაბალ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. აღნიშნული გარემოების დამაბრკოლებელი ფაქტორებია:

- ✓ სოციალური – მოსახლეობის დაბალი ეკონომიკური შესაძლებლობა, ენობრივი ბარიერი;
- ✓ სტრუქტურული – საბავშვო ბალების არასაკმარისი რაოდენობა, მათი სიშორე (განსაკუთრებით სოფლებსა და მთიან ადგილებში).

მათგან უფრო მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ფაქტორი სტრუქტურული პრობლემაა, ვინაიდან, როგორც მონაცემები მოწმობს, ცუდი მატერიალური პირობების შემთხვევაშიც კი მშობელი მზადაა ბავშვის სკოლამდელი განათლების მიღებისთვის გარკვეული თანხა გაიღოს.


7 წლამდე ასაკის ბავშვების პროცენტული განაწილება ქვემო ქართლის რეგიონში მოცემულია ცხრილში №M1.

**ცხრილი №M1: შვიდ წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა ქვემო ქართლის რეგიონში (პროცენტული მაჩვენებლები)**

ასაკი	%
7	1.3%
6	12.5%
5	14.9%
6	16.3%
3	15.8%
2	13.0%
1	14.2%
0	12.0%

როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულ შინამეურნეობათა დიდ უმრავლესობაში (81.2%) შვიდ წლამდე ბავშვები რაიმე სახის ორგანიზებულ სწავლებაში ან მცირეწლოვან ბავშვთა საგანმანათლებლო პროგრამაში (ბალი ან მსგავსი დაწესებულება) ჩართული არ არიან (იხ. გრაფიკი №M1).

გრაფიკი №M1: ჩართულია თუ არა შვიდ წლამდე ასაკის ბავშვი რაიმე სახის ორგანიზებულ სწავლებაში ან მცირეწლოვან ბავშვთა საგანმანათლებლო პროგრამაში (ბალი ან მსგავსი დაწესებულება) (შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებლები)



ბავშვთა სკოლამდელ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული ბავშვებიდან (18.8%) 60.2 % გოგონაა, ხოლო 39.8% – ვაჟი.

რაიონების მიხედვით ანალიზისას გამოვლინდა, რომ 7 წლამდე ასაკის ბავშვთა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩართულობის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი აქვს რუსთავს (36.2%) და დმანისს (31.6%) (იხ. ცხრილი №M2). ამას გარდა, ქალაქის მოსახლეობა, სოფლის მოსახლეობასთან შედარებით, უფრო მეტად სარგებლობს სკოლამდელი დაწესებულებების მომსახურებით (ქალაქში შინამეურნეობების 33.8%-ში ბავშვები ჩართულნი არიან ორგანიზაციულ სწავლებაში, ხოლო სოფლად ეს მაჩვენებელი 10.3%-ია).

ცხრილი №M2: ჩართულია თუ არა (ბავშვი) რაიმე სახის ორგანიზებულ სწავლებაში...? (პროცენტული მაჩვენებლები რაიონული ქრისის მიხედვით)

	რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა	გარდაბანი
დიახ	36.2	7.7	17.9	31.6	11.2	4.1	17.5
არა	63.8	92.3	82.1	68.4	88.8	95.9	82.5

თუმცა, 7 წლამდე ასაკის ბავშვთა ნაწილისთვის ორგანიზებულ სწავლებაში ან საგანმანათლებლო პროგრამაში ჩაურთველობას ობიექტური საფუძველიც აქვს – ამ ჯგუფის ბავშვების 39.6% არ არის საბაღე ასაკის და დადის სკოლაში.

გამოიკვეთა ორი ძირითადი მიზეზი, რომელთა გამოც საბაღე ასაკის ბავშვები ვერ სარგებლობენ შესაბამისი დაწესებულებების მომსახურებით: საბავშვო ბაღის

არარსებობა/მანძილის პრობლემა (ამ ჯგუფის რესპონდენტთა 30.8%) და ფინანსური ხელმიუწვდომლობა (18.4%) (იხ.ცხრილი №M3).

ცხრილი №M3: მიზეზები, რომელთა გამოც 7 წლამდე ასაკის ბავშვები არ არიან ჩართულნი რაიმე სახის ორგანიზებულ სწავლებაში (პროცენტული მაჩვენებლები)

ბავშვი არ არის საბაღე ასაკის	39.6
ბავშვს აქვს ჯანმრთელობის პრობლემები	1.0
ბავშვს არა აქვს ჩასაცმელი	0.5
არ არის საბავშვო ბაღი ჩვენს დასახლებაში / საბავშვო ბაღი შორსა	30.8
ვერ ვწვდებით გადასახადს/არ გვაქვს შესაძლებლობა	18.4
ოჯახში გვყავს ადამიანი, რომელიც ზრუნავს ბავშვზე/ბავშვებზე	3.2
გვყავს ადამიანი სხვა ოჯახიდან, რომელიც ზრუნავს ბავშვზე/ბავშვებზე	0.2
არ არის საბავშვო ბაღი მისი ასაკის ბავშვისთვის	0.7
არ ვართ ხარისხით კმაყოფილნი	0.8
სიაში (რიგში) ვართ და ველოდებით	0.1
სკოლამდელი განათლების მიღება საჭირო არ არის	0.4
მიჭირს პ/გ	4.3

რაიონების მიხედვით გამოვლინდა მცირედი განსხვავებები, კერძოდ: ბაღის მომსახურებაში ჩაურთველობის მიზეზად ფინანსურ არახელმისაწვდომობას ყველაზე მეტად მიუთითებენ გარდაბანში (45%), თეთრიწყაროსა (19.5%) და რუსთავში (19.3%). საბავშვო ბაღის ფიზიკურ არარსებობას/სიშორეს საერთოდ არ აღნიშნავენ რუსთავში, გარდაბნის რაიონში კი ამ მიზეზს ძალზე უმნიშვნელო ხვედრითი წილი აქვს. ამის საპირისპიროდ, იგივე მაჩვენებლები ძალზე მაღალია დანარჩენ რაიონებში, განსაკუთრებით, წალკასა (70.9%) და ბოლნისში (61.9%) (იხ.ცხრილი №M4) .

ცხრილი №M4: მიზეზები, რომელთა გამოც 7 წლამდე ასაკის ბავშვები არ არიან ჩართულნი რაიმე სახის ორგანიზებულ სწავლებაში (პროცენტული მაჩვენებლები რაიონული ჯრილის მიხედვით)

	რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	ღმანისი	თეთრიწყარო	წალკა	გარდაბანი
ბავშვი არ არის საბაღე ასაკის	59.0	33.9	27.9	29.3	34.8	15.3	45.6
ბავშვს აქვს ჯანმრთელობის პრობლემები	2.4	1.3	0.0	2.1	0.8	2.1	0.0
ბავშვს არა აქვს ჩასაცმელი	0.0	0.0	0.9	0.0	0.0	0.0	1.5

	რესთავი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა	გარდაბანი
არ არის საბავშვო ბაღი ჩვენს დასახლებაში/ საბავშვო ბაღი შორსა	0.0	51.9	61.9	49.3	37.3	70.9	4.0
ვერ ვწვდებით გადასახადს/არ გვაქვს შესაძლებლობა	19.3	0.7	3.7	0.0	19.5	6.6	45.0
ოჯახში გვყავს ადამიანი, რომელიც ზრუნავს ბავშვზე/ბავშვებზე	7.2	5.1	2.8	0.0	0.0	0.0	0.9
გვყავს ადამიანი სხვა ოჯახიდან, რომელიც ზრუნავს ბავშვზე	0.0	0.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არ არის საბავშვო ბაღი მისი ასაკის ბავშვისთვის	2.4	0.0	0.0	0.0	2.5	0.8	0.0
არ ვართ ხარისხით კმაყოფილი	2.4	0.6	0.0	0.0	0.0	0.8	0.5
სიაში (რიგში) ვართ და ველოდებით	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.5
სკოლამდელი განათლების მიღება საჭირო არ არის	1.2	0.7	0.0	2.1	0.0	0.0	0.0
<b>მიჭირს პ/გ</b>	<b>6.0</b>	<b>5.2</b>	<b>2.8</b>	<b>17.3</b>	<b>5.1</b>	<b>3.6</b>	<b>2.0</b>

გემოთ აღნიშნული თაქტიკური (არასაკმარისი ფინანსები) უნდა განსაზღვრავდეს იმ გარემოებას, რომ სკოლამდელი დაწესებულებების მომსახურებით მოსარგებლეთა აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფო საბავშვო ბაღის მომსახურებით სარგებლობს. კერძო საბავშვო ბაღით სარგებლობაზე მიუთითებს მხოლოდ 2.1%.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა, რომლებიც სარგებლობენ სკოლამდელი დაწესებულებების მომსახურებით, საბავშვო ბაღით ძალზე ან მეტ-ნაკლებად კმაყოფილია (მათგან ძალზე კმაყოფილთა ხვედრითი წილი შეადგენს 31%-ს) (იხ.ცხრილი №M5). გარდა ამისა, ამ ჯგუფის რესპონდენტები, ძირითადად, (75.8%) სარგებლობენ მათთან ახლოს მდებარე საბავშვო ბაღით.

**ცხრილი №M5: ზოგადად რამდენად კმაყოფილი ხართ იმ საბავშვო ბაღით, რომელშიც თქვენი შვილი დადის? (პროცენტული მაჩვენებლები)**

ძალზე კმაყოფილი	31.0
მეტ-ნაკლებად კმაყოფილი	44.9
არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო	12.2
მეტ-ნაკლებად უკმაყოფილო	2.1
ძალზე უკმაყოფილო	4.8
მიჭირს პასუხის გაცემა	4.9

უნდა აღინიშნოს, რომ რაიონულ ჭრილში, ასევე ქალაქსა და სოფელს შორის კმაყოფილების მხრივ, არსებითი განსხვავებები არ გამოვლენილა.

იმ რესპონდენტთა უმრავლესობა, რომლებიც სარგებლობენ სკოლამდელი დანესებულებების მომსახურებით (60%), აცხადებს, რომ ბავშვის საბავშვო ბაღში მიყვანის ფინანსური შესაძლებლობა აქვს. ამგვარი შესაძლებლობის არქონაზე მიუთითებს 26.1%. პასუხის გაცემა გაუჭირდა 14%-ს. რაიონულ ჭრილში გამოიკვეთა ბოლნისის რაიონი, სადაც მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა უარყოფითი პასუხი, ხოლო გარდაბანში ყველაზე მინიმალური სხვაობაა დადებითსა და უარყოფით პასუხებს შორის (იხ. ცხრილი №M6).

**ცხრილი №M6: გაქვთ თუ არა ბავშვის საბავშვო ბაღში მიყვანის შესაძლებლობა ფინანსური თვალსაზრისით? (შინამეურნეობების რაოდენობები რაიონულ ჭრილში, ჯამური პროცენტით)**

	რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა	გარდაბანი	სულ N	სულ %
დიახ	30	11	20	11	12	1	14	99	60
არა	12	2	1	4	2	1	20	42	26
მიჭირს პ/გ	6	0	2	4	1	5	9	27	14
<b>ჯამი</b>	<b>48</b>	<b>13</b>	<b>23</b>	<b>19</b>	<b>15</b>	<b>7</b>	<b>43</b>	<b>168</b>	<b>100</b>

იმ რესპონდენტებს შორის, ვინც აღნიშნა, რომ ფინანსური თვალსაზრისით ბავშვის საბავშვო ბაღში მიყვანის შესაძლებლობა აქვს, 47%—მა მატერიალურ მდგომარეობაში აღნიშნა „ცუდი“. როგორც ჩანს, სახელმწიფო ბაღით მომსახურების გადასახადი საშუალებას იძლევა, რომ ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფმა ოჯახებმაც ისარგებლონ აღნიშნული მომსახურებით (იხ. ცხრილი №M7).


**ცხრილი №M7: ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა სკოლამდელ დანესებულებაში ბავშვის ჩართვის ფინანსურ შესაძლებლობასთან მიმართებაში (პროცენტული მაჩვენებლები)**

როგორია თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა?	გაქვთ თუ არა ბავშვის საბავშვო ბაღში მიყვანის შესაძლებლობა ფინანსური თვალსაზრისით?		
	დიახ	არა	მიჭირს პ/გ
ძალიან მძიმე	3.8	6.5	20.9
მძიმე	5.7	16.0	6.6
ცუდი	46.7	52.6	43.7
საშუალო	42.8	24.9	28.7
საშუალოზე მაღალი	1.0	0	0



გამოკითხულთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ 7 წლამდე ასაკის ბავშვები სკოლამდელ განათლებას, ძირითადად, ქართულ ენაზე იღებენ. მხოლოდ 0.2%-ის ოჯახის წევრი იღებს აზერბაიჯანულ ენაზე სკოლამდელ განათლებას, რუსულ ენაზე კი - 6.4%. **აღნიშნული მაჩვენებლები ამყარებს თვისებრივი კვლევის მონაცემებს, რომლებშიც ქვემო ქართლის არაქართველმა მოსახლეობამ აღნიშნა, რომ ა) ბავშვები ქართულ საბავშო ბაღში დაჰყავს სახელმწიფო ენის უკეთ შესწავლის მიზნით; ბ) ქვემო ქართლის უმეტეს დასახლებებში ქართულენოვანი ბაღის გარდა სხვა არჩევანი არ არის** (იხ. გრაფიკი №M2).

გრაფიკი №M2: რომელ ენაზე იღებს ბავშვი სკოლამდელ განათლებას? (პროცენტული მაჩვენებლები)



### სასკოლო განათლება

განათლების ცენზის ზოგადი მაჩვენებლების დადგენისას, ერთმანეთს შევადარეთ მიმდინარე კვლევისა და 2011 წლის ივლის-აგვისტოში სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ UNICEF-ის დაკვეთით განხორციელებული კვლევის (Welfare Monitoring Survey) მონაცემები (აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს არ მოეპოვება შესაბამისი მონაცემები). აღნიშნული ორი კვლევის შედეგების შედარება ცხადყოფს, რომ მოსახლეობის მიერ განათლების მიღწეული დონე ქვემო ქართლსა და მთლიანად საქართველოში მსგავს ტენდენციებზე მიუთითებს (იხ. ცხრილი №M8). განსხვავებები შეინიშნება საშუალო და უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში: მთელ საქართველოში საშუალო განათლების მქონეთა ხვედრითი წილი უფრო ნაკლებია, ვიდრე ქვემო ქართლში. უმაღლესი განათლების შემთხვევაში კი საპირისპირო ტენდენციაა – უმაღლესი განათლების მქონეთა ხვედრითი წილი საქართველოს მასშტაბით აღემატება ქვემო ქართლში მიღებულ იგივე მაჩვენებელს. ამას გარდა, ქვემო ქართლში გამოვლინდა საშუალო და უმაღლესი განათლების მქონეთა მაჩვენებლებს შორის მნიშვნელოვანი განსვლა (დაახლ. 30%).

ცხრილი NPM8: განათლების მიღწეული დონე ქვემო ქართლის რეგიონსა და, ზოგადად, საქართველოში (პროცენტული მაჩვენებლები)

მიღწეული განათლების დონე	ქვემო ქართლის რეგიონში მოსახლეობის მიღწეული განათლების დონე <sup>21</sup>	საქართველოს მოსახლეობის მიღწეული განათლების დონე <sup>22</sup>
წერა-კითხვის უცოდინარი	1.5	0.6
არასრული საშუალო	9.8	8.9
სკოლის მოსწავლე	2.8	4.5
საშუალო	48.9	36.9
საშუალო პროფესიული (ტექნიკუმი, პროფტექნიკუმი)	13.7	19.1
არასრული უმაღლესი (შენწყვეტილი განათლება)	1.3	1.5
უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი	3.1	2.2
უმაღლესი	18.8	26.1

სასკოლო განათლების (დანყებიტი და საბაზო განათლება) მიღება – 9 კლასი – სავალდებულოა საქართველოს კონსტიტუციაში 2006 წლის 27 დეკემბერს (# 4135 – რს) შეტანილი ცვლილების თანახმად. როგორც გამოკითხვამ აჩვენა, ქვემო ქართლში სკოლამდელი განათლების მიღებასთან შედარებით, სასკოლო განათლებაში ჩართულობასთან მიმართებით უკეთესი მდგომარეობაა, თუმცა, აღნიშნული ფაქტი არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ რეგიონში ამ კუთხით პრობლემები არ არის (მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა 22.9% სწორედ პრობლემების არარსებობაზე მიუთითებს). საბავშვო ბაღების მსგავსად, სასკოლო განათლებასთან მიმართებით სახეზე გვაქვს სტრუქტურული და შინაარსობრივი პრობლემები, რომლებიც, თავის მხრივ, შესაძლოა განაპირობებდეს სწავლის სურვილის ნაკლებობას. კერძოდ:

- ✓ მატერიალური ფაქტორი – მშობლების უმრავლესობას არ შეუძლია შეიძინოს სასკოლო ნივთები შვილ(ებ)ისთვის;
- ✓ მნიშვნელოვანი ფაქტორია სწავლის არადაამაკმაყოფილებელი ხარისხი
- ✓ სკოლის სიშორე.

<sup>21</sup> ქვემო ქართლის მოსახლეობის მდგომარეობის შესწავლის კვლევა (2011)


<sup>22</sup> კეთილდღეობის მონიტორინგის კვლევა (UNICEF. 2011. Welfare Monitoring Survey)

აღნიშნული ფაქტორები, სასკოლო განათლებაში ჩართულობის კუთხით გავლენას ახდენს აზერბაიჯანელი ეროვნების მოსახლეობის შედარებით „პასიურობაზე“ (რაც ისედაც არსებობს, თუნდაც ენობრივი ბარიერის გამო).

რაც შეეხება სკოლაში არსებულ პირობებს, მიუხედავად უმცირესობათა საკითხების ეროვნული ცენტრის (European Centre for Minority Issues) მოხსენებაში აღნიშნული გარემოებისა, რომ რაიონების სკოლები (განსაკუთრებით არაქართული) სხვადასხვა პრობლემებით გამოირჩევა (სკოლის შენობების ცუდი მდგომარეობა, სასწავლო მასალისა და კომპიუტერული ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა და ა.შ.), კვლევის მონაცემების მიხედვით, რესპონდენტებისთვის დაბალი ფინანსური შესაძლებლობა და მანძილი იმდენად მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოადგენს, რომ სხვა ჩამოთვლილ პრობლემებს მცირე ხვედრითი წილი აქვს.

კვლევის შედეგების მიხედვით, შინამეურნეობათა აბსოლუტურ უმრავლესობაში სასკოლო ასაკის ოჯახის წევრები ჩართულნი არიან სასკოლო-საგანმანათლებლო პროგრამაში. მიუხედავად ამისა, არსებობს მოზარდთა გარკვეული კატეგორია (4.2%), რომელიც სკოლაში არ დადის (იხ. გრაფიკი №M3). რაიონების და ქალაქი/სოფლის ჭრილში არსებითი განსხვავებები ამ მიმართებაში არ გამოვლენილა.

**გრაფიკი №M3: სკოლის ასაკის მოზარდების ჩართულობა სასკოლო-საგანმანათლებლო პროგრამებში (პროცენტული მაჩვენებლები)**



სასკოლო-საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია გოგონების 96.2%, ხოლო ვაჟების 95.4%. (იხ. ცხრილი №M9). კვლევის თვისებრივ ეტაპზე ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ აზერბაიჯანულ ოჯახებში ხშირია გოგონების მიერ სკოლის მიტოვების შემთხვევები, რაც ძირითადად გამოწვეულია ადრეულ ასაკში დაქორწინებით. მიუხედავად იმისა, რომ პროპორციულად გოგონები ვაჟებზე უფრო მეტად არიან ჩართულნი სასკოლო საგანმანათლებლო პროცესში, სკოლაში ჩაურთველობის მიზეზების კვლევისას ჩანს, რომ მხოლოდ გოგონებთან გვხვდება

სასკოლო განათლების მიტოვება დაქორწინების გამო (გოგონებში სწავლის მიტოვების შემთხვევების 9.5%-ში ეს მიზეზი სახელდება). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გოგონების მიერ სკოლის მიტოვების შემთხვევების მესამედზე მეტში ოჯახები უარს აცხადებენ სასწავლო პროცესის მიტოვების მიზეზის ახსნაზე, რაც, სავარაუდოდ, კვლავ კულტურული ფონის გავლენით უნდა აიხსნას.

**ცხრილი №M9: სკოლის ასაკის მოზარდების ჩართულობა სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებში (პროცენტული მაჩვენებლები სქესის მიხედვით)**

	მდედრობითი	მამრობითი	საერთო
<b>დიახ</b>	96.2	95.4	95.8
<b>არა</b>	3.8	4.6	4.2

ეროვნების ჭრილში განხილვისას ჩანს, რომ აზერბაიჯანელები შედარებით ნაკლებად არიან ჩართულნი სასკოლო სწავლებაში, ქართველებთან და სომხებთან მიმართებით (იხ. ცხრილი №M10).

**ცხრილი №M10: სკოლის ასაკის მოზარდების ჩართულობა სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებში (პროცენტული მაჩვენებლები ეთნიკური ჭრილის მიხედვით)**

	ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი
<b>დიახ</b>	97.5	93.4	97.6
<b>არა</b>	2.5	6.6	2.4

რესპონდენტთა მესამედი არ ასახელებს მიზეზებს, რომელთა გამოც 7-18 წლის მოზარდები არ დადიან სკოლაში (33%) (იხ.ცხრილი №M11). პასუხის გაცემისაგან უარს, ძირითადად, ბოლნისსა და რუსთავში ამბობენ. სწავლის შეწყვეტის დასახელებულ მიზეზებს შორის ყველაზე ხშირად თავად მოზარდის არჩევანი ფიქსირდება (არ უნდოდა სწავლა და გამოვიდა – 18.2%). სწავლის შეწყვეტის შემდგომი გამოვლენილი მიზეზები ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა და საბუთების მოუნესრიგებლობაა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სიშორე ბარიერია სასკოლო განათლებაში ჩაურთველი შინამეურნეობების 7.7%-ისათვის. დასაქმების გამო სწავლა უმნიშვნელო რაოდენობამ მიატოვა. რაიონების მიხედვით გამოიკვეთა შემდეგი მიზეზები:

- ✓ მარნეულში თანაბარი ხვედრითი წილი აქვს (27.4%) სწავლის სურვილის არქონას და ავადმყოფობას;
- ✓ ბოლნისში ქვემო ქართლის ყველა სხვა რაიონთან შედარებით მაღალი ხვედრითი წილი აქვს ავადმყოფობას( 66.7%);
- ✓ დმანისში სასკოლო განათლებაში ჩაურთველობის ძირითადი მიზეზია სკოლის სიშორე (51.7%), თანაბარი ხვედრითი წილი აქვს სამ ფაქტორს - სწავლის სურვილის არქონას,

სასწავლო ნივთების შეძენის დაბალ შესაძლებლობას და დაოჯახების გამო სწავლის მიტოვებას (11.5%). 8.2%-ით გამოიკვეთა ავადმყოფობა.

- ✓ თეთრინყაროში 26.7%-ს არ სურდა სწავლა. 6.7%-სთვის კი პრობლემას მანძილი წარმოადგენს.
- ✓ წალკაში სწავლის შეწყვეტის ერთადერთი მიზეზი სურვილის არქონაა (100%).

ცხრილი №M11: თუ სასკოლო ასაკის ოჯახის წევრი არ არის ჩართული სასკოლო განათლებაში, რა არის ამის მიზეზი? (პროცენტული მაჩვენებლები რაიონულ ტერიტორიაში)

	რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა	გარდაბანი	ჯამი
არ უნდოდა სწავლა და გამოვიდა	16.7	27.4		11.5	26.7	100	15.4	18.2
იძულებული იყო ემუშავა				5.7				0.6
სკოლა არ არის ახლოს				51.7	6.7		5.3	7.7
დაოჯახების გამო მიატოვა სწავლა		9.0		11.5	6.7			3.9
არა გვაქვს სასკოლო ნივთების ყიდვის საშუალება		9.0		11.5	6.7		5.3	5.6
ეუფლება ხელობას	16.7				6.7			3.3
ავადმყოფობს		27.4	33.3	8.2				9.7
სასკოლო განათლების მიღება საჭირო არ არის							15.9	5.1
საბუთები არა აქვს წესრიგში		18.1			33.3		5.3	9.2
უარი პასუხზე	66.7		66.7		13.3		47.6	33.0
მიჭირს პასუხის გაცემა							5.3	1.7

### სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები

როგორც გამოკითხვამ აჩვენა, სასკოლო განათლებასთან მიმართებით პრობლემები არ გააჩნია რესპონდენტთა მეხუთედზე ოდნავ მეტს (26%).

დასახელებულ პრობლემებს შორის გამოკვეთილია სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო ნივთების შეძენის პრობლემა (49.7%), რაც კორელაციაშია არასაკმარის თინანსებთან. დანარჩენ პრობლემებს მცირე ხვედრითი წილი აქვს. რაიონულ ტერიტორიაში პროპორციულად, დაახლოებით, მსგავსი შედეგები დაფიქსირდა, თუმცა, მცირეოდენი განსხვავებებით: თეთრინყაროს რაიონში შედარებით მაღალი ხვედრითი წილი აქვს სკოლის სიშორის პრობლემას (17.4%), წალკის რაიონში სკოლის შენობის ცუდ მდგომარეობას (10.3%), ხოლო დმანისში, გარდაბანსა და რუსთავში შედარებით მეტი რესპონდენტი მუთითებს, რომ სასკოლო განათლებასთან დაკავშირებით პრობლემები არ აქვს (იხ.ცხრილი №M12).

ცხრილი №M12: რა პრობლემებს გამოყოფდით საკოლო განათლებასთან დაკავშირებით?  
(პროცენტული მაჩვენებლები რაიონული ჭრილის მიხედვით)

	რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	ნალკა	გარდაბანი	საერთო
სკოლა ძალიან შორსაა	2.1	1.9	3.7	11.3	17.4	6.7	9.9	5.6
სკოლის შენობა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია	0.0	3.1	0.6	3.5	2.4	10.3	2.0	2.4
სწავლების ხარისხი არააღმაკმაყოფილებელია	9.3	7.8	3.1	3.1	3.6	7.2	3.4	6.1
გვიჭირს სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო ნივთების შექმნა	50.0	48.9	62.2	33.4	55.7	54.3	42.1	49.7
ქართული ენის შესწავლა არ არის სათანადო დონეზე	0.0	9.7	2.5	1.4	1.2	1.8	0.9	3.5
უმცირესობათა ენაზე თარგმნილი სახელმძღვანელოები არ არის	0.0	0.8	1.9	1.4	0.0	0.4	0.0	0.6
საკოლო განათლებასთან დაკავშირებით პრობლემები არა გვაქვს	31.4	11.3	21.2	37.7	18.6	12.6	34.2	22.9
სხვა პრობლემა	4.3	0.8	0.6	1.4	0.0	0.4	1.5	1.6
უარი პასუხზე	0.0	0.0	0.6	1.0	0.0	0.0	0.0	0.1
მიჭირს პასუხის გაცემა	2.9	15.8	3.7	5.9	1.2	6.1	6.0	7.5

**უმაღლესი განათლება**

უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია მხოლოდ სრული ზოგადი განათლების მქონე პირთათვის. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ყოველწლიურად დაახლოებით 60000 სტუდენტი ასრულებს, ხოლო მათგან უმაღლეს სასწავლებლებში დაახლოებით 30% აგრძელებს სწავლას. ამიტომ, მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების სისტემაში ჩართულობის საკითხიც.

კვლევის მონაცემები მიუთითებს იმ ძირითად ბარიერებზე, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს უმაღლეს განათლების ხელისაწვდომობასთან მიმართებით და, ამასთან, წარმოგვიდგება, როგორც ყველა შემდგომ დასახელებული პრობლემის საფუძველი. კერძოდ, საკითხი ეხება ოჯახის ფინანსურ შესაძლებლობას.

ანალიზისას გამოვლინდა, რომ:

- ✓ უმაღლეს განათლებას რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა იღებს/მიიღო საქართველოს ფარგლებში (კერძოდ თბილისში);



- ✓ თინანსურ პრობლემებთანაა კორელაციაში სასწავლებლის სიშორე (მგზავრობის თანხის საჭიროება), სასწავლებლის გადასახადი, ტრანსპორტის ხარჯები;
- ✓ რაც შეეხება სწავლის სურვილის არქონას – გარდა იმისა, რომ არასაკმარისი თინანსები აფერხებს სწავლის სურვილს, ამ შემთხვევაში ჩართულია ენობრივი ბარიერის პრობლემა და კულტურული თავისებურებები, რაც პირველ რიგში არაქართულ მოსახლეობას უბიძგებს ნაკლებად იყოს ინტეგრირებული ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ 18 – 45 წლის<sup>23</sup>, უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტებს, ძირითადად, თბილისში აქვთ მიღებული განათლება და მათი განათლების მიღწეული ღონე ბაკალავრიატსა და მაგისტრატურას/5 წლიან უმაღლეს განათლებას შორის თითქმის თანაბრად ნაწილდება (იხ. ცხრილი №M13).

**ცხრილი №M13: უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების განაწილება სწავლების საფეხურის და უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტის მდებარეობის მიხედვით (პროცენტული მაჩვენებლები)**

<b>უმაღლესი განათლების მიღწეული დონე</b>	ბაკალავრიატი	49.2
	მაგისტრატურა/ 5 წლიანი უმაღლესი განათლება	50.8
<b>სად, რომელ ქვეყანაში სწავლობთ/სწავლობდით?</b>	ქვემო ქართლის რეგიონში	2.9
	თბილისში	93.0
	საქართველოს სხვა რეგიონში	1.6
	აზერბაიჯანში	0.8
	სომხეთში	0.8
	თურქეთში	0.8

სწავლების ორივე საფეხურზე სწავლების ხარისხთან მიმართებით კმაყოფილების ხარისხი მაღალია. უმეტესობა აღნიშნავს, რომ მიიღო ხარისხიანი უმაღლესი განათლება (იხ. ცხრილი №M14).

**ცხრილი №M14: უმაღლესი განათლების ორივე საფეხურზე მიღებული განათლების ხარისხის შეფასება (პროცენტული მაჩვენებლები)**

<b>რამდენად კმაყოფილი ხართ ბაკალავრიატში მიღებული ცოდნით?</b>	მივიღე ხარისხიანი უმაღლესი განათლება	20.4
	მივიღე მეტ-ნაკლებად ხარისხიანი უმაღლესი განათლება	78.1
	მივიღე უხარისხო უმაღლესი განათლება	0.2
	მიჭირს პასუხის გაცემა	1.2
<b>რამდენად კმაყოფილი ხართ მაგისტრატურაში/ 5</b>	მივიღე ხარისხიანი უმაღლესი განათლება	36.6
	მივიღე მეტ-ნაკლებად ხარისხიანი უმაღლესი განათლება	40.9

<sup>23</sup> 18–45 წლის ასაკობრივი ჯგუფის გამოყოფა საერთო შერჩევიდან მოხდა იმ პრინციპის საფუძველზე, რომ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობის ზედა ზღვარი არის 45 წელი.

წლიან უმაღლესში მიღებული ცოდნით?	მივიღე უხარისხო უმაღლესი განათლება	11.1
----------------------------------	------------------------------------	------

რესპონდენტთა დიდ უმრავლესობას (86.8%) უმაღლესი განათლების მქონე 18 – 45 წლის ოჯახის წევრები არ ჰყავს, ხოლო რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას (93.3%) არ ჰყავს სტუდენტ(ებ)ი ოჯახის წევრი. აღნიშნული ფაქტის მიზეზებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი აქვს უმაღლესი განათლების მიღების სურვილის არქონას – 29.3% (იხ. ცხრილი №M15). ამას გარდა, საბაღე და სასკოლო ასაკის ოჯახის წევრების მსგავსად, გამოიკვეთა არასაკმარისი თინანსები (11.9%) და ისეთი ობიექტური გარემოება, როგორცაა უკვე მიღებული უმაღლესი განათლება (18.8%).

რაიონების ჭრილში ანალიზისას გამოვლინდა, რომ:

- ✓ სწავლის სურვილის არქონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მარნეულშია - 52.4%; დაახლოებით თანაბარია წალკისა და გარდაბანის რაიონების ხვედრითი წილი (32-33%)
- ✓ სწავლის საფასურის ვერ გადახდა ყველაზე მეტად აღინიშნა ბოლნისსა (25.9%) და დმანისში (24.9%).

**ცხრილი №M15: რა არის მიზეზი, რომ არ სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში?**

	რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა	გარდაბანი	საერთო
არ აქვს შესაფერისი ასაკი	4.7	11.9	4.2	6.3	17.6	22.5	4.0	8.2
დაბალი შეფასება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე	0.2	0.5	0.0	0.2	0.7	0.7	0.4	0.4
ქართული ენის არასათანადო ცოდნა	0.0	0.8	2.0	4.9	0.0	1.4	0.3	0.8
სწავლის საფასურს ვერ გადახდა	7.3	7.1	25.9	24.9	12.7	12.3	11.6	11.9
თანხის არქონა (რეპეტიტორისთვის)	5.0	2.3	1.9	2.2	5.3	0.9	3.4	3.3
თანხის არქონა (საცხოვრებლის, ტრანსპორტის ხარჯები)	2.8	0.7	3.3	3.4	10.5	0.4	4.4	3.0
დროის არქონა	2.4	1.4	6.3	5.3	6.5	2.9	0.7	2.7
სურვილის არქონა	12.6	52.4	23.4	4.9	16.2	32.0	33.2	29.3
არ არის საჭირო უმაღლესი განათლების მიღება	0.7	0.7	1.5	0.2	0.2	1.2	1.3	0.9
ეუფლება ხელობას/ პროფესიას	3.6	0.9	0.2	0.7	4.7	0.2	11.2	3.8
სასწავლებლიდან გარიცხეს თანხის გადაუხდელობის გამო	0.7	0.0	0.2	0.0	1.5	0.3	0.4	0.4
წელს აბარებს	1.6		0.6	0.2	1.1	0.5	0.9	0.8
უკვე დამთავრებული აქვს უმაღლესი სასწავლებელი	39.4	9.3	17.8	8.6	15.8	11.3	11.1	18.8
ჯარშია	1.7	0.0	0.7	0.0	0.9	0.0	3.2	1.3
ავადმყოფობის გამო	0.0	2.5	0.0	0.0	0.0	0.2	0.0	0.6
დაოჯახდა	0.0	0.4	0.4	0.0	0.0	0.0	4.5	1.1
ემზადება სწავლის გასაგრძელებლად	0.0	0.1	0.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.1

დიასახლისია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	2.0	0.4
სწავლაზე უარი თქვა	0.0	0.0	0.2	0.2	0.0	0.0	0.0	0.0
მიჭირს პასუხის გაცემა	17.3	9.0	11.5	37.8	6.2	13.2	7.4	12.3

რესპონდენტების მგავსად, მათი ოჯახის წევრებზე განათლებას, ძირითადად, დედაქალაქში (82.7%) იღებენ/იღებდნენ, თუმცა, აღსანიშნავია ქვემო ქართლის რეგიონის ხვედრითი წილი – 2.9%. საქართველოს სხვა რეგიონში (დედაქალაქის გარდა) განათლებას იღებს შინამეურნეობის სტუდენტთა 2.7%. ეთნიკური უმცირესობებისათვის ეთნიკური წარმოშობის ქვეყანა იშვიათად, თუმცა, მაინც გვევლინება განათლების მიღების ადგილად (სტუდენტების 1.2% უმაღლეს განათლებას იღებს აზერბაიჯანში, 1.9% – სომხეთში, ხოლო 1.7% – რუსეთში). რუსეთის არჩევა განათლების მიღების ადგილად, ძირითადად, ენობრივი ფაქტორითა და შრომითი მიგრაციით არის განპირობებული.

ქალაქი/სოფლის მიხედვით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოვლენილა. რაიონების ჭრილში აღმოჩნდა, რომ წალკასა (27.9%) და გარდაბანში (5.1%) რესპონდენტთა ნაწილი უმაღლეს განათლებას სომხეთში იღებს, ხოლო აზერბაიჯანსა და რუსეთში განათლების მიღებათა ხვედრითი წილი უმნიშვნელოა და ვარირებს 2-დან 5%-მდე.

**უმაღლეს სასწავლებელში სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები.** რესპონდენტთა ან მათი ოჯახის წევრთა დიდ უმრავლესობას (რომელიც შედის 18–45 წლის ასაკობრივ ჯგუფში და უმაღლეს განათლებას იღებს/უკვე მიღებული აქვს) უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებით პრობლემები არ შექმნია (86.6%). სხვა შემთხვევების მგავსად, ამჯერადაც უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემა ფინანსებია (82.8%) (იხ. ცხრილი №M16). თეთრიწყაროსა (20%) და წალკის (32.8%) რაიონებში პრობლემას წარმოადგენს, ასევე, სასწავლებლის სიშორე.

**ცხრილი №M16: რა სახის პრობლემები შეგექმნათ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს უმაღლეს სასწავლებელში სწავლასთან დაკავშირებით (პროცენტული მაჩვენებლები იმ რესპონდენტებისა (ანუ 13.4%), რომლებიც მიუთითებენ უმაღლეს განათლებასთან არსებულ პრობლემებზე).**

სწავლების არაღმა კმაყოფილებელი დონე	5.6
სასწავლებლის სიძვირე (გადასახადი)	82.8
სასწავლებლის სიშორე	3.2
საცხოვრებლის/ტრანსპორტის ხარჯები	3.9
მიჭირს პ/გ	4.5

**განათლება: ეთნიკური უმცირესობების განწყობები და მათ მიმართ დამოკიდებულება**


ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უმრავლესობა (60.6%) კმაყოფილია სასწავლო დანესებულებაში ქართული ენის შესწავლის დონით (იხ. ცხრილი №M17). ძალზე კმაყოფილთა ხვედრითი წილი შეადგენს 21.9%-ს. საინტერესოა, რომ 12%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. რაიონულ, ქალაქი/სოფლის ჭრილში მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა.

ცხრილი №M17: რამდენად კმაყოფილი ხართ იმ სასწავლო დაწესებულებაში არსებული ქართული ენის შესწავლის დონით, რომელშიც თქვენი ოჯახის წევრი სწავლობს? (პროცენტული მაჩვენებლები)

ძალზე კმაყოფილი ვარ, ჩემი ოჯახის წევრი საფუძვლიანად შეისწავლის	21.9
მეტ-ნაკლებად კმაყოფილი ვარ, თუმცა მიღებული ცოდნა არ არის საკმარისი	38.7
უკმაყოფილო ვარ, სახელმწიფო ენის სწავლების დონე ძალზე არაადაამაკმაყოფილებელია	12.3
მიჭირს პასუხის გაცემა	27.1

რესპონდენტთა გამოკვეთილ უმრავლესობას (65.2%) არაფერი სმენია საქართველოს მთავრობის ინიციატივის შესახებ, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ეროვნულ უმცირესობებს შეღავათიანი პირობებით ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებლებში. დაახლოებით მესამედი აღნიშნავს, რომ ამგვარი ინიციატივის შესახებ სმენია. აღნიშნულ ინიციატივას რესპონდენტთა 73.1% პოზიტიურად აფასებს (მათგან ცალსახად დადებითად შემფასებელთა ხვედრითი წილი საგრძნობლად მაღალია – 62.3%). ნეიტრალური (დაახლ 13-14%) და უარყოფითი (დაახლ. 7-10%) შეფასებების ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი დაფიქსირდა თეთრიწყაროსა და გარდაბანში. 10.3%-ია ცალსახად უარყოფითად შემფასებელთა ხვედრითი წილი რუსთავში. ზოგადად აღნიშნული ინიციატივის შეფასების პროცენტული მაჩვენებლები ასახულია გრაფიკზე №M4.

გრაფიკი №M4: როგორ შეაფასებდით საქართველოს მთავრობის ინიციატივას, მისცენ ეროვნულ უმცირესობებს შესაძლებლობა შეღავათიანი პირობებით ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებლებში? (პროცენტული მაჩვენებლები რაიონულ ჭრილში)



ეროვნულ ჭრილში ანალიზისას იგივე ტენდენცია დაფიქსირდა – თითოეული ეთნიკური ჯგუფის შიგნით აღნიშნული პროგრამის შესახებ ინფორმირებულთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია არაინფორმირებულთა რაოდენობაზე, თუმცა, პროპორციულად ყველაზე მნიშვნელოვანი განსვლა აზერბაიჯანელ რესპონდენტებთან აღინიშნა. ხელისუფლების ინიციატივის შეფასების საშუალო მაჩვენებლების მიხედვით, ინიციატივა ყველაზე დადებითად აზერბაიჯანელების, ხოლო შემდგომ – სომხების მიერ ფასდება.

მიუხედავად იმისა, რომ არცთუ მცირეა იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებსაც სმენიანთ ეროვნული უმცირესობებისთვის შეღავათიანი პირობებით უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ, აღნიშნული პირობებით ძალზე ცოტას უსარგებლია (იხ. ცხრილი №M18).

**ცხრილი №M18: უსარგებლია თუ არა თქვენი ოჯახის წევრს უმაღლეს სასწავლებლებში შეღავათიანი პირობებით ჩარიცხვის შესაძლებლობით? (რაოდენობები და პროცენტული მაჩვენებლები)**

	პროცენტული მაჩვენებელი	რაოდენობა
უსარგებლია/სარგებლობს	3.3	12
არ უსარგებლია	91.8	308
მიჭირს პასუხის გაცემა	4.9	17
<b>ჯამი</b>		<b>337</b>

რესპონდენტების დიდი უმრავლესობა თვლის, რომ საქართველოში მცხოვრებმა ეროვნული უმცირესობების ბავშვებმა განათლება ყველა დონეზე (სკოლამდელი/სასკოლო/პროფესიული/უმაღლესი) ქართულ ენაზე უნდა მიიღონ (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ცხრილი №M19). ამასთან, ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი სასკოლო განათლების ქართულ ენაზე მიღებას აქვს - 91.1%, რაც სავარაუდოდ განპირობებულია სახელმწიფოს ცხოვრებაში ინტეგრირების სურვილით, რომელიც ენობრივი ბარიერის მოხსნის გარეშე რთულად მოსაგვარებელია.

**ცხრილი №M19: როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა, რომ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ბავშვებმა სკოლამდელი/სასკოლო/პროფესიული/უმაღლესი განათლება ქართულ ენაზე მიიღონ? (პროცენტული მაჩვენებლები)**

	საჭიროა	84.4
	არ არის საჭირო	5.8
სკოლამდელი განათლება	მიჭირს პ/გ	9.8
	საჭიროა	91.1
	არ არის საჭირო	1.8
სასკოლო განათლება	მიჭირს პ/გ	7.1
	საჭიროა	86.0
	არ არის საჭირო	1.8
პროფესიული განათლება	მიჭირს პ/გ	12.2
	საჭიროა	86.2
	არ არის საჭირო	1.8

	მიჭირს პ/გ	12.1
--	------------	------

თუ შევადარებთ აღნიშნულ პასუხებს ეროვნების მიხედვით, ვნახავთ, რომ ყველა ეროვნების რესპონდენტთა ჯგუფებში ხაზგასმულია ქართულ ენაზე განათლების მიღების საჭიროება. ყველაზე ცალსახა პოზიცია ამ თვალსაზრისით ქართველებს აქვთ. საინტერესოა, რომ აზერბაიჯანელებთან შედარებით, პროპორციულად უფრო მეტი სომეხი ეროვნების მოქალაქე თვლის, რომ ეროვნული უმცირესობის ბავშვებმა განათლება (ყველა დონეზე) ქართულ ენაზე უნდა მიიღონ (იხ. ცხრილი №M20).

**ცხრილი №M20: როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა, რომ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ბავშვებმა სკოლამდელი/სასკოლო/პროფესიული/უმაღლესი განათლება ქართულ ენაზე მიიღონ? (პროცენტული მაჩვენებლები ეთნიკურ ჯგუფში)**

		ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი
<b>სკოლამდელი განათლება</b>	საჭიროა	94.9	67.3	84.0
	არ არის საჭირო	2.1	12.1	5.1
	მ/პ გაცემა	3.0	20.6	10.9
<b>სასკოლო განათლება</b>	საჭიროა	95.3	83.8	93.9
	არ არის საჭირო	1.7	2.1	2.1
	მ/პ გაცემა	3.0	14.0	3.9
<b>პროფესიული განათლება</b>	საჭიროა	95.1	71.9	81.7
	არ არის საჭირო	1.8	2.0	1.5
	მ/პ გაცემა	3.1	26.1	16.8
<b>უმაღლესი განათლება</b>	საჭიროა	95.2	72.1	81.2
	არ არის საჭირო	1.8	1.9	1.0
	მ/პ გაცემა	3.0	26.0	17.8

**თანაბარია თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ პირობები ქართველი და არაქართველი მოსწავლეებისთვის/სტუდენტებისთვის?** გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე, პირველ რიგში, თვალში საცემია არაინფორმირებულობის მაღალი ხვედრითი წილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, ოთხივე საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მიმართებით თითქმის ყოველი მეორე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ქართველებიც და არაქართველებიც თანაბარ პირობებში იმყოფებიან (იხ. ცხრილი №M21). ეთნიკურ ჯგუფში მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა.



ცხრილი №M21: იმყოფებიან თუ არა თქვენი რაიონის/ქალაქის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართველები და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები თანაბარ პირობებში? (პროცენტული მაჩვენებლები)

	სკოლამდელ დაწესებულებაში	სკოლაში	პროფესიულ სასწავლებელში	უმაღლეს სასწავლებელში
დიახ, თანაბარ მდგომარეობაში არიან	49.9	54.5	49.4	49.8
არა, ქართველების მდგომარეობა უკეთესია	2.3	2.4	2.3	2.4
არა, არაქართველების მდგომარეობა უკეთესია	3.1	3.1	3.1	3.1
არ მაქვს ინფორმაცია	27.1	23.3	26.4	26.2
მ/პ გაცემა	17.6	16.7	18.8	18.6

რესპონდენტთა იმ მცირე რაოდენობას, რომელმაც მიუთითა ქართველებსა და არაქართველებს შორის არსებულ არათანაბარ მდგომარეობაზე, უნდა დაესახელებინა, **კონკრეტულად რაში გამოიხატება არათანაბარ პირობებში ჩაყენება და რომელ სასწავლო დაწესებულებაში აქვს ადგილი ამგვარ ფაქტებს**. უნდა ითქვას, რომ გამოკითხულთა ამ მცირერიცხოვან ჯგუფში ძალზე მაღალია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომლებსაც გაუჭირდათ პასუხის გაცემა. გამოიკვეთა პრობლემური დამოკიდებულება იმ ფაქტთან, რომ საბავშვო ბაღში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს უმცირესობათა ენაზე (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ცხრილი №M22).

ცხრილი №M22: ქართველებსა და ეროვნულ უმცირესობათა შორის არათანაბარ პირობებში ყოფნა გამოიხატება... (პროცენტული მაჩვენებლები)

სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს მშობლიურ ენაზე	სკოლამდელ დაწესებულებაში	15.2
	სკოლაში	5.6
	უმაღლეს სასწავლებელში	2.6
	მპ/ გაცემა	76.6
პედაგოგთა მიერ ხდება ეთნიკური ნიშნით მოსწავლეთა/სტუდენტთა გარჩევა	სკოლამდელ დაწესებულებაში	7.5
	სკოლაში	7.2
	პროფესიულ სასწავლებელში	1.5
	უმაღლეს სასწავლებელში	2.4
	მპ/ გაცემა	81.5
მშობლიურ ენაზე სასწავლო ლიტერატურა არ არსებობს/არასაკმარისია	სკოლამდელ დაწესებულებაში	4.3
	სკოლაში	8.5
	პროფესიულ სასწავლებელში	1.6
	უმაღლეს სასწავლებელში	3.4
	მპ/ გაცემა	82.2
ადრეულ ასაკში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს არ აქვთ საშუალება შეისწავლონ ქართული	სკოლამდელ დაწესებულებაში	5.3
	სკოლაში	3.7
	პროფესიულ სასწავლებელში	2.4
	უმაღლეს სასწავლებელში	1.7
	მპ/ გაცემა	86.8
მოსწავლეთა/სტუდენტთა მიერ ხდება ეთნიკური ნიშნით სხვა მოსწავლეთა/სტუდენტთა მიმართ ძალადობა	სკოლამდელ დაწესებულებაში	4.5
	სკოლაში	3.2
	პროფესიულ სასწავლებელში	2.5
	უმაღლეს სასწავლებელში	2.4
	მპ/ გაცემა	87.4

რესპონდენტებს უნდა ეპასუხათ შეკითხვაზე: *ერთი და იგივე შესაძლებლობის მქონე ვაჟისა და ქალიშვილის ყოლის შეთხვევაში, ჩამოთვლილ საგანმანათლებლო დაწესებულებებში რომლის ჩართვას შეუნწყობდნენ ხელს?*

როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტები, ძირითადად, მომხრენი არიან ქალი და ვაჟი თანაბრად იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესის ყველა საფეხურზე. თუმცა, თუ პროცენტულად შევადარებთ ვაჟებისა და გოგონების ხვედრით წილს, ვაჟების მაჩვენებელი აღემატება გოგონებისას, განსაკუთრებით, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების შემთხვევაში (იხ. ცხრილი №M23).

ცხრილი №M23: ერთი და იგივე შესაძლებლობების მქონე ვაჟისა და ქალიშვილის ყოლის შემთხვევაში, სკოლამდელ/სასკოლო/პროფესიულ/უმაღლეს სასწავლებლებში, რომლის ჩართვას შეუწყობდით ხელს? (პროცენტული მაჩვენებლები)

სკოლამდელ დანესებულებაში	ვაჟს	3.1
	გოგონას	1.7
	ორივეს თანაბრად	91.4
	უარი პასუხზე	0.4
	მ/პ გაცემა	3.3
სკოლაში	ვაჟს	3.8
	გოგონას	1.5
	ორივეს თანაბრად	91.8
	უარი პასუხზე	0.3
	მ/პ გაცემა	2.6
პროფესიულ სასწავლებელში	ვაჟს	7.8
	გოგონას	0.8
	ორივეს თანაბრად	87.3
	უარი პასუხზე	0.6
	მ/პ გაცემა	3.5
უმაღლეს სასწავლებელში	ვაჟს	8.2
	გოგონას	1.0
	ორივეს თანაბრად	87.5
	უარი პასუხზე	0.4
	მ/პ გაცემა	2.9

საინტერესოა, რომ რაიონულ ჭრილში სკოლასთან მიმართებაში გამოიკვეთა დმანისის რაიონი, სადაც 11.8% ვაჟების უპირატესობაზე მიუთითებდა, ხოლო უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით საგრძნობლად გამოიკვეთა ვაჟების უპირატესობა კვლავ დმანისში - 41.8% და აგრეთვე გარდაბანში - 16.5%. პროფესიულ და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით ეროვნების ჭრილში შედარებით გამოიკვეთა აზერბაიჯანული მოსახლეობა, რომელიც ამ მიმართებაში უპირატესობას ვაჟებს ანიჭებს.

**ინფორმირებულობა და ხელმისაწვდომობა სხვადასხვა პროგრამებსა და საგანმანათლებლო-კულტურულ დანესებულებებზე**

კვლევის პროცესში ვარკვევდით ქვემო ქართლის მოსახლეობის ინფორმირებულობის დონეს ამა თუ იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ, სმენიათ თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი პროგრამების შესახებ:

- ✓ ინგლისური ენის სწავლის გაძლიერებული პროგრამა
- ✓ შშმ ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩართვის პროგრამა
- ✓ ეროვნულ უმცირესობათა ენების სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროგრამა
- ✓ განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა

- ✓ სტუდენტთა დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში
- ✓ პროფესიული განათლება დასაქმებისთვის

როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობას აღნიშნული პროგრამების შესახებ ინფორმაცია არ აქვს (იხ. ცხრილი №M25). შედარებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს ინგლისური ენის სწავლის გაძლიერებულ პროგრამას 40.7%. ამას გარდა, ანალიზმა აჩვენა, რომ ყველა პროგრამის შესახებ სმენია 9%-ს, ხოლო არც ერთი პროგრამის შესახებ არ სმენია 52.5%-ს.

**ცხრილი №M25: გსმენიათ თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი პროგრამების შესახებ? (პროცენტული მაჩვენებლები)**

ინგლისური ენის სწავლის გაძლიერების პროგრამა	მსმენია	40.7
	არ მსმენია	59.3
შპმ ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩართვის პროგრამა	მსმენია	20.7
	არ მსმენია	79.3
ეროვნულ უმცირესობათა ენების სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროგრამა	მსმენია	17.9
	არ მსმენია	82.1
განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა	მსმენია	23.7
	არ მსმენია	76.3
სტუდენტთა დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში	მსმენია	18.0
	არ მსმენია	82.0
პროფესიული განათლება დასაქმებისთვის	მსმენია	22.5
	არ მსმენია	77.5

იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებსაც აღნიშნული ექვსი პროგრამიდან ყველას შესახებ ჰქონდა ინფორმაცია, 9%-ია; არც ერთი პროგრამის შესახებ არ სმენია ქვემო ქართლის მოსახლეობის ნახევარზე მეტს (52.5%).

იმ ჯგუფის რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე პროგრამის შესახებ მაინც სმენია, არ სარგებლობს აღნიშნული პროგრამით; ძირითად მიზეზად კი სურვილის არქონას ასახელებს (ყველა პროგრამასთან მიმართებაში მაჩვენებლები ვარიირებს 18-26%-ის ფარგლებში); საერთო ჯამში, არც ერთი პროგრამით არ სარგებლობს 91.4%; ინგლისური ენის სწავლის გაძლიერების პროგრამაში ჩაურთველობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სახელდება არასაკმარისი ფინანსები (24.3%), იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული პროგრამა უფასოა (იხ. ცხრილი №M26).

მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა რაიონების მიხედვით.

ცხრილი №M26: გისარგებლიათ/სარგებლობთ თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი პროგრამებით (პროცენტული მაჩვენებლები)

ინგლისური ენის სწავლის გაძლიერების პროგრამა	ვისარგებლობ	5.0
	არ ვისარგებლობ	95.0
შშმ ბავშვებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩართვის პროგრამა	ვისარგებლობ	1.6
	არ ვისარგებლობ	98.4
სახელმწიფო სკოლებში ეროვნულ უმცირესობათა ენების სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროგრამა	ვისარგებლობ	2.4
	არ ვისარგებლობ	97.6
განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა	ვისარგებლობ	3.8
	არ ვისარგებლობ	96.2
სტუდენტთა დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში	ვისარგებლობ	0.2
	არ ვისარგებლობ	99.8
სახელმწიფო პროგრამა: „პროფესიული განათლება დასაქმებისთვის“	ვისარგებლობ	0.8
	არ ვისარგებლობ	99.2

ამა თუ იმ პროგრამით არ სარგებლობის ძირითად მიზეზებად რესპონდენტებმა დაასახელეს 1. სურვილის არქონა („არ გვაქვს სურვილი/არ გვჭირდება“ –ს მაჩვენებელი თითოეული პროგრამისთვის ვარიანტებს დაახლ. 21 – 51%-ის ფარგლებში) და 2. შეუსაბამო ასაკი („ხელს არ გვიწყობს ასაკი“ –ს მაჩვენებელი ვარიანტებს 10–27%-ის ფარგლებში).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ რესპონდენტთა მცირე რაოდენობა მიუთითებს არაინფორმირებულობის შესახებ თითოეულ პროგრამასთან მიმართებაში (მაჩვენებელი ვარიანტებს დაახლ. 7–11%-ის ფარგლებში). კიდევ უფრო მცირეა იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომლებიც ამა თუ იმ პროგრამაში ჩაურთველობის ძირითად მიზეზად ფინანსებს ასახელებენ (მაჩვენებელი ვარიანტებს დაახლ. 3–7 %-ის ფარგლებში). ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ინგლისური ენის გაძლიერების პროგრამა, რომელშიც რესპონდენტებმა არასაკმარისი ფინანსების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მიუთითეს (28.4%). ეთნიკურ ჯგუფში გამოვლინდა, რომ აზერბაიჯანელები შედარებით უფრო მეტად მიუთითებენ არაინფორმირებულობაზე, ხოლო ქართველები – სურვილის არქონაზე (ქართველების ხვედრითი წილი ამ მიმართებაში მნიშვნელოვნად სჭარბობს აზერბაიჯანელებისა და სომხების ხვედრით წილს). როგორც ჩანს, „პასიურობა“, სახელმწიფოს ცხოვრებაში ინტეგრირების ნაკლები სურვილი, ზოგადად, რეგიონისა და არა მხოლოდ არაქართული მოსახლეობის პრობლემაა. (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ცხრილი №M27).

ცხრილი №M27: რატომ არ გისარგებლიათ აღნიშნული პროგრამით (პროცენტული მაჩვენებლები)

ინგლისური ენის სწავლის გაძლიერების პროგრამა	არ გვაქვს ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის შესახებ	11
	დროულად ვერ მოვიპოვე ინფორმაცია აღნიშნულ პროგრამაში ჩასართავად	3.7
	არ გვაქვს საკმარისი ფინანსები	28.4
	პროგრამაში მონაწილეობისათვის პრობლემას გვიქმნის მანძილი	3.4
	პროგრამაში მონაწილეობისათვის არ გვაქვს დრო	7.6
	არ გვაქვს სურვილი/არ გვჭირდება	21.3
	ხელს არ გვინცობს ასაკი	17.8
	მიჭირს პასუხის გაცემა	6.8
შპმ ბავშვებისათვის ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებში ჩართვის პროგრამა	არ გვაქვს ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის შესახებ	8.3
	დროულად ვერ მოვიპოვე ინფორმაცია აღნიშნულ პროგრამაში ჩასართავად	2.5
	არ გვაქვს საკმარისი ფინანსები	5.4
	პროგრამაში მონაწილეობისათვის პრობლემას გვიქმნის მანძილი	3.6
	პროგრამაში მონაწილეობისათვის არ გვაქვს დრო	1.6
	არ გვაქვს სურვილი/არ გვჭირდება	51
	ხელს არ გვინცობს ასაკი	10.1
	უარი პასუხზე	17.5
მიჭირს პასუხის გაცემა	8.3	
სახელმწიფო სკოლებში ეროვნულ უმცირესობათა ენების სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროგრამა	არ გვაქვს ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის შესახებ	8
	დროულად ვერ მოვიპოვე ინფორმაცია აღნიშნულ პროგრამაში ჩასართავად	1.9
	არ გვაქვს საკმარისი ფინანსები	3
	პროგრამაში მონაწილეობისათვის პრობლემას გვიქმნის მანძილი	3.7
	პროგრამაში მონაწილეობისათვის არ გვაქვს დრო	3.7
	არ გვაქვს სურვილი/არ გვჭირდება	48.7
	ხელს არ გვინცობს ასაკი	13.9
	მიჭირს პასუხის გაცემა	17.1
განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა	არ გვაქვს ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის შესახებ	8.1
	დროულად ვერ მოვიპოვე ინფორმაცია აღნიშნულ პროგრამაში ჩასართავად	3.7
	არ გვაქვს საკმარისი ფინანსები	7.1
	პროგრამაში მონაწილეობისათვის პრობლემას გვიქმნის მანძილი	2
	პროგრამაში მონაწილეობისათვის არ გვაქვს დრო	2
	არ გვაქვს სურვილი/არ გვჭირდება	35.3
	ხელს არ გვინცობს ასაკი	27.7
	მიჭირს პასუხის გაცემა	14.1
სტუდენტთა დაფინანსების სოციალური პროგრამა	არ გვაქვს ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის შესახებ	9
	დროულად ვერ მოვიპოვე ინფორმაცია აღნიშნულ პროგრამაში ჩასართავად	1.5
	არ გვაქვს საკმარისი ფინანსები	4.6
	პროგრამაში მონაწილეობისათვის პრობლემას გვიქმნის მანძილი	0.4
	პროგრამაში მონაწილეობისათვის არ გვაქვს დრო	0.8
	არ გვაქვს სურვილი/არ გვჭირდება	45
	ხელს არ გვინცობს ასაკი	16.3
	მიჭირს პასუხის გაცემა	22.5
პროფესიული განათლება დასაქმებისთვის	არ გვაქვს ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის შესახებ	6.8
	დროულად ვერ მოვიპოვე ინფორმაცია აღნიშნულ პროგრამაში ჩასართავად	1.6
	არ გვაქვს საკმარისი ფინანსები	7.4
	პროგრამაში მონაწილეობისათვის პრობლემას გვიქმნის მანძილი	2.5
	პროგრამაში მონაწილეობისათვის არ გვაქვს დრო	4.6



არ გვაქვს სურვილი/არ გვჭირდება	26.4
ხელს არ გვინცობს ასაკი	10.5
მიჭირს პასუხის გაცემა	13.5

**შენიშვნა:** მონაცემები დათვლილია იმ რესპონდენტთაგან, რომლებსაც ესა თუ ის პროგრამა ეხებათ, მაგრამ არ სარგებლობენ.

იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ჩამოთვლილი პროგრამებიდან ერთ-ერთით მაინც სარგებლობენ, განსაზღვრეს პროგრამით (პროგრამებით) კმაყოფილების ხარისხი (იხ. ცხრილი №M28):

- ✓ ყველა პროგრამის შეფასებები მოექცა მაღალი შეფასების ველში. იმ ჯგუფის რესპონდენტთა უმრავლესობა, რომელმაც (ვისი ოჯახის წევრმა) ისარგებლა ზემოაღნიშნული ერთ-ერთი პროგრამით მაინც, აღნიშნავს, რომ აღნიშნული პროგრამ(ებ)ით ცალსახად ან მეტ-ნაკლებად კმაყოფილია.
- ✓ ამის მიუხედავად, არცთუ უმნიშვნელოა იმ რესპონდენტთა წილი, რომელიც ცალსახად ან მეტ-ნაკლებად უკმაყოფილოა. განსაკუთრებით ეს ეხება ინგლისური ენის სწავლის გაძლიერების პროგრამას (რომელშიც კმაყოფილების ჯამური მაჩვენებელი მხოლოდ 10%-ით უსწრებს უკმაყოფილების ჯამურ მაჩვენებელს), მისი საშუალო მაჩვენებელიც ყველაზე დაბალია (2.27) - ახლოსაა სკალის ნეიტრალურ პუნქტთან.
- ✓ სრული კმაყოფილება აღინიშნა პროგრამასთან - სტუდენტთა დაფინანსება სოციალური პროგრამების ფარგლებში - მიმართებით (საშუალო მაჩვენებელი „4“).

რაიონულ ჭრილში გამოვლინდა, რომ:

- ✓ მარნეულსა და ბოლნისში შედარებით უკმაყოფილო არიან ინგლისური ენის სწავლის გაძლიერების პროგრამით (25-31%), ხოლო რუსთავეში ძალზე უკმაყოფილოთა ხვედრითი წილი 40%-ს შეადგენს;
- ✓ ეროვნულ უმცირესობათა ენების სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროგრამის მიმართ უკმაყოფილება აღინიშნა მარნეულში.

ცხრილი №M28: სხვადასხვა პროგრამით მოსარგებლეთა კმაყოფილების საშუალო მაჩვენებლები (საშუალო მაჩვენებლები დათვლილია ოთხ ბალიან სკალაზე – 1 ნიშნავს „ძალზე უკმაყოფილოს“, ხოლო 4 – „ძალზე კმაყოფილს“; ნეიტრალური პუნქტია 2.5, რომლის ქვემოთ უკმაყოფილების ველია, ხოლო ზემოთ - კმაყოფილების)

რამდენად კმაყოფილი ხართ...	საშუალო მაჩვენებლები
ინგლისური ენის სწავლის გაძლიერების პროგრამით?	2.73
შშმ ბავშვებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩართვის პროგრამით?	3.15

სახელმწიფო სკოლებში ეროვნულ უმცირესობათა ენების სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროგრამით?	3.69
განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამით?	3.44
პროგრამით „სტუდენტთა დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში“?	4.00
სახელმწიფო პროგრამით: „პროფესიული განათლება დასაქმებისთვის“?	3.78

რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ, ხელმისაწვდომია თუ არა მათთვის ან მათი ოჯახის წევრებისთვის შემდეგი საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებები:

- ✓ ზრდასრულთა განათლების ცენტრი (უცხო ენების, კომპიუტერისა და ა.შ. შემსწავლელი)
- ✓ ბიბლიოთეკა
- ✓ მუზეუმი
- ✓ კინო/თეატრი
- ✓ სხვა კულტურული დაწესებულებები (კულტურის სახლები, მწერალთა/მხატვართა სახლები, სხვ.)
- ✓ სხვადასხვა წრეები/სექციები

ზოგადი შეფასებით, ქვემო ქართლის რეგიონის მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს, რომ ესა თუ ის საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულება რაიონში/ქალაქში არ არსებობს, ან არ არის ხელმისაწვდომი (იხ. ცხრილი №M29). ეს ტენდენცია ასევე აისახა რესპონდენტთა მიერ სხვადასხვა პრობლემების შეფასებაში (იხ. ქვეთავი: ქვემო ქართლის ინფრასტრუქტურა და საბინაო პირობები), რომელშიც კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ დიდ პრობლემად დასახელდა. იმ რესპონდენტებს შორის, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ამგვარი დაწესებულებები სრულად ან მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია, ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი ბიბლიოთეკას (34.6%) აქვს. კვლევამ აჩვენა, რომ რაიონულ ჭრილში აღნიშნულ საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებებზე ყველაზე მაღალი ხელმიწვდომლობის მაჩვენებელი ბოლნისისა და დმანისის რაიონებს აქვთ (მაჩვენებელი ვარიანტებს 54-74%-ის ფარგლებში). ნალკის რაიონი გამოირჩევა იმით, რომ საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებები აქ, ფაქტობრივად, არ არის („ჩვენს რაიონში/ქალაქში არ არსებობს“ - პასუხების ვარიანტი 90%-ს აღემატება).

როგორც აღმოჩნდა, ყველა საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულება ხელმისაწვდომია რესპონდენტთა 15.8%-თვის, ხოლო არც ერთი არ არის ხელმისაწვდომი - 21.5%-თვის.

ცხრილი №M29: რამდენად ხელმისაწვდომია სხვადასხვა კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებები (პროცენტული მაჩვენებლები რაიონული ტერიტორიების მიხედვით)

ხელმისაწვდომია თუ არა...		რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა	გარდაბანი	საერთო
ზრდასრულთა განათლების (უცხო კომპიუტერის შემსწავლელი) ბიბლიოთეკა	ხელმისაწვდომია/მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია	55.6	10	19.2	15.5	17	0.5	10.7	24.7
	არ არის ხელმისაწვდომი	34.3	7.9	66.1	75.7	49.0	2.8	43.9	36.6
	ჩვენს რაიონში/ ქალაქში არ არსებობს	0.2	41.9	0.7	3.6	23.3	90.2	32.0	21.5
	მ/ვ გაცემა	9.8	40.3	13.9	5.2	10.8	6.5	13.4	17.2
მუზეუმი	ხელმისაწვდომია/მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია	69.5	4.6	30.5	27.6	36.5	18.8	24.9	34.6
	არ არის ხელმისაწვდომი	21.3	7.9	54.4	64.8	39.0	4.1	30.7	27.7
	ჩვენს რაიონში/ ქალაქში არ არსებობს	0.2	56.9	1.6	2.4	17.5	73.7	30.6	23.2
	მ/ვ გაცემა	8.7	30.6	13.4	5.2	7.0	3.5	14	14.5
კინო/თეატრი	ხელმისაწვდომია/მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია	64.1	1.8	20.2	14.2	17.7		17	26.5
	არ არის ხელმისაწვდომი	22.4	7.5	61.5	74.9	46.5	3.3	38.1	31.3
	ჩვენს რაიონში/ ქალაქში არ არსებობს	0.4	61.9	6.1	5.5	31.0	93.2	32.0	27.4
	მ/ვ გაცემა	13.0	28.9	12.1	5.4	4.8	3.5	12.9	14.8
სხვა დაწესებულებები (კულტურის სახლები, მწერალთა/ მხატვართა სახლები, სხვ.)	ხელმისაწვდომია/მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია	65.4	3	18.7	8	7.7		8.6	24.4
	არ არის ხელმისაწვდომი	28.9	6.6	61.5	41.8	46.0	3.1	46.6	32.5
	ჩვენს რაიონში/ ქალაქში არ არსებობს	0.4	62.8	7.5	44.5	41.8	93.5	32.9	31.0
	მ/ვ გაცემა	5.2	27.5	12.3	5.6	4.5	3.5	12.0	12.1
სხვადასხვა წრეები/სექციები	ხელმისაწვდომია/მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია	60	3.3	15.5	6.4	8.2	0.2	8.3	22.4
	არ არის ხელმისაწვდომი	28.5	7.2	61.8	74.5	45.0	3.1	43.5	33.8
	ჩვენს რაიონში/ ქალაქში არ არსებობს	1.3	59.5	9.6	13.2	39.8	93.3	34.4	29.1
	მ/ვ გაცემა	10.2	30.0	13.0	5.9	7.0	3.5	13.8	14.7
სხვადასხვა წრეები/სექციები	ხელმისაწვდომია/მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია	58.7	8.4	20.3	5.6	22.8	11.9	15.6	26.7
	არ არის ხელმისაწვდომი	27.8	9.0	63.1	73.9	45.2	3.3	38.6	33.3
	ჩვენს რაიონში/ ქალაქში არ არსებობს	0.4	42.5	2.3	13.4	24.0	81.2	29.9	21.6
	მ/ვ გაცემა	13.0	40.1	14.4	7.1	8.0	3.7	15.9	18.4

არახელმისაწვდომობის ძირითად მიზეზებად, მეტ-ნაკლები ვარიაციებით, გამოიკვეთა შემდეგი ოთხი მიზეზი:

- ✓ არასაკმარისი ფინანსები
- ✓ ქალაქში/რაიონში ამგვარი საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულების არარსებობა
- ✓ სურვილის არქონა
- ✓ მანძილი

რაიონულ ჭრილში აღსანიშნავია დმანისის და გარდაბანის რაიონები, რომლებშიც შედარებით მაღალია სურვილის არქონის მაჩვენებელი (დაახლ. 23-40%), ხოლო წალკას, როგორც უკვე აღინიშნა, ყველაზე მეტად მანძილის პრობლემა აქვს (იხ. ცხრილი №M30).

ცხრილი №M30: რა მიზეზით არ არის ხელმისაწვდომი ესა თუ ის კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულება? (პროცენტული მაჩვენებლები)

რა მიზეზით არის ხელმისაწვდომი (მეტ-ნაკლებად ან საერთოდ...)	ზრდასრულთა განათლების ცენტრი (უცხო ენების, კომპიუტერის და ა.შ. შემსწავლელი)	ბიბლიოთეკა	მუზეუმი	კინო/თეატრი	სხვა კულტურული დაწესებულებები (კულტურის სახლები, მწერალთა/მხატვართა სახლები, სხვ.)	სხვადასხვა წრეები/სექციები
არასაკმარისი ფინანსების გამო	49.5	24.1	30.0	16.0	36.6	40.4
მანძილის გამო	15.6	18.0	16.3	1.8	14.8	14.1
ინფორმაციის არქონის გამო	3.0	4.0	3.2	5.9	3.2	2.9
დროის უქონლობის გამო	5.0	7.7	7.5	11.6	6.5	5.5
სურვილის არქონის გამო	13.9	24.2	20.1	17.4	16.4	18.1
ასეთი დაწესებულებების არ არსებობის გამო	7.4	14.1	17.4	0.1	17.4	10.7
მიჭირს პასუხის გაცემა	5.5	8.1	5.6	21.5	5.1	8.2

## ჯანდაცვა

### რეზიუმე

მოსახლეობის ჯანმრთელობა ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა სოციალური დაცვის მიზნების მისაღწევად. საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ უკანასკნელ კვლევებში ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, დასაქმების შემდეგ, მეორე მნიშვნელოვან პრობლემად სახელდება მოსახლეობის მხრიდან.<sup>24</sup> ქვემო ქართლის მოსახლეობა ჯანმრთელობის პრობლემებს ხშირად უჩივის. ამ მხრივ, განსაკუთრებით თეთრინყაროსა და გარდაბნის რაიონები გამოირჩევა. სხვადასხვა სამედიცინო სერვისებს შორის ქვემო ქართლის მოსახლეობა, ძირითადად, სამედიცინო დანესებულების ექიმ სპეციალისტებს მიმართავს. ოჯახის ექიმის გამოყენება შედარებით იშვიათია და, ძირითადად, სამედიცინო დაზღვევის მქონე ოჯახების პრაქტიკის ნაწილია, რაც თავად სამედიცინო დაზღვევის პოლიტიკითაა განპირობებული. სამედიცინო მომსახურების მიღებაზე პოზიტიურ გავლენას ახდენს სამედიცინო დაზღვევის ქონა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ეფექტური კორპორატიული და კერძო სამედიცინო დაზღვევის პოლისებია. ეს განპირობებულია იმით, რომ სადაზღვევო პოლისის მქონე ოჯახები უფრო მეტად ინფორმირებულნი არიან სამედიცინო მომსახურების შესაძლებლობის შესახებ და უფრო ეფექტურადაც გამოიყენებენ ამ შესაძლებლობას. ზოგადად საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში გავრცელებული პრაქტიკის მსგავსად, ქვემო ქართლის მოსახლეობაშიც ფართოდ გამოიყენება თვითმკურნალობის პრაქტიკა, რაზეც მედიკამენტების შექმნის მაღალი მაჩვენებელი მიგვიჩვენებს, როდესაც ექიმებთან ვიზიტი იშვიათია.

ქვემო ქართლის მოსახლეობა, ძირითადად, კმაყოფილია მიღებული სამედიცინო მომსახურების სხვადასხვა მაჩვენებლებით. ამბოლატორიულ მომსახურებასთან შედარებით კმაყოფილების მაღალი ხარისხი ვლინდება სტაციონალურ მომსახურებასთან მიმართებაში, განსაკუთრებით, სამედიცინო პერსონალის კვალიფიციურობასა და ჰუმანურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით.

ჯანდაცვის ხარჯების დაფარვა ყველაზე მტკივნეული პრობლემაა დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის და ხშირად მათს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს. აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ხარჯებმა ოჯახების მეექვსედის გაღარიბება (ოჯახების თვითშეფასებიდან გამომდინარე) გამოიწვია, ხოლო საკმაოდ მძიმე ტვირთი აღმოჩნდა ოჯახების თითქმის ნახევრისათვის, რაც მნიშვნელოვნად დაეტყო მათ ბიუჯეტს. სამედიცინო ხარჯების დაფარვა განსაკუთრებით მძიმე ტვირთად, აგრეთვე, სამედიცინო დაზღვევის არმქონე ოჯახებს აწევს. მედიკამენტების ხარჯების დაფარვა სამედიცინო მომსახურების ხარჯებთან შედარებით უფრო იოლია, თუმცა, ასევე, მტკივნეულია. ამ შემთხვევაში განსხვავება სამედიცინო დაზღვევის მქონე და არმქონე ოჯახებს შორის არ

<sup>24</sup> გაეროს ბავშვთა ფონდი. 2010. როგორ ართმევენ თავს ქართველი ბავშვები და ბავშვიანი ოჯახები ფინანსური კრიზისის ნეგატიურ გავლენას?



გამოვლენილა, რაც იმით არის განპირობებული, რომ სამედიცინო დაზღვევის პაკეტი უმრავლესობა მედიკამენტების ხარჯებს საერთოდ ან ნაწილობრივ არ ფარავს.

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ სამედიცინო დაზღვევის პროგრამების დანერგვამ შედარებით გააუმჯობესა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. დაზღვეული ოჯახები უფრო ხშირად იღებენ სამედიცინო მომსახურებას, რომლის ხარჯებიც ძალიან მძიმე ტვირთი აღარ არის მათთვის. თუმცა, მოსახლეობის დაზღვეული ნაწილისთვისაც ჯანდაცვის პრობლემები ხშირად გადაუჭრელი რჩება. ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობამ ზუსტად არ იცის, რა მომსახურებაა მისთვის დაზღვევის ფარგლებში უფასო; სირთულეს ქმნის ისიც, რომ სადაზღვევო კომპანიები ნაწილობრივ აფინანსებენ სამედიცინო მომსახურებას. სწორედ ამიტომაც, რომ დაზღვეული ოჯახების მხოლოდ ნახევარი აღნიშნავს სადაზღვევო კომპანიის მიერ სამედიცინო მომსახურების დაფინანსების შესახებ.

სამედიცინო მომსახურების მიღების ბარიერებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მომსახურების ღირებულებასთან დაკავშირებული ბარიერია. სამედიცინო დაწესებულებების სიშორე უფრო პრობლემურია სოფლის დასახლებებისათვის, განსაკუთრებით, წალკის რაიონში მცხოვრებთათვის. სამედიცინო დაწესებულებების სიშორეზე მიუთითებენ ასევე ბოლნისის, მარნეულისა და თეთრიწყაროს რაიონების სოფლების მცხოვრებნი. დისტანციის პრობლემურობის მიუხედავად, ეს პრობლემა მოიხსნებოდა ოჯახებს შესაბამისი ეკონომიკური რესურსი რომ ჰქონოდათ.

სამედიცინო დაზღვევა ქვემო ქართლის მცხოვრებთა მესამედზე ნაკლებს აქვს. სამედიცინო დაზღვევის მქონეთა ერთი მესამედი დაზღვეულია უმწეოთა დახმარების ფარგლებში; აღნიშნული ტიპის დაზღვევა კი, ძირითადად, სოფლის მოსახლეობას აქვს. ასევე გვხვდება სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში გავრცელებული დაზღვევის სხვა ფორმებიც: მაგალითად, საჯარო სკოლების პედაგოგთა დაზღვევა, რომელიც, აგრეთვე, ძირითადად, სოფლის მცხოვრებთ ფარავს. გავრცელების თვალსაზრისით ასევე სჭარბობს კორპორატიული დაზღვევა, თუმცა, უმთავრესად, ქალაქის ტიპის დასახლებებსა და განსაკუთრებით – ქალაქ რუსთავეში. კერძო სამედიცინო დაზღვევას მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი იღებს და ისიც, ძირითადად, ქალაქის ტიპის დასახლებებში. დაზღვევის არმქონეები მთავარ მიზეზად კერძო სამედიცინო დაზღვევისათვის საჭირო ფინანსების არქონას ასახელებენ. არაეთნიკური ქართველები, ძირითადად, სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში არსებულ დაზღვევაზე ორიენტირდებიან, რომლის მისაღებად მათ ხელს უშლის ინფორმაციის ნაკლებობა და, მცდელობის მიუხედავად, პროგრამაში ჩართვის შეუძლებლობა.

### *მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა*

გამოკითხვაში მონაწილე ქვემო ქართლის შინამეურნეობების ოჯახების 16.4%-ს არც ერთი წევრი არ ჰყავს პრაქტიკულად ჯანმრთელი, ანუ ოჯახების 83.6%-ში მინიმუმ ერთი წევრი მაინც არის ჯანმრთელი. ამ კითხვაზე მიღებული მონაცემების საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით, ქვემო ქართლის რეგიონის ოჯახებში პრაქტიკულად ჯანმრთელი

საშუალოდ 3 წევრია. როგორც კვლევებიდან ჩანს, პრაქტიკულად, ჯანმრთელი უფრო მეტად იმ ოჯახების წევრები არიან, რომლებშიც ოჯახის რამოდენიმე წევრს აქვს სამედიცინო დაზღვევა. თუკი უფრო დეტალურად განვიხილავთ დაზღვევის ტიპს და პრაქტიკულად ჯანმრთელი ოჯახის წევრების საშუალო მაჩვენებლებს, დავინახავთ, რომ ოჯახის უფრო მეტი წევრია ჯანმრთელი იმ შინამეურნეობებში, რომლებშიც სახელმწიფო დაზღვევა აქვს ოჯახის ზოგიერთ წევრს (ოჯახის ჯანმრთელი წევრების საშუალო მაჩვენებელია 3.38). ასევე მაღალია ოჯახის პრაქტიკულად ჯანმრთელი წევრების რაოდენობა შინამეურნეობებში, რომლებშიც ოჯახის წევრს აქვს საჯარო სკოლის პედაგოგთა სამედიცინო დაზღვევა (საშუალო მაჩვენებელი 2.86). მეტი ოჯახის წევრს აქვს ჯანმრთელობის პრობლემები შინამეურნეობებში, რომლებიც დევნილები არიან და აქვთ კომპაქტურ დასახლებებში მყოფ იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაზღვევა და ინდივიდუალური დაზღვევა, რომელსაც ოჯახი თავისი სახსრებით ფარავს (ორივე შემთხვევაში საშუალო მაჩვენებელი 1.72–ია). ჯანმრთელობის პრობლემები ხშირად აწუხებთ შინამეურნეობებს, რომლებიც დაზღვეულნი არიან უმწეოთა დაზღვევის ფარგლებში. ამ ფაქტის ასახსნელად ორი ნაწარმი უნდა გავითვალისწინოთ: ერთი მხრივ, ინდივიდუალური დაზღვევის მქონე ოჯახებში ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ სწორედ ჯანმრთელობის პრობლემების გამო შეიძინეს ოჯახებმა საკუთარი სახსრებით კერძო სამედიცინო დაზღვევა. რაც შეეხება სიღარიბის ბლვარს ქვემოთ მყოფ და იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს, მათ აქვთ მძიმე ეკონომიკური ფონი, რომლის გამოც ისინი ვერ აკითხავენ სამედიცინო დაწესებულებებს იქამდე, სანამ დაავადება არ გამწვავდება. გარდა ამისა, ამ ოჯახებმა ხშირად არ იციან როგორ გამოიყენონ სამედიცინო დაზღვევის პოლისი<sup>25</sup> ან მედიკამენტების სიძვირის გამო ხშირად ვერ ასრულებენ მკურნალობის პროცესს. ყოველივე ეს კი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მძიმედ აისახება. ამ საკითხის გარშემო ჩატარებული სოციოლოგიური კვლევები მონიშნავენ, რომ მისამართული სოციალური დახმარების ფარგლებში მიღებული სამედიცინო დაზღვევის გამოყენება შეზღუდულია, რაც პირველ რიგში უკავშირდება სამედიცინო პოლისის მიმღებთა ინფორმაციის ნაკლებობას.

თუკი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას რაიონულ ჭრილში გავაანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ პრაქტიკულად ჯანმრთელი წევრები უფრო ხშირად მარნეულის რაიონში მცხოვრებ შინამეურნეობებშია მაშინ, როცა ჯანმრთელობის პრობლემებს უფრო ხშირად თეთრიწყაროს რაიონში მცხოვრები ოჯახები უჩივიან.

ჯანმრთელობის მცირე პრობლემები, რომლებიც ადვილად მოგვარდა გასული 12 თვის განმავლობაში, ოჯახების 34.1%-ში ერთ წევრს მაინც ჰქონდა (საშუალო სტატისტიკური ამ მონაცემისა არის 0.65). ჯანმრთელობის მცირე პრობლემებს უფრო ხშირად უჩივიან სოფლის მცხოვრებნი, ხოლო რაიონების მიხედვით – თეთრიწყაროსა და გარდაბნის მკვიდრნი. ქრონიკული დაავადება, რომელიც საჭიროებდა ხანგრძლივ რეგულარულ მკურნალობას გასული 12 თვის განმავლობაში, ოჯახების 43.3%-ში ერთ წევრს მაინც ჰქონდა. რაიონების მიხედვით ქრონიკული დაავადებები უფრო ხშირად გავრცელებულია თეთრიწყაროს რაიონში

<sup>25</sup> გაეროს ბავშვთა ფონდი. 2010. სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის ბარიერები (UNICEF. 2010. Barriers to Access to Social Services)

მცხოვრებ შინამეურნეობებში. ჯანმრთელობის მწვავე პრობლემები, რომელთაც დასჭირდა ქირურგიული ჩარევა გასული თორმეტი თვის განმავლობაში, გამოკითხვაში მონაწილე ოჯახების 12%-ში ერთ წევრს მაინც აწუხებდა. ეს მაჩვენებელი კვლავ მაღალია თეთრინყაროს რაიონში. კვლევაში მონაწილე ოჯახების 3.1%-ში არის ოჯახის ერთი წევრი მაინც, რომელიც მძიმედ დაავადებულია და საჭიროებს მუდმივ მოვლას (კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მძიმედ დაავადებით დასნებოვანებული პირი ქვემო ქართლში სულ 114-ია). მძიმედ დაავადებული ადამიანების რაოდენობა კვლავაც მაღალია თეთრინყაროსა და გარდაბნის რაიონებში.

### სამედიცინო მომსახურების მიღება

გრაფიკი №E1 გამოხატავს ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები შინამეურნეობების მიერ სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების გამოყენების მაჩვენებლებს, ხოლო გრაფიკში №E2 გამოხატულია ქვემო ქართლის მოსახლეობის მიერ სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების გამოყენება სამედიცინო დაზღვევის ფლობის მიხედვით. განვიხილოთ თითოეული სამედიცინო მომსახურების გამოყენების პრაქტიკა.

**ოჯახის ექიმის** მომსახურებით გასული 12 თვის განმავლობაში არ უსარგებლია ოჯახების 78.6%-ს. ოჯახის ექიმით სარგებლობის მაჩვენებელი ქვემო ქართლის რეგიონში საკმაოდ დაბალია და ზოგადად შეადგენს 21%-ს. ოჯახის ექიმის მომსახურების გამოყენებლობა არ მიუთითებს გამოკითხული მოსახლეობის ჯანმრთელობის კარგ მდგომარეობაზე, მაგალითად, იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახების 77.5%-მა გასული 12 თვის განმავლობაში არაერთხელ შეიძინა მედიკამენტები. ეს წინააღმდეგობა მიუთითებს მოსახლეობის მიერ თვითმკურნალობის თორმეცის აქტიურად გამოყენებაზე. გარდა ამისა, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ოჯახის ექიმის მომსახურებით უფრო ხშირად სარგებლობენ ოჯახები, რომლებშიც ყველა ან ზოგიერთი წევრი არის დაზღვეული<sup>26</sup>. დაზღვეულთა შორის კი ყველაზე ხშირად ოჯახის ექიმის მომსახურებას კომპლექტურ დასახლებებში მყოფი იძულებით დადავდილებულ პირთა სამედიცინო დაზღვევის მქონე ოჯახები გამოიყენებენ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იძულებით გადაადგილებულ პირთაგან შემდგარ შინამეურნეობებში ჯანმრთელობის პრობლემები უფრო მწვავეა. ეროვნების მიხედვით ოჯახის ექიმის მომსახურებას ქვემო ქართლის რეგიონში ქართული ეთნიკური წარმოშობის თითქმის მეოთხედი გამოიყენებს (24.1%) მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანული წარმოშობის შინამეურნეობებში 18.1%-ია, ხოლო სომხური წარმოშობის ოჯახებში – 9.8%.

ქვემო ქართლის მოსახლეობა ოჯახის ექიმზე ხშირად გამოიყენებს *ექიმ-სპეციალისტის მომსახურებასა და ამბულატორიულ მკურნალობას* (გასული თორმეტი თვის განმავლობაში ოჯახების 36.2%-ში მინიმუმ ერთმა წევრმა მაინც გამოიყენა ექიმ-სპეციალისტის მომსახურება). ეს იმის მაჩვენებელია, რომ მოსახლეობა ხშირად ოჯახის

<sup>26</sup> დაუზღვეველი შინამეურნეობების მიერ ოჯახის ექიმით სარგებლობის მაჩვენებელი 18.7%-ია; იმ ოჯახებში, რომლებშიც რამოდენიმე წევრია დაზღვეული ოჯახის ექიმით სარგებლობის მაჩვენებელი 27.9%-ია, ხოლო ოჯახებში, რომლებშიც ყველა წევრია დაზღვეული – 25.9%.

ექიმის გვერდის ავლით მიმართავს ექიმ-სპეციალისტს. ეს, ერთი მხრივ, გამონვეულია იმით, რომ ოჯახის ექიმის ინსტიტუტი ახალია და ამ მომსახურებით სარგებლობის ჩვევა ადამიანებს არა აქვთ. შესაბამისად, ოჯახის ექიმით ძირითადად ის ოჯახები სარგებლობენ, რომლებსაც აქვთ სამედიცინო დაზღვევა. ოჯახის ექიმის მომსახურება, ძირითადად, სამედიცინო სადაზღვევო პაკეტის შემადგენელი ნაწილია. სადაზღვევო კომპანიები სხვადასხვა სამედიცინო სერვისით მომსახურებას ოჯახის ექიმის მედიატორობის საშუალებით ახორციელებს. ექიმ-სპეციალისტის მომსახურებით გასული 12 თვის განმავლობაში ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის თითქმის ნახევარმა ისარგებლა (48.7%), როდესაც იგივე მომსახურება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მხოლოდ 28.2%-მა გამოიყენა. სამედიცინო დაზღვევის მქონე ოჯახებში ექიმ-სპეციალისტის მომსახურების გამოყენების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე სამედიცინო დაზღვევის არმქონე ოჯახებში. ეს აიხსნება იმით, რომ დაზღვევის მქონე ოჯახები, ზოგადად, ხშირად მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს, პირველად აკითხავენ ოჯახის ექიმს, რომელიც შემდეგ ექიმ-სპეციალისტებთან გადაამისამართებს პაციენტს.

*ქირურგიული ოპერაცია* (საავადმყოფოში ღამისთევის გარეშე) გასული 12 თვის განმავლობაში გაიკეთეს გამოკითხული ოჯახების 2.2%-ში მცხოვრებმა პირებმა. მსგავსი სამედიცინო მომსახურება უფრო ხშირად გამოიყენეს ქალაქში მცხოვრებმა და სამედიცინო დაზღვევის მქონე ოჯახებმა. ქირურგიული ოპერაცია, საავადმყოფოში დაწოლით, გასული 12 თვის განმავლობაში გაიკეთეს გამოკითხული ოჯახების 7%-ში მცხოვრებმა პირებმა. ქირურგიული ოპერაციის გაკეთების მაჩვენებლები მცირედით აღემატება სამედიცინო დაზღვევის მქონე ოჯახებში, ვიდრე დაზღვევის არმქონეში.

*ჰოსპიტალიზაცია* ქირურგიული ოპერაციის გარეშე დასჭირდა ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის 5%-ს. ამ შემთხვევაშიც ჰოსპიტალიზაციით უფრო ხშირად სამედიცინო დაზღვევის მქონე პირებმა ისარგებლეს.

*სასწრაფო სამედიცინო დახმარებით* გასული 12 თვის განმავლობაში ისარგებლა ქვემო ქართლის ოჯახების მეხუთედმა. მიუხედავად იმისა, რომ სასწრაფო დახმარების მომსახურება საქართველოში უფასოა, ამით უფრო ხშირად კვლავ დაზღვეული ოჯახები სარგებლობენ.


*პროფილაქტიკური სამედიცინო მომსახურების* სარგებლობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია და 10.4%-ს შეადგენს. პროფილაქტიკური სამედიცინო მომსახურების გამოყენების მაჩვენებელი დაზღვევის მქონე ოჯახებში თითქმის ორჯერ აღემატება არადაზღვეული ოჯახების მიერ ამ სერვისის გამოყენების მაჩვენებელს. სოფლებში ოჯახების იმ მცირე რაოდენობიდან, რომლებიც პროფილაქტიკურ სამედიცინო მომსახურებით სარგებლობენ, ამ სერვისის გამოყენების უფრო მეტი შემთხვევა სამედიცინო დაზღვევის მქონე ოჯახებშია. პროფილაქტიკური სამედიცინო მომსახურების გამოყენების დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს პოსტსოციალისტური სამედიცინო მომსახურების ტრადიციის გაგრძელებაზე, როდესაც ეკონომიკური პრობლემების გამო პაციენტები სამედიცინო დაწესებულებებს მხოლოდ მწვავე და გადაუდებელი მომსახურების საჭიროებისას აკითხავენ.

სტომატოლოგიური მომსახურებით გასული 12 თვის განმავლობაში ისარგებლა გამოკითხული ოჯახების 16.2%-მა. ამ ტიპის სამედიცინო მომსახურების გამოყენების მაჩვენებელი კერძო და კორპორატიული დაზღვევის მქონე ოჯახებში ერთიორად მაღალია, ვიდრე სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზღვეულ ოჯახებში, ან დაზღვევის არმქონე ოჯახებში. ქალაქში სტომატოლოგის მომსახურებით უფრო ხშირად სარგებლობენ, ვიდრე სოფელად.

გასული 12 თვის განმავლობაში მედიკამენტები შეიძინა გამოკითხული ოჯახების 77.5%-მა. ქვემო ქართლის მოსახლეობა აქტიურად მოიხმარს მედიკამენტებს, როდესაც სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს მოსახლეობის მხრიდან თვითმკურნალობის პრაქტიკის ხშირ გამოყენებაზე.


გრაფიკებზე E1 და E2 მოცემულია ამა თუ იმ სამედიცინო მომსახურებით მოსარგებლეთა საერთო განაწილება, ასევე, მოსარგებლეთა განაწილება ოჯახის დაზღვევის მდგომარეობის მიხედვით.

**გრაფიკი №E1: გასული 12 თვის განმავლობაში ვისარგებლიათ თუ არა შემდეგი სამედიცინო მომსახურებით?**





გრაფიკი №E2: გასული 12 თვის განმავლობაში სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურებით მოსარგებლეთა განწილება დაზღვევის ქონის მიხედვით.



**მიღებული სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილების ხარისხი**

ქვემო ქართლში მცხოვრები შინამეურნეობების 45.6%-დან, რომლებმაც გასული 12 თვის მანძილზე ამბულატორიული სამედიცინო მომსახურებით ისარგებლეს, ნახევარზე მეტი (28.8%) მკურნალობის შედეგით კმაყოფილია. ოჯახების 12.3% – არც კმაყოფილია და არც



უკმაყოფილო. მკურნალობის შედეგებით უკმაყოფილოთა მაჩვენებელი დაბალია და 4.5%-ს შეადგენს.


სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის მაჩვენებელი დაბალია და 12.3%-ს შეადგენს. სტაციონარული მკურნალობის შედეგით კმაყოფილია ამ მომსახურების მიმღებთა უმრავლესობა, ანუ ოჯახების 61.8%, ხოლო უკმაყოფილო – 7.3%.

იმ ოჯახებიდან, რომლებმაც გასული 12 თვის განმავლობაში ამბულატორიული სამედიცინო მომსახურებით ისარგებლეს (ოჯახების 45.6%), 66.4% კმაყოფილია მედპერსონალის ცოდნითა და კვალიფიციურობით. ოჯახების 26.3% კი მედპერსონალის კვალიფიციურობას არც დადებითად და არც უარყოფითად აფასებს. სტაციონარული სამედიცინო მომსახურების გამომყენებელი 12.3% ოჯახებიდან 66.6% კონკრეტულად მედპერსონალის ცოდნითა და კვალიფიციურობით კმაყოფილია.

ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების მიმღები ოჯახების მესამედზე ნაკლები შედგენსონალის ჰუმანურ დამოკიდებულებას ნეიტრალურად ან ნეგატიურად აფასებს მაშინ, როდესაც სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიმღებ ოჯახებს ოდნავ უფრო ნეგატიური შეფასება აქვთ. სამედიცინო დაწესებულებების ინფრასტრუქტურასა და არსებულ პირობებით კმაყოფილებას, ამბულატორიული მომსახურების მიმღებთა მესამედზე მეტი ნეიტრალურად ან უარყოფითად აფასებს. სტაციონარულ მომსახურების მიმღებებთან კი ნეგატიური და ნეიტრალური შეფასების მაჩვენებელი კიდევ უფრო იზრდება და 40.5%-ს აღწევს.

თუკი ზოგადად სამედიცინო მომსახურების მიმღებთა კმაყოფილების საშუალო მაჩვენებლებს ერთმანეთთან შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ყველაზე მეტად კმაყოფილები პაციენტები სტაციონარული მომსახურებისას მედპერსონალის ცოდნით, კვალიფიკაციითა და ჰუმანური მოპყრობით არიან, ხოლო შედარებით ნაკლებად კმაყოფილნი – ამბულატორიული მკურნალობის შედეგითა და ამბულატორიული მკურნალობისას სამედიცინო დაწესებულებაში არსებული მომსახურებით. კმაყოფილების საშუალო მაჩვენებელი ასევე დაბალია ინფრასტრუქტურასა და არსებულ პირობებთან მიმართებაში (იხილეთ გრაფიკი №E3):

გრაფიკი № E 3: ქვემო ქართლის მოსახლეობის მიერ სამედიცინო დანესებულებებში მიღებული მომსახურების სხვადასხვა კრიტერიუმების შეფასების საშუალო მაჩვენებლები (შეფასება 1 ნიშნავს „ძალიან უკმაყოფილოს“, ხოლო შეფასება 5 – „ძალიან კმაყოფილს“).



კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სამედიცინო მომსახურებას საქართველოს ფარგლებს შიგნით იღებს. საზღვარგარეთ მკურნალობის მიზნით, ქვემო ქართლში მცხოვრები შინამეურნეობების 0.8% გაემგზავრა, რაც სულ 32 შემთხვევაა. საქართველოს ფარგლებს გარეთ სამკურნალოდ წასულთა ძირითადი მიმართულება აზერბაიჯანია (სულ დაფიქსირდა 12 შემთხვევა), რომელსაც მოსდევს სომხეთი (8 შემთხვევა). რუსეთში სამკურნალოდ ქვემო ქართლის რეგიონიდან 3 ადამიანი გაემგზავრა. სამკურნალოდ წასვლის ერთეული შემთხვევები დაფიქსირდა თურქეთში, საბერძნეთსა და ბელარუსში.

საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასულთა შორის სჭარბობენ ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. თუკი საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლის მიზეზებს გადავხედავთ, აღმოვაჩინოთ, რომ თითქმის მესამედი საზღვარგარეთ სამკურნალოდ იქ მცხოვრებმა ნათესავებმა წაიყვანეს (დასახელებულ მიზეზებს შორის 30.9% ამ მიზეზს ასახელებს). საზღვარგარეთ მკურნალობის მეხუთედ (21.4%) შემთხვევებში, პაციენტები საზღვარგარეთ ყოფნისას გახდნენ ავად. იმათ შორის, ვისმა ოჯახის წევრმაც საზღვარგარეთ იმკურნალა, მეოთხედი იქ მიღებულ მკურნალობას უპირატესობას ანიჭებს შემდეგი ფაქტორების გამო: აცხადებს, რომ მოცემულ დაავადებას მხოლოდ იქ მკურნალობენ (11.7%); თვლის, რომ დასახელებულ ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების მაღალი დონეა (6.8%); მკურნალობა საზღვარგარეთ (ამ შემთხვევაში სომხეთსა და აზერბაიჯანში) უფრო იაფია

(26.2%). საზღვარგარეთ მკურნალობის საკითხის შესწავლისას ჩანს, რომ ინდივიდების არჩევანი უკავშირდება თავისი ეთნიკური წარმოშობის ქვეყანას, რომელშიც სოციალური კავშირები აქვთ ან გამოწვეულია მიგრაციის გავლენით.

### სამედიცინო ხარჯების დაფარვა


მედიკამენტების გარდა, სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფარვა, ძირითადად, ოჯახების რეგულარული შემოსავლებიდან ხდება. ამას ამბობს სამედიცინო მომსახურების მიმღებთა (რომელიც მთელი ქვემო ქართლის მოსახლეობის 60.7%-ა) ნახევარზე მეტი (57.8%). მეორე წყაროდ ოჯახის დანაზოგები სახელდება (12.6%). სამედიცინო დაზღვევამ ხარჯები დაუფარა სამედიცინო მომსახურების მიმღებთა 9.7%-ს; ეს მაჩვენებელი იმ ოჯახებში, რომლებშიც ოჯახის ყველა წევრი დაზღვეულია 48.8%-ია, ხოლო იმ ოჯახებში, სადაც ოჯახის წევრთა ნაწილია დაზღვეული – 14.5%. ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებ შინამეურნეობებს სამედიცინო ხარჯების დასაფარად ზოგჯერ უხდებათ ფულის სესხება საპროცენტო განაკვეთით ან კერძო პირის, ან ბანკისაგან (ასეთ პრაქტიკაზე მიუთითებს გამოკითხულთა 6%). სამედიცინო ხარჯების დაფარვაში ასევე გარკვეული წვლილი შეაქვს ნათესავებისა და ნაცნობების დახმარებას (4.7%) (იხილეთ ცხრილი №E1).

**ცხრილი №E1: რა სახსრებით ფარავს ქვემო ქართლის მოსახლეობა სამედიცინო მომსახურების ხარჯებს (სამედიცინო დაზღვევის მქონეთა ჯრილის მიხედვით)**

	ოჯახის არც ერთი წევრი დაზღვეული არ არის (%)	ოჯახის ზოგიერთი წევრი დაზღვეულია, ზოგიერთი არა (%)	ოჯახის ყველა წევრი დაზღვეულია (%)	საერთო (%)
ოჯახის რეგულარული შემოსავლებიდან	58.6	73.1	33.1	57.8
ოჯახის დანაზოგებიდან	14.7	7.1	9.9	12.6
საკუთრების გაყიდვიდან	2.8	0.9	1.7	2.3
აიღეს პროცენტული სესხი	3.6	2.3	1.9	3.1
ისესხეს ახლომდებარე (პროცენტის გარეშე)	3.4	1.5	2.3	2.9
მეგობრები/ნათესავები დაეხმარნენ	4.7	0.1	0.6	3.3
ხარჯები დაფარა დაზღვევამ	0.0	14.5	48.8	9.7
მკურნალობა უფასო იყო, რადგან რაიმე პროგრამა ფარავდა	5.0	0.1	0.8	3.5
მკურნალობა უფასო იყო სხვა წყარო	4.8	0.0	0.0	3.2
სხვა წყარო	2.1	0.3	0.9	0.4

ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ოჯახების 18.7% აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში სამედიცინო მომსახურებისათვის განუღებია ხარჯებმა ოჯახი ფაქტიურად გააღატაკა. მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა დაზღვევის მქონე და არამქონე ოჯახებს შორის. თუ დაზღვევის არამქონე ოჯახების 23.6% ამბობს, რომ სამედიცინო ხარჯებმა მათი ოჯახი, პრაქტიკულად, გააღატაკა, იგივეს ამბობს ოჯახების 8.6%, რომლებშიც რამოდენიმე წევრია დაზღვეული, ხოლო 9.2% – იმ ოჯახებში, რომლებშიც ყველა წევრს აქვს სამედიცინო დაზღვევა. მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა სამედიცინო დაზღვევა ოჯახს, სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფარვა მნიშვნელოვანი ტვირთია ოჯახების ნახევარზე მეტისათვის (იხ. გრაფიკი №E4). თუმცა, უხეშად რომ ვთქვათ, დაზღვევის არამქონე ოჯახებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯები ორჯერ უფრო მძიმე ტვირთია, ვიდრე სამედიცინო დაზღვევის მქონე ოჯახებისათვის. არცთუ ისე მძიმე ტვირთად და უმნიშვნელო ტვირთად სამედიცინო მომსახურების ხარჯებს ოჯახების მესამედი მიიჩნევენ, ძირითადად კი – ის ოჯახები, რომელთაც სამედიცინო დაზღვევა აქვთ.

**გრაფიკი №E4: რამდენად მძიმე ტვირთი იყო ოჯახისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების გადახდა? (სამედიცინო დაზღვევის მქონეთა ჯრილის მიხედვით - %)**




გამოკითხული ოჯახების 18.5%-ს გასული წლის განმავლობაში მედიკამენტები ფაქტიურად არ მოუხმარია. მედიკამენტებს ყოველდღიურად მოიხმარენ ოჯახების თითქმის მეოთხედში

(23.1%). ამას ემატება ასევე ის ოჯახები (სულ გამოკითხული შინამეურნეობების 16.3%), რომლებიც მედიკამენტური მკურნალობის კურსს რეგულარული ინტერვალებით იტარებენ. ოჯახების 35.6% მედიკამენტებს მხოლოდ ავადმყოფობის დროს მოიხმარს. ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ ფაქტზე: ქვემო ქართლის რეგიონში გამოკითხული შინამეურნეობების 6.4% ამბობს, რომ მათი ოჯახის წევრები საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას, თუმცა ამის შეძენის მატერიალური საშუალება არ აქვთ.

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ სადაზღვევო კომპანიები მედიკამენტების ხარჯებს თითქმის არასდროს ფარავენ (მხოლოდ ოჯახების 1.9% მიუთითებს მედიკამენტების ხარჯების სადაზღვევო კომპანიების მიერ დაფარვაზე). მედიკამენტების საფასურს მოსახლეობა, ძირითადად, ოჯახის რეგულარული ბიუჯეტიდან ფარავს (80.8%), თუმცა ოჯახის დანაზოგი, მეგობრების/ნათესავების დახმარება და ფულის სესხება მედიკამენტების შეძენისას დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა.

იქედან გამომდინარე, რომ სადაზღვევო კომპანიების უმეტესობა მედიკამენტების ხარჯებს სრულად არ ფარავს (ან პაციენტები თვითმკურნალობას ეწევიან), მედიკამენტების საფასურის დაფარვა რთულია, როგორც დაზღვეული, ისე დაზღვევის არმქონე ოჯახებისათვის. მედიკამენტების დაფარვა უიოლდება გამოკითხული ოჯახების მესამედზე ოდნავ მეტს (37%). მედიკამენტების ხარჯებმა ფაქტიურად გააღატაკა ოჯახების 15.5%. ამ კატეგორიაში განსაკუთრებით დიდია იმ ოჯახების წილი, რომლებიც ყოველდღიურად ან რეგულარულად საჭიროებენ მედიკამენტებს. მედიკამენტების ხარჯების დაფარვა უჭირს დაზღვევის მქონე და არმქონე მოსახლეობას (იხილეთ გრაფიკი №E5).

**გრაფიკი №E5: რამდენად მძიმე ტვირთი იყო ოჯახისათვის მედიკამენტების შეძენა? (სამედიცინო დაზღვევის მქონეთა ჯრილის მიხედვით – %)**



- უკიდურესად მძიმე -ამ ხარჯებმა პრაქტიკულად გაგვაღატაკა
- საკმაოდ მძიმე -ეს ხარჯები ოჯახის ბიუჯეტს მნიშვნელოვნად დაეტყო

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა

კვლევის პროცესში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე ორი მთავარი ბარიერის გავლენა შემოწმდა: სამედიცინო დაწესებულების სიშორე და სამედიცინო მომსახურების ფასი. რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ, რამდენად აფერხებდა ეს ორი ბარიერი მათთვის და მათი ოჯახის წევრებისათვის სამედიცინო მომსახურების მიღებას. გრაფიკი №E6-ზე ასახულია სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების მიმართ სიშორისა და მომსახურების ღირებულების ბარიერების საშუალო მნიშვნელობა. 4 ქულა არის მაქსიმალური მაჩვენებელი, როდესაც ბარიერი აბსოლუტურია და ამ ფაქტორის გამო ოჯახმა ვერ მიიღო ესა თუ ის სახის სამედიცინო მომსახურება.

**გრაფიკი № E6: ბოლო 12 თვის განმავლობაში რამდენად შეგიშალათ ხელი თითოეულმა ჩამოთვლილმა ფაქტორმა იმაში, რომ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრებს მიგელოთ საჭირო სამედიცინო მომსახურება? (შეთვასება 4 არავითარი ბარიერი, შეთვასება 1 აბსოლუტური ბარიერი)**



როგორც დიაგრამიდან ჩანს, სამედიცინო მომსახურების ღირებულება საკმაოდ ძლიერი ბარიერია მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით, დიაგნოსტიკური გამოკვლევებისა და პოსპიტალური მკურნალობისას. სამედიცინო დაწესებულების სიშორე ქალაქში



მცხოვრებლებისათვის ბარიერს თითქმის არ წარმოადგენს მაშინ, როდესაც სამედიცინო დაწესებულებების სიმორე სერიოზულ ბარიერს უქმნის ქვემო ქართლის რეგიონის სოფლის მაცხოვრებლებს. თუკი ქვემო ქართლის რეგიონის სხვადასხვა რაიონებს შევადარებთ, წალკის მკვიდრი ყველაზე ხშირად ხედავენ სამედიცინო დაწესებულებების სიმორეს მკურნალობის ბარიერად. სამედიცინო დაწესებულებების სიმორე ბარიერია ბოლნისის, მარნეულისა და თეთრიწყაროს რაიონების მაცხოვრებლებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სოფლად მკვიდრთათვის ზოგჯერ სამედიცინო დაწესებულება შორსაა დასახლებიდან, საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობა მაინც ახერხებს დისტანციის დაძლევას, რასაც ვერ ვიტყვით სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაზე.

### სამედიცინო დაზღვევა

2007 წლიდან საქართველოს მთავრობის ინიციატივით დაინერგა სახელმწიფო/მუნიციპალიტეტების სამედიცინო დაზღვევის პროგრამები. შეიქმნა სისტემა, რომელმაც 4 წლის მანძილზე 1-2% სანყისი დონიდან დაზღვევით მოიცვა მოსახლეობის 30%-მდე. განათლების სფეროში დანერგილი ვაუჩერებისაგან განსხვავებით, სადაც ვაუჩერები უნივერსალურად ნაწილდება, ჯანდაცვის სფეროში, ძირითადად, სარგებელი მიიღო მოსახლეობის ღარიბმა და უღარიბესმა ნაწილმა, მაგრამ იხიერა საშუალო და შეძლებულმა ფენამაც. ეკონომიკურად უმწეო ოჯახების სამედიცინო ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, უმწეო ოჯახებმა მიიღეს უფასო სამედიცინო დაზღვევის პოლისი. ოჯახების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს სხვა ტიპის სამედიცინო დაზღვევა. სხვადასხვა კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ სწორედ ის მცირედი ნაწილი, რომელსაც აქვს კერძო ან კორპორატიული დაზღვევები, უფრო ქმედითად იყენებს დაზღვევას და მათს ბიუჯეტსაც ნაკლებ ტვირთად აწევს სამედიცინო მომსახურების ხარჯები. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ორი ფაქტორი: კერძო ან კორპორატიული სამედიცინო დაზღვევის შემთხვევაში დაზღვეული პირები თავად იხდიან თანხას დაზღვევაში და, შესაბამისად, უფრო მომთხოვნები არიან მომსახურების მიღების საკითხში. გარდა ამისა, სხვა კვლევებიდან ფიქსირდება<sup>27</sup>, რომ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დაზღვეული მოსახლეობა ნაკლებად ინფორმირებულია სამედიცინო დაზღვევის პირობების შესახებ და ნაკლებ ძალისხმევას იჩენს სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

შედეგების თვალსაზრისით, ქვემო ქართლის რეგიონში ჩატარებული კვლევა იგივე ტენდენციას აჩვენებს.

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ სამედიცინო დაზღვევა გამოკითხული ოჯახების ორ მესამედს არ აქვს (72.6%). სამედიცინო დაზღვევის მქონე ოჯახები (ანუ ქვემო ქართლის შინამეურნეობების 27.3%) შემდეგი ტიპის სამედიცინო სადაზღვევო პაკეტებს ფლობენ (ცხრილი №E 2):

<sup>27</sup> გაეროს ბავშვთა ფონდი. 2010. სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის ბარიერები (UNICEF. 2010. Barriers to Access to Social Services)

ცხრილი №E 2: რა ტიპის სამედიცინო დაზღვევა გაქვთ თქვენ ან თვენი ოჯახის წევრებს? (პროცენტული მაჩვენებლები)

„სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის”, ე.წ. უმწეოთა და ზღვევა	33.6
კომპაქტურ დასახლებებში მყოფ იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაზღვევა	0.8
სახელმწიფოს ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფინანსებული სამედიცინო დაზღვევა	5.1
საჯარო სკოლის პედაგოგთა სამედიცინო დაზღვევა	17.3
სხვა სახელმწიფო დაზღვევა, რომელიც ვრცელდება მხოლოდ ერთ პიროვნებაზე	8.5
კერძო კორპორატიული დაზღვევა, ანუ დაზღვევა სამსახურიდან	24.2
ინდივიდუალური დაზღვევა, რომელიც ოჯახის სახსრებით არის შეძენილი	2.6
მიჭირს პასუხის გაცემა	8.0

მონაცემებიდან ჩანს, რომ დაზღვეული ოჯახების მესამედს აქვს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, ანუ ე.წ. უმწეოთა დაზღვევა. თუკი ამ დაზღვევის მქონეთა დემოგრაფიულ ჭრილს გავანალიზებთ, დავინახავთ, რომ აღნიშნული დაზღვევა სოფლად მცხოვრები შინამეურნეობების 45.4%-ს აქვს, როდესაც ქალაქში ეს მაჩვენებელი 20.3%-ია. თუ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის შეფასებას ობიექტურად მივიჩნევთ, აღმოჩნდება, რომ სიღარიბე ქვემო ქართლის რეგიონში, ძირითადად, სოფლებშია კონცენტრირებული. უმწეოთა დახმარებას უფრო ხშირად დმანისის მცხოვრებნი იღებენ, რომელსაც მოყვება ბოლნისი და მარნეული. ეთნიკური ჭრილის მიხედვით უმწეოთა დახმარებას უფრო ხშირად ბერძენი (76.9%), აზერბაიჯანული (53.9%) და სომხური (35.6%) წარმოშობის ოჯახები იღებენ (უმწეოთა დახმარებას ქართული ოჯახების 28.1% იღებს). სამედიცინო დაზღვევის მქონეთა შორის, დაფარვის თვალსაზრისით, ქვემო ქართლში მეორე ადგილზეა კერძო კორპორატიული დაზღვევა (24.2%). ეს დაზღვევა, ძირითადად, ქალაქში მცხოვრებ შინამეურნეობის წევრებს აქვთ (ქალაქში მაჩვენებელია 45.4%, სოფლად – 5.3%) და, უპირატესად, რუსთავის მცხოვრებლებს ფარავს. კორპორატიული დაზღვევა, ძირითადად, ქართული ეროვნების მცხოვრებთ აქვთ. საჯარო სკოლების პედაგოგთა დაზღვევა აქვს დაზღვევის მქონეთა 17.3%-ს. ეს დაზღვევა სოფლად მცხოვრებ სამედიცინო დაზღვევის მქონეთა მეოთხედს ფარავს და მეორე ადგილზეა, როდესაც ქალაქში დაზღვეულთა მხოლოდ 10.4%-ს ფარავს. კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრებ პირთა სამედიცინო დაზღვევა ქვემო ქართლის დაზღვეული მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილს აქვს და, ძირითადად, რუსთავში, გარდაბანსა და დმანისში აღინიშნება. ინდივიდუალურ დაზღვევა, რომელიც ოჯახის შემოსავლებით იფარება, მცირე ნაწილს აქვს (2.6%) და, უმავრესად, რუსთავზე, თეთრინწყაროსა და წალკაზე ნაწილდება.

**სამედიცინო დაზღვევის არმქონე ოჯახები**

სამედიცინო დაზღვევა არა აქვს გამოკითხული ოჯახების 72.6% -ში არც ერთ წევრს (2115 ოჯახი), ოჯახების 14.8%-ში დაზღვევა აქვს მხოლოდ რამოდენიმე წევრს (429 ოჯახი). ცხრილ №E3-ში ასახულია ძირითადი მიზეზები, რომელთა გამოც ქვემო ქართლში მცხოვრები შინამეურნეობა ან შინამეურნეობის წევრი არ დაეზღვია.

*ცხრილი № E3: ფაქტორები, რომელთა გამოც შინამეურნეობა ან შინამეურნეობის წევრ(ებ)ი არ დაეზღვია (პოზიტიური პასუხების პროცენტული მაჩვენებლები დაზღვევის არმქონე ოჯახებს შორის)*

**სახელმწიფო/მუნიციპალური სამედიცინო დაზღვევის არსებობის შესახებ** 9.4  
**ინფორმაციის არქონა**

სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამებით დასაზღვევად	საჭირო	10.0
პროცედურული ინფორმაციის არქონა		
შინამეურნეობა მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხვდა		25.9
სახელმწიფო/მუნიციპალურ დაზღვევის პროგრამაში		
სახელმწიფო/მუნიციპალური დაზღვევა ეკუთვნის, მაგრამ სადაზღვევო პოლისი ჯერ არ მიუღია		2.9
კერძო დაზღვევის შესაძენად საჭირო თანხის უქონლობა		51.1
შინამეურნეობა დაზღვევის საჭიროებას ვერ ვხედავთ		7.7

დაზღვევის არქონის დომინანტურ მიზეზად ოჯახები კერძო დაზღვევის შესაძენად საჭირო თანხების უქონლობას ასახელებენ (დაზღვევის არმქონეთა 51.1%). ამ ბარიერს განსაკუთრებით უსვამენ ხაზს ქალაქის ტიპის დასახლებაში მცხოვრებნი, ხოლო რაიონული ჭრილის მიხედვით კი წალკის, თეთრიწყაროს, ბოლნისისა და რუსთავის მცხოვრებნი. ამ მიზეზს ნაკლებად ასახელებენ აზერბაიჯანული წარმოშობის რესპონდენტები. ამის მიზეზი კი არის ის, რომ აზერბაიჯანული წარმოშობის რესპონდენტები, ძირითადად, სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებით დაფინანსებულ სამედიცინო დაზღვევაზე აკეთებენ აქცენტს. მეორე მთავარი მიზეზი, რომელიც სამედიცინო დაზღვევის არქონას იწვევს, არის სახელმწიფო/მუნიციპალური დაზღვევის პროგრამაში (შინამეურნეობის მცდელობის მიუხედავად) ვერმოხვედრა (25.9%). ამას ბარიერად სოფლის მცხოვრებნი ორჯერ უფრო ხშირად ასახელებენ, ვიდრე ქალაქში მცხოვრები შინამეურნეობის წევრები. სახელმწიფო/მუნიციპალური დაზღვევის პროგრამების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ისევე, როგორც ამ პროგრამაში ჩართვისათვის საჭირო პროცედურების შესახებ ინფორმაციის არქონა, ქვემო ქართლში მცხოვრები ოჯახების მეოთხედზე მეტისათვის (29.4%) პრობლემას წარმოადგენს. ინფორმაციის ნაკლებობას უფრო ხშირად ეთნიკური სომეხი და აზერბაიჯანელი რესპონდენტები მიუთითებენ. რესპონდენტთა მცირე ნაწილი ვერ ხედავს სამედიცინო დაზღვევის საჭიროებას, განსაკუთრებით, ქალაქში მცხოვრებნი. აღნიშნული პასუხი უფრო ხშირად ბერძნულ და ქართულ მოსახლეობაში გვხვდება.

## N. მისამართული სოციალური დახმარება

### რეზიუმე

საქართველოს სოციალური დაცვის პოლიტიკა ეფუძნება მისამართულ დახმარებას. მისამართული სოციალური დახმარების პროგრამა (რომელიც ცნობილია „უმწეო ოჯახების სოციალური დახმარების“ სახელით) საქართველოში 2006 წლის შემდეგ დაინერგა. სოციალური დახმარების პოლიტიკის პრინციპად მიიჩნევა სახელმწიფოს მიერ რესურსების მიწოდება შეფასების სისტემის მიერ გამოვლენილი ყველაზე გაჭირვებული ადამიანებისათვის. მისამართული სოციალური დახმარების ფარგლებში გამოვლენილ უმწეო ოჯახებს ენიშნებათ ფულადი დახმარება და ეძლევათ სამედიცინო დაზღვევის პოლისი. ფულადი დახმარება და სამედიცინო დაზღვევა არის საფუძველი, რომელსაც სოციალური ინტეგრაცია, სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა ემყარება.

უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამის მისამართულობისა და ეფექტების შემსწავლელი კვლევები შეზღუდული რაოდენობითაა. აღნიშნულ კვლევაში ერთ-ერთ თემად გამოყოფილი იყო ქვემო ქართლის მოსახლეობაში მისამართული სოციალური დახმარების შესახებ ინფორმირებულობის დონე, პროგრამაში მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი, პროგრამაში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზები, მოსახლეობის მიერ მიღებული შეფასებების და შეფასებითი ასპექტებით კმაყოფილების ხარისხი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობის მეხუთედს არც კი სმენია აღნიშნული პროგრამის შესახებ. ინფორმირებული ოჯახების ნახევარს განაცხადი ჰქონდა შეტანილი საარსებო შემწეობის მისაღებად, რაც მთლიანად ქვემო ქართლის მოსახლეობის მესამედზე მცირედით მეტია. მართალია, პროგრამის შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი დაბალია აზერბაიჯანულ და სომხურ ოჯახებში, თუმცა, პროგრამის შესახებ ცოდნის შემთხვევაში, ამ ეთნიკურ ჯგუფებს ქართველ შინამეურნეობებზე ხშირად შეაქვთ განაცხადი სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მოსახვედრად. პროგრამაში მონაწილეობას ქართველი მოსახლეობა, ძირითადად, იმით ხსნის, რომ მათ ოჯახებს არ აქვთ ამის საჭიროება მაშინ, როცა აზერბაიჯანულ და სომხურ შინამეურნეობებში არასწორი შეფასების შიში უფრო მნიშვნელოვანი ბარიერია. მიუხედავად იმისა, რომ უმწეოთა დახმარების პროგრამა სახელმწიფო ენაზე მიმდინარეობს, ქვემო ქართლის მოსახლეობისათვის ენობრივი ბარიერი უმნიშვნელოა.

ის ოჯახები, რომლებსაც არ შეუტანიათ განაცხადი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში მოსახვედრად, არც მომავალში აპირებენ განაცხადის შეტანას. ქვემო ქართლის რეგიონში განაცხადის შემტანთა მეოთხედზე მეტმა ვერ მიიღო სოციალური დახმარება, რადგან მათი ეკონომიკური მდგომარეობა შეფასდა 70 001–100 000 ქულამდე. დახმარების მიღებათა პირველ კატეგორიაში მოხვედრილები (ანუ ის ოჯახები, რომლებმაც მიიღეს 57 000 ქულამდე შეფასება) გამოკითხული მოსახლეობის 11.3%-ია. სოციალური მომსახურების სააგენტოს ცნობით კი, ქვემო ქართლის რეგიონში დახმარება განაცხადის შემტანი ოჯახების

7.4%-მა მიიღო. განსხვავება კვლევის შედეგებსა და სოციალური სააგენტოს მონაცემებს შორის შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით: ა) კვლევაში შერჩევის ცდომილების მნიშვნელობით; ბ) სარეიტინგო ქულის შესახებ მცდარი ინფორმაციით (ამას ისიც ამყარებს, რომ გამოკითხვის პროცესში ქვემო ქართლის მოსახლეობის მესამედს არ ახსოვდა მიღებული სარეიტინგო ქულები). სოციალური მომსახურების სააგენტოს თანახმად, ქვემო ქართლის რეგიონი, საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობის მიხედვით, საქართველოს მასშტაბით ბოლოდან მესამე ადგილზეა (თბილისისა და სამცხე-ჯავახეთის შემდეგ). თუმცა, მეორე მხრივ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქვემო ქართლის გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა მათი ოჯახების ეკონომიკური პროფილის შეფასების შედეგებით უკმაყოფილოა. უკმაყოფილებას აზერბაიჯანელი და სომეხი ოჯახები უფრო გამოთქვამენ.

### *საარსებო შემწეობის შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემები*

სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, 2011 წლის აგვისტომდე ქვემო ქართლის რეგიონიდან უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული იყო 47 103 ოჯახი (ანუ 158 645 ადამიანი). აქედან მისამართული სოციალური დახმარება მიიღო ოჯახების 19.4%-მა (ანუ, მოსახლეობის 17.1%-მა). ცხრილში №N1 ასახულია რეგიონების მიხედვით საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი საარსებო შემწეობის მისაღებად დარეგისტრირებულ ოჯახებსა და მოსახლეობასთან მიმართებაში. როგორც მონაცემებიდან ჩანს, ქვემო ქართლის რეგიონში მისამართული დახმარება ქვემო ქართლის მთელი მოსახლეობის 7.4%-მა მიიღო. ამ მაჩვენებლით ის მესამე ადგილზეა თბილისისა და სამცხე-ჯავახეთის შემდეგ. საარსებო შემწეობის მისაღებად დარეგისტრირებული ოჯახების რაოდენობასთან მიმართებაში ქვემო ქართლი უკვე მეორე ადგილზეა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის შემდეგ.



ცხრილი №N1: საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი რეგისტრირებულ მოსახლეობასთან, რეგიონების მიხედვით<sup>28</sup>

რეგიონი/რაიონი	საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი რეგისტრირებულთა		საარსებო შემწეობის მიმღებთა პროცენტული წილი მთელ მოსახლეობასთან	
	ოჯახი	მოსახლეობა	ოჯახი	მოსახლეობა
ქ. თბილისი	24.3	21.2	6.6	5.0
გურია	25.6	24.4	14.3	12.1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	53.6	51.5	38.3	30.4
კახეთი	31.2	28.7	16.8	12.4
იმერეთი	30.4	29.7	15.1	12.9
მცხეთა-მთიანეთი	34.1	30.2	16.8	11.2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	20.6	21.1	9.9	8.4
სამცხე-ჯავახეთი	14.0	11.5	6.8	4.6
ქვემო ქართლი	19.4	17.1	7.4	5.4
შიდა ქართლი	37.9	36.2	21.5	17.4
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	19.9	20.0	9.0	8.9
ზემო აფხაზეთი	45.1	38.4	18.3	13.9
სულ	27.0	24.9	11.7	9.3

პირველი ფილტრი, რომელიც მისამართულ სოციალურ დახმარებასთან მიმართებაში საკვლევ ჯგუფს გამოყოფდა, იყო შეკითხვა, რომელიც არკვევდა, რესპონდენტების რა ნაწილს სმენოდა ამ პროგრამის არსებობის შესახებ. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მისამართული სოციალური დახმარების არსებობის შესახებ არ იცის (არ სმენია) ქვემო ქართლის მოსახლეობის 24.7%-ს. საინტერესოა პროგრამის შესახებ ინფორმირებული რესპონდენტების სხვადასხვა მახასიათებლები. როგორც მონაცემებიდან ჩანს, პროგრამის შესახებ არაინფორმირებულია აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობის მესამედზე მეტი

<sup>28</sup> მონაცემები აღებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდიდან [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge) (27.10.2011)



(38.4%), სომეხი წარმოშობის მოსახლეობის მეხუთედი (20.2%), ხოლო ქართველი მოსახლეობის 16.1%. ამ შედეგებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისამართული სოციალური დახმარების შესახებ ინფორმირებულობა დამოკიდებულია სახელმწიფო ენის ცოდნისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის დონეზე. რაიონების ჭრილობივ გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავებები: გარდაბნის რაიონში დახმარების შესახებ არ არის ინფორმირებული მოსახლეობის თითქმის ნახევარი (48.6%), წალკაში – თითქმის მესამედი (31.9%). სხვა რაიონებში ეს მაჩვენებელი გაცილებით მცირეა და მეხუთედს უტოლდება.

კვლევის პროცესში ვარკვევდით, რამდენად ადეკვატური ინფორმაცია აქვს ქვემო ქართლის მოსახლეობას მისამართული სოციალური დახმარების შესახებ. ცხრილში №N2 ასახულია რესპონდენტთა პასუხების პროცენტული მაჩვენებლები. რადგან რესპონდენტებს შეეძლოთ მიეთითებინათ რამოდენიმე პასუხი, აქვე მოცემულია კუმულაციური პროცენტული მაჩვენებლები. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, იმ რესპონდენტთა შორისაც კი, რომლებიც ამბობენ, რომ აქვთ ინფორმაცია მისამართული სოციალური დახმარების შესახებ, ნაწილს არ აქვს ადეკვატური ინფორმაცია. არაადეკვატურად ინფორმირებული მოსახლეობა ხშირად დახმარების ფორმებად ასახელებს ინვალიდთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფას, პენსიას, დევნილთა დახმარებას, ბავშვთა დღის ცენტრით მომსახურებას, სურსათით დახმარებას. იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ არ იციან დახმარების ტიპის შესახებ, დაბალია.


	კუმულაციური პროცენტული მაჩვენებელი	პროცენტული მაჩვენებელი
ფულადი სოციალური დახმარება	41.0	83.2
სამედიცინო დაზღვევა	31.9	64.8
ინვალიდის დამხმარე საშუალებები	5.6	11.4
პენსია	4.1	8.2
დევნილების დახმარება	2.0	4.1
უფასო იურიდიული მომსახურება	0.2	0.4
ბავშვთა დღის ცენტრების მომსახურების ვაუჩერი	0.2	0.3
შეღავათები გადასახადებზე	4.4	9.0
შეღავათები ტრანსპორტზე	3.3	6.8
სურსათით დახმარება	2.2	4.5
არ ვიცი	4.4	9.0
უარი პასუხზე	0.7	1.4

სულ	100	203.0
-----	-----	-------

**ცხრილი №N2: რა ტიპის დახმარებები გაიცემა უმწეოთა ბაზის საფუძველზე? (პროცენტული მაჩვენებლები)**

კვლევის მიხედვით, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ერთიან ბაზაში განაცხადი შეიტანა პროგრამის შესახებ ინფორმირებულ ქვემო ქართლის მკვიდრთა 49.9%-მა, ანუ მთლიანი მოსახლეობის მესამედზე მეტმა (37.6%). მისამართული სოციალური დახმარების შესახებ ინფორმირებული მოსახლეობიდან განაცხადის შემტანებს შორის აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობა სჭარბობს (პროგრამის შესახებ ინფორმირებულ აზერბაიჯანული წარმოშობის ოჯახების 66.2%), რომელსაც მოსდევენ სომეხი ეროვნების ოჯახები (პროგრამის შესახებ ინფორმირებულ სომეხი წარმოშობის ოჯახების 53.2%) და ქართველები (პროგრამის შესახებ ინფორმირებული ქართული წარმოშობის ოჯახების 41.4%). რაიონების მიხედვით განაცხადის შემტანი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლები ასახულია გრაფიკზე №N1. როგორც მონაცემებიდან ჩანს, სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთიან ბაზაში ყველაზე იშვიათად რუსთავის მოსახლეობას ჰქონდა შეტანილი განაცხადი, რომელსაც მოსდევს წალკა და გარდაბანი. დმანისის რაიონში სოციალურ დახმარებას ოჯახთა უმეტესობა ითხოვს. მისამართული სოციალური დახმარების მისაღებად მაღალ აქტივობას იჩენენ ბოლნისსა და თეთრიწყაროში მცხოვრები ოჯახები.


**გრაფიკი №N1: გქონდათ/გაქვთ შეტანილი განაცხადი სოციალურად დაუცველი (უმწეო) ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მოსახვედრად? (პროცენტული მაჩვენებლები რაიონების მიხედვით)**



როგორც ჩანს, რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი აცხადებს, რომ მათმა ოჯახებმა განაცხადი არ შეიტანეს უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ერთიან ბაზაში. ამას ისინი სხვადასხვა მიზეზებით ხსნიან, რომელთა შორის წამყვანი ორია: ა) ოჯახს არა აქვს ამის საჭიროება (27.3%) და ბ) ოჯახს დახმარება არ ეკუთვნის (19%) (ანუ, რესპონდენტთა აზრით, ოჯახის სარეიტინგო ქულა სიღარიბის ზღვარს ზემოთ იქნება). ამ ფაქტორებზე, ძირითადად, ქართველი მოსახლეობა მიუთითებს, თუმცა, ისინი მნიშვნელოვანია ეთნიკურ სომხებსა და აზერბაიჯანლებშიც. კვლევის პროცესში გამოვლინდა მისამართული სოციალური დახმარების პროგრამაში მონაწილეობის პროცედურული და სხვა ბარიერები. ამ ბარიერებს შორის ნიშანდობლივია პროგრამის ფარგლებში შეფასებასთან დაკავშირებით მოსახლეობაში გავრცელებული სტერეოტიპები, რომ ოჯახების ეკონომიკური სიტუაცია არაობიექტურად ფასდება (არასწორი შეფასების შიშის გამო უმწეო ოჯახების ერთიან ბაზაში განაცხადი არ შეიტანა 23.8%-მა) (იხ. გრაფიკი №N2). არასწორი შეფასების შიში განსაკუთრებით მაღალია აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობაში. პროცედურული ბარიერები, რომელიც, ძირითადად, არაინფორმირებულობას უკავშირდება, შემთხვევებით აღმოჩნდა განაცხადის არშემტანი ოჯახების 7%-ისათვის, აქედან 3.1%-ი ელოდა, რომ სოციალური აგენტები მას თავად მიმართავდნენ, ხოლო 3.9%-მა არ იცოდა, სად უნდა შეეტანათ განაცხადი. ნიშანდობლივია, რომ არაინფორმირებულობას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ამჟღავნებენ.

ქვემო ქართლის რეგიონისათვის სპეციფიკურად პრობლემურია ენობრივი ბარიერი. უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ერთიან ბაზაში დასარეგისტრირებელი განცხადება ივსება ქართულ, როგორც სახელმწიფო სამართალწარმოების ენაზე. თუმცა, როგორც ჩანს, ეთნიკური უმცირესობებისათვის, ეს მნიშვნელოვან ბარიერს არ წარმოადგენს და ამის გამო განაცხადის შეტანაზე უარი მხოლოდ გამოკითხული ოჯახების 0.8%-მა თქვა, რომელთა შორის, ძირითადად, აზერბაიჯანელი ოჯახები არიან. კვლევის თვისებრივ ეტაპზე ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ქვემო ქართლის რეგიონის სოციალური მომსახურების სააგენტოებში პერსონალი ეხმარებოდა არაეთნიკურ ქართველ მოსახლეობას განაცხადის შევსებაში. ამიტომაც, მათი თქმით, ენობრივი ბარიერი ამ თვალსაზრისით არ არსებობს.

**გრაფიკი №N 2: რა არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ არ შეიტანეთ განაცხადი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში მოსახვედრად? (პროცენტული მაჩვენებლები ეთნიკური ჯგუფის მიხედვით)**



საინტერესოა, რომ იმ რესპონდენტთაგან, რომლებსაც არ შეუტანიათ განაცხადი უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ერთიან ბაზაში, უმრავლესობა (74.6%) არც მომავალში აპირებს განაცხადის შეტანას (ეს ქვემო ქართლის მთლიანი მოსახლეობის 28.2%-ია). განაცხადის არშემტან ოჯახთაგან 17.5%-მა არ იცის, მომავალში გააკეთებს თუ არა განაცხადს მისამართული სოციალური დახმარების მისაღებად, ხოლო განაცხადის შეტანას კი 7.8% აპირებს, რაც მთლიანად ქვემო ქართლის მოსახლეობის 3%-ია.

კვლევის ფარგლებში ვარკვევდით უმწეოთა ერთიან ბაზაში განაცხადის შემტანი ოჯახების სარეიტინგო ქულებს (იხ. ცხრილი №N3). როგორც შედეგებიდან ჩანს, რესპონდენტთა დაახლოებით მესამედს (30.1%) არ ახსოვს როგორ შეფასდა მათი ოჯახი. ქვემო ქართლის შინამეურნეობების დიდი ნაწილის შეფასება 70 001-დან 100 000 ქულამდე მერყეობს. ანუ ეს ოჯახები ვერ მიიღებდნენ ვერც ფულად დახმარებას და ვერც სამედიცინო პოლისს. ისინი შეიძლება მოხვდნენ მუნიციპალიტეტების მიერ უზრუნველყოფილი კომუნალური შეღავათების მიმღებთა შორის. დახმარების სრული პაკეტი (ფულადი დახმარება, ჯანდაცვის პოლისი ოჯახის ყველა წევრზე და კომუნალური შეღავათები) მიიღო ქვემო ქართლში განაცხადის შემტანთა 11.3%-მა, რაც მთელი მოსახლეობის 4.2%-ია. ეს მაჩვენებელი აღემატება სოციალური


მომსახურების სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკას. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, არის ის, რომ ოჯახების დიდმა ნაწილმა არ იცის მისი ოჯახის ზუსტი სარეიტინგო ქულა, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს საიტზე სიზუსტით არის ასახული.

**ცხრილი №N3: რამდენია თქვენი ოჯახის სარეიტინგო ქულა ამჟამად? (პროცენტული მაჩვენებლები)**

0 - 57 000	57 001 - 70 000	70 001 - 100 000	100 000 - 200 000	200 000 - ჯერ არ ზე მეტი დაუთვლიათ	უარი პასუხზე	მიჭირს პასუხის გაცემა	
11.3	12.3	27.2	6.9	0.5	7.6	4.2	30.1

მნიშვნელოვანია, ეს მონაცემები ვნახოთ დასახლების ტიპის მიხედვით. მონაცემებიდან ჩანს, რომ სიღარიბე კონცენტრირებულია ქალაქებში. შეფასების დაბალი ზღვარი (1-57 000) ქალაქში მცხოვრებთა 18.7%-ს აქვს, როდესაც სოფლად ეს მაჩვენებელი 8.6%-ია. რაც შეეხება ეროვნების მიხედვით მონაცემთა გადანაწილებას, დაბალი სარეიტინგო ქულები, ძირითადად, ქართველ მოსახლეობას აქვს: 1-57 000 სარეიტინგო ქულის ქონაზე ქართული შინამეურნეობების 16.2% მიუთითებს მაშინ, როცა აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობაში ეს მაჩვენებელი 6.2%-ია, ხოლო სომეხ შინამეურნეობებში – 4.3%. გრაფიკზე №N 3 ასახულია სიღარიბის განაწილება რაიონული ჭრილის მიხედვით. კვლევის მონაცემებიდან ჩანს, რომ რუსთავეში მცხოვრები განაცხადის შემტანი ოჯახები ყველაზე ხშირად იღებენ დაბალ შეფასებას (ანუ იდენტიფიცირებული არიან, როგორც მონყველადი ჯგუფი). თუმცა, აქ უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი შეფასებები, ანუ 100 000 ქულაზე მეტი, ასევე რუსთავეშია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ რუსთავეის მოსახლეობაში მაღალია ეკონომიკური უთანასწორობა.

გრაფიკი №N 3: რამდენია თქვენი სარეიტინგო ქულა ამჟამად (მხოლოდ ქულების პროცენტული მაჩვენებლები)



კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის რეგიონში უმწეოთა ერთიან ბაზაში განაცხადის შემტანი ოჯახების უმრავლესობა სოციალური აგენტების მიერ გაკეთებული შეფასებით უკმაყოფილოა. ბაზაში რეგისტრირებული და სარეიტინგო ქულის მიმღები ოჯახების 60.3% მიიჩნევს, რომ მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა უფრო დაბალია, ვიდრე სოციალური აგენტის მიერ შეფასდა. საინტერესოა, რომ უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების 7.7 %-ის აზრით, მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა უფრო მაღალია, ვიდრე შეფასდა. გამოკითხული რესპონდენტების 16.3% მიიჩნევს, რომ ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა და სოციალური აგენტების მიერ გაკეთებული შეფასება შეესაბამება ერთმანეთს. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული ოჯახების 13.6%-ს, ხოლო პასუხის გაცემისაგან უარი განაცხადა ოჯახების 2.1%-მა. დასახლების ტიპის მიხედვით, სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრები ოჯახები უფრო უკმაყოფილონი არიან მიღებული სარეიტინგო ქულებით, ვიდრე – ქალაქში. ეს იმითაც აიხსნება, რომ ქალაქში მცხოვრებ ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულთა უფრო მეტმა ნაწილმა მიიღო შეფასება, ვიდრე სოფლად მცხოვრებლებმა. რაც შეეხება ეთნიკურ ჯგუფს, სარეიტინგო ქულას ქართველები უფრო ობიექტურად მიიჩნევენ, ვიდრე აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის რესპონდენტები. რაიონული ჯგუფის მიხედვით კი შეფასებით უფრო უკმაყოფილო წალკისა და თეთრიწყაროს მოსახლეობაა.



## F. ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

### რეზიუმე

ქვემო ქართლის რეგიონი ბუნებრივი რესურსებითა და მრავალფეროვანი ეკონომიკური აქტივობით გამოირჩეული რეგიონია, რომელშიც სოფლის მეურნეობა, მსხვილი და წვრილი ინდუსტრია მნიშვნელოვნად იყო განვითარებული. თუმცა, საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ ეკონომიკის თითქმის ყველა დარგს მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნა. სოციალისტურ ეკონომიკაში ჩართული სანარმოები, რომლებიც ნედლეულის ექსპორტ-იმპორტით სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან იყო მიბმული, პრობლემების წინაშე დადგა. კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების რღვევასა და პრივატიზაციის პროცესს ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ფერმერული მეურნეობების განვითარება უნდა გამოეწვია. თუმცა, ეს პროცესიც ძალიან ნელა და რთულად მიმდინარეობდა საქართველოში. უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში ეკონომიკური მაჩვენებლები აღმავალ ტენდენციებზე მიუთითებს. წინსვლა თითქმის ყველა რეგიონს შეეხო, მათ შორის, ქვემო ქართლსაც ([www.geostat.ge](http://www.geostat.ge)).

აღნიშნული კვლევის ფარგლებში ვიკვლევდით თავად ქვემო ქართლის მოსახლეობის ხედვას რეგიონისთვის პერსპექტიული ეკონომიკური საქმიანობების შესახებ. ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის პერსპექტიულობა განისაზღვრა სამი ფაქტორის ჭრილში: რეგიონის პოტენციალი, მოსახლეობის კვალიფიკაცია და კერძო და სახელმწიფო სექტორების მხარდაჭერა. მიღებული შედეგები ნათელყოფენ, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობას არ აქვს ფართო რეგიონული ხედვა. მათი პასუხები, ძირითადად, საკუთარი რაიონის პერსპექტიულობით შემოიფარგლება. აქედან გამომდინარე, ისინი თითქმის თანაბრად აფასებენ ბუნებრივ რესურსებსა და ადგილობრივი მოსახლეობის კვალიფიკაციის მნიშვნელობებს. გამონაკლისს წარმოადგენენ რუსთავის მცხოვრებნი, რომლებიც მთელი რეგიონის მასშტაბით არსებულ პოტენციალს საკმაოდ პოზიტიურად აფასებენ. შესაბამისად, ქვემო ქართლის მოსახლეობის მიერ ყველაზე პერსპექტიულ ეკონომიკურ დარგებად დასახელდა ბოსტნეულისა და მარცვლეულის მოყვანა, მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის მოშენება მაშინ, როცა რუსთაველები პერსპექტივას უფრო მეტალურგიის, სამთო მოპოვების, ტრანზიტისა და ტურიზმის განვითარებაში ხედავენ. მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლი სასაზღვრო რეგიონია და მეზობელ ქვეყნებთან ტრანზიტული კავშირები აქვს, ამ მიმართულებას არცთუ ისე პერსპექტიულად აღიქვამს რეგიონის მოსახლეობა. რესპონდენტები ასევე სკეპტიკურად არიან განწყობილნი ტურიზმის განვითარების პოტენციალის მიმართ. სხვადასხვა ეკონომიკურ დარგებში სახელმწიფო ან კერძო ბიზნესის მხრიდან მხარდაჭერაზე რესპონდენტი თა მცირე ნაწილი მიუთითებს.

ქვემო ქართლის რეგიონისათვის მნიშვნელოვანი იყო ნავთობსადენისა და გამსადენის პროექტები (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-თბილისი-ერზრუმი), იმის გათვალისწინებით, რომ ნავთობსადენმა და გამსადენმა უშუალოდ ამ რეგიონზე გაიარა. კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ ამ პროექტებს მასშტაბური გავლენა ქვემო ქართლის შინამეურნეობებზე არ მოუხდენია. შესაბამისად, ისინი ამ პროექტების გავლენას ზოგადად რეგიონისათვის უფრო დადებითად აფასებენ, ვიდრე თავად მათი ოჯახებისათვის. რეგიონისთვის პოზიტივად მიიჩნევა დასაქმების ზრდა და მოსახლეობისათვის მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ გაცემული კომპენსაციები. მიკრო საფინანსო სესხების შესახებ მოსახლეობას მწირი ინფორმაცია აქვს,

თუმცა, მათს ნაწილს უსარგებელია მსგავსი სესხით. მიკრო საფინანსო სესხის მიმღები ოჯახები, ძირითადად, ადგილობრივი ორგანიზაციების მომსახურებით სარგებლობენ, ხოლო სესხების დანიშნულებად საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ასახელებენ, რაც აჩენს ეჭვს, რომ მიკრო საფინანსო სესხებში ისინი, ჩვეულებრივ, საბანკო სესხსაც გულისხმობენ და არა ბიზნესის განვითარებისა და წამოწყების მიზნით გაცემულ სესხებს.

ქვემო ქართლის რეგიონს სტრატეგიული მდებარეობა აქვს, რადგან ესაზღვრება საქართველოს ორ მეზობელს – სომხეთსა და აზერბაიჯანს. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა დადებითად აფასებს მეზობელ ქვეყნებთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. ამასთან, რესპონდენტთა შეფასებით, რუსეთის ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიულია; ამ ბაზარზე ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტი ყველაზე ხშირად სახელდება ხელსაყრელ საქმიანობად. თუმცა, ამავე დროს, სწორედ რუსეთის ბაზარია შეფასებული ყველაზე ხელმოიწვედომლად ექსპორტ-იმპორტისათვის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე. თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ბაზარი სავაჭრო ურთიერთობებისთვის მეტ-ნაკლებად ღიაა, თუმცა, რესპონდენტები მიუთითებენ გარკვეულ ბარიერებზე, რომლებიც მათ ამ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებში უშლით ხელს. ესაა მაღალი საბაჟო გადასახადები და ბიუროკრატიული პრობლემები.

ეკონომიკური ტენდენციების შესწავლისას, ასევე, შევეხეთ ქვემო ქართლში განხორციელებულ სამ პროგრამას („იაფი კრედიტი“, „ჰიბრიდული სიმინდის გამოყენების პროგრამა“ და „მექანიზაციის პროგრამა“). გაიზომა შინამეურნეობების ამ პროგრამებში ჩართულობის ხარისხი და მონაწილეობის არმილების მიზეზები. პროგრამა „იაფი კრედიტი“ ძალაში 2008 წლიდან შევიდა. პროგრამის მიზანი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება დაბალგანაკვეთიანი სესხებით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2008–2009 წლებში, საქართველოს მასშტაბით, 64.8 მილიონი ლარი გაიცა, ხოლო 2010 წელს - მხოლოდ 1 მილიონი, ისიც მხოლოდ თბილისის ბიუჯეტიდან<sup>29</sup>. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, აღნიშნული პროგრამის შესახებ არ სმენია ქვემო ქართლის მოსახლეობის ერთ მესამედს, ხოლო პროგრამით ისარგებლა ქვემო ქართლის ოჯახების 3%-მა (რაც 92 ოჯახია). პროგრამაში მონაწილეობის არმილება, ძირითადად, გამომწვეული იყო კრედიტის საჭიროების არქონით, ინფორმაციის ნაკლებობითა და ფინანსური პრობლემებით. 2009 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება „ჰიბრიდული სიმინდისა და სხვა სახის თესლის გამოყენების“ პროგრამა. აღნიშნული პროგრამის მიზანი საქართველოში სიმინდის მოსავლის ზრდა იყო, რომელიც ჰიბრიდული თესლის მეშვეობით რამოდენიმეჯერ უნდა გაზრდილიყო. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, აღნიშნული პროგრამით კიდევ უფრო ნაკლებად ისარგებლეს ქვემო ქართლის რეგიონის მაცხოვრებლებმა (2.3% ანუ 98 ოჯახი<sup>30</sup>), თუმცა, მეორე მხრივ, პროგრამის შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი უფრო მაღალია. პროგრამაში მონაწილეობის არმილებას მოსახლეობა კვლავ საჭიროებისა და ინფორმაციის არქონით ხსნის. „მექანიზაციის პროგრამა“ სოფლის მეურნეობის სფეროში საპარტნიორო ფონდების „მოქალაქეთა კავშირი საერთაშორისო ურთიერთობისათვის“ (CNFA) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)

<sup>29</sup> <http://banksandfinance.ge/society/1417-iafi-kredit.html> მასალა მოპოვებულია 2011 წლის 26 ოქტომბერს.


<sup>30</sup> ამ შემთხვევაში პროცენტული მაჩვენებელი უფრო დაბალია, რადგან პროცენტი მხოლოდ სოფლის დასახლებების მაცხოვრებელთა შორის ითვლება.

მხარდაჭერით განხორციელდა. პროექტის მიზანი იყო სოფლის დასახლებების შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვა. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობის მხოლოდ 2.1%-ს მიუღია მონაწილეობა აღნიშნულ პროგრამაში, რომელშიც მონაწილეობის არმიღებას ქვემო ქართლის მოსახლეობა იგივე მიზეზებით ხსნის (საჭიროების და ინფორმაციის არქონა).

**ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის პრიორიტეტული დარგები**

ქვემო ქართლის რეგიონი ბუნებრივი რესურსებით მდიდარია. კვლევის თვისებრივ ეტაპზე გამოიყო სხვადასხვა დარგი, რომელთა განვითარებას განსაკუთრებით პრიორიტეტულად თვლის ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობა. ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა დარგების განვითარების პერსპექტივები რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ 5 ბალიან სკალაზე (სადაც შეფასება 1 ნიშნავდა „ძალზე პერსპექტიულს, 5 „ძალზე არაპერსპექტიულს“). სულ გამოიყო 17 დარგი.

**გრაფიკი №F1: რამდენად აქვს ქვემო ქართლის რეგიონს თითოეული დარგის განვითარების პერსპექტივა (საშუალო მაჩვენებლები: 5 – „ძალზე პერსპექტიული“, 3 – „ნეიტრალური“, 1 – „ძალზე არაპერსპექტიული“)**



განვიხილოთ თითოეული დარგის განვითარების პერსპექტივა ცალ-ცალკე. ყველაზე ნაკლებ პერსპექტიული დარგი ქვემო ქართლის განვითარებისათვის, მოსახლეობის აზრით, ხე-ტყის წარმოებაა. ამ დარგს შედარებით პესპექტიულად რუსთავისა და ბოლნისის მცხოვრებნი თვლიან. ზოგადად კი მისი პერსპექტიულობის განსაზღვრა ქვემო ქართლის მცხოვრებთა თითქმის ნახევარს (46.5%) უჭირს.

ქვემო ქართლის ეკონომიკური განვითარებისათვის არაპერსპექტიულ დარგად მოსახლეობა, ასევე, ტურიზმს მიიჩნევს. ამ დარგის პერსპექტიულობის განსაზღვრა უჭირს რესპონდენტთა 44.1%-ს. რაიონული ჭრილის მიხედვით კი, განსაკუთრებით არაპერსპექტიულად ტურიზმს მარნეულის რაიონში თვლიან (საშუალო მაჩვენებელია 1.85), მაშინ, როცა ამ დარგს შედარებით პერსპექტიულად აფასებენ დმანისისა და რუსთავის მცხოვრებნი (ეს შედეგი ბუნებრივად მოჩანს დმანისის რაიონის ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე, რომლის შესახებაც, პირველ რიგში, ინფორმირებულები თავად დმანისელები არიან).

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს გადამამუშავებელი მრეწველობის, კერძოდ, ტყავის წარმოების ნაკლებად პერსპექტიულობას (ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით). რეგიონის მოსახლეობის თითქმის ნახევარი (49%) ამ დარგის პერსპექტიულობას ვერ აფასებს. ტყავის წარმოების მნიშვნელობა პოზიტიურად ფასდება რუსთავსა და წალკაში.

სამშენებლო მასალის მოპოვებას ქვემო ქართლის რეგიონის მცხოვრებნი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ. გამოკითხულთა 43.6% ამ დარგის შეფასებისაგან თავს იკავებს. რაც შეეხება რაიონებს, სამშენებლო მასალის მოპოვება შედარებით პერსპექტიულად მიაჩნიათ წალკაში (საშუალო მაჩვენებელი 4.21), ხოლო მარნეულში - შედარებით არაპერსპექტიულად (საშუალო მაჩვენებელი 2.32).

გადამამუშავებელი წარმოება, კერძოდ, ქიმიური მრეწველობა, პერსპექტიულობის თვალსაზრისით, 17 დარგიდან მეცამეტე ადგილზეა. ამ დარგის პერსპექტიულობას ვერ აფასებს მოსახლეობის 47.5%. აქაც ვლინდება ქვერეგიონული განსხვავებები, რაც ამ დარგში გამოცდილებითა და ინფორმირებულობის ხარისხით არის განპირობებული. შესაბამისად, ქიმიურ მრეწველობას ძალზე პერსპექტიულად მიიჩნევენ რუსთავში (საშუალო მაჩვენებელი 4.6) მაშინ, როცა სხვა რაიონები ამ პოზიციას არ იზიარებენ.

ქვემო ქართლის განვითარების პერსპექტიულობის თვალსაზრისით მეთორმეტე ადგილზეა ლოჯისტიკა, სატრანსპორტო და სატრანზიტო მომსახურება მეზობელ ქვეყნებთან. ამ დარგის პერსპექტიულობას ვერ აფასებს გამოკითხულთა 47.6%. მისი განვითარებისათვის ქვემო ქართლის რეგიონის სტრატეგიულ მდებარეობას ითვალისწინებს რუსთავისა და წალკის მოსახლეობა და ამ დარგს პერსპექტიულად აფასებს, რაც სხვა რაიონებში მცხოვრებ რესპონდენტებთან მნიშვნელოვნად არ ვლინდება.

პერსპექტიულობის თვალსაზრისით მეთერთმეტე ადგილზეა სამთო, კერძოდ, ოქროსა და სხვა ლითონის მადნეულის მოპოვება. ამ დარგის პერსპექტიულობას ვერ აფასებს რესპონდენტთა

44%. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს დარგი პერსპექტიულად უფრო მეტად რუსთავსა და ბოლნისში მცხოვრებთ მიაჩნიათ.

გადამამუშავებელი, კერძოდ კი მეტალურგიული მრეწველობა და ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, პერსპექტიულობის თვალსაზრისით, მეათე ადგილზეა. ამ დარგის განვითარების მნიშვნელობა განსაკუთრებით რუსთავში ესმით (რაც სავსებით ბუნებრივია რუსთავის მეტალურგიული მრეწველობის ტრადიციების გათვალისწინებით). თუმცა, რეგიონის სხვა რაიონები ამ დარგის პერსპექტიულობას არ აღიარებენ (საერთო ჯამში, 43.6% ვერ აფასებს ამ დარგის მნიშვნელოვნებას რეგიონისათვის).

მეცხოველეობა, კერძოდ კი მეღორეობა, პერსპექტიულობის თვალსაზრისით მეცხრე ადგილს იკავებს. ამ დარგის პერსპექტიულობას ვერ აფასებს რესპონდენტთა მეოთხედი (26%). მეღორეობას განსაკუთრებით პერსპექტიულად თვლიან წალკასა და თეთრიწყაროში მამინ, როცა მარნეულის რაიონში ამ დარგს საკმაოდ არაპერსპექტიულად მიიჩნევენ (დიდი ალბათობით, ეს მარნეულის რაიონის დომინანტი აზერბაიჯანელი მოსახლეობის მუსლიმური აღმსარებლობითაა გამოწვეული).

ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის მეტ-ნაკლებად პერსპექტიულად მიაჩნიათ გადამამუშავებელი მრეწველობა, კერძოდ, საკვები პროდუქტების, საკონსერვო წარმოება. ამ დარგის პერსპექტიულობის განსაზღვრა უჭირს გამოკითხულთა 39%-ს. მას განსაკუთრებულად პერსპექტიულად მიიჩნევენ წალკასა და რუსთავში.

პერსპექტიულობის თვალსაზრისით მეშვიდე ადგილზეა მრავალწლიანი კულტურების, კერძოდ, ყურძნის წარმოება. ამ დარგის პერსპექტიულობას ვერ აფასებს რესპონდენტთა მეხუთედი (20.4%). დარგს განსაკუთრებით პერსპექტიულად თვლიან მარნეულსა და ბოლნისში, რასაც, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, საერთოდ არ იზიარებენ წალკის მცხოვრებნი.

ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ხილის მოყვანა. ამ დარგის პერსპექტიულობას ვერ აფასებს რესპონდენტთა შვიდარეობით მცირე ნაწილი (17.2%). დარგს ყველა რაიონის მცხოვრებნი პოზიტიურად აფასებენ, განსაკუთრებით კი მარნეულსა და რუსთავში.

მეფრინველეობა პერსპექტიულობის თვალსაზრისით მეხუთე ადგილას დგას. თუმცა, გამოკითხულთა მეოთხედს (24.2%) ამ დარგის პერსპექტიულობის შეფასება უჭირს. მეფრინველეობას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რუსთავში, მარნეულში, წალკასა და თეთრიწყაროში.

ერთწლიანი კულტურის, კერძოდ, მარცვლეულის წარმოება, პერსპექტიულობის თვალსაზრისით მეოთხე ადგილზეა. ამ ფაქტორს ვერ აფასებს გამოკითხულთა მეხუთედი (19.3%). დმანისის რაიონის გარდა, ეს დარგი ყველგან ძალზე პერსპექტიულად არის მიჩნეული.



მეცხოველეობა, კერძოდ, ცხვრისა და თხის მოშენება, რესპონდენტების მიერ მესამე პერსპექტიულ დარგად სახელდება ქვემო ქართლის რეგიონში. ამ ფაქტორს მნიშვნელოვნად აფასებს გამოკითხულთა ოთხი მეხუთედი. დმანისისა და ბოლნისის რაიონების გარდა, ეს დარგი ყველგან ძალზე პერსპექტიულად ითვლება.

ეკონომიკის დარგებს შორის მეორე ადგილას მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება სახელდება. ამ დარგის პერსპექტიულობას ვერ აფასებს რესპონდენთა 18.4%. ამ შემთხვევაშიც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას შედარებით არაპერსპექტიულად მიიჩნევენ დმანისისა და ბოლნისში.

ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის ყველაზე პერსპექტიულად მოსახლეობის მიერ სახელდება ერთწლიანი კულტურის, კერძოდ, ბოსტნეულის წარმოება. ამ დარგის პერსპექტიულობას ვერ აფასებს გამოკითხულთა 16.9%. ამ პოზიციას ყველა რაიონის მკვიდრნი იზიარებენ, დმანისისა და თეთრიწყაროს მაცხოვრებლების გარდა.


ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის განვითარებისათვის, რესურსების არსებობის გარდა, მნიშვნელოვანია მოსახლეობის შესაბამის სფეროში ოპერირების კვალიფიკაცია. გამოკითხვით ვარკვევდით, რამდენად აქვთ ქვემო ქართლის რეგიონის მცხოვრებთ ზემოთ მოყვანილი 17 დარგის განვითარებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. გრაფიკი №F2 გამოხატავს თითოეული დარგის განვითარებისათვის მოსახლეობის უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის საშუალო მაჩვენებლებს (კვალიფიკაცია ფასდებოდა 5 ბალიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავდა “სრულიად არ აქვს კვალიფიკაცია”, ხოლო 5 – „აქვს ძალზე მაღალი კვალიფიკაცია“).

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ რესპონდენტები ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის განვითარებისათვის მოსახლეობის კვალიფიციურობას იგივე ტენდენციით ახასიათებენ, როგორც თავად ამ დარგების პერსპექტიულობას. ამ შემთხვევაშიც, ყველაზე მეტად კვალიფიციურად რესპონდენტები ქვემო ქართლის მკვიდრთ ბოსტნეულის წარმოებაში, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებასა თუ წვრილფეხა პირუტყვის მოშენებაში მიიჩნევენ მაშინ, როცა ნაკლებ კვალიფიციურად თვლიან ტურიზმის განვითარებაში, ტყავის წარმოებასა თუ ხე-ტყის დამუშავებაში.

კვლევის შედეგები იმასაც აჩვენებს, რომ რესპონდენტები ქვემო ქართლის მოსახლეობის კვალიფიციურობას იმ დარგში აფასებენ პოზიტიურად, რომელიც თავად მათს რაიონშია მეტ-ნაკლებად განვითარებული.



გრაფიკი №F2: თითოეული დარგის განვითარებისათვის მოსახლეობის უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის შეფასების საშუალო მაჩვენებლები ( 1 ნიშნავს „სრულიად არ აქვს კვალიფიკაცია“, ხოლო 5 – „აქვს ძალზე მაღალი კვალიფიკაცია“)



მონაცემებიდან ჩანს, რომ რთულია ვისაუბროთ ქვემო ქართლში ეკონომიკის მხოლოდ ერთი რომელიმე დარგის განვითარებაზე. ეკონომიკის დარგების განვითარება უნდა მოხდეს რაიონული დიფერენციაციის პრინციპით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ამ რაიონის რესურსი და მოსახლეობის კვალიფიკაციის დონე, რომელიც, გარკვეულწილად, ამა თუ იმ დარგის ისტორიული განვითარებით არის განპირობებული.

ეკონომიკური დარგების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენად უწყობს ხელს ამ პროცესს ხელისუფლება და ხდება თუ არა ამ სფეროებში კერძო ინვესტიციების ჩადება. ცხრილში № F1 ასახულია მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საკითხების მიმართ. როგორც წესი, მოსახლეობის უმრავლესობას უჭირს შეათვასოს, უჭერს თუ არა მხარს სახელმწიფო ქვემო ქართლის რეგიონში ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარებას. ეკონომიკის სხვადასხვა დარგში კერძო ინვესტიციების ჩადების შესახებ კი მოსახლეობას მწირი ინფორმაცია აქვს. სახელმწიფოს მხრიდან ამა თუ იმ დარგის სუბსიდირების შესახებ ინფორმირებული რესპონდენტების უმრავლესობა მიუთითებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა უფრო არ არის, ვიდრე არის. რესპონდენტთა აზრით,

ეკონომიკის დარგებიდან სახელმწიფოს სუბსიდირება ყველაზე მეტად მარცვლეულის წარმოებაში ხდება (ამას მიუთითებს გამოკითხულთა მეოთხედი – 24.5%). ამას მოსდევს ბოსტნეულის წარმოება (18.8%), სამშენებლო მასალის მოპოვება (18%), ხე-ტყის დამუშავება (17.6%), მრავალწლიანი კულტურების (ხილის) მოყვანა (17.2%). სახელმწიფოს მხრიდან ყველაზე ნაკლებად სუბსიდირებული ეკონომიკის დარგები, რესპონდენტთა აზრით, არის ქიმიური წარმოება, ტყავისა და ტყავის ნაწარმის წარმოება, და მეტალურგიული მრეწველობა.

ქვემო ქართლის რეგიონში გამოკითხული მოსახლეობა თვლის, რომ ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში სახელმწიფო სუბსიდიებზე ნაკლებად ხდება კერძო ინვესტიციების ჩადება. სფეროები, რომლებშიც კერძო ინვესტიციები კონკურენციას უწევს სახელმწიფო სუბსიდიებს, არის მეტალურგიული, საკვები პროდუქტების წარმოება და მეცხოველეობა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი).

ცხრილი № F1: თითოეული დარგის განვითარებისათვის თუ ხდება ხელისუფლების მხარდაჭერა და კერძო ინვესტიციების ჩადება? (პროცენტული მაჩვენებლები)

ეკონომიკის დარგები	სახელმწიფოს კერძო ინვესტიციები მხარდაჭერა					
	დიახ	არა	მიჭირს პ/გ	დიახ	არა	მიჭირს პ/გ
ერთწლიანი კულტურების წარმოება (მარცვლეული)	24.5	26.2	493	12.0	20.5	67.5
ერთწლიანი კულტურების წარმოება (ბოსტნეული)	18.8	23.5	57.7	11.8	23.4	64.8
მრავალწლიანი კულტურების წარმოება (ხილი)	17.2	31.7	51.2	11.0	19.9	69.0
მრავალწლიანი კულტურების წარმოება (ყურძენი)	16.8	24.3	58.9	13.4	23.8	62.8
მეცხოველეობა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი)	14.4	33.1	47.5	15.6	17.7	66.7
მეცხოველეობა (წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი და თხა)	16.3	24.3	59.5	10.2	23.8	66.0
მეცხოველეობა (ღორი)	16.0	31.0	53.0	10.4	19.6	70.0
მეფრინველეობა	14.6	25.3	60.1	12.1	23.6	64.3
სამთო მოპოვებითი მრეწველობა (ოქროს/ლითონის მადნეულის მოპოვება)	14.5	32.8	52.7	13.0	20.0	67.0
სამთო მოპოვებითი მრეწველობა (სამშენებლო მასალების მოპოვება)	18.0	22.7	59.3	12.6	23.7	63.6
გადამამუშავებელი მრეწველობა (საკვები პროდუქტების წარმოება მშ საკონსერვო წარმოება, რძე და რძის პროდუქტები)	13.6	33.5	52.8	14.1	19.5	66.3
გადამამუშავებელი მრეწველობა (ხე-ტყის დამუშავება)	17.6	23.2	59.2	9.6	24.9	65.6
გადამამუშავებელი მრეწველობა (ქიმიური წარმოება)	11.1	34.1	54.8	9.5	20.5	69.9
გადამამუშავებელი მრეწველობა (მეტალურგიული მრეწველობა და ლითონის მზა ნაწარმის წარმოება)	14.0	25.4	60.6	17.6	22.3	60.1
გადამამუშავებელი მრეწველობა (ტყავისა და ტყავის ნაწარმის წარმოება)	11.2	34.4	54.4	9.9	22.2	68.0
ტურიზმი	16.7	24.2	40.8	14.9	21.0	64.1

ლოჯისტიკა, სატრანსპორტო და მომსახურება (მეზობელ ქვეყნებთან)	სატრანზიტო	15.6	20.9	63.5	11.2	19.0	69.7
---	------------	------	------	------	------	------	------

### ნავთობსადენი

ქვემო ქართლის რეგიონისათვის მნიშვნელოვანი იყო ნავთობსადენისა და გაზსადენის პროექტები (ბაქო–თბილისი–ჯეიჰანი და ბაქო–თბილისი–ერზრუმი), რადგან ნავთობსადენმა და გაზსადენმა უშუალოდ ამ რეგიონზე გაიარა. კვლევის პროცესში შევეცადეთ გავვერკვია მოსახლეობის დამოკიდებულება აღნიშნული პროექტების მიმართ. პირველ რიგში, მოსახლეობას ზოგადად უნდა შეეფასებინა, გააუმჯობესა თუ არა მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ამ პროექტებმა. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის ოჯახების ორ მესამედზე მეტის (76.3%) ეკონომიკურ მდგომარეობაზე გაზსადენისა და ნავთობსადენის პროექტების განხორციელებას გავლენა არ მოუხდენია. ეს ლოგიკურიცაა, რადგან აღნიშნული პროექტებიდან უშუალო ეკონომიკური სარგებელი მიიღეს მხოლოდ იმ ოჯახებმა, რომელთა მიწის ნაკვეთებზე გაიარა ნავთობსადენმა ან გაზსადენმა და მათ ამის გამო კომპენსაცია მიიღეს. შესაბამისად, რესპონდენტების მხოლოდ 1.5% აღნიშნავს, რომ ამ პროექტებით მათი შინამეურნეობის ეკონომიკა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ხოლო 3.1% მიუთითებს, რომ მათი ეკონომიკური სიტუაცია ნაწილობრივ გაუმჯობესდა. ქვემო ქართლში არსებული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების თქმით, ამ პროექტების ეკონომიკური ეფექტი იმ მოსახლეობისათვის, რომელმაც მიწის სანაცვლოდ მიიღო კომპენსაცია, მხოლოდ მცისიერი იყო; ამის მიზეზად ისინი მიწის საკომპენსაციოდ გადახდილი თანხის სიმცირესა და მიწსადენების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების გამოყენებისათვის დაწესებულ შეზღუდვებს ასახელებენ, რომელთა ნეგატიურ ეკონომიკურ ეფექტს მოსახლეობა მომავალში უფრო მწვავედ შეიგრძნობს. თუმცა, ნავთობსადენისა და გაზსადენის პროექტების განხორციელების გამო ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაზე დამოკიდებულება უმნიშვნელო ნაწილი (0.7%) მიუთითებს. რესპონდენტთა 18.4%-ს უჭირს განსაზღვროს, როგორი ეფექტი იქონია ზემოთ აღნიშნულმა პროექტებმა მათი ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ქვემო ქართლის მოსახლეობის დიდ ნაწილს (41.0%) უჭირს განსაზღვროს, იქონია თუ არა ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის და ბაქო–თბილისი–ერზრუმის პროექტებმა გავლენა არა პირადად მათი ოჯახების, არამედ ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. დამოკიდებულება მეოთხედზე მეტი (28%) თვლის, რომ ამ პროექტებს რეგიონის ეკონომიკაზე გავლენა არ მოუხდენია. ნავთობსადენის და გაზსადენის პროექტების პოზიტიურ გავლენაზე მიუთითებს რესპონდენტთა 30.4%. კვლევის თვისებრივ ეტაპზე, ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან შეხვედრისას გამოვლინდა, რომ გაზსადენისა და ნავთობსადენის პროექტებს მართლაც არ აქვს ქვემო ქართლის რეგიონზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური გავლენა, რადგან ამ პროექტებიდან შემოსული ფინანსები, ძირითადად, საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში მიდის. ოჯახებსა და ქვემო ქართლის რეგიონზე ნავთობსადენისა და გაზსადენის პროექტების ეკონომიკური გავლენის შედარებისას ვლინდება, რომ მოსახლეობა პროექტებს ქვემო ქართლისათვის უფრო პოზიტიური გავლენის მქონედ მიიჩნევს, ვიდრე უშუალოდ მათი ოჯახებისათვის.

რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ ქონდა თუ არა ნავთობსადენისა და გამსადენის პროექტებს ქვემო ქართლის რეგიონზე გავლენა და როგორი იყო ეს გავლენა (პოზიტიური თუ ნეგატიური). როგორც ცხრილი №F2-დან ჩანს, რესპონდენტთა 42.5%-ს უჭირს შეათვასოს აღნიშნული პროექტების გავლენა. ამ პროექტების გავლენის შესახებ ინფორმირებული რესპონდენტები, ძირითადად, პოზიტიურ ფაქტორებზე მიუთითებენ. ყველაზე ხშირად (23.3%) სახელდება დასაქმების გაზრდა, ამას მოსდევს მოსახლეობის მიერ მიღებული კომპენსაციები (13.7%) და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (8.6%). რესპონდენტთა 5.2% პოზიტიურ გავლენად ასახელებს საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას; ნავთობსადენისა და გამსადენის პროექტების შედეგად უსაფრთხოების გაზრდაზე მიუთითებს რესპონდენტთა 1.7%. ნავთობსადენისა და გამსადენის პროექტების ნეგატიურ მხარეზე ძალიან ცოტა რესპონდენტი მიუთითებს (სულ პასუხების 4.9%), ძირითადად, მიუთითებენ ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხეზე, მოსახლეობის მიერ საკარმიდამო ნაკვეთების დაკარგვაზე, ნავთობსადენის მიდამოებში მშენებლობის აკრძალვაზე და ნავთობსადენისა და გამსადენის გამო გაზრდილ თიბიკურ საფრთხეზე. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ნეგატიური გავლენების წილი ზოგად პასუხებში მინიმალურია.

**ცხრილი №F2: რა გავლენა მოახდინა ნავთობსადენისა და გამსადენის პროექტებმა ქვემო ქართლის რეგიონზე? (პროცენტული მაჩვენებლები)**

ნავთობსადენისა და გამსადენის პროექტების პოზიტიური და პროცენტული ნეგატიური გავლენა ქვემო ქართლის რეგიონზე	პროცენტული მაჩვენებლები
გაიცა კომპენსაცია, გაზსადენმა/ნავთობსადენმა გაიარა ნაკვეთებზე	13.7%
გაიზარდა დასაქმება	23.3%
გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა	8.6%
გაიზარდა საბიუჯეტო შემოსავლები	5.2%
რეგიონში გაიზარდა უსაფრთხოება	1.7%
გაიზარდა ეკოლოგიური კატასტროფების საფრთხე	1.8%
მოსახლეობამ დაკარგა საკარმიდამო ნაკვეთები	1.7%
ნავთობსადენის მიდამოებში მოსახლეობას აკრძალა მშენებლობა	0.7%
ქვემო ქართლის რეგიონის უსაფრთხოებას შეექმნა საშიშროება	0.7%
მიჭირს პასუხის გაცემა	42.5%


**მიკრო საფინანსო სესხები**

საქართველოს მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის მიკრო საფინანსო სესხების გაცემა მიზნად ისახავს, მცირე სესხების გაცემის გზით, ხელი შეუწყოს მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას. ქვემო ქართლის რეგიონში არაერთი მიკრო საფინანსო ორგანიზაცია ფუნქციონირებს. გამოკითხვის მიხედვით გამოვლინდა, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარს არ სმენია მიკრო ბიზნეს სესხების შესახებ (არ მსმენია – 43%, მიჭირს პასუხის გაცემა – 3.6%). რესპონდენტთა იმ ნახევრიდან, რომელსაც სმენია მიკრო ბიზნეს სესხების შესახებ,

უმრავლესობა (83%) მიუთითებს, რომ მათს ქალაქში/რაიონში მიკრო საფინანსო ორგანიზაცია ფუნქციონირებს. რაიონების ჭრილის მიხედვით გვხვდება მცირედი განსხვავება, თეთრიწყაროს (68.8%) და გარდაბნის (71.4%) რაიონებში მცხოვრებნი ყველაზე ნაკლებად მიუთითებენ მათს რაიონებში მიკროსაფინანსო ორგანიზაციის არსებობაზე მაშინ, როდესაც ბოლნისისა (94.7%) და დმანისში (91.9%) მიკროსაფინანსო სესხების შესახებ ინფორმირებულები უფრო ხშირად მიუთითებენ მსგავსი ორგანიზაციის არსებობაზე.

იმ რესპონდენტთაგან, რომლებიც ინფორმირებულნი არიან მიკრო საფინანსო სესხების შესახებ, 20.4%-ს უცდია მიკროსაფინანსო სესხის აღება. გრაფიკ №F3-ზე ასახულია მიკრო საფინანსო სესხის აღების მაჩვენებლები რაიონულ ჭრილში. შედეგებიდან ჩანს, რომ ამ სესხის აღების შედარებით დაბალი მაჩვენებელია დმანისისა და ბოლნისის რაიონებში. მიკროსაფინანსო სესხების შესახებ ინფორმირებული მოსახლეობის თითქმის მესამედს უცდია გარდაბანში სესხის აღება, მეოთხედზე მეტს – თეთრიწყაროში და მეხუთედს – რუსთავში. ეთნიკური ჭრილის მიხედვითაც ვლინდება მცირედი განსხვავება. ყველაზე ნაკლებად მიკროსაფინანსო სესხს იღებს ამ შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებული სომეხი (90.6%) და აზერბაიჯანელი (86.6%) წარმოშობის მოსახლეობა მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი ქართველ მოსახლეობასთან 75.3%-ია. მიკრო საფინანსო სესხის აღება დაკავშირებულია მოსახლეობის ინფორმირების დონესთან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ოპერირების ენასა და თითოეული ეთნოსის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოების დონესთან.

**გრაფიკი №F3: თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს უცდია თუ არა მიკრო საფინანსო სესხის აღება? (პროცენტული მაჩვენებლები რაიონული ჭრილის მიხედვით).**



მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ სად ცდილობდა მიკროსაფინანსო სესხის აღებას ქვემო ქართლის მოსახლეობა (იხ. ცხრილ №F3). მოსახლეობის 66.2% მიკროსაფინანსო სესხის აღებას თავისივე საცხოვრებელთან ახლოს ცდილობს. რუსთავში ყველაზე მეტი რესპონდენტი ეცადა თავის ქალაქში მიკრო ამ სესხის აღებას (80.6%), რაც გამომწვეულია იმით, რომ რეგიონულ ცენტრში უფრო მეტი მიკრო საფინანსო ორგანიზაციაა, რომლებიც ფართო



არჩევანს სთავაზობენ მომხმარებელს. მარნეულში მცხოვრებ მიკრო საფინანსო სესხის ამლებ რესპონდენტთა მცირე ჯგუფმა, ძირითადად, მარნეულშივე სცადა სესხის აღება. ქვემო ქართლის სხვა რაიონში ეცადა მიკრო საფინანსო სესხის აღებას დმანისში მცხოვრები ამ სესხის ამლებთა 40.4%. წალკაში მიკრო საფინანსო სესხის ამლებთა ნახევარზე მეტი სესხის აღებას ქვემო ქართლის სხვა რაიონში ცდილობდა. თბილისში მიკროსაფინანსო სესხის აღებას კი, ძირითადად, თეთრიწყაროსა და გარდაბნის მაცხოვრებლები ცდილობდნენ. ქვემო ქართლის მცხოვრებთა უმნიშვნელო ნაწილი ეცადა მიკრო საფინანსო სესხის აღებას საქართველოს სხვა რეგიონში, ხოლო საზღვარგარეთ არავის უცდია, რომ აეღო ეს სესხი.

**ცხრილი №F3: სად მიმართეთ მიკრო საფინანსო ორგანიზაციას/ბანკს სესხის ასაღებად? (პროცენტული მაჩვენებლები)**

	რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრწყარო	წალკა	გარდაბანი	საერთო
ჩემს მაცხოვრებელ რაიონში/ქალაქში	80.6%	79.9%	56.8%	41.6%	31.8%	31.2%	71.3%	66.2%
ქვემო ქართლის რეგიონის სხვა რაიონში/ქალაქში	4.5%	11.9%	23.0%	40.4%	31.8%	60.2%	5.5%	14.8%
თბილისში	6.0%	0%	10.1%	0%	36.5%	8.6%	23.2%	13.0%
საქართველოს სხვა რეგიონში	1.5%	4.1%	5.0%	13.5%	0%	0%	0%	2.0%
უარი პასუხზე	7.5%	4.0%	5.0%	4.5%	0%	0%	0%	4.0%

რესპონდენტებმა, რომელთა ოჯახსაც უცდია მიკრო საფინანსო სესხის აღება, უპასუხეს შეკითხვას, თუ რა მიზნით უნდოდათ სესხის აღება. ბიზნესის გაფართოების მიზნით მიკრო საფინანსო სესხის აღება უნდოდა 17.4%-ს, ხოლო ახალი ბიზნესის წამოწყების მიზნით – 14.1%-ს. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ოჯახები უფრო ხშირად მაშინ ცდილობენ სესხის მიღებას, როდესაც უკვე ბიზნესი წამოწყებული აქვთ, ანუ ქვემო ქართლის მცხოვრებნი ახალი ბიზნესის წამოწყებას სესხით უფრო ერიდებიან. რესპონდენტთა 61.5%-ი ამბობს, რომ მიკრო საფინანსო სესხის აღება საყოფაცხოვრებო პირობების (სახლი, ავეჯი, ტექნიკა, სხვ.) გაუმჯობესების მიზნით სურდათ. არ არის გამორიცხული, რომ ამ რესპონდენტებს მიკრო საფინანსო სესხი ბანკების მიერ გაცემულ სხვა სახის სესხში აერიათ ან მიკრო საფინანსო სესხის საშუალებით ცდილობდნენ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ეს კი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ თვით იმ რესპონდენტებსაც კი, რომლებმაც თავი ინფორმირებულად ჩათვალეს, არ აქვთ ადეკვატური ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე.

კვლევის პროცესში გავარკვიეთ, რა მოცულობის მიკრო საფინანსო სესხის აღებას ცდილობდნენ ქვემო ქართლის მაცხოვრებლები. ამ სესხის მისაღებად განაცხადის შემტანთაგან 29.3% ითხოვდა 1000 ლარამდე სესხს. გამოკითხულთა 28.1% ცდილობდა მიეღო 1001 ლარიდან 2000 ლარამდე მოცულობის მიკრო საფინანსო სესხი. 2001 ლარიდან 5000 ლარამდე სესხი მოითხოვა აპლიკანტთა მეოთხედმა (24.5%). რესპონდენტთა 9.1% კი ცდილობდა მიეღო სესხი 5001 ლარზე მეტი ოდენობით. შედარებით დიდი მოცულობის (2000 ლარზე მეტი) სესხების აღებას ცდილობდნენ წალკისა და ბოლნისის რაიონში. 2000 ლარამდე მიკრო



საფინანსო სესხს კი უფრო ხშირად ითხოვდნენ დმანისსა და რუსთავში. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ რესპონდენტები, რომლებსაც მიკრო საფინანსო სესხის აღება საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით უნდოდათ, უფრო მცირე რაოდენობის სესხს ითხოვდნენ, ვიდრე ოჯახები, რომლებსაც თანხა ბიზნესის დასაწყებად ან განსავითარებლად დასჭირდათ.

საინტერესოა, როგორი შედეგით დასრულდა მიკრო საფინანსო სესხის მიღების მსურველთა მცდელობა (იხ. ცხრილი №F4). ცხრილის მიხედვით, ქვემო ქართლის მცხოვრებთა მცდელობა, მიეღოთ მიკრო საფინანსო სესხი, უმრავლეს შემთხვევაში, დადებით შედეგით დასრულდა. ყველაზე მეტად დაკმაყოფილდნენ მარნეულისა და დმანისის რაიონის მცხოვრებლები. მიკრო საფინანსო სესხის აღებაზე უარი სულ 8.7%-ს ეთქვა, უფრო მეტად კი – წალკის, გარდაბნისა და ბოლნისის რაიონებში.

ცხრილი №F4: მიიღეთ მიკრო საფინანსო სესხი? (პროცენტული მაჩვენებლები რაიონული ჯრილის მიხედვით).

	რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა	გარდაბანი	საერთო
მივიღე სრულად	75.8%	87.7%	72.8%	82.0%	67.1%	71.4%	71.3%	74.7%
მივიღე თუმცა უფრო მცირე ოდენობით	4.5%	12.3%	9.9%	9.0%	17.6%	11.5%	7.7%	8.8%
ვერ მივიღე	6.1%	0%	10.0%	4.5%	10.6%	17.2%	15.1%	8.7%
ველოდები პასუხს	3.0%	0%	4.9%	4.5%	0%	0%	1.9%	2.2%
მიჭირს პასუხის გაცემა	10.6%	0%	2.5%	0%	4.7%	0%	3.9%	5.6%

მიუხედავად იმისა, რომ მიკრო საფინანსო სესხი მხოლოდ 8.8%-მა ვერ მიიღო, ხოლო აპლიკანტთა 8.7%-მა მიიღო მცირე რაოდენობით, მაინც ვეცადეთ გაგვეჩვენოთ, რატომ ეთქვათ უარი ამ პირებს მათი მოთხოვნის სრულად ან ნაწილობრივად დაკმაყოფილებაზე. რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (43.6%) ამბობს, რომ მათ სესხის მიღებაზე უარი ეთქვათ, რადგან არ გააჩნდათ საგარანტიო კაპიტალი; მეხუთედმა (19.2%) არ იყის, რატომ ეთქვათ უარი მიკრო საფინანსო სესხის აღებაზე, ხოლო 6.5% ამბობს, რომ დასაბუთებული პასუხი არ მიუღია. რესპონდენტთა 9.6% აცხადებს, რომ მათი წინადადება დაინუნეს, ხოლო 7.1%-ს დოკუმენტაცია არ ჰქონდა სრულყოფილად წარდგენილი.

იმ რესპონდენტებს, რომლებმაც მიიღეს მიკრო საფინანსო სესხი, უნდა მიეთითებინათ რა ბარიერები შეხვდათ სესხის აღებისას. მათი უმრავლესობა (86.6%) აცხადებს, რომ მიკრო საფინანსო სესხის აღების პროცესში სერიოზული ბარიერი არ შეხვედრია. უმნიშვნელო რაოდენობა ასახელებს მიკრო საფინანსო ორგანიზაციების ტერიტორიულ სიმორეს (1.5%) ან ამბობს, რომ სესხის აღებას სჭირდება მფარველი (2.7%).

კვლევის პროცესში რესპონდენტებს ვეკითხებოდით, დაეხმარათ თუ არა მიკრო საფინანსო სესხი თავიანთი მიზნების განხორციელებაში. როგორც ცხრილი №F5-დან ჩანს, ამ სესხის აღებამ პოზიტიური შედეგი მოუტანა რესპონდენტთა ოჯახებს (მნიშვნელოვნად დაეხმარა

მიზნების განხორციელებაში გამოკითხულთა 46.4%-ს, ხოლო ნაწილობრივ დაეხმარა გამოკითხულთა 30.9%-ს. მიკრო საფინანსო სესხის აღება არ დაეხმარა გამოკითხულთა 9%-ს, ხოლო 5.1%-ს უჭირს შეათვასოს ამ სესხის გავლენა მათს საქმიანობაზე. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სესხის მიმღებთა 8.6% თვლის, რომ სესხის მიღებამ მათ ხელი შეუშალა მიზნების განხორციელებაში. ნეგატიურ გავლენაზე უფრო მეტად საუბრობენ რუსთავსა და გარდაბანში. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სესხის მაღალი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც მნიშვნელოვანი ბარიერი აღმოჩნდა ამ ოჯახებისათვის. ყველაზე პოზიტიურად სესხის ეფექტს აფასებენ მარნეულსა და დმანისში.

**ცხრილი №F5: დაგეხმარათ თუ არა მიკრო საფინანსო სესხი განგეხორციელებინათ თქვენი მიზნები?**

	რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა	გარდაბანი	საერთო
მნიშვნელოვნად დაგეხმარა	22.2	65.2	57.2	60.4	43.4	55.0	29.0	46.4
ნაწილობრივ დაგეხმარა	11.1	0	0	4.7	3.8	0	13.2	30.9
არ დაგეხმარა	11.1	4.3	2.8	0	0	0	2.6	9.0
ხელი შეგვიშალა	6.7	0	5.6	4.7	0	0	7.9	8.6
მიჭირს პასუხის გაცემა	38.5	3.1	3.2	21.1	11.7	4.1	10.5	5.1

(პროცენტული მაჩვენებლები რაიონული ჭრილის მიხედვით)

**სავაჭრო ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან**

ქვემო ქართლის რეგიონს სტრატეგიული მდებარეობა აქვს, რადგან ესაზღვრება საქართველოს ორ მეზობელს – სომხეთსა და აზერბაიჯანს. შესაბამისად, მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს. კვლევის პირველ ეტაპზე რესპონდენტებს ზოგადად ვეკითხებოდით, რამდენად სასარგებლო იქნებოდა ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის ადგილობრივი მოსახლეობის მეზობელი ქვეყნების ბაზართან მჭიდრო კავშირი. არ აღმოჩნდა არც ერთი რესპონდენტი, რომელიც იტყოდა, რომ მეზობელი ქვეყნის ბაზრებთან მჭიდრო კავშირი არ არის სასარგებლო. ამ საკითხის შეფასება უჭირს გამოკითხულთა 16.6%-ს, 72.9% თვლის, რომ მსგავსი ურთიერთობა სასარგებლოა, ხოლო გამოკითხულთა 10.6% ამბობს, რომ მსგავსი ურთიერთობა მეტ-ნაკლებად სასარგებლოა. მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობა მხოლოდ პოზიტიურად უყურებს მეზობელი ქვეყნების ბაზრებთან მჭიდრო კავშირს, მცირედი განსხვავებები დაფიქსირდა რაიონების მიხედვით. მეზობელი ქვეყნების ბაზრებთან მჭიდრო კავშირს ყველაზე პოზიტიურად აფასებენ ქალაქ რუსთავში, ხოლო სხვა დასახლებულ პუნქტებთან შედარებით ნაკლებ პოზიტიურად – გარდაბნის რაიონში.

მეზობელი ქვეყნების ბაზრებთან მჭიდრო ურთიერთობის ერთ-ერთი ინდიკატორია იმპორტისა და ექსპორტის შესაძლებლობები. გამოკითხვის პროცესში ვარკვევდით, რამდენად

ხელმისაწვდომია ქვემო ქართლის რეგიონის მცხოვრებლებისათვის მეზობელ ქვეყნებში ადგილობრივი პროდუქციის სარეალიზაციოდ გატანა. მათ ხელმისაწვდომობის ხუთბალიან სკალაზე უნდა შეფასებინათ ოთხ მეზობელ ქვეყანაში (აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი და სომხეთი) პროდუქციის სარეალიზაციოდ გატანის ხელმისაწვდომობა (სკალაზე შეფასება 5 ნიშნავდა „სრულიად ხელმისაწვდომია“, ხოლო 1 – „სრულიად ხელმიუწვდომელია“) (იხ. ცხრილი №F6).


**ცხრილი №F6: რამდენად ხელმისაწვდომია ქვემო ქართლის მოსახლეობისათვის მეზობელ ქვეყნებში ადგილობრივი პროდუქციის სარეალიზაციოდ გატანა? (პროცენტული მაჩვენებლები)**

	სრულიად ხელმისაწვდომია	უფრო ხელმისაწვდომია	არც ხელმისაწვდომია არც ხელმიუწვდომელია	უფრო ხელმიუწვდომელია	სრულიად ხელმიუწვდომელია	მიჯრის პასუხის გაცემა
აზერბაიჯანი	16.1	10.7	7.0	8.3	17.9	39.9
თურქეთი	13.3	10.0	7.1	7.7	18.0	43.9
რუსეთი	6.4	3.2	5.4	10.2	27.3	47.6
სომხეთი	13.3	9.2	6.3	6.3	18.0	46.9

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ რესპონდენტთა საკმაოდ დიდ ნაწილს უჭირს შეატყობოს, რამდენად ხელმისაწვდომია ადგილობრივი პროდუქტის საქართველოს მეზობელ ქვეყნებში გატანა; ასეთი შეფასება განსაკუთრებით რუსეთსა და სომხეთში ექსპორტის შესაძლებლობას ეხება. მონაცემების ანალიზისას გასათვალისწინებელია ეთნიკური ჭრილი. რესპონდენტები აღნიშნულ შეკითხვაზე, ძირითადად, პასუხობენ საკუთარი ან მათი ნაცნობების გამოცდილებიდან გამომდინარე, რაც ხშირად შეზღუდულია. გარდა ამისა, ეთნიკური დაძაბულობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანული მოსახლეობა უფრო ხშირად ვერ აფასებს სომხეთში ადგილობრივი პროდუქტების გატანის შესაძლებლობას, ან პირიქით, ეთნიკური სომხები ვერ აფასებენ აზერბაიჯანში იმპორტის ხელმისაწვდომობას.

აღნიშნული ოთხი ქვეყნიდან, ადგილობრივი პროდუქციის გატანა ყველაზე ხელმისაწვდომი, რესპონდენტთა აზრით, აზერბაიჯანშია, მას მოსდევს თურქეთი და სომხეთი. მიმდინარე პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე ბუნებრივია, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 9.6%-ს მიაჩნია შესაძლებლად რუსეთში პროდუქციის გატანა. გრაფიკი №F4-ზე ნაჩვენებია, რომ საშუალო ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი რუსეთის შემთხვევაში ძალიან ახლოსაა 1-თან (ანუ შეფასებასთან „სრულიად ხელმიუწვდომელია“). რომელიმე ქვეყნისკენ იმპორტის მიმართულების მიუხედავად, პროდუქციის გატანის უფრო მეტ ხელმიუწვდომლობაზე მიუთითებენ წალკისა და გარდაბნის რაიონის მცხოვრებნი მაშინ, როდესაც რუსთავისა და დმანისის მკვიდრნი ექსპორტის შესაძლებლობას უფრო პოზიტიურად აფასებენ.

გრაფიკი №F4: რამდენად ხელმისაწვდომია ქვემო ქართლის მოსახლეობისათვის მეზობელ ქვეყნებში ადგილობრივი პროდუქციის სარეალიზაციოდ გატანა (საშუალო მაჩვენებლები რაიონული ჭრილის მიხედვით: შეფასება 5 – „სრულიად ხელმისაწვდომია“, შეფასება 1 – „სრულიად ხელმიუწვდომელია“).



კვლევის პროცესში იმ რესპონდენტებს, რომლებიც ექსპორტის ხელმიუწვდომლობაზე საუბრობდნენ, უნდა განესაზღვრათ, რა ბარიერებს ხედავენ ადგილობრივი პროდუქტების სარეალიზაციოდ მეზობელ ქვეყნებში გატანისას (იხ. ცხრილი №F7). რესპონდენტთა მეხუთედზე მეტს უჭირს კონკრეტული მიზეზის დასახელება. ყველაზე ხშირად ექსპორტის ბარიერად ადგილობრივები მალალ საბაუო გადასახადს თვლიან. ამ შემთხვევაში წალკისა და ბოლნისის მოსახლეობა უფრო ხშირად მიუთითებს მალალ საბაუო გადასახადზე. კვლევის თვისებრივ ეტაპზე ქვემო ქართლის ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ საბაუო გადასახადი რეალურად მალალი არ არის. მთავარი პრობლემა აქ ისაა, რომ „ვარდების რევილუციამდე“ მოსახლეობა მიჩვეული იყო არაოფიციალური გადასახადის გადახდას. „ვარდების რევილუციის“ შემდგომ საბაუო გადასახადი მხოლოდ ოფიციალური ფორმით არსებობს, ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას ფორმალური გადასახადი აშინებს და აფასებს, როგორც მალალ ტარიფს. აქვე დგება ბიუროკრატის საკითხი; ფორმალიზებული პროცედურების გავლა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ხშირად სირთულეს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ მოსახლეობას საზღვარგარეთ პროდუქციის იმპორტის მეორე მნიშვნელოვან ბარიერად მიაჩნია საზღვარგარეთ ბიუროკრატული პრობლემები (სულ ამ ფაქტორზე მიუთითებს 19.2%).

ის ადამიანები, რომლებიც რუსეთში ადგილობრივი პროდუქტის გატანის შეუძლებლობაზე მიუთითებენ, ამის მიზეზად ასახელებენ ჩაკეტილ საზღვარს ან მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას. ეს საკითხი მნიშვნელოვან ბარიერად გვევლინება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობის ეკონომიკურ აქტიუობაზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობამ ნეგატიური გავლენა მოახდინა. რესპონდენტთა მცირე ნაწილი (6.4%) მიიჩნევს, რომ საბაჟოზე დამატებით არაფორმალურ გადასახადს ითხოვენ. ამ საკითხს განსაკუთრებით ხაზს მარნეულსა და ბოლნისში უსვამენ. გამოკითხულთა 3.1% მიიჩნევს, რომ საბაჟოზე პროდუქციის აღრიცხვა არასწორად მიმდინარეობს (ყველაზე ხშირად ამ ბარიერს რუსთავის მცხოვრებნი ასახელებენ). რესპონდენტთა მცირედი რაოდენობა პრობლემებს შორის ასახელებს პროდუქტის სიმწირეს (რის გამოც ექსპორტისათვის პროდუქტები აღარ რჩება), ტრანსპორტირების სიძვირეს, ხალხის არამობილიზებასა და მეზობელ ქვეყნებთან ერთიანი ეკონომიკური ბაზის არარსებობას.

ცხრილი №F7: რატომ არის ქვემო ქართლის მოსახლეობისათვის მეზობელ ქვეყნებში ადგილობრივი პროდუქტის სარეალიზაციოდ გატანა ხელმიუწვდომელი? (პროცენტული მაჩვენებლები რაიონული ჭრილის მიხედვით).

	რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა	ვარდბანი	საერთო
საბაჟო გადასახადი მაღალია	45.5	26.9	75.9	57.0	44.5	83.1	31.3	45.8
საზღვარზე ბიუროკრატიული პრობლემებია	9.6	4.5	22.1	13.5	23.3	20.9	40.9	19.8
საბაჟოზე პროდუქციის აღრიცხვა არასწორად მიმდინარეობს	7.8	0.6	5.4	4.6	0.7	0.0	0.0	3.1
საბაჟოზე ითხოვენ დამატებით არაფორმალურ გადასახადს	0.0	20.4	13.4	2.8	0.7	8.2	0.4	6.4
ტრანსპორტირება ძვირია	0.0	0.6	0.0	0.9	5.5	0.0	0.8	0.7
საზღვარი დაკეტილია	3.0	59.0	0.7	0.0	4.8	0.0	0.4	12.2
პოლიტიკური მდგომარეობა მძიმეა	19.8	3.9	1.3	0.0	14.4	0.9	6.9	8.7
ვასატანი რაოდენობა არ მოღის	0.0	0.6	0.0	0.9	6.8	0.5	8.3	2.6
ხალხი არ არის მობილიზებული	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.4	0.1
არ არის ერთიანი ეკონომიკური ბაზა	0.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.2
მიჭირს პასუხის გაცემა	25.1	5.8	6.7	24.9	13.0	8.2	13.6	22.3



პროდუქციის ექსპორტის გარდა, რესპონდენტებს, ასევე, უნდა შეეფასებინათ მეზობელი ქვეყნებიდან პროდუქციის იმპორტის შესაძლებლობა. თუკი ამოსავლად საშუალო მაჩვენებლებს ავიღებთ, დავინახავთ, რომ, რესპონდენტთა მიხედვით, პროდუქციის იმპორტი უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე პროდუქციის ექსპორტი. ამ საკითხის განსაზღვრისას კვლავ მაღალია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელთაც უჭირთ პასუხის გაცემა. იმპორტის შესახებ პასუხებში ექსპორტის შესახებ გაცემული პასუხების მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება. ამ შემთხვევაშიც ეთნიკურ სომხებს უფრო მეტად უჭირთ შეაფასონ აზერბაიჯანიდან იმპორტის შესაძლებლობა და პირიქით, აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობას უფრო მეტად უჭირს შეაფასოს სომხეთიდან იმპორტის შესაძლებლობა. ოთხ მეზობელ ქვეყანას შორის ყველაზე შეზღუდული რუსეთიდან იმპორტია, რაც, ისევ და ისევ, პოლიტიკური სიტუაციითაა განპირობებული. დანარჩენი სამი ქვეყნიდან იმპორტი კი თითქმის თანაბრად ხელმისაწვდომია, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ რესპონდენტთა ერთი მეხუთედი ამ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებსაც ხელმიუწვდომლად მიიჩნევს.


**ცხრილი №F8: რამდენად ხელმისაწვდომია ქვემო ქართლის მოსახლეობისათვის მეზობელი ქვეყნებიდან პროდუქციის სარეალიზაციოდ შემოტანა? (პროცენტული მაჩვენებლები)**

	სრულიად ხელმისაწვდომია	უფრო ხელმისაწვდომია	არც ხელმისაწვდომია არც ხიომონოთიოიოი უფრო ხელმიუწვდომელია	სრულიად ხელმიუწვდომელია	მიჯრას პასუხის გაცემა
<b>აზერბაიჯანი</b>	19.8	14.4	4.4	7.9	39.7
<b>თურქეთი</b>	19.6	14.6	4.2	7.0	41.4
<b>რუსეთი</b>	8.4	5.4	4.0	11.3	48.0
<b>სომხეთი</b>	16.6	12.0	4.1	6.1	47.5

გრაფიკი №F5-დან ჩანს, რომ რუსეთი კვლავ გვევლინება ეკონომიკური აქტივობისათვის ყველაზე შეზღუდულ მეზობელ ქვეყანად. პროდუქციის იმპორტის ხელმისაწვდომობაზე ყველაზე მეტად კვლავ რუსთავსა და დმანისში მიუთითებენ. ნალკისა და გარდაბნის მოსახლეობა კვლავ უფრო ხშირად მიუთითებს, რომ მეზობელი ქვეყნებიდან პროდუქციის შემოტანა რეგიონის მაცხოვრებლებისათვის შეზღუდულია.



გრაფიკი №F5: რამდენად ხელმისაწვდომია მეზობელი ქვეყნებიდან პროდუქციის სარეალიზაციოდ შემოტანა? (საშუალო მაჩვენებლები რაიონული ჭრილის მიხედვით) (შეტასება 5 „სრულიად ხელმისაწვდომია“, შეტასება 1 „სრულიად ხელმიუწვდომელია“).



რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ ის ბარიერები, რომლებიც მეზობელი ქვეყნებიდან პროდუქციის სარეალიზაციოდ შემოტანას უშლის ხელს (იხ.ცხრილი №F9). რესპონდენტების მიერ დასახელებული ბარიერები იგივეა, რაც გამოვლინდა ექსპორტის შემთხვევაში. პირველ რიგში, სახელდება მაღალი საბაჟო გადასახადი. ამ ბარიერზე განსაკუთრებით წალკის, დმანისისა და ბოლნისის მცხოვრებნი მიუთითებენ. შემდგომ პრობლემად რესპონდენტები ბიუროკრატიულ პრობლემებს ასახელებენ. ამ პრობლემაზე კი ყველაზე ხშირად გარდაბნისა და თეთრიწყაროს რაიონის მცხოვრებნი მიუთითებენ. ის რესპონდენტები, რომლებიც რუსეთიდან პროდუქციის იმპორტის შეუძლებლობას აღნიშნავენ, ამის მიზეზად კვლავ საზღვრის ჩაკეტილობასა და მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას ასახელებენ. იმპორტის შემთხვევაში საბაჟოზე ქრთამის მოთხოვნის მაჩვენებელი უფრო დაბალია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არაფორმალური გადასახადის გადახდას, ძირითადად, მეზობელი ქვეყნების საბაჟოებზე ითხოვენ. იმპორტისას არსებულ ბარიერებზე ვერ უთითებს ქვემო ქართლის მცხოვრებთა 11.1%.

ცხრილი №F9: რატომ არის ქვემო ქართლის მოსახლეობისათვის მეზობელი ქვეყნებიდან პროდუქტის სარეალიზაციოდ შემოტანა ხელმიუწვდომელი? (პროცენტული მაჩვენებლები რაიონული ტერიტორიის მიხედვით).

	რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	ღმნისი	თეთრიწყარო	ნაკა	გარდაბანი	საერთო
საბაუო გადასახადი მაღალია	42.5	39.1	75.2	71.3	35.2	88.6	35.2	49.3
საზღვარზე ბიუროკრატული პრობლემებია	17.0	1.9	18.6	15.7	33.0	20.6	41.5	20.7
საბაუოზე პროდუქციის აღრიცხვა არასწორად მიმდინარეობს	7.2	0.0	6.2	5.3	0.0	0.5	0.5	3.1
საბაუოზე ითხოვენ დამატებით არაფორმალურ გადასახადს	0.7	5.6	18.6	1.1	2.2	7.3	0.0	4.6
ტრანსპორტირება ძვირია	4.6	0.0	0.0	3.0	6.6	0.0	1.0	1.8
საზღვარი დაკეტულია	3.3	63.2	1.4	0.0	1.1	0.0	0.0	14.2
პოლიტიკური მდგომარეობა მძიმეა	16.3	5.1	1.4	1.1	24.2	0.9	8.0	8.5
პოლიტიკური მონოპოლიის გამო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.5	0.1
არ არის ერთიანი ეკონომიკური ბაზა	0.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.2
მიჭირს პასუხის გაცემა	20.9	1.3	4.9	11.5	6.6	6.0	15.3	11.1

მეზობელი ქვეყნების ბაზრების ხელმისაწვდომობის ზოგადი შეფასების გარდა კვლევის პროცესში ვარკვევდით ქვემო ქართლის რეგიონიდან ექსპორტ-იმპორტისათვის სტრატეგიულად მომგებიან საქონელს. რესპონდენტებს წარუდგინეთ 11 სახეობის პროდუქცია, აქედან მათ უნდა დაესახელებინათ რომლის შემოტანა იქნებოდა მომგებიანი ქვემო ქართლის მოსახლეობისათვის საქართველოს ოთხი მეზობელი ქვეყნიდან (აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი, სომხეთი). პასუხები იყო ღია, ანუ შესაძლებლობას აძლევდა რესპონდენტს არ აერჩია რომელიმე პროდუქტის სახეობა (იხ. ცხრილი №F10). როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, მოსახლეობის უმეტესობა მეზობელი ქვეყნებიდან სხვადასხვა პროდუქციის იმპორტს სკეპტიკურად უყურებს, ანუ მათი უმრავლესობა არც ერთ ქვეყანას არ ასახელებდა. რესპონდენტები ყველაზე ხშირად ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის იმპორტს უჭერენ მხარს (18.1%), ხოლო ქვეყანად კი თურქეთს ასახელებენ. გამოკითხულთა 16.4% სანჯავის შემოტანაზე მიუთითებს და ამ შემთხვევაში იმპორტის ქვეყანად აზერბაიჯანი სახელდება. ყველაზე ნაკლებად გამოკითხულები ხე-ტყის, საშენი მასალისა და ავეჯის შემოტანას უჭერენ მხარს (შემოტანის მომხრე 10%-ზე ნაკლებია).

ცხრილი №F10: რომელი პროდუქციის შემოტანა არის სარფიანი (მომგებიანი) ქვემო ქართლის მოსახლეობისათვის ქვემოთ ჩამოთვლილი მეზობელი ქვეყნებიდან (პროცენტული მაჩვენებლები)

პროდუქციის ტიპი	აზერბაიჯანი	თურქეთი	რუსეთი	სომხეთი	პასუხი არ არის
ბოსტნეული	5.4	2.2	1.8	1.6	89.0
ხილი	4.2	2.6	1.3	2.2	89.7
რძე და რძის პროდუქტები	2.6	2.3	2.3	1.9	90.9
სხვა საკვები პროდუქტები	3.4	3.3	3.7	1.8	87.8
ტანსაცმელი/ფეხსაცმელი	3.6	10.1	2.9	1.5	81.9
პირველადი მოხმარების ნივთები	3.0	5.0	2.9	1.4	87.7
მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი	3.0	3.8	2.6	1.7	89.1
ავტო	2.3	3.9	2.2	1.0	90.6
საოჯახო ტექნიკა	2.5	5.2	2.6	1.0	88.7
სანვაგი	11.7	1.4	2.5	0.7	83.6
ხე-ტყე და საშენი მასალა	2.1	1.4	2.8	1.1	92.6

გარდა პროდუქციის შემოტანისა, გამოკითხვის ფარგლებში ქვემო ქართლის მოსახლეობას ვეკითხებოდით, რომელი პროდუქციის გატანა არის სარფიანი. ამ შემთხვევაში მათ ისეთ პროდუქტებზე ვეკითხებოდით, რომლებიც ქვემო ქართლის რეგიონში მოდის ან იწარმოება. ამ შემთხვევაშიც რესპონდენტებს თავისუფალი არჩევანი ჰქონდათ და შეეძლოთ არც ერთ ქვეყანაში ექსპორტი არ დაესახელებინათ სხვადასხვა პროდუქტზე. ცხრილი №F11-დან ჩანს, რომ ექსპორტთან მიმართებაშიც ქვემო ქართლის მოსახლეობის უმრავლესობას პასუხი არ აქვს. რესპონდენტების მეხუთედზე მეტი (23.1%) გატანის თვალსაზრისით სარფიანად მიიჩნევს მრავალწლიანი პროდუქტების (ხილის) გატანას. საექსპორტო მიმართულებად, პირველ რიგში, სახელდება რუსეთი, რომელსაც მოსდევს აზერბაიჯანი, თურქეთი და სომხეთი. რესპონდენტთა 21.1%, ასევე, სარფიანად მიიჩნევს ერთწლიანი კულტურების, კერძოდ კი ბოსტნეულის გატანას. ამ შემთხვევაშიც ძირითადი მიმართულება რუსეთია, ხოლო შემდგომ ზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი. ყველაზე ნაკლებად ქვემო ქართლის მოსახლეობა ლორის ექსპორტს მიიჩნევს მომგებიანად. ეს ორი ფაქტორითაა განპირობებული, ერთი მხრივ, ქვემო ქართლის რეგიონის აზერბაიჯანულ მოსახლეობას არ ჰყავს ლორი, ხოლო, მეორე მხრივ, რელიგიური ფონის გამო ლორის ხორცს ნაკლებად მიირთმევენ მეზობელ აზერბაიჯანსა და თურქეთში. ასევე არასარფიანად არის მიჩნეული ხე-ტყის მეზობელ ქვეყნებში გატანა. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობას, ძირითადად, შეზღუდული ინფორმაცია აქვს ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებით.

ცხრილი №F11: რომელი პროდუქციის გატანა არის სარფიანი (მომგებიანი) ქვემო ქართლის

პროდუქციის ტიპი	აზერბაიჯანი	თურქეთი	რუსეთი	სომხეთი	პასუხი არ არის
ერთწლიანი კულტურები (მარცვლეული)	5.3	2.4	4.2	2.8	85.3
ერთწლიანი კულტურები (ბოსტნეული)	6.1	3.6	7.2	4.2	78.9
მრავალწლიანი კულტურები (ხილი)	5.9	4.4	8.4	4.4	76.9
მრავალწლიანი კულტურები (ყურძენი)	5.2	3.8	6.5	3.9	80.6
მსხვილოფეხა რქოსანი პირუტყვი	4.7	3.0	2.4	2.1	87.9
წვრილოფეხა რქოსანი პირუტყვი (ცხვარი და თხა)	5.7	3.5	2.1	1.9	86.9
ღორი	1.6	1.5	3.0	2.7	91.1
ფრინველი/კვერცხი	2.9	2.6	2.6	2.2	89.8
კონსერვები/რძე და რძის პროდუქტები	3.3	2.7	2.4	2.2	89.5
ძვირფასი და ფერადი ლითონები	3.0	4.1	2.4	2.1	88.4
ხე-ტყე და საშენი მასალა	2.8	3.1	1.8	1.8	90.4
ქიმიური მრეწველობა (ქიმიკატები/სასუქი)	4.2	4.1	3.1	3.1	85.4

მოსახლეობისათვის ქვემოთ ჩამოთვლილ მეზობელ ქვეყნებში (პროცენტული მაჩვენებლები)

*ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელებული პროგრამები*

ეკონომიკური განვითარების მიმართულებით საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა პროექტი ხორციელდება. ქვემო ქართლის მოსახლეობას ვეკითხებოდით, მათი ინფორმაციით, რომელი პროექტი განხორციელდა ქვემო ქართლში, იყვნენ თუ არა ისინი ჩართულნი ამ პროექტებში და რა იყო მოსახლეობის პროექტებში ჩართულობის მიზეზები.

პირველი პროგრამა, რომელსაც გამოკითხვა შეეხო, „იაფი კრედიტი“<sup>31</sup>. ეს პროგრამა ძალაში 2008 წლიდან შევიდა. პროგრამის მიზანი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება დაბალგანაკვეთიანი სესხებით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2008–2009 წლებში საქართველოს მასშტაბით 64.8 მილიონი ლარი გაიცა, ხოლო 2010 წელს – მხოლოდ 1 მილიონი, ისიც მხოლოდ თბილისის ბიუჯეტიდან<sup>31</sup>. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, აღნიშნული პროგრამის შესახებ არ სმენია ქვემო ქართლის მოსახლეობის ერთ მესამედს

<sup>31</sup> <http://banksandfinance.ge/society/1417-iafi-kredit.html> მასალა მოპოვებულია 2011 წლის 26 ოქტომბერს.

(32.1%). რესპონდენტთა 3.4%-ს უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო გამოკითხულთა 61.5% სმენია პროგრამის შესახებ, თუმცა არ უსარგებლია აღნიშნული პროგრამით. ქვემო ქართლის შინამეურნეობების 3% აცხადებს, რომ პროგრამის ფარგლებში მათ აიღეს იაფი კრედიტი. მიუხედავად იმისა, რომ პროცენტულ მაჩვენებლებში ეს რაოდენობა დაბალია, თუ გავითვალისწინებთ, რომ პროგრამით 92 ოჯახმა ისარგებლა, პროგრამის ეფექტურობა უფრო დადებითად უნდა შეფასდეს. პროგრამით მოსარგებლები თითქმის თანაბრად არიან გადანაწილებულნი ქალაქსა და სოფელში. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, „იაფი კრედიტი“, ძირითადად, დმანისსა და ბოლნისის რაიონებში აიღეს მაშინ, როცა წალკაში ამ პროგრამით საერთოდ არ უსარგებლიათ. ეთნიკური ნიშნით, იაფი კრედიტით, ძირითადად, ქართველმა მოსახლეობამ ისარგებლა (4.2%), შემდეგ კი – აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობამ (1.6%). რეგიონის სომეხ მოსახლეობას, გარდა იმისა, რომ პროგრამით არ უსარგებლია, პროგრამის შესახებ ინფორმაცია, პრაქტიკულად, არა აქვს.

საინტერესოა, თუ რატომ არ ისარგებლეს აღნიშნული პროგრამით პროგრამის შესახებ ინფორმირებულმა შინამეურნეობებმა (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ცხრილი №F12). როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, რესპონდენტთა თითქმის ნახევარი თვლის, რომ მათ შინამეურნეობას არ ესაჭიროებოდა აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება. ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახების ნახევარზე მეტი არ ეწევა მკირე ან საშუალო ბიზნესს, რომლის განვითარებისათვის პროგრამის ფარგლებში გაცემული იაფი კრედიტი გამოადგებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა რაიონული ჭრილი. ყველაზე ხშირად რუსთავის მცხოვრებნი მიუთითებენ, რომ მათ არ ესაჭიროებოდათ იაფი კრედიტი. ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ რაიონების მოსახლეობა, ძირითადად, მაინც ეწევა სასოფლო სამეურნეო საქმიანობას, რომლის გაფართოებაზე იაფ კრედიტს შეეძლო პოზიტიური ეფექტი მოეხდინა. მეორე მიზეზად სახელდება პროგრამის შესახებ მწირი ინფორმაცია. საინტერესოა, რომ ინფორმაციის ნაკლებობას უჩივის დმანისისა და მარნეულის მცხოვრებთა ნახევარი, როდესაც სხვა რაიონებში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია. ფინანსური პრობლემები მესამე მიზეზად სახელდება, რამაც ხელი შეუშალა რესპონდენტებს მონაწილეობა მიეღოთ პროგრამაში „იაფი კრედიტი.“ რესპონდენტთა მხოლოდ 8.8% ამბობს, რომ მათს რაიონსა თუ ქალაქში პროგრამა არ ფუნქციონირებდა. ამ შემთხვევაში საინტერესოა რაიონული ჭრილი. წალკის მცხოვრებთა თითქმის ორი მესამედი ამბობს, რომ მათს რაიონში აღნიშნული პროგრამა არ ფუნქციონირებს. საინტერესოა, რომ რესპონდენტები პროგრამის ეფექტურობას ყველაზე ნაკლებად აყენებენ კითხვის ნიშნის ქვეშ.

ცხრილი №F12: რა მიზეზის გამო არ მიიღეთ მონაწილეობა პროგრამაში „იაფი კრედიტი“? (პროცენტული მაჩვენებლები).

	რუსთაფე	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	ნალკა	გარდაბანი	საერთო
პროგრამის შესახებ არ მქონდა დეტალური ინფორმაცია	5.3	49.9	7.7	51.9	7.6	4.5	5.5	17.4
პროგრამა ჩვენს რაიონში/ქალაქში/სოფელში არ ფუნქციონირებს	11.6	2.4	2.6	3.3	4.0	66.0	3.7	8.1
არ ვგეგმავთ და აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება	72.1	24.8	50.6	8.1	47.4	7.3	25.4	48.2
არ ვვჭერთ პროგრამის ეფექტურობის	5.5	2.9	5.7	1.6	5.6	9.1	7.9	5.3
ფინანსური პრობლემების გამო	4.2	15.6	15.2	20.2	32.4	5.4	34.9	14.6
მიჭირს პასუხის გაცემა	1.3	4.4	8.2	14.9	3.0	7.6	22.6	6.4

2009 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება „ჰიბრიდული სიმინდისა და სხვა სახის თესლის გამოყენების“ პროგრამა. აღნიშნული პროგრამის მიზანი საქართველოში მოსავლის ზრდა იყო, რომელსაც ჰიბრიდული თესლის მეშვეობით რამოდენიმეჯერ უნდა მოემატა. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, აღნიშნული პროგრამით ისარგებლა ქვემო ქართლის რეგიონის მცხოვრებთა 2.3%-მა (98 ოჯახი<sup>32</sup>), თუმცა, პროგრამის შესახებ ინფორმირების დონე გაცილებით მაღალია (პროგრამის შესახებ არ სმენია გამოკითხულთა 28.1%-ს). ჰიბრიდული სიმინდისა და სხვა სახის თესლის გამოყენების პროგრამით არ უსარგებლია შინამეურნეობების 66.2%-ს. ცხრილში №F13 ასახულია ის მიზეზები, რომელთა გამოც გამოკითხულმა შინამეურნეობებმა არ მიიღეს მონაწილეობა პროგრამაში. ამ შემთხვევაშიც რესპონდენტთა ნახევარზე მეტი პროგრამაში მონაწილეობას იმ მიზეზით არ იღებს, რომ მათ ამის საჭიროება არ აქვთ (უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში რუსთავის მონაცემები სჭარბობს, რაც ბუნებრივია)<sup>33</sup>. მეორე ბარიერი, რომლის გამოც მოსახლეობამ არ მიიღო მონაწილეობა პროგრამაში, ფინანსურია (14.3%). ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ სოფლის მეურნეობაში ჩართული ოჯახები ითვალისწინებენ ჰიბრიდული თესლის შეძენისა და მოყვანის ხარჯებს და ამიტომაც უარს ამბობენ პროგრამით სარგებლობაზე (მიუხედავად იმისა, რომ მათ შეუძლიათ ამ თესლის შეძენა სახელმწიფოსგან

<sup>32</sup> ამ შემთხვევაში პროცენტული მაჩვენებელი უფრო დაბალია, რადგან პროცენტი მხოლოდ სოფლის დასახლებების მცხოვრებთა შორის ითვლება.

<sup>33</sup> სულ ქალაქ რუსთავიდან ხუთმა ოჯახმა ისარგებლა ჰიბრიდული სიმინდისა და მექანიზაციის პროგრამით. ეს, სავარაუდოდ, ის ოჯახებია, რომლებსაც, მიუხედავად ქალაქში ცხოვრებისა, აქვთ ნაკვეთები, სადაც ეწევიან სასოფლო სამეურნეო საქმიანობას.



აღებული სესხით). ინფორმაციის სიმწირე მესამე ბარიერად სახელდება, განსაკუთრებით, მარნეულის რაიონში.

ცხრილი №F13: რა მიზეზის გამო არ მიიღეთ მონაწილეობა ჰიბრიდული სიმინდისა და სხვა სახის თესლის გამოყენების პროგრამაში? (პროცენტული მაჩვენებლები).

	რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	დმინისი	თეთრიწყარო	ნალკა	გარდაბანი	საერთო
პროგრამის შესახებ არ მქონდა დეტალური ინფორმაცია	1.5	47.3	12.4	32.2	2.6	3.1	6.1	12.7
პროგრამა ჩვენს რაიონში/ქალაქში/სოფელში არ ფუნქციონირებს	11.8	3.8	2.7	3.4	4.6	55.6	3.7	8.3
არ ვგეგმავთ და აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება	82.8	26.4	53.1	23.8	37.2	22.5	27.9	52.7
არ ვგვჯერა პროგრამის ეფექტურობის	1.3	2.8	5.1	2.3	11.5	8.5	7.4	4.2
ფინანსური პრობლემების გამო	1.3	15.1	14.5	19.1	40.1	5.5	33.1	14.3
სხვა პრობლემების გამო	0.3	0.0	0.0	0.0	0.3	0.0	2.8	0.5
მიჭირს პასუხის გაცემა	1.0	4.7	12.1	19.3	3.7	4.8	19.0	7.3

„მექანიზმების პროგრამა“ სოფლის მეურნეობის სფეროში საპარტნიორო ფონდების CNFA-სა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით განხორციელდა. პროექტის მიზანი იყო სოფლის დასახლებების შესაბამისი სასოფლო სამეურნეო ტექნიკით აღჭურვა. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობის მხოლოდ 2.1%-ს მიუღია მონაწილეობა აღნიშნულ პროგრამაში. მექანიზმების პროგრამით მიღებული სასოფლო სამეურნეო ტექნიკით მხოლოდ 93 ოჯახს უსარგებლია. აღნიშნული პროგრამის შესახებ არ არის ინფორმირებული გამოკითხულთა მესამედი (32.7%). ინფორმირებულია, თუმცა არ უსარგებლია, რესპონდენტთა 61.9%-ს.

ცხრილი №F14-ზე ასახულია „მექანიზმების პროგრამაში“ მონაწილეობის არმიღების მიზეზები. აღნიშნულ პროგრამაში ჩაურთველობის მიზეზად გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (53%) მიუთითებს ამ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების საჭიროების არქონას. ამ შემთხვევაშიც პასუხების უმეტესობა რუსთავზე მოდის. თუმცა, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ბოლნისისა და თეთრიწყაროში. მეორე მიზეზი კვლავაც ფინანსურ პრობლემას უკავშირდება, რომელიც განსაკუთრებით მაღალია გარდაბნის რაიონში. მწირ ინფორმაციას პროგრამაზე კვლავაც მარნეულის რაიონში უჩივიან. უმნიშვნელო რაოდენობა რესპონდენტებისა აღნიშნავს, რომ მექანიზმების პროგრამის ფარგლებში მათ რიგმა არ მოუწიათ.

ცხრილი №F14: რა მიზეზის გამო არ მიიღეთ მონაწილეობა მექანიზაციის პროგრამაში? (პროცენტული მაჩვენებლები).

	რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	ნალკა	გარდაბანი	საერთო
პროგრამის შესახებ არ მქონდა დეტალური ინფორმაცია	1.3	49.1	12.2	30.5	5.0	4.8	5.5	13.0
პროგრამა ჩვენს რაიონში/ქალაქში/სოფელში არ ფუნქციონირებს	11.9	2.9	2.4	3.6	8.3	41.3	3.7	7.9
არ ვვესაჭიროებოდა აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება	82.9	24.4	52.2	15.0	37.5	18.3	25.7	53.0
არ ვვჭერა პროგრამის ეფექტურობის	1.6	2.9	5.4	2.4	3.3	6.3	7.8	3.5
ფინანსური პოლემების გამო	0.8	15.2	15.4	23.7	41.2	21.4	35.0	14.5
მექანიზაციის პროგრამის ფარგლებში არ მოგვიწია რიგმა	0.5	0.0	0.0	0.0	1.3	0.0	0.6	0.4
მიჭირს პასუხის გაცემა	1.0	5.4	12.5	24.8	3.3	7.9	21.8	7.7

## N. სოფლის მხარდამჭერი პროგრამა

### რეზიუმე

2009 წლიდან, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, საქართველოს სოფლის დასახლებებში ხორციელდება სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტიდან 100 მილიონი ლარი გამოიყო, რომელიც საქართველოს ყველა სოფლის პირველადი სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების მოგვარებას უნდა მოხმარდეს. ეკონომიკური მნიშვნელობის გარდა, სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საქართველოს სოფლებში სამოქალაქო საზოგადოების პირველი ჩანასახების გაჩენა იყო. მოსახლეობას თავად უნდა ესწავლა საკუთარი ლოკაციისათვის საჭირო პრიორიტეტების განსაზღვრა. შედეგთა საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს (SIDA) და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დახმარებით ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა (EPRC) განახორციელა პროექტი „სოფლის დახმარების პროგრამაში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა“, რომლის მიზანი იყო სოფლის დახმარების პროგრამის მიზნობრიობისა და ეფექტურობის შეფასება. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიხედვით სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის ეფექტი არაა დამაკმაყოფილებელია<sup>34</sup>. ძირითად პრობლემებად ეს ცენტრი ასახელებს დაუსრულებელ სამუშაოებს, ჩატარებული სამუშაოების დაბალ ხარისხს, პრიორიტეტების არასწორად განსაზღვრასა და პრიორიტეტებში ერთჯერადი საჭიროებების შეტანას. „სოფლის დახმარების პროგრამაში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობის“ პროექტის მედია კოორდინატორის, თამარ ხორბალაძის, თქმით, სოფლის პროგრამაში საქართველოს მასშტაბით ჩართული მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი დაახლოებით 22%-ია, ხოლო მოსახლეობის 35%-ს კი სმენია აღნიშნული პროგრამის შესახებ. პროექტის მედია კოორდინატორის თქმით, ამ პროგრამის ძირითადი პრობლემა არის პროგრამის შესახებ მოსახლეობის არაინფორმირებულობა.

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა ქვემო ქართლის რეგიონში სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის, მოქალაქეების ჩართულობის დონის, პროგრამის შედეგებით კმაყოფილების ხარისხის კვლევას. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის ეფექტურობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ეს, პირველ რიგში, გამომდინარეობს იქედან, რომ ქვემო ქართლის სოფლად მცხოვრებ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი არ არის აღნიშნული პროგრამის შესახებ ინფორმირებული, რაც, თავისთავად, გამორიცხავს ამ პროგრამის განხორციელებაში მათს ჩართულობას. გარდა ამისა, ინფორმირებული რესპონდენტების ნაწილმა ზუსტად არ იცის პროგრამის მიზნები, მიმდინარეობს თუ არა აღნიშნული პროგრამა მის საცხოვრებელ ადგილას, რეალურად ჩატარდა თუ არა სოფლის კრება ან გამოკითხვა. შეიძლება ითქვას,

<sup>34</sup> ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC).

<http://www.tavisupleba.org/content/article/24292468.html> (მონაცემები მოპოვებულია 23.09.2011)

რომ ინფორმირება არის ამ პროგრამის მიმდინარეობის ყველაზე დიდი პრობლემა, რაც მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობის პოტენციალს ძალზე ამცირებს.

ქვემო ქართლის რეგიონის სოფლის დახმარების პროგრამაში ჩართული მოსახლეობა (სულ ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობის 10%) ამ პროგრამით, თინანსების ეფექტური ხარჯვითა და პრობლემების მოგვარებით კმაყოფილების მნიშვნელოვან ხარისხს ავლენს. ქვემო ქართლის რეგიონის ცალკეული რაიონებიდან შეიძლება გამოვყოთ წალკის რაიონი, სადაც სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამა საკმაოდ წარმატებულად წარიმართა (მოსახლეობის ინფორმირების, სამოქალაქო აქტივობის, შედეგების ეფექტურობის თვალსაზრისით); თუ სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის წარმატებას ამ სამი კრიტერიუმის მიხედვით შევაფასებთ, ყველაზე ნაკლებ წარმატებული გარდაბნის რაიონია. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ სომხური და აზერბაიჯანული წარმომობის რესპონდენტები უფრო ნაკლებ ინფორმირებულები არიან და ნაკლებ სამოქალაქო აქტივობასაც ავლენენ.

### *სოფლის მხარდამჭერი პროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობა*

სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ კითხვებს პასუხობდა მხოლოდ სოფლად მცხოვრები ქვემო ქართლის მოსახლეობა, რომელიც მთლიანად ქვემო ქართლში გამოკითხული მოსახლეობის 76%-ია.<sup>35</sup>

სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ქვემო ქართლის სოფლის მცხოვრებთა 35.7%-ს გაუგია. ეს მაჩვენებელი ზუსტად შეესაბამება ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრის მიერ მთელ საქართველოში დადგენილ მაჩვენებელს. რაიონულ ჭრილში სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმირებულობა მნიშვნელოვან განსხვავებას აჩვენებს (იხილეთ ცხრილი №სN1). აღნიშნული პროგრამის შესახებ ინფორმირებულთა რაოდენობა მაღალია წალკაში, თეთრიწყაროსა და დმანისში. აღნიშნულ რაიონებში სოფლის პროგრამის შესახებ სოფლის მოსახლეობის ნახევარზე მეტმა იცის. სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ყველაზე ნაკლებ ინფორმირებულნი არიან გარდაბნისა და მარნეულის სოფლის მცხოვრებლები, სადაც პროგრამის შესახებ ინფორმაცია დაახლოებით მოსახლეობის ერთ მეხუთედს აქვს. სოფლის პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის დონე შეიძლება იყოს არა მხოლოდ სხვადასხვა რაიონში პროგრამის განსხვავებულად მიმდინარეობაზე დამოკიდებული, არამედ – სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ მოქალაქეთა განსხვავებულ ეთნიკურ წარმომავლობაზეც. როგორც კვლევის მონაცემებიდან ჩანს, სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ქვემო ქართლის რეგიონში ინფორმირებულია აზერბაიჯანული წარმომობის მოსახლეობის მეოთხედი, სომხური წარმომობის მოსახლეობის მესამედი და ქართული მოსახლეობის თითქმის ნახევარი. სოფლის პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის განსხვავებული დონე სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებში შეიძლება რამოდენიმე ფაქტორით აიხსნას: ა) ეთნიკური ჯგუფების

<sup>35</sup> შესაბამისად 716 რესპონდენტი, ანუ გამოკითხულთა 24% სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ კითხვებს ტოვებდა.

კომპაქტური დასახლებების ფაქტორით, რომლის გამოც სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის შეზღუდული კონტაქტია, რაც ინფორმაციის გავრცელებას უშლის ხელს; ბ) სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ქართულ ენაზე მიმდინარეობით, რაც ზღუდავს სხვა ეთნიკური ჯგუფების ამ პროექტში ჩართულობას. მამაკაცებს ქალებზე უფრო ხშირად გაუგიათ სოფლის დახმარების პროგრამის შესახებ. ეს შედეგი მოსალოდნელი იყო, რადგან თემი და საჯარო სფერო უფრო მეტად დახურულია ქალებისათვის ქვემო ქართლის რეგიონში (ეს საკითხი დეტალურად ახსნილია ქვეთავში „გენდერული თანასწორობა“).

**ცხრილი #N1: გაგივიათ თუ არა სოფლის დახმარების პროგრამის შესახებ? (პროცენტული მაჩვენებლები რაიონულ ტერიტორიაში)**

რაიონები	დიახ	არა
მარნეული	19.7	80.3
ბოლნისი	44.0	56.0
დმანისი	55.7	44.3
თეთრიწყარო	59.9	40.1
წალკა	67.8	32.2
გარდაბანი	21.0	79.0

მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელსაც გაუგია სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ, 63.2%-ს აქვს ადეკვატური ინფორმაცია, ანუ რესპონდენტთა ეს რაოდენობა მიიჩნევს, რომ სოფლის დახმარების პროგრამა ემსახურება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხებით სოფლის მოსახლეობისათვის საჭირობო პრობლემების გადაჭრას. ეს მაჩვენებელი მთელი ქვემო ქართლის სოფლის მოსახლეობის 28.2%-ია. დანარჩენი მოსახლეობის მიერ სოფლის დახმარების პროგრამის მიზნებად სხვადასხვა ინფრასტრუქტურული თუ სასოფლო-სამეურნეო საკითხების მოგვარება სახელდება. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რესპონდენტთა ამ ნაწილს კარგად არ ესმის სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის არსი, რადგან მათ ჰგონიათ, რომ აღნიშნული პროგრამა რომელიმე კონკრეტული პრობლემის გადაჭრას ემსახურება (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ცხრილი № N2). რაიონებს შორის აქაც თვისობრივად განსხვავებები. სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ადეკვატურად არის ინფორმირებული წალკის რაიონის სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა (პროგრამის შესახებ ინფორმირებული რესპონდენტების 92.6% სცემს სწორ პასუხს). მიუხედავად იმისა, რომ მარნეულის რაიონში პროგრამის შესახებ ინფორმირებულობა დაბალია, ინფორმირებულ რესპონდენტებს პროგრამის შესახებ ადეკვატური ინფორმაცია აქვთ (ინფორმირებულთა 70.7% სწორ პასუხს სცემს). თუკი სოფლის მხარდამჭერი პროგრამის შესახებ ინფორმირებული იყო, პირველ რიგში, ქართველი, შემდეგ სომეხი და ბოლოს აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობა, აღმოჩნდა, რომ ამ ეთნიკური ჯგუფების ადეკვატური ინფორმირება განსხვავებულ ტენდენციას აჩვენებს. სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამაზე ადეკვატურად ინფორმირებულია სომხური წარმოშობის

რესპონდენტთა 91.5%, აზერბაიჯანული წარმოშობის რესპონდენტთა 65.4%, ხოლო ქართული წარმომავლობის რესპონდენტთა 57.1%.

ცხრილი № N2: რა მიზანს ემსახურება სოფლის პროგრამა? (პროცენტული მაჩვენებლები)

სოფლის პროგრამების მიზნები	პროცენტული მაჩვენებლები
სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხებით სოფლის მოსახლეობისათვის საჭირობო პრობლემების გადაჭრას	63.3
გზების რეაბილიტაცია	11.7
გარე განათების გამართვას	2.1
წყლის მიწოდების გაუმჯობესებას	5.9
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენას	2.7
სავანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებას	0.3
მიჭირს პასუხის გაცემა	13.5

*სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფუნქციონირება და მოსახლეობის ჩართულობის დონე*

ქვემო ქართლის რეგიონში სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმირებული სოფლის მოსახლეობის 57% აცხადებს, რომ აღნიშნული პროგრამა მათს სოფელში ხორციელდება, რაც ქვემო ქართლის რეგიონის სოფლის მოსახლეობის 27.6%-ია. სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმირებული რესპონდენტების 21.5% ამბობს, რომ პროგრამა მათს დასახლებაში არ ხორციელდება, ხოლო 21.5%-ს არ აქვს ინფორმაცია, ხორციელდება თუ არა მათს სოფელში აღნიშნული პროგრამა. განვიხილოთ ეს მაჩვენებლები რაიონულ ჭრილში. ქვემო ქართლის რეგიონის რაიონებს შორის კვლავ ლიდერობს წალკა, სადაც სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა (88.8%) მიუთითებს მათს დასახლებულ პუნქტში სოფლის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობაზე. თეთრიწყაროს რაიონის მაცხოვრებლების უმრავლესობა (71%) აღნიშნავს, რომ მათს სოფელში ხორციელდება სოფლის დახმარების პროგრამა. აღნიშნული პროგრამის მიმდინარეობაზე მიუთითებს ინფორმირებული სოფლის მცხოვრებთა ნახევარზე მეტი დმანისისა (60.8%) და ბოლნისის (57.2%) რაიონებში. მარნეულის რაიონის სოფლების ინფორმირებულ მცხოვრებთა მხოლოდ 20% და გარდაბანის რაიონის სოფლების ინფორმირებულ მცხოვრებთა 44.9% ამბობს, რომ მათს დასახლებულ პუნქტებში მიმდინარეობს სოფლის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამა. ეთნიკური ჭრილის მიხედვით, სოფლის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობაზე მიუთითებს სომხური წარმოშობის ამ პროგრამის შესახებ ინფორმირებულ რესპონდენტთა 70.6%, ქართული წარმოშობის რესპონდენტთა - 66.4% და აზერბაიჯანული წარმოშობის რესპონდენტთა 40.7%. (ის რესპონდენტები, რომელთაც აღნიშნეს, რომ სოფლის მხარდამჭერი პროგრამა მათს



სოფელში არ ხორციელდება ან არ იციან ამ პროგრამის მიმდინარეობის შესახებ, დანარჩენ კითხვებზე პასუხს აღარ სცემდნენ).

სოფლის დახმარების პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოფლის მოსახლეობის სათემო ჩართულობის ზრდაა. პროგრამის ინიციატორების მიხედვით, სათემო ჩართულობის ზრდის ერთ-ერთი მეთოდი შეიძლება ყოფილიყო მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა სასოფლო კრებასა თუ გამოკითხვაში, როცა ისინი თავად განსაზღვრავდნენ სოფლისათვის პრობლემურ საკითხებს. კითხვაზე: „ჩატარდა თუ არა თქვენს სოფელში სოფლის კრება ან მოსახლეობის გამოკითხვა სოფლის საჭიროებების განსაზღვრისათვის?“, დადებითი პასუხი გასცა რესპონდენტთა 52.3%-მა<sup>36</sup>. რესპონდენტთა 20.2% ამბობს, რომ მოსახლეობა ჩართული არ ყოფილა სოფლის საჭიროებების განსაზღვრის პროცესში, ხოლო 27.5% ამბობს, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია, ჩატარდა თუ არა კრება ან გამოკითხვა თუ არა მოსახლეობა. რაიონების მიხედვით თეთრიწყაროს რაიონში ყველაზე ხშირად (79.6%) მიუთითებენ, რომ სოფლის კრება ჩატარდა; თეთრიწყაროს რაიონს მოსდევს წალკის რაიონი (67.5% მიუთითებს სოფლის კრების ჩატარებაზე) და დმანისის რაიონი (63.6%). სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ კრებაზე მიუთითებს გარდაბნის მცხოვრებთა 37.1%, მარნეულის მცხოვრებთა 40% და ბოლნისის მცხოვრებთა 21.1%. კვლევის შედეგი არ შეიძლება ჩაითვალოს იმის მტკიცებულებად, რომელ რაიონში ჩატარდა მართლაც სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში სოფლის კრება და გამოკითხვა, რადგან შეიძლება მსგავსი აქტივობა სოფლად რეალურად განხორციელებულიყო, ხოლო სოფლის ყველა მცხოვრებს ან ოჯახის ყველა წევრს ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონოდა. თუმცა, ის ფაქტი, რომ სოფლის მცხოვრებთა ნაწილი ამ ინფორმაციას არ ფლობს, მიმდინარე პროგრამის ხარვეზად შეიძლება მივიჩნიოთ.

დადებითი ტენდენციის მაჩვენებელია ის, რომ სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობის შესახებ ინფორმირებული რესპონდენტების (ან მათი ოჯახის წევრების) უმრავლესობამ მონაწილეობა მიიღო სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში სოფლისათვის საჭირობო საკითხების განსაზღვრის პროცესში; ამას ამბობს ინფორმირებული რესპონდენტების 58.5%-მა<sup>37</sup>. სოფლის კრებაში ან გამოკითხვაში მონაწილეობა არ მიიღო ამ პროგრამისა და გამოკითხვის შესახებ ინფორმირებული ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებ რესპონდენტების 37.1%-მა, ხოლო 4.5%-მა არ იცის მისმა ოჯახის წევრებმა მიიღეს თუ არა მონაწილეობა. მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობა, რაც სოფლის პროგრამის ფარგლებში გამართულ კრებაში მონაწილეობაში გამოიხატება, განსხვავდება რაიონების მიხედვით. სამოქალაქო აქტივობის მაღალი დონით გამოირჩევა თეთრიწყაროს, გარდაბნისა და წალკის მოსახლეობა მაშინ, როცა დაბალი აქტივობაა დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში. განსხვავება ვლინდება ეთნიკური ნიშნითაც. სოფლის დახმარების

<sup>36</sup> არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის მხოლოდ 378 მოქალაქე, რომლებიც ცხოვრობენ სოფლად, იციან ამ პროგრამის შესახებ და ამბობენ, რომ მათს სოფელში ეს პროგრამა ხორციელდება; ეს ქვემო ქართლის რეგიონის სოფლის მოსახლეობის 16.6%-ია.

<sup>37</sup> ასეთ შინამეურნეობების რაოდენობა სულ არის 228; ეს ქვემო ქართლის რეგიონის სოფლის მოსახლეობის 10%-ია.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოფლის კრებასა თუ გამოკითხვაში მონაწილეობას უფრო ხშირად იღებენ ეთნიკური ქართველები (62.4%), რომლებსაც მოსდევს ეთნიკური სომხები (51.2%) და ბოლოს ეთნიკური აზერბაიჯანელები (49.3).

ის 147 ოჯახი, რომელთა სოფელში ჩატარდა სოფლის კრება ან გამოკითხვა და მათ ამ პროცესში მონაწილეობა არ მიიღეს, პასიურობის შემდეგ მიზეზებს ასახელებენ (იხ. ცხრილი № N3):

ცხრილი № N3 რატომ არ მიიღეთ მონაწილეობა სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ სოფლის კრებაში ან გამოკითხვაში? (პროცენტული მაჩვენებლები იმ ადამიანებისა, რომლებმაც იციან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ, მათს სოფელში ხორციელდება ეს პროგრამა და მიუთითებენ, რომ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სოფლის კრება ან გამოკითხვა)

სოფლის კრებასა თუ გამოკითხვაში მონაწილეობის არმიღების მიზეზები	პროცენტული მაჩვენებლები
არ ვიყავი ინფორმირებული ამის შესახებ	34.4
დრო არ გვქონდა	32.1
ვფიქრობ, რომ მაინც არაფერი გადაწყდება ობიექტურად	13.8
სოფლის სხვა მაცხოვრებლების გადაწყვეტილებას ვენდობი	19.7

როგორც რესპონდენტების პასუხებიდან ჩანს, სოფლის კრებაში ან გამოკითხვაში მონაწილეობის არმიღების ერთ-ერთ მიზეზად ამ კრების ან გამოკითხვის შესახებ ინფორმაციის არქონა სახელდება, რაც ამ პროგრამის ლოჯისტიკისა და გასაჯაროების ნაკლოვანებებზე მიუთითებს. მეორე მიზეზი კრებაში (ან გამოკითხვაში) არმონაწილეობისა თავად სოფლის მცხოვრებთა პასიურობაა. საინტერესოა, რომ კრების ან გამოკითხვის არაობიექტურობაზე მხოლოდ 13.8% მიუთითებს, ხოლო პასიურ დემოკრატიულობას („სოფლის სხვა მაცხოვრებლების გადაწყვეტილებას ვენდობი“) ამჟღავნებს 19.7%. ეთნიკური ჭრილის მიხედვით ჩანს, რომ ქართველებს კრებაში მონაწილეობის მიღებაში ხელი შეუშალა უფრო მეტად ინფორმაციის, აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობას კი - დროის არქონამ, სომხური წარმომავლობის რესპონდენტები კი აცხადებენ, რომ უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ენდობიან.

კვლევამ ისიც აჩვენა, თუ როგორ აფასებს ქვემო ქართლის სოფლის მოსახლეობა სოფლის კრების ან გამოკითხვის შედეგად გამოვლენილ პრიორიტეტების ობიექტურობას. როგორც მონაცემებიდან ჩანს, ინფორმირებული სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა თვლის, რომ სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი პრობლემური საკითხები ნამდვილად პრიორიტეტულია. იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც თვლიან, რომ სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი საჭირობო საკითხები

საკითხები არ არის პრიორიტეტული, სულ 6.8%-ია. (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ცხრილი № N4).

ცხრილი № N4 როგორ ფიქრობთ, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი თქვენი სოფლის პრობლემური საკითხები ნამდვილად პრიორიტეტულია? (პროცენტული მაჩვენებლები რაიონული ტერიტორიის მიხედვით N=632)

შეფასების სკალა	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა	გარდაბანი	სულ
კი	6.7	31.2	58.7	57.7	74.8	62.5	52.7
უფრო კი, ვიდრე არა	73.3	25.8	29.8	17.6	15.9	12.5	23.7
უფრო არა, ვიდრე კი	0.0	6.5	3.3	7.7	2.8	3.1	4.7
არა	0.0	4.3	1.7	0.7	0.0	6.3	2.1
არ ვიცი	20.0	32.3	6.6	16.2	6.5	15.6	16.8

საჭიროებების განსაზღვრის გარდა, სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის ეფექტურობა განისაზღვრება იმის მიხედვითაც, თუ რამდენად მიზანმიმართულად მოხმარდა ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოვლენილ საჭიროებებს. სოფლის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმირებული მოსახლეობის 64.1% თვლის, რომ ფინანსები ეფექტურად მოხმარდა სოფლის პრობლემებს (ეს ქვემო ქართლის რეგიონის სოფლის მოსახლეობის 18.8%-ია). ფინანსების არაეფექტურ ხარჯვაზე მიუთითებს ინფორმირებული სოფლის მცხოვრებლების 11.6% (ეს ქვემო ქართლის რეგიონის სოფლის მოსახლეობის 3.1%-ია). ინფორმირებული რესპონდენტების თითქმის მეოთხედმა არ იცის, რამდენად მიზანმიმართულად მოხმარდა ფინანსები სოფლის საჭიროებებს პრობლემების მოგვარებას (24.2%). სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ფინანსების არაეფექტურ ხარჯვაზე საკმაოდ ხშირად მიუთითებენ გარდაბანის (39.4%) და თეთრიწყაროს (19.7%) რაიონებში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსების არაეფექტურ ხარჯვაზე ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა უფრო ხშირად მიუთითებს (15.2%), შემდეგ აზერბაიჯანული წარმომობის მოსახლეობა (8%). სომხური მოსახლეობა, ამ კუთხით, კმაყოფილების მაღალ ხარისხს ავლენს.

ფინანსების მიზანმიმართული გამოყენების გარდა, სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის ეფექტურობა უნდა შემოწმდეს, აგრეთვე, დასმული პრობლემების მოგვარების მიხედვით. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მონაცემებით, ეს გახლდათ ამ პროგრამასთან დაკავშირებული ერთ-ერთი პრობლემური მხარე, რადგან, არასწორად დაგეგმილი პრიორიტეტებისა თუ ფინანსების სიმცირის გამო, სოფლის პროგრამის ფარგლებში წამოწყებული საქმიანობა ხშირად შუა გზაზე იყო მითოვებული. როგორც კვლევიდან ჩანს, ქვემო ქართლის რეგიონში სოფლის დახმარების პროგრამის შესახებ

ინფორმირებული რესპონდენტთა დიდი ნაწილი (66.5%) თვლის, რომ ამ პროგრამის ფარგლებში სოფლის საჭირობო პრობლემები მოგვარდა<sup>38</sup>. სოფლის დახმარების პროგრამაში ჩართული რესპონდენტების 15.2% თვლის, რომ პრობლემა არ გადაიჭრა ან უფრო არ გადაიჭრა<sup>39</sup>. პრობლემის აღმოფხვრის შესახებ ინფორმაცია არ აქვს სოფლის დახმარების პროგრამაში ჩართული რესპონდენტების 18.3%-ს. წინა კითხვის შედეგებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ იმ რაიონებში, რომლებშიც უფრო მეტად მიუთითებდნენ ფინანსების არაეფექტურ ხარჯვაზე, აღნიშნავენ, რომ მათი სოფლის პრობლემები არ გადაჭრილა. ამ მხრივ გამოიკვეთა გარდაბნის რაიონი: აქ მცხოვრებ ინფორმირებულ პირთა 39.4% ამბობს, რომ მათი სოფლის პრობლემები არ მოგვარებულა; ამასვე აღნიშნავს თეთრინყაროს რაიონში გამოკითხულთა 24.8%. შედარებით დაბალი მაჩვენებლებია მარნეულში, დმანისსა და ბოლნისში. წალკის რაიონში გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (88%) სოფლის პრობლემების მოგვარებაზე მიუთითებს.

<sup>38</sup> ეს ქვემო ქართლის რეგიონის სოფლის მოსახლეობის თითქმის მეხუთედი (19.4%).

<sup>39</sup> რაც ქვემო ქართლის რეგიონის სოფლის მოსახლეობის 4%-ს შეადგენს.

## მიგრაცია

### რეზიუმე

პრობლემითი მიგრაცია, მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს სახელმწიფოს წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი პრობლემაა. 90-იანი წლებიდან მოსახლეობის დიდი ტალღა ტოვებდა ქვეყანას და სამუშაოს საძებნად პოსტსაბჭოთა თუ დასავლეთის ქვეყნებში მიდიოდა. უცხოეთში სამუშაოდ წასვლის მიზეზი, როგორც წესი, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი და პოლიტიკური არასტაბილურობა იყო, რაც ხელს უწყობდა უმუშევრობა რაოდენობის ზრდას.

ცნობილია, რომ პრობლემითი მიგრაციის ძირითადი მიზეზი უმუშევრობაა, რაც საქართველოში დღემდე ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემად რჩება. თუმცა, ქვემო ქართლის რეგიონიდან მოსახლეობის დიდი ტალღა მიგრაციაში არა მხოლოდ სოციალური პრობლემების გამო წავიდა. ეთნიკურად მრავალფეროვანი რეგიონი ეთნიკური დისკრიმინაციის რეალური და წარმოდგენილი საფრთხის გამო მრავალმა ეთნიკურად არაქართველმა საქართველოს მოქალაქემ დატოვა. ქვემო ქართლიდან მიგრაციის ძირითადი მიმართულება რუსეთი ან მათი ეთნიკური სამშობლო იყო. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 1989 წლიდან 2002 წლამდე ქვემო ქართლის მოსახლეობა 110961 ადამიანით შემცირდა. ქვემო ქართლიდან მიგრაციას ერთი თავისებურება ახასიათებს: მიგრაციაში მიდიოდა მთელი ოჯახი და არა ცალკეული პირები. ეს სწორედ იმაზე მიგვიბრუნებს, რომ ეთნიკური უმცირესობების პრობლემა სოციალურზე მეტად ეთნიკური უმცირესობის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა იყო.

ჩატარებული კვლევის მიხედვით, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში რესპონდენტთა (და არა შინამეურნეობათა) მხოლოდ 3% იყო მიგრაციაში წასული, ხოლო გამოკითხვის მომენტში შინამეურნეობის 5.5%-ს ერთი წევრი მაინც ჰყავს მიგრაციაში. ეს მონაცემი საკმაოდ დაბალია და იმაზე მიუთითებს, რომ ქვემო ქართლიდან ოჯახის ცალკეული წევრების მიგრაცია არც თუ ისე მაღალია. ის ფაქტი, რომ მიგრაციაში, ძირითადად, ოჯახის ახალგაზრდა წევრები მიდიან, რეგიონის დემოგრაფიისათვის საფრთხეს წარმოადგენს. ქვემო ქართლის რეგიონიდან წასულ მიგრანტებს შორის მამაკაცები მცირედით აჭარბებს ქალებს. ის საკითხი, თუ ოჯახის რომელი წევრი წავა მიგრაციაში, ძირითადად, მიგრაციის მიმართულებითა და მიმღები საზოგადოების საჭიროებითაა განპირობებული. შესაბამისად, მამაკაცებისათვის მიგრაციის მიმართულება, ძირითადად, პოსტსაბჭოთა სივრცეა, ხოლო ქალებისათვის კი საბერძნეთი, იტალია და თურქეთი. მიგრაციის ძირითადი მიზანი დასაქმებაა. ყოველი მეორე მიგრანტი ოჯახს ფინანსურად ეხმარება. ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები შინამეურნეობების 3.4%-თვის სწორედ ეს ფულადი გზავნილები შეადგენს ოჯახის ერთადერთ შემოსავალს. ყველა მონაცემი მიუთითებს, რომ ოჯახები, რომლებსაც მიგრანტ(ებ)ი ჰყავს, ეკონომიკურად უფრო უზრუნველყოფილი არიან, ვიდრე ოჯახები, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივ ეკონომიკაზე არიან დამოკიდებული. თუმცა, არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც, პირიქით, ქვემო ქართლში დარჩენილი ოჯახის წევრები ეხმარებიან მიგრანტებს ფინანსურად. მოსალოდნელი


მიგრაციის შემთხვევები ქვემო ქართლში ნაკლებია და მხოლოდ სამი ოჯახია ისეთი, რომელსაც გადანყვეტილი აქვს საქართველოს ფარგლების დატოვება.

*ქვემო ქართლის მოსახლეობის მობილობის პროფილი*

რეგიონის ოჯახები, ძირითადად (95.4%), 20 წელზე მეტია ახლანდელ მისამართზე ცხოვრობენ. მათი ძირითადი ნაწილი რეგიონის სხვა დასახლებული პუნქტიდანაა გადმო-სული. 1991 წლის შემდეგ ოჯახები ახალ მისამართზე, ძირითადად, სახლდებოდნენ თეთრიწყაროში (რაიონის ოჯახების 14%), გარდაბანსა (10%) და რუსთავეში (6.4%). დანარჩენ რაიონებში ახალ მისამართებზე სახლდებოდა რაიონის ოჯახების 1%-ზე ნაკლები.

ახალმოსახლეთა უმეტესობა ქართველია (87.8%), შემდეგ მოდის ოჯახები, რომლებშიც სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ (7.4%). 1991 წლის შემდეგ ჩასახლებულთა განაწილება ოჯახის ეროვნული შემადგენლობის მიხედვით მოცემულია გრაფიკზე №R1.

**გრაფიკი № R 1: 1991 წლის შემდგომ ჩასახლებულთა განაწილება ოჯახის ეროვნული შემადგენლობის მიხედვით (პროცენტული მაჩვენებლები)**



ახალმოსახლეთა 30% რეგიონის სხვა დასახლებული პუნქტიდანაა გადმოსული, 60% საქართველოს სხვა რეგიონიდან და მხოლოდ 10% ჩამოვიდა საცხოვრებლად ქვეყნის ფარგლებს გარედან.


სახეზე მყოფი, 15 წელზე უფროსი მოსახლეობის მხოლოდ 3%-მა აღნიშნა, რომ 1991 წლის შემდეგ, სულ ცოტა, სამი თვით გასული იყო ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მათი ორი მესამედი მხოლოდ ერთხელაა ნამყოფი საზღვარგარეთ, ხოლო 15% სისტემატიურად დადის. ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასულთა 66.6% მიგრაციაში მუშაობის მიზნით იყო წასული, 14.5%



სწვლობდა, 7.4%-ის ხანგრძლივად წასვლის მიზეზი მკურნალობა იყო, ხოლო 11.6% – მიგრაციის პერიოდში ვერაფერს აკეთებდა.

გამოკვლევის ჩატარების მომენტში რეგიონის ოჯახების 5.5%-ში აღნიშნეს, რომ ოჯახიდან ერთი წევრი მაინც არის წასული 3 თვეზე მეტი ვადით. მიგრანტთა შორის 58% კაცია, ხოლო 42% – ქალი. მიგრაციის მიმართულება არის მთავარი განმსაზღვრელი იმისა, თუ ვინ უნდა წავიდეს ოჯახიდან. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ქალები დამოუკიდებელ მიგრანტებად ნაკლებად გვევლინებიან. ამ შემთხვევაში, თუ მიგრაციაში ქალია, ის, ძირითადად, მამაკაცის თანმხლებია. განსხვავებული ტენდენციაა იტალიასა და თურქეთში მიგრაციის შემთხვევაში. ამ მიმართულებით, ძირითადად, ქალები მიდიან და ისინი დამოუკიდებელი მიგრანტები ხდებიან. ყველაზე ხშირად ოჯახიდან ახალგაზრდები მიდიან. კერძოდ, წასულების 31.1% 26-დან 35 წლამდეა. მიგრანტთა განაწილება ასაკობრივ ჯგუფებში მოცემულია გრაფიკზე №R2.

**გრაფიკი №R2: სამ თვეზე მეტი ვადით წასულ მიგრანტთა განაწილება ასაკობრივ ჯგუფებში (პროცენტული მაჩვენებლები)**



ის ფაქტი, რომ მიგრანტთა სამი მეოთხედი სამუშაოდაა წასული, მიუთითებს იმაზე, რომ ქვემო ქართლის რეგიონიდან პრობლემითი მიგრაციაა. სასწავლებლად საქართველოს ფარგლებს გარეთ ქვემო ქართლის მიგრანტთა 10% არის წასული. მიგრანტთა თითქმის ნახევარი ეკონომიკურად ეხმარება ოჯახს. თუმცა, ყველა ოჯახისათვის ეს შემოსავლის მთავარი წყარო არ არის. მიგრანტთა მიერ ფულადი გზავნილები ოჯახების 3.4%-თვის არის შემოსავლის ერთადერთი წყარო. ყოველ მეათე ოჯახი თვითონ ეხმარება მიგრანტს. დანარჩენებს ოჯახთან ეკონომიკური ურთიერთობა არა აქვთ.

რესპონდენტების ინფორმაციით, წასულების 43.4% უახლოეს ერთ წელიწადში არ აპირებს დაბრუნებას. მიგრანტების 29.2%-ს გადაწყვეტილი აქვს, რომ დაბრუნდეს, ხოლო დანარჩენებს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ.

მომავალი 6 თვის მანძილზე ოჯახების მხოლოდ 1.4% აპირებს საცხოვრებელის შეცვლას. მათგან ნახევარზე მეტი იმავე დასახლებულ პუნქტში აპირებს გადასვლას. მცირეა ისეთი ოჯახების რაოდენობა, რომლებიც საზღვარგარეთ საცხოვრებლად გადასვლას აპირებენ. გამოკვლევის პერიოდში სულ სამი შემთხვევა იყო ისეთი, როდესაც ოჯახი უახლოესი 6 თვის განმავლობაში საზღვარგარეთ აპირებდა საცხოვრებლად წასვლას.

## ღეთნიკური უმცირესობები

### რეზიუმე

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა, ტოლერანტობისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა ერთ-ერთი მნიშველოვანი გამონვევაა. ეროვნული უმცირესობების საკითხი მრავალ ასპექტს მოიცავს: პოლიტიკურს, იდეოლოგიურს, სოციალურს, ეკონომიკურს. ეროვნული უმცირესობების უფლებების სათანადო დონეზე დაუცველობის შედეგი აღნიშნული ჯგუფების სოციალური ექსკლუზიაა.

კვლევაში წარმოდგენილია სამი ასპექტი, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება ქვემო ქართლში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მდგომარეობა: ა) უფლებების დაცვა; ბ) სახელმწიფო ენის ცოდნა; გ) ურთიერთობა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან.

უფლებების დაცვის კონტექსტში როგორც ზოგადი, ასევე რაიონული და ეთნიკური ჭრილის სურათი, ძირითადად, პოზიტიურია, თუმცა, რესპონდენტების მოსაზრებები მოცემულ შემთხვევაში სუბიექტურ აღქმას ემყარება. მიუხედავად ამისა, პრობლემები გარკვეულწილად მაინც არსებობს, რაც შემდეგში ვლინდება: 1) არც თუ დაბალია იმ რესპონდენტების ხვედრითი წილი, რომლებსაც გაუჭირდათ პასუხის გაცემა უფლებების დაცვის თვალსაზრისით; აქ შესაძლოა ამოვიკითხოთ უფლებადაცვითი პრობლემების დაფარვის მცდელობა; 2) რესპონდენტები საკუთარ ეთნოსს შედარებით უფლებაშელახულად წარმოაჩინენ.

არაქართულ მოსახლეობას გაუჩნდა ქართული ენის შესწავლის სურვილი, რაც, სავარაუდოდ, შემდგომი კარიერული წინსვლით და სოციალური ინკლუზიის გაზრდით არის მოტივირებული. თუმცა, უნდა ითქვას, რომ კვლავ არსებობს აღნიშნული საკითხის მიმართ ინდიფერენტული არაქართველი მოქალაქეების ჯგუფი, რომელსაც არ აქვს ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის სურვილი (და, დიდი ალბათობით, მემობელ ქვეყნებთან აქვს კონტაქტი).

სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობები კვლევაში წარმოდგენილია ორი სახით: 1) ურთიერთობა ქართველებსა და არაქართველებს შორის, რომელიც, ძირითადად, პოზიტიური ნიშნით ხასიათდება და მინიმალურია ნეგატიური/კონფლიქტური ურთიერთობების მაჩვენებელი; 2) ურთიერთობა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის, რომელიც, აგრეთვე, პოზიტიურად იქნა შეფასებული რესპონდენტების მიერ. თუმცა ეთნოსებს შორის გარკვეული „დისტანცია“ მაინც არსებობს, რაც გამოხატულია იმ ფაქტით, რომ ცალსახად პოზიტიური ურთიერთობები რესპონდენტებს ყველაზე მეტად საკუთარი ეთნოსის წარმომადგენლებთან აქვთ (ეს განსაკუთრებით ეხება ნათესაურ ურთიერთობებს, რომლებიც სხვადასხვა ეთნოსებს შორის, როგორც წესი, მინიმალურია) და იმ რესპონდენტთა მაღალი ხვედრითი წილით, რომლებსაც გაუჭირდათ პასუხის გაცემა.

*რესპონდენტთა მიერ უფლებრივი მდგომარეობის შეფასება*

უფლებების დაცვა – კვლევა აჩვენებს, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობის დამოკიდებულება უფლებების დაცვის კონტექსტის შეფასებისას ძირითადად პოზიტიურია. თუმცა, აღნიშნული კვლევა არ იძლევა საშუალებას შეფასდეს, თუ რა წარმოდგენა აქვთ რესპონდენტებს უფლებების შესახებ და რამდენად ადეკვატურად აღიქვამენ მათს დაცვას. (სავარაუდოდ, სწორედ ამ მოსაზრებას ამყარებს რესპონდენტთა ის რაოდენობა, რომელსაც გაუჭირდა პასუხის გაცემა შეკითხვაზე: *ირღვევა თუ არა სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების უფლებები?*). ამას გარდა, გამოვლინდა ეთნოცენტრიზმის ნიშნები – ამა თუ იმ ეთნოსის წარმომადგენლები უფრო მეტად საუბრობენ საკუთარი ეთნიკური ჯგუფების უფლებების დაუცველობაზე, სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით.

*დაცულია თუ არა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების უფლებები ქვემო ქართლის რეგიონში?*

აღნიშნული კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ, რამდენადაა დაცული მათს რაიონში/ქალაქში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების უფლებები: ქართველების, აზერბაიჯანელების, ბერძნების, რუსებისა და სომხების.

ანალიზმა აჩვენა (იხ. ცხრილი №Q1), რომ ქვემო ქართლის რაიონებში, რომლებშიც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები ცხოვრობენ, რესპონდენტები (ზოგადად, ეროვნების მიუხედავად) მიუთითებენ, რომ ქვემო ქართლში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების უფლებები დაცულია (ამასთან, ღომინირებს მოსაზრება, რომ უფლებები სრულად არის დაცული). მაღალია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომლებსაც გაუჭირდათ პასუხის გაცემა და ვარირებს დაახლოებით 14-17%-ის ფარგლებში. ცალკეული რაიონების მიხედვით ტენდენცია არ იცვლება.

ხრილი №Q1: რამდენად დაცულია თქვენს რაიონში/ქალაქში ქვემოთ ჩამოთვლილი ეთნიკური ჯგუფების უფლებები? (პროცენტული მაჩვენებლები რაიონულ ჭრილში)

		რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა	გარდაბანი	სულ
აზერბაიჯანელები	სრულად დაცულია	84.1	34.1	40.2	88.3	57.8	93.4	63.5	62.2
	უფრო დაცულია	11.1	36.0	50.9	6.9	20.0	3.3	7.3	21.7
	უფრო დაუცველია	0.2	1.6	1.1	0	1.0	0.3	4.2	1.4
	სრულიად დაუცველია	0.4	1.1	0.5	2.0	0	0	2.3	0.9
	არ ცხობრობენ	0	1.9	0	0.5	7.3	0	5.1	1.8
	მიჭირს პ/ვ	4.1	25.3	7.3	2.2	14.0	3.1	17.7	12.0
ბერძენები	სრულად დაცულია	79.6	5.9	35.5	52.4	57.8	93.2	24.0	45.2
	უფრო დაცულია	11.1	23.8	48.2	17.2	20.3	2.2	6.8	19.1
	უფრო დაუცველია	0.2	1.1	0.2	0	0.2	0.8	0.5	0.5
	სრულიად დაუცველია	0.4	0.4	0	0.2	0	0	0.4	0.3
	არ ცხობრობენ	4.1	27.5	5.9	3.8	7.5	0.5	51.6	17.7
	მიჭირს პ/ვ	4.6	41.2	10.2	26.4	14.2	3.3	16.7	17.2
რუსები	სრულად დაცულია	81.5	8.5	35.0	51.9	58.5	61.2	28.0	45.2
	უფრო დაცულია	10.9	26.2	48.2	18.2	20.5	1.3	7.1	19.6
	უფრო დაუცველია	0.2	0.4	0.5	0.3	0.5	1.0	0.9	0.5
	სრულიად დაუცველია	0.4	0.4	0	0.2	0.2	0	0.9	0.4
	არ ცხობრობენ	2.6	20.5	5.9	4.0	6.7	32.5	48.4	16.9
	მიჭირს პ/ვ	4.3	43.9	10.5	25.3	13.5	4.0	14.8	17.4
სომხები	სრულად დაცულია	83.0	12.3	38.4	54.3	61.0	92.9	30.5	49.5
	უფრო დაცულია	10.7	27.1	48.2	17.8	21.5	4.5	8.9	20.3
	უფრო დაუცველია	0.2	0.4	0.2	0	0.2	1.3	0.7	0.4
	სრულიად დაუცველია	0.4	0.7	0.2	0.7	0	0	0.9	0.5
	არ ცხობრობენ	1.5	17.7	2.5	1.4	4.2	0	42.2	12.3
	მიჭირს პ/ვ	4.1	41.8	10.5	25.7	13.0	1.3	16.9	17.1
ქართველები	სრულად დაცულია	78.9	13.7	38.2	80.2	68.0	88.9	36.4	51.3
	უფრო დაცულია	7.6	29.9	49.3	10.4	25.2	7.5	14.3	21.1
	უფრო დაუცველია	5.7	1.1	0.2	0.3	0.7	1.8	4.0	2.7
	სრულიად დაუცველია	1.5	1.3	0	0	0	0	1.1	0.9
	არ ცხობრობენ	0	17.4	0.9	1.0	1.0	0	30.4	9.3
	მიჭირს პ/ვ	6.3	36.5	11.4	8.2	5.0	1.8	13.8	14.6

ეთნიკურ ჭრილში არსებული ტენდენციები ზოგადი მონაცემებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, თუმცა გამოიკვეთა შემდეგი მკირეოდენი განსხვავებები უფლებების დაუცველობასთან დაკავშირებით: 1. შედარებით მეტი აზერბაიჯანელი რესპონდენტი მიუთითებს, რომ აზერბაიჯანელების უფლებები სრულად ან უფრო დაუცველია; 2. აღნიშნულის მსგავსად, ქართველი რესპონდენტები ქართველების უფლებების სრულად ან უფრო დაუცველობის შესახებ საუბრობენ (იხ.ცხრილი №Q2).

ცხრილი №Q2: რამდენად დაცულია თქვენს რაიონში/ქალაქში ქვემოთ ჩამოთვლილი ეთნიკური ჯგუფების უფლებები? (პროცენტული მაჩვენებლები ეთნიკურ ჯგუფში)

		ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი	რუსი	ბეიძენი	სხვა	ჯამი
ქართველების	სრულიად დაცულია	73.4	54.8	53.4	59.8	91.0	75.1	67.5
	უფრო დაცულია	19.8	44.3	45.8	40.2	6.8	24.9	27.8
	უფრო დაუცველია	5.1	0.7	0.8	0.0	2.2	0.0	3.6
	სრულიად დაუცველია	1.7	0.2	0.0	0.0	0.0	0.0	1.2
აზერბაიჯანელების	სრულიად დაცულია	80.5	61.1	56.7	67.4	89.8	75.1	72.2
	უფრო დაცულია	18.7	33.0	43.3	19.8	8.3	24.9	25.1
	უფრო დაუცველია	0.4	3.8	0.0	0.0	1.9	0.0	1.6
	სრულიად დაუცველია	0.4	2.1	0.0	12.8	0.0	0.0	1.1
სომხების	სრულიად დაცულია	80.6	41.8	60.6	64.6	88.4	75.1	70.0
	უფრო დაცულია	18.7	56.0	37.2	22.6	9.4	24.9	28.7
	უფრო დაუცველია	0.2	1.4	1.0	0.0	2.2	0.0	0.6
	სრულიად დაუცველია	0.5	0.8	1.3	12.8	0.0	0.0	0.7
რუსების	სრულიად დაცულია	79.9	39.5	47.1	64.6	88.5	69.0	68.8
	უფრო დაცულია	19.3	58.7	49.1	22.6	8.9	22.9	29.8
	უფრო დაუცველია	0.4	1.3	2.0	0.0	2.6	8.2	0.7
	სრულიად დაუცველია	0.4	0.4	1.9	12.8	0.0	0.0	0.6
ბერძნების	სრულიად დაცულია	80.3	38.6	55.1	64.6	88.4	75.1	69.5
	უფრო დაცულია	18.9	59.3	44.3	22.6	9.4	24.9	29.3
	უფრო დაუცველია	0.4	1.7	0.6	0.0	2.2	0.0	0.7
	სრულიად დაუცველია	0.4	0.4	0.0	12.8	0.0	0.0	0.5

**ქართული ენის შესწავლის სურვილი**

სახელმწიფო ენის ცოდნის დონე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც პირდაპირ აისახება ეთნიკური უმცირესობების უფლებებზე და, აგრეთვე, მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ენობრივი ბარიერის გამო არაქართველ მოქალაქეებს ეზღუდებათ სხვადასხვა აქტივობების განხორციელების საშუალება – განათლების მიღება, დასაქმების/კარიერული პერსპექტივა და ა.შ. სწორედ ამით აიხსნება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა დიდი ნაწილის მეტ-ნაკლები სურვილი შეისწავლონ ქართული ენა (თუმცა, რესპონდენტთა არც თუ მცირე ჯგუფი გულგრილია აღნიშნული საკითხის მიმართ).

რესპონდენტებს უნდა დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება, თუ რამდენად აქვთ ქართული ენის შესწავლის სურვილი სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს - აზერბაიჯანელებს, ბერძნებს, რუსებს, სომხებს.



გამოკითხულთა უმრავლესობის შეფასებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აქვთ ქართული ენის შესწავლის სურვილი (იხ. ცხრილი №Q3). მინიმალური ხვედრითი წილი აქვს მოსაზრებას, რომ ამა თუ იმ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს საერთოდ ან უფრო არ აქვთ ქართული ენის შესწავლის სურვილი. აღსანიშნავია, რომ არსებობს რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ჯგუფი (14-25%-ის ფარგლებში), რომელსაც გაუჭირდა აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. რაიონულ ჭრილში მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა, გარდა იმ ფაქტისა, რომ მარნეულსა და თეთრიწყაროში სხვა რაიონებთან შედარებით მაღალია „მიჭირს პასუხის გაცემის“ წილი. ეთნიკურ ჭრილში მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა.

**ცხრილი №Q3: თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილ ეთნიკურ უმცირესობებს რამდენად აქვთ სურვილი შეისწავლონ ქართული ენა? (პროცენტული მაჩვენებლები)**

	აქვთ	უფრო აქვთ	უფრო არ აქვთ	არ აქვთ	არ ცხოვრობენ	მიჭირს პასუხის გაცემა
აზერბაიჯანელები	51.0	27.3	3.8	3.1	0.8	14.0
ბერძნები	28.2	24.3	3.5	2.8	16.1	25.1
რუსები	27.4	23.9	4.7	3.5	15.0	25.4
სომხები	33.4	25.2	3.9	2.9	11.3	23.3

**ურთიერთობა ეთნიკურ ქართველებსა და არაქართველებს შორის**

ეთნიკური ქართველებისა და არაქართველების ურთიერთობა – მათ შორის კომუნიკაცია და არათვითმართლწოდებული ურთიერთობები - ის ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს თითოეული ეთნიკური ჯგუფის (როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობების) საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ქართველებსა და არაქართველებს შორის ურთიერთდამოკიდებულება რესპონდენტებს ოთხი მაჩვენებლით უნდა შეეფასებინათ: 1. მეგობრული და კეთილმეზობლური; 2. ნეიტრალური (ერთმანეთს არ ანუხებენ); 3. დაძაბული; 4. კონფლიქტური. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა ნახევარზე მეტს (55.1%) მიაჩნია, რომ ეთნიკურ ქართველებსა და არაქართველებს შორის მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობებია, ყოველი მეხუთე რესპონდენტის აზრით კი - ეს ურთიერთობები ნეიტრალურია. დაძაბულ და კონფლიქტურ ურთიერთობებზე უმნიშვნელო რაოდენობა მიუთითებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა თითქმის მეოთხედს გაუჭირდა პასუხის გაცემა (23.8%), რაც შესაძლოა განპირობებული იყოს რესპონდენტთა ა) დაბალი ინფორმირებულობით და ბ) პასუხისთვის თავის არიდების მცდელობით. რაიონულ ჭრილში მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა, მხოლოდ მარნეულში ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აღმოაჩნდა ვარიანტს „მიჭირს პასუხის გაცემა“ (60.4%) და ყველაზე დაბალი - ნეიტრალური ურთიერთობის აღმნიშვნელ პასუხს (იხ. ცხრილი №Q4).

**ცხრილი №Q4:** თუ შეაფასებთ იმ ურთიერთობას, რომელიც თქვენს საცხოვრებელ ადგილას არსებობს ეთნიკურად ქართველებსა და ეთნიკურად არაქართველებს შორის, შეგიძლიათ თუ არა თქვათ, რომ ეს ურთიერთობა არის... (პროცენტული მაჩვენებლები რაიონულ ჭრილში)

	რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	გარდაბანი	წალკა	საერთო
მეგობრული და კეთილმეგობლური	74.6	25.4	71.8	79.5	56.0	75.0	31.0	55.1
ნეიტრალური (ერთმანეთს არ აწუხებენ)	22.2	13.5	26.4	18.2	17.7	23.0	23.2	20.6
დაძაბული	0.2	0.4	0.0	0.0	0.0	0.5	0.9	0.3
კონფლიქტური	0.0	0.2	0.0	0.0	0.0	0.8	0.2	0.1
მიჭირს პასუხის გაცემა	3.0	60.4	1.8	2.2	26.2	0.8	44.7	23.8

ეთნიკურ ჭრილში ანალიზისას აღმოჩნდა, რომ დაძაბულ და კონფლიქტურ ურთიერთობებზე მიუთითა მხოლოდ 14-მა რესპონდენტმა. მათგან 6 ქართველია, 4 აზერბაიჯანელი, ხოლო 4 - ბერძენი. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ პასუხებში არ ფიგურირებს არც ერთი ეთნიკურად სომეხი რესპონდენტი. გარდა ამისა, აზერბაიჯანელ მოსახლეობაში ძალზე მაღალი მაჩვენებელი აქვს პასუხის ვარიანტს „მიჭირს პასუხის გაცემა“ (43.3%) მიღებული შედეგი სავესებით ლოგიკურია, თუ შევადარებთ უფლებების დაცვის შესახებ შეკითხვას, რომელზეც ყველაზე მეტად ნეგატიურ პასუხებს აფიქსირებდნენ ეთნიკური აზერბაიჯანელები, ხოლო სომეხი ეროვნების რესპონდენტებს თითქმის არ ჰქონდათ ნეგატიური შეფასებები (იხ.ცხრილი №Q5).

**ცხრილი №Q5:** თუ შეაფასებთ იმ ურთიერთობას, რომელიც თქვენს საცხოვრებელ ადგილას არსებობს ეთნიკურად ქართველებსა და არაქართველებს შორის, შეგიძლიათ თუ არა თქვათ, რომ ეს ურთიერთობა არის... (პროცენტული მაჩვენებლები ეთნიკურ ჭრილში)


	ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი
მეგობრული და კეთილმეგობლური	61.9%	967	41.4%
ნეიტრალური (ერთმანეთს არ აწუხებენ)	25.8%	417	14.8%
დაძაბული	0.2%	4	0.4%
კონფლიქტური	0.1%	2	0.1%
მიჭირს პასუხის გაცემა	11.9%	222	43.3%
			558
			177
			66.4%
			23
			8.5%
			0
			0
			0%
			0
			25.1%
			35

**შენიშვნა:** ცხრილში მოცემულია როგორც პროცენტული მაჩვენებლები, ისე რესპონდენტთა რაოდენობები

მიღებული მონაცემების გადასამოწმებლად და დასადასტურებლად რესპონდენტებს უნდა ეპასუხათ შემდეგ ე.წ. საკონტროლო შეკითხვაზე: რამდენად ხშირად ხდება ეთნიკურად არაქართველებსა და ქართველებს შორის კონფლიქტები თქვენს საცხოვრებელ ადგილას?

მიღებული შედეგები თითქმის დაემთხვა ეთნიკურად ქართველებსა და არაქართველებს შორის არსებული ურთიერთობების შეფასების მონაცემებს (თუ პასუხს „არასოდეს“ (66.9%) შევეუდარებთ წინა შეკითხვაში მეგობრული და ნეიტრალური ურთიერთობების ჯამს). რეგიონულ ჭრილში მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა, თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ მარნეულის რაიონში კვლავ ძალზე მაღალია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომლებსაც გაუჭირდათ პასუხის გაცემა (65.4%). მნიშვნელოვანი განსხვავებები არც ეთნიკურ ჭრილში გამოვლენილა, გარდა იმისა, რომ აზერბაიჯანელი რესპონდენტების შედარებით მეტმა რაოდენობამ მიუთითა კონფლიქტების იშვიათად არსებობის შესახებ (9.8%)

**გრაფიკი №Q1: რამდენად ხშირად ხდება ეთნიკურ ქართველებსა და არაქართველებს შორის კონფლიქტი თქვენს საცხოვრებელ ადგილას? (პროვენტული მაჩვენებლები)**



გამოკითხულთა იმ ჯგუფში (7.6%), რომელმაც აღნიშნა, რომ ეთნიკურად ქართველებსა და არაქართველებს შორის კონფლიქტი ამა თუ იმ სიხშირით ხდება, კონფლიქტების ძირითად წყაროდ ასახელებენ საყოფაცხოვრებო პრობლემებთან დაკავშირებულ უთანხმოებას (21%) (იხ.ცხრილი №Q6). თანაბარი მაჩვენებლები აქვს ეროვნულ ნიადაგზე და სახლთან ან საკარმიდამო ნაკვეთთან დაკავშირებულ უთანხმოებას. ამას გარდა, ერთი მიზეზი დაასახელა 177-მა რესპონდენტმა, ხოლო 2 მიზეზი - 18-მა რესპონდენტმა. ორზე მეტი მიზეზი არავის დაუსახელებია. რეგიონულ ჭრილში მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა.

ცხრილი №Q6: რა არის ქართველებსა და არაქართველებს შორის კონფლიქტების ძირითადი წყარო? (პროცენტული მაჩვენებლები)

ეროვნულ ნიადაგზე უთანხმოება	14.0%
რელიგიურ ნიადაგზე უთანხმოება	11.2%
სახლთან ან საკარმიდამო ნაკვეთთან დაკავშირებული უთანხმოება	14.7%
საყოფაცხოვრებო პრობლემებთან დაკავშირებული უთანხმოება	21.0%
მიჭირს პასუხის გაცემა	38.3%

ეროვნების და სქესობრივ ჯგუფში გამოვლინდა მცირეოდენი განსხვავებები: მამრობითი სქესის რესპონდენტებში უფრო მეტად დასახელდა ეთნიკურ ნიადაგზე უთანხმოება მდებარეობითი სქესის რესპონდენტებთან შედარებით. ეთნიკურად აზერბაიჯანელ რესპონდენტებთან აქცენტი დაისვა ეროვნულ და რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილ უთანხმოებებზე მაშინ, როდესაც ქართველები უფრო საყოფაცხოვრებო პრობლემებისა და საკარმიდამო ნაკვეთის გამო გაჩენილ უთანხმოებაზე მიუთითებენ (იხ.ცხრილი №Q7).

ცხრილი №Q7: რა არის ამ კონფლიქტების ძირითადი წყარო? (აბსოლუტური რაოდენობები სქესისა და ეთნიკურობის ჯგუფის მიხედვით)

	სქესი		ეროვნება				
	მდედრობითი	მამრობითი	ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი	რუსი	ბერძენი
ეროვნულ ნიადაგზე უთანხმოება	13	21	19	14	1	0	0
რელიგიურ ნიადაგზე უთანხმოება	17	14	19	11	0	1	0
სახლთან ან საკარმიდამო ნაკვეთთან დაკავშირებული უთანხმოება	21	25	32	5	2	0	7
საყოფაცხოვრებო პრობლემებთან დაკავშირებული უთანხმოება	11	30	38	2	0	0	1
მიჭირს პ/გ	37	41	68	5	4	0	1

**შენიშვნა:** შეკითხვაზე შესაძლებელი იყო რამოდენიმე პასუხის გაცემა. შესაბამისად, მოცემული რაოდენობები არ ასახავს რესპონდენტთა ჯამურ რაოდენობას.

შემდეგი საკითხი ეხება რესპონდენტთა ურთიერთობებს ქვემო ქართლში მცხოვრებ ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფებთან. ამ ურთიერთობების შინაარსი შეიძლება სხვადასხვა იყოს: ნათესაური, მეგობრული, საქმიანი, მეზობლური და ნაცნობობის დონეზე. ზოგადი შეფასებით (შეფასებები

ეხება იმ რესპონდენტებს, რომლებსაც ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფებთან ურთიერთობა აქვთ), იმ ეთნიკურ ჯგუფებთან, რომლებიც ყველაზე დიდი რაოდენობით არიან ქვემო ქართლში წარმოდგენილნი, ე.ი. ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან და ქართველებთან მიმართებაში სჭარბობს შეფასებები ნათესაური, მეგობრული და მეზობლური ურთიერთობების შესახებ (მაჩვენებლები ვარირებს 22-31%-ის ფარგლებში). ეთნიკურ ბერძნებთან და სომხებთან - მეგობრული, მეზობლური და ნაცნობობის დონეზე ურთიერთობის შესახებ (მაჩვენებლები ვარირირებს დაახლ. 12-22%-ის ფარგლებში), ხოლო რუსებთან - მეზობლური და ნაცნობობის დონეზე ურთიერთობის შესახებ (დაახლ. 14-18%). ურთიერთობის არქონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა ბერძნებსა და რუსებთან, ე.ი. იმ ეთნიკურ ჯგუფებთან, რომლებიც მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი აღნიშნულ რეგიონში. რაიონულ ჭრილში მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა.

**ცხრილი №Q8: რა ურთიერთობა გაკავშირებთ ქვემოთ ჩამოთვლილ ეთნიკურ ჯგუფებთან? (პროცენტული მაჩვენებლები)**

	ნათესაური ურთიერთობა	მეგობრული ურთიერთობა	საქმანი ურთიერთობა	მეზობლური ურთიერთობა	ურთიერთობა მხოლოდ ნაცნობობის დონეზე	საერთოდ არ მაქვს ურთიერთობა
აზერბაიჯანელებთან	22.6	20.6	6.7	31.9	8.4	9.9
ბერძნებთან	2.4	12.8	2.7	11.9	11.9	58.2
რუსებთან	2.4	2.4	1.6	18.0	14.1	50.1
სომხებთან	7.5	17.0	3.8	22.3	13.9	35.5
ქართველებთან	27.8	25.9	10.0	22.9	13.4	0.0

ეთნიკურ ჭრილში გამოვლინდა, რომ (როგორც მოსალოდნელი იყო) ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ნათესაური, მეგობრული და მეზობლური ურთიერთობის შესახებ უფრო მეტად მიუთითებს თავისივე ეთნოსის წარმომადგენელთან. ამასთან, ქართველებს ყველაზე მეტად მეზობლური ურთიერთობა აზერბაიჯანელებთან აქვთ (39.3%), რაც განპირობებულია ამ ორი ეთნოსის მაღალი რეპრეზენტაციით აღნიშნულ რეგიონში. თავის მხრივ, აზერბაიჯანელები ქართველებთან ყველაზე მეტად მეგობრულ ურთიერთობებზე მიუთითებენ, აზერბაიჯანელების შემდეგ (24.8%).

ცხრილი №99: რა ურთიერთობა გაკავშირებთ ქვემოთ ჩამოთვლილ ეთნიკურ ჯგუფებთან? (პროცენტული მაჩვენებლები ეთნიკურ ჯგუფში)

		ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი	რუსი	ბერძენი
აზერბაიჯანელებთან	ნათესაური ურთიერთობა	1.3	42.0	0.5	11.7	14.2
	მეგობრული ურთიერთობა	15.8	23.4	30.9	16.2	18.9
	საქმიანი ურთიერთობა	5.3	7.3	11.4	0.0	21.5
	მემობლური ურთიერთობა	39.3	26.6	24.6	53.0	16.5
	ნაცნობობის დონეზე ურთიერთობა	18.3	0.1	12.3	2.2	21.5
	საერთოდ არ მაქვს ურთობა	20.1	0.6	20.2	16.9	7.4
ბერძენებთან	ნათესაური ურთიერთობა	2.8	0.5	1.0	0.0	32.3
	მეგობრული ურთიერთობა	11.6	9.7	37.5	16.2	21.4
	საქმიანი ურთიერთობა	2.6	0.9	9.8	0.0	19.0
	მემობლური ურთიერთობა	16.3	4.1	9.4	37.5	19.9
	ნაცნობობის დონეზე ურთიერთობა	12.5	12.8	6.8	0.0	2.7
	საერთოდ არ მაქვს ურთობა	54.2	72.0	35.5	46.3	4.8
რუსებთან	ნათესაური ურთიერთობა	2.8	0.5	1.7	42.9	5.4
	მეგობრული ურთიერთობა	14.1	10.0	31.4	26.9	11.3
	საქმიანი ურთიერთობა	2.5	0.1	1.8	0.0	1.7
	მემობლური ურთიერთობა	25.8	6.9	8.0	20.8	1.7
	ნაცნობობის დონეზე ურთიერთობა	14.6	14.3	8.4	0.0	26.8
	საერთოდ არ მაქვს ურთობა	40.2	68.2	48.7	9.4	53.1
სომხებთან	ნათესაური ურთიერთობა	4.6	0.5	34.3	8.7	4.0
	მეგობრული ურთიერთობა	15.8	14.2	26.7	29.2	24.4
	საქმიანი ურთიერთობა	2.8	0.9	13.3	0.0	16.1
	მემობლური ურთიერთობა	29.3	9.0	24.9	41.6	16.4
	ნაცნობობის დონეზე ურთიერთობა	18.2	12.9	0.5	0.0	25.7
	საერთოდ არ მაქვს ურთობა	29.4	62.5	0.3	20.5	13.3
ქართველებთან	ნათესაური ურთიერთობა	36.6	2.6	6.7	17.6	7.3
	მეგობრული ურთიერთობა	25.2	24.8	40.7	25.4	32.3
	საქმიანი ურთიერთობა	11.3	3.8	14.8	18.5	21.0
	მემობლური ურთიერთობა	25.2	15.1	18.4	38.4	28.3
	ნაცნობობის დონეზე ურთიერთობა	1.8	53.7	19.5	0.0	11.1



## გენდერული თანასწორობა

### რეზიუმე

გენდერული თანასწორობა საზოგადოების დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა. ქალისა და მამაკაცისათვის საზოგადოების ყველა სფეროში თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ბევრი საზოგადოების პრობლემას წარმოადგენს, რომელთა შორის საქართველოც შეიძლება მოვიხაზროთ. უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ მიმართულებით ხორციელდება პროექტები და არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს. თუმცა, საქართველოს რეგიონებში ამ მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეიმჩნევა. გენდერული უთანასწორობა განსხვავებულად ვლინდება ოჯახში, დასაქმების ადგილას, პოლიტიკურ სივრცესა და, ზოგადად, საზოგადოებაში. გენდერულ თანასწორობაზე განსხვავებული თვალსაზრისები ახდენს გავლენას: განათლება, რელიგია, სოციალური გარემო, დასახლების ტიპი და ა.შ.

გენდერული უთანასწორობის თვალსაზრისით ქვემო ქართლი ერთ-ერთ პრობლემურ რეგიონს წარმოადგენს; სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის გვხვდება განსხვავებული სოციალური პრაქტიკები, რომლებსაც ხშირად გარკვეული სტერეოტიპებიც ერთვით თან. გენდერული თანასწორობის შესწავლისათვის კითხვარში გამოყენებული იყო განწყობების შესასწავლი, ნეიტრალური ქცევითი კითხვები და ქცევითი შეკითხვები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობაში, მართლაც, არსებობს ძლიერი სტერეოტიპები. თვისებრივი კვლევის ეტაპზე გამოვლინდა, რომ გენდერული უთანასწორობა განსხვავდება ბინარული დაყოფების მიხედვით – მუსლიმური/ქრისტიანული, ქალაქი/სოფელი. რაოდენობრივმა კვლევამ კი დაამტკიცა, რომ ამგვარ დაყოფაზე საუბარი ხშირად გადაჭარბებულია. გამოვლინდა, რომ სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებით ქართულ მოსახლეობას ორმაგი სტანდარტები აქვს და სექსუალურ ქცევას უზღუდავენ ქალს, ხოლო მამაკაცს ანიჭებენ თავისუფლებას მაშინ, როცა აზერბაიჯანული მოსახლეობა ორივე სექსის წარმომადგენელს უზღუდავს სექსუალურ ქცევას. იგივე შეიძლება ითქვას ლალატის საკითხთან მიმართებაშიც: ქართველებს უფრო რადიკალური განწყობა აქვთ ცოლის ლალატთან დაკავშირებით მაშინ, როცა მამაკაცის ლალატის შემთხვევაში ოჯახის დანგრევის აუცილებლობას ვერ ხედავენ. გენდერული სტერეოტიპები ერთმნიშვნელოვნად არ უნდა დაუკავშიროთ რელიგიას, რადგან რიგ საკითხებში, მაგალითად, ეთნიკური სომხები ეთნიკურ აზერბაიჯანელებზე არანაკლებ ტრადიციულ განწყობებს ამჟღავნებენ. ამიტომ, შეიძლება დავასკვნათ, რომ გენდერული სტერეოტიპები უფრო მეტად რეგიონისათვის არის დამახასიათებელი და ცალკეული დემოგრაფიული მახასიათებლებით არ დეტერმინირდება.

გენდერული სტერეოტიპები მძლავრად მოქმედებს ქალსა და მამაკაცს შორის ფუნქციების გადანაწილებაზე. არის სფეროები, რომლებშიც მამაკაცის აბსოლუტური დომინანციაა (ძირითადად, ფინანსების განკარგვა, სათემო აქტივობები, სახლის შეკეთება,) მაშინ, როცა ქალების სფერო, ძირითადად, საოჯახო საქმეებით შემოიფარგლება. ამ შემთხვევაში ამგვარი დაყოფა არ უკავშირდება მხოლოდ ფიზიკურ ძალთა სხვადასხვაობას. ამას ნათელყოფს ის ფაქტი, რომ შინამეურნეობაში წყლის მოზიდვა (რომელიც ფიზიკურ სიძლიერეს მოითხოვს) უფრო მეტად ქალის ფუნქციაა. გარდა ამისა, მიწის სამუშაოებსა და საქონლის მოვლაშიც არიან ქალები ჩართულნი.

### *გენდერული როლები*

გენდერის შესახებ განწყობების შესასწავლად რესპონდენტებს პირველ ეტაპზე წარვუდგინეთ სხვადასხვა დებულებები, რომლებიც აგებული იყო საზოგადოებაში სხვადასხვა სქესის ქცევათა შესახებ გავრცელებული სტერეოტიპების მიხედვით. რესპონდენტებს შესაფასებლად მივეცით 7 ასეთი დებულება, რომლებიც ფასდებოდა 3 ბალიან სკალაზე (სადაც 1 ნიშნავდა „სრულიად ვეთანხმები“, 2 – „არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები“, 3 – „სრულიად არ ვეთანხმები“).

ცხრილი № L.1 რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს? (N=2990) პროცენტული მაჩვენებლები

დებულებები	შეფასებების სკალა	მდებრო ბითი	მამრო ბითი	საერთო მაჩვენებლები
არსებობს სამუშაო ქალისთვის და მამაკაცისთვის. ქალმა არ უნდა აკეთოს კაცის საქმე და პირიქით	სრულიად ვეთანხმები	68.8	74.1	71.5
	არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები	15.0	12.6	13.8
	სრულიად არ ვეთანხმები	13.4	10.6	12.1
	მიჭირს პასუხის გაცემა	2.7	2.7	2.7
კარგი ცოლი ემორჩილება ქმარს/პარტნიორს მაშინაც კი, როდესაც არ ეთანხმება	სრულიად ვეთანხმები	44	53.6	48.8
	არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები	21.8	19.6	20.7
	სრულიად არ ვეთანხმები	27.3	19.7	23.5
	მიჭირს პასუხის გაცემა	6.8	7.1	7
ქალისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია შექმნას ოჯახი და გააჩინოს შვილები, მამაკაცისათვის – გაიკეთოს კარიერა და იშოვოს ფული	სრულიად ვეთანხმები	55.9	60.6	58.2
	არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები	15.3	17.9	16.6
	სრულიად არ ვეთანხმები	23.5	16.9	20.2
	მიჭირს პასუხის გაცემა	5.3	4.7	5
ქალის მოვალეობაა დაემორჩილოს ქმარს/პარტნიორს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მამაკაცი მას ცუდად ეპყრობა	სრულიად ვეთანხმები	9.6	15.7	12.6
	არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები	12.4	16.4	14.4
	სრულიად არ ვეთანხმები	70.4	60.9	65.7
	მიჭირს პასუხის გაცემა	7.6	7.0	7.3
ოჯახი უნდა შეინარჩუნონებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც ქმარი ძალადობს ცოლზე	სრულიად ვეთანხმები	8.4	13.6	11.0
	არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები	9.8	12.9	11.3
	სრულიად არ ვეთანხმები	73.4	65.2	69.3
	მიჭირს პასუხის გაცემა	8.4	8.3	8.4
თუ ქმარი ხელს ადმართავს ცოლზე (სჯის მას ფიზიკურად), ცოლმა ეს დაიმსახურა	სრულიად ვეთანხმები	8.2	14.6	11.4
	არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები	10.5	13.8	12.1
	სრულიად არ ვეთანხმები	71.9	61.7	66.8
	მიჭირს პასუხის გაცემა	9.4	9.9	9.6
კარგ ცოლსა და ოჯახის კარგ დედას ქმარი ცუდად არასოდეს მოექცევა	სრულიად ვეთანხმები	44.4	58.0	51.2
	არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები	15.4	15.8	15.6
	სრულიად არ ვეთანხმები	33.3	20.7	27.0
	მიჭირს პასუხის გაცემა	6.9	5.6	6.2

კვლევის შედეგებით დგინდება, რომ ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობას საკმაოდ მყარი გენდერული სტერეოტიპები აქვს ისეთ სფეროებთან დაკავშირებით, როგორცაა, მაგალითად ქალის ფუნქცია ოჯახსა და საზოგადოებაში. როგორც მონაცემებიდან ჩანს, რესპონდენტთა თითქმის ორი მესამედი თვლის, რომ ქალისა და მამაკაცის სამუშაო სფერო დიფერენცირებულია სქესის მიხედვით; ასევე ნახევარზე მეტი თვლის, რომ ქალისათვის ოჯახი არის მთავარი, ხოლო მამაკაცისათვის – სამსახური; ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა ნახევარი

თვლის, რომ ქალი, მიუხედავად განსხვავებული აზრისა, მაინც უნდა დაემორჩილოს ქმარს, მიუთითებს მამაკაცის დომინანტურ პოზიციამზე ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.

გენდერული ჭრილის მიხედვით მონაცემები მცირე განსხვავებას ავლენს. კერძოდ, ქალები უფრო ლიბერალურად არიან განწყობილები ქალისა და მამაკაცის ფუნქციების გამიჯნვასთან დაკავშირებით, თუმცა, მაინც იგივე ტენდენციას იმეორებენ, რასაც მამაკაცები. რაც შეეხება ეთნიკურ ჭრილს, ქალისა და მამაკაცის ფუნქციებს უფრო გამიჯნულად აღიქვამენ ეთნიკური აზერბაიჯანელები და სომხები მაშინ, როცა სამუშაოების გენდერულად გამიჯნვას უფრო მეტად არ ეთანხმებიან ქართული ეთნოსის წარმომადგენლები. ქალისათვის ოჯახის, ხოლო მამაკაცისათვის – კარიერის მნიშვნელოვნებას ხაზს უფრო მეტად უსვამს ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა.


იმედისმომცემია კვლევის შედეგები, რომლებიც ქალზე ძალადობის საკითხს უკავშირდება. ქვემო ქართლის რეგიონში გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი მიიჩნევს ლეგიტიმურად მეუღლის მხრიდან ქალზე ფიზიკურ ძალადობას (11.4%). დებულებას – „თუ ქმარი ხელს აღმართავს ცოლზე (სჯის მას ფიზიკურად), ცოლმა ეს დაიმსახურა“ – სრულიად ეთანხმება აზერბაიჯანული წარმომადგენელი 16.5%, სომხური წარმომადგენელი 10% და ქართული წარმომადგენელი 8.3%. ცოლზე ძალადობის შემთხვევაში ოჯახის შენარჩუნების წინააღმდეგია რესპონდენტთა ნახევარზე მეტი. ამ შემთხვევაში, ოჯახის შენარჩუნებას უფრო ხშირად აზერბაიჯანული (15.5%) წარმომადგენლის მოსახლეობის ნაწილი უჭერს მხარს.

ქვემო ქართლის რეგიონში გამოკითხული მოსახლეობის ნახევარზე მეტი თვლის, რომ ცუდად მოპყრობის შემთხვევაში ცოლი ქმარს არ უნდა დაემორჩილოს. თუმცა, ამ დადებით ტენდენციასთან წინააღმდეგობაში მოდის რესპონდენტთა ნახევარზე მეტის პოზიცია: „კარგ ცოლსა და ოჯახის კარგ დედას ქმარი ცუდად არასდროს მოექცევა“. ამ დებულებას უფრო ხშირად ეთანხმებიან აზერბაიჯანული (63.4%) და სომხური (62.7%) წარმომადგენლები. ამ კითხვის ანალიზის შედეგად ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ძალადობა ქალზე ოჯახში არალეგიტიმურად მიაჩნიათ გამოკითხულებს, ისინი თვლიან, რომ თუ ძალადობა მოხდა, ამაში ქალსაც მიუძღვის წილი. მიუხედავად იმისა, რომ ქალები უფრო ნაკლებად იზიარებენ გენდერულ სტერეოტიპებს, მათში გენდერული უთანასწორობის ტენდენციები მაინც მძლავრია.

გენდერული სტერეოტიპების მიმართ დამოკიდებულება განსხვავდება სოფლისა და ქალაქის მიხედვით. სოფლის მცხოვრებნი უფრო ხშირად ეთანხმებიან გენდერულ სტერეოტიპებს, ვიდრე ქალაქში მცხოვრები რესპონდენტები. გრაფიკი №L1 ასახავს გენდერულ სტერეოტიპებზე თანხმობის მაჩვენებლების საშუალოებს ეთნიკური ჭრილის მიხედვით; რაც

მაღალია საშუალო მაჩვენებელი, მით მაღალია ამ ჯგუფში ეთნიკური სტერეოტიპების გაზიარება. როგორც გრაფიკიდან ჩანს, გენდერულ სტერეოტიპებს ყველაზე მეტად აზერბაიჯანული წარმომადგენლები იზიარებენ.

გრაფიკი № L1: რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებას? საშუალო მაჩვენებლები ეთნიკური წარმომადგენლის მიხედვით (N =2990) (შეფასება 3 – სრულიად ვეთანხმები, შეფასება 1 სრულიად არ ვეთანხმები)



ქცევითი შეკითხვებით გვსურდა გავგვერკვია ოჯახში სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით გადანყვეტილებების მიღებაში ქალის ჩართულობა. რესპონდენტებს წარუდგინეთ რვა სხვადასხვა საკითხი; თითოეულ საკითხთან მიმართებაში მათ უნდა მიეთითებინათ, ვინ იღებს მათს ოჯახში გადანყვეტილებას: ქალი, მამაკაცი, ოჯახის ყველა წევრი თუ ოჯახში ფინანსური შემომტანი.

კვლევის შედეგები საკმაოდ ლიბერალურ ტენდენციებს აჩვენებს (იხ. ცხრილი №L2). ძირითადად, გადანყვეტილებების მიღება მნიშვნელოვან საკითხებზე ოჯახის ყველა წევრის მიერ ხდება. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ოჯახში ფინანსური შემომტანი (სქესის მიუხედავად) გადანყვეტილებას ერთპიროვნულად თითქმის არ იღებს, გარდა რამოდენიმე

ფინანსური საკითხისა (ყოველდღიური საჭიროებებისათვის ფინანსების განკარგვა, ჯანდაცვის/მკურნალობის ხარჯები). გამოიკვეთა, რომ მანდილოსნები უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ოჯახში ფინანსური შემომტანის სტატუსს, ვიდრე მამაკაცები. თუკი ფინანსური შემომტანის მნიშვნელობას გენდერის ფაქტორს შევადარებთ, დავინახავთ, რომ სქესობრივი კუთვნილება უფრო განსაზღვრავს ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ვიდრე ამ სქესის წარმომადგენლის ფინანსური შემომტანის სტატუსი (მიუხედავად სქესისა). მცირედი განსხვავება ვლინდება სქესის მიხედვით. ქალები მამაკაცებზე ხშირად მიუთითებენ, რომ მათს ოჯახში ამა თუ იმ საკითხზე ქალი იღებს გადაწყვეტილებას; იგივე ტენდენცია ვლინდება მამაკაცებთანაც, რომლებიც უფრო ხშირად ამბობენ, რომ ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილებას მათს ოჯახში მამაკაცი იღებს. გარდა ამისა, მამაკაცები ქალებთან შედარებით უფრო ხშირად უთითებენ, რომ გადაწყვეტილებას სხვადასხვა საკითხზე ოჯახის ყველა წევრი იღებს ერთად. სფერო, რომელშიც მამაკაცის დომინაცია გამოკვეთილია, არის ყოველდღიური საჭიროებებისათვის ფინანსების განკარგვა და ოჯახური ბიზნეს/სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით ინვესტიციების ჩადება. გადაწყვეტილებების მიღების საკითხში აზერბაიჯანული წარმოშობის რესპონდენტები, სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით, უფრო ხშირად მამაკაცის დომინაციაზე მიუთითებენ.

ცხრილი № L2: ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესახებ ვინ იღებს გადაწყვეტილებას თქვენს ოჯახში?

		მამაკაცი	ქალი	ოჯახის ყველა წევრი	ის, ვინც ფინანსური შემომტანია	არ მესება	მიჭირს პ/გ
ყოველდღიური საჭიროებებისათვის ფინანსების განკარგვა	მდედრობითი	23.1	19.2	34.2	20.6	1.3	1.6
	მამრობითი	29.6	15.4	39.7	13.6	0.7	1.1
შვილის გაჩენა	მდედრობითი	5.3	21.9	34	4.4	31.8	2.7
	მამრობითი	6.3	20.8	38.7	2.4	27.9	3.9
შვილის ქორწინება	მდედრობითი	6.9	7.3	44.2	6	31.0	4.6
	მამრობითი	8.6	4.5	52.1	3.4	26.6	4.8
ოჯახისათვის მნიშვნელოვანი ნივთების შეძენა	მდედრობითი	8.7	12.5	53.8	8.7	10.0	1.8
	მამრობითი	11.8	9.9	60.7	6.6	9	1.9
ოჯახის მიერ საცხოვრებლის გამოცვლა	მდედრობითი	7.4	6.0	41.3	6.9	26.9	11.5
	მამრობითი	9.5	3.2	47.1	3.7	29.9	6.6
შვილების განათლება	მდედრობითი	6.8	10.3	49.6	6.2	24.2	2.9
	მამრობითი	8.0	8.2	57.0	4.3	20.0	2.6
ჯანდაცვის/მკურნალობის ხარჯები	მდედრობითი	10.7	9.5	50.4	18.9	4.0	6.5
	მამრობითი	12.9	4.7	61.3	11.7	4.4	4.9




ოჯახურ ბიზნეს/ სამეურნეო	მდებრობითი	18.9	3.5	24.8	8.8	27.3	16.8
საქმიანობასთან დაკავშირებული ინვესტიციები	მამრობითი	25.5	0.8	29.0	6.7	28.2	9.7

ქვევითი შეკითხვებით გვინდოდა გავვერკვია, ზოგადად სარგებლობენ თუ არა თანაბარი უფლებებით ქალები და მამაკაცები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში: ოჯახში, სამეგობრო წრეში, სამსახურსა და თემში. ვინაიდან რესპონდენტებს გაუჭირდებოდათ ზოგადად შეფასებინათ ქალის უფლებრივ მდგომარეობა, მათ ვეკითხებოდით თავიანთ უშუალო გამოცდილებაზე. მიუხედავად ამისა, ხშირად რესპონდენტები მაინც ვერ აფასებდნენ ამ ფაქტორებს. გამოკითხულთა თითქმის მეოთხედს უჭირს შეაფასოს ქალთა უფლებრივი მდგომარეობა თემში, ხოლო მეხუთედს უჭირს შეაფასოს ქალთა უფლებრივი მდგომარეობა სამეგობრო წრეში<sup>40</sup>. რესპონდენტებს ქალთა უფლებრივი მდგომარეობა ოთხ ბალიან სკალაზე უნდა შეეფასებინათ (იყო პასუხი „არ მეხება“, იმ შემთხვევისათვის, თუ ოჯახში ორივე სქესის წარმომადგენელი არ იყო, ადამიანი არ მუშაობდა, და ა.შ.).

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, რესპონდენტები, ძირითადად, თვლიან, რომ ქალები და მამაკაცები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ საზოგადოებრივი აქტივობის სხვადასხვა სფეროში. რესპონდენტთა თითქმის ორი მესამედი თვლის, რომ ქალები და მამაკაცები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ თავიანთ ოჯახში. ამ ფაქტორთან მიმართებაში გამოვლინდა მცირედი განსხვავება სქესის მიხედვით. ქალები მამაკაცებთან შედარებით უფრო ხშირად მიუთითებენ ოჯახში მათი უფლებების შეზღუდულობაზე. ზოგადად ოჯახებში ქალების უფლებების შეზღუდულობაზე მიუთითებს რესპონდენტთა მცირე ნაწილი (12%). შინამეურნეობების 8% ამ საკითხს ვერ აფასებს, რადგან მათს ოჯახში ორივე სქესის ზრდასრული წევრი არ ცხოვრობს. დასაქმებული მოსახლეობის უმრავლესობა მიუთითებს, რომ ქალების უფლებები სამსახურში დაცულია. თემში ქალთა უფლებების შეზღუდულობა ყველაზე მეტად ვლინდება, რაზეც გამოკითხულთა თითქმის მეოთხედი (24.3%) მიუთითებს. სამეგობრო წრეში ქალთა უფლებების ნაწილობრივ ან სრულად შეზღუდულობაზე მიუთითებს რესპონდენტთა მცირე ნაწილი (13.1%) მაშინ, როდესაც 86.9% მიუთითებს ქალების უფლებების სრულიად ან ნაწილობრივ დაცულობაზე.

<sup>40</sup> ამის მიზეზი შეიძლება იყოს ისიც, რომ მამაკაცების სამეგობრო წრეში ქალები საერთოდ არ არიან. ეს კი, თავისთავად, მიუთითებს გენდერული უთანასწორობის სიძლიერეზე.

გრაფიკი № L2: სარგებლობენ თუ არა თანაბარი უფლებებით ქალები თქვენს... (საშუალო მაჩვენებლები: 4 ნიშნავს სარგებლობენ, 1 ნიშნავს არ სარგებლობენ)



გრაფიკზე №L2 გამოსახულია კვლევის შედეგების საშუალო მაჩვენებლები ეთნიკურ ჯგუფში. როგორც გრაფიკიდან ჩანს, აზერბაიჯანელი წარმომადგენლის რესპონდენტები ყველაზე ხშირად მიუთითებენ ქალთა უფლებების უთანაბრობაზე, განსაკუთრებით – თემსა და სამსახურში. ეს კიდევ ერთხელ ამოწმებს წინა კითხვის შედეგებს, რომ ოჯახი და შვილები ქალის დომინანციის სფეროა, ხოლო საზოგადოებრივი და ეკონომიკური აქტივობები – მამაკაცის.

ზოგადი შეკითხვების გარდა, ოჯახში გენდერული თანასწორობა შევეცადეთ გაგვეჩვენოთ კონკრეტული ქვეყნითი შეკითხვებით იმის თაობაზე, თუ ვინ ასრულებს ამა თუ იმ საქმიანობას ოჯახში. კვლევის შედეგები ნათელყოფს, რომ ქვემო ქართლის შინამეურნეოებში მკაფიოდ არის გამოჩენილი ფუნქციები, რომლებიც ოჯახში ქალმა ან მამაკაცმა უნდა შეასრულოს (იხ. ცხრილი № L3).

თავდაპირველად შევეხოთ ისეთ საქმიანობებს, რომლებიც მკაფიოდ მიენერება ამა თუ იმ სქესს. ოჯახების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობაში ქალები ასუფთავებენ სახლს, ამზადებენ საჭმელს და რეცხავენ. იმ ოჯახებში, სადაც ბავშვი, მოხუცი ან ავადმყოფია, ბავშვის მოვლა, ბავშვისათვის გაკვეთილების მომზადებაში დახმარება, მოხუცსა და ავადმყოფზე ზრუნვა ძირითადად ქალის ფუნქციაა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მამაკაცების ფუნქციებში, ძირითადად, შედის სახლის მომარაგება გასათბობი საშუალებებით, სახლის შეკეთება. ერთი შეხედვით შეიძლება გვეთქვას, რომ საოჯახო საქმიანობების ამგვარი დანაწევრება ფიზიკური ძალის მიხედვით ხდება, მაგრამ საწინააღმდეგოს მეტყველებს ის

ფაქტი, რომ, მაგალითად, წყლის მოზიდვის ფუნქციას ოჯახების 27.8%-ში ქალები ასრულებენ მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი მამაკაცებთან 20.9%-ია. მინის სამუშაოებსა და საქონლის მოვლაზე მამაკაცები უფრო ზრუნავენ ოჯახებში. თუმცა კვლევის შედეგებით ჩანს, რომ ამ ფუნქციების შესრულებაში, უმეტესწილად, ოჯახის ყველა წევრია ჩართული. ზოგადად რომ შევაფასოთ, სხვადასხვა საქმიანობის შესრულება ოჯახებში უფრო მეტად კულტურის შედეგად ჩამოყალიბებული სტერეოტიპებით (ქალის საქმე/მამაკაცის საქმე) არის განაწილებული, ვიდრე ფიზიკური ძალის ქონით. მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა სქესობრივ ჭრილში; ორივე სქესის წარმომადგენლები მათ მიერ ამა თუ იმ ფუნქციის შესრულებას მეტ წონას მიაწერენ. განსაკუთრებით ეს ეხება სქესობრივად ნეიტრალურ საქმიანობას (ანუ საქმიანობებს, რომელთა შესრულება რომელიმე სქესის წარმომადგენელს არ მიეწერება), მაგალითად, წყლის მოზიდვას, მინის დამუშავებას, საქონლის მოვლას, გასათბობი საშუალებების მომარაგებას, ოჯახის პროდუქტებით მომარაგებასა და გადასახადების გადახდას.

**ცხრილი № 14: თქვენს ოჯახში ვინ ასრულებს შემდეგ ფუნქციებს? (პროცენტული მაჩვენებლები)**

	ქალი	მამაკაცი	ბავშვი	ოჯახის ყველა	მიჭირს პასუხის გაცემა
წყლის მოზიდვა	27.8	20.9	2.9	42.4	6.1
მინის დამუშავება	7.0	38.9	0.3	48.1	5.6
საქონლის მოვლა	13.0	29.1	0.3	50.3	7.3
სახლის მომარაგება გასათბობი საშუალებებით	5.4	66.4	0.4	20.6	7.2
სახლის შეკეთება	5.2	73.9	0.2	13.6	7.1
ოჯახის პროდუქტებით უზრუნველყოფა	28.9	35.4	0.6	33.1	2.1
საჭმლის მომზადება	87.0	1.0	0.0	10.3	1.7
მოსუცზე ზრუნვა	68.2	1.5	0.3	25.5	4.4
ავადმყოფის მოვლა	66.8	1.2	0.5	26.9	4.5
ბავშვებისათვის საშინაო დავალების მომზადებაში დახმარება	65.7	1.4	5.3	23.0	4.6
ბავშვზე ზრუნვა	68.7	1.4	0.8	26.0	3.0
გადასახადების გადახდა	29.2	36.1	1.1	31.4	2.2
რეცხვა	88.4	0.6	0.1	9.1	1.9
სახლის დასუფთავება	88.6	0.6	0.1	8.8	1.9

გენდერული უთანასწორობის კვლევის პროცესში რესპონდენტებს შევთავაზეთ შვიდი ურთიერთსაწინააღმდეგო დებულება, რომლებიც მამაკაცისა და ქალის ზოგად სოციალურ

ქვეყნებს შეეხებოდა. რესპონდენტებს უნდა გამოეხატათ, რამდენად ეთანხმებიან თითოეულ ამ დებულებას. ცხრილი №L5-ში დეტალურად ასახულია კვლევის შედეგები.

**ცხრილი № L5: რამდენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს? (პროცენტული მაჩვენებლები)**

	სრულლად ვეთანხმები	არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები	სრულლად არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა
ქალმა თავისი შემოსავლები ოჯახისაგან შეთანხმების გარეშე არ უნდა განკარგოს	61.6	17.6	17.8	3.0
მამაკაცმა თავისი შემოსავალი ოჯახთან შეთანხმების გარეშე არ უნდა განკარგოს	54.9	22.2	19.3	3.6
ქალმა ქორწინებამდე თავი უნდა შეიკავოს სექსუალური ურთიერთობისაგან	84.6	8.0	3.8	3.6
მამაკაცმა ქორწინებამდე თავი უნდა შეიკავოს სექსუალური ურთიერთობისაგან	39.5	18.6	32.2	9.7
წვეილი გარიგებით უნდა დაქორწინდეს	26.6	31.8	35.9	5.7
წვეილი სიყვარულით უნდა დაქორწინდეს	76.2	18.3	1.5	4.1
ქმრის დალატის შემთხვევაში ქალმა განქორწინება უნდა მოითხოვოს	32.4	25.1	25.5	17.0
ცოლის დალატის შემთხვევაში მამაკაცმა განქორწინება უნდა მოითხოვოს	69.2	12.7	6.8	11.3
მშობლების უძრავი ქონება ვაუს უნდა დარჩეს	45.0	18.5	28.3	8.2
მშობლების უძრავი ქონება უნდა განაწილდეს შვილებს შორის მიუხედავად მათი სქესისა	50.3	21.5	20.1	8.1
ცოლმა გადაწყვეტილებები ქმართან შეთანხმების გარეშე არ უნდა მიიღოს	69.9	18.1	7.2	4.8
მამაკაცმა გადაწყვეტილებები ცოლის გარეშე არ უნდა მიიღოს	58.6	24.7	11.4	5.3
ოჯახის უძრავი ქონების საკუთრების იურიდიული უფლება მამაკაცის (ოჯახის უფროსის) პრიორიტეტული უფლება უნდა იყოს	37.9	20.0	32.7	9.4
ოჯახის უძრავი ქონების საკუთრების იურიდიული უფლება მამაკაცსა და ქალს შორის თანაბრად უნდა გადანაწილდეს	59.1	15.5	14.1	11.3

როგორც მონაცემები აჩვენებს, რესპონდენტთა ნახევარზე მეტი თვლის, რომ ქალმაც და მამაკაცმაც ფინანსები ოჯახთან შეთანხმებით უნდა განკარგოს. ამ შემთხვევაში მამაკაცების ფინანსურ დამოუკიდებლობას ოდნავ მეტი რესპონდენტი უჭერს მხარს. ეთნიკური ჯგუფის მიხედვით (იხ. გრაფიკი № L3) აზერბაიჯანელი წარმოშობის რესპონდენტები მხარს უჭერენ ფინანსების ოჯახთან შეთანხმებით განკარგვას მიუხედავად ფინანსების მქონე პირის სქესისა მაშინ, როცა ქართველები და სომხები ორივე სქესის ფინანსური შემომტანის დამოუკიდებლობას უფრო უჭერენ მხარს. მეუღლეების მიერ გადანაწილებების ოჯახის

წევრებთან შეთანხმების მომხრეა ასევე რესპონდენტთა უმრავლესობა. თუმცა, აქაც წინა შემთხვევის მსგავსად, მამაკაცების მიერ გადანყვეტილების მეულლესთან შეთანხმების გარეშე მიღებას რესპონდენტთა უფრო მეტი ნაწილი უჭერს მხარს. ამ შემთხვევაში, მამაკაცები უფრო მეტად თვლიან, რომ ცოლმა გადანყვეტილებები ქმარს უნდა შეუთანხმოს. ეთნიკური ნიშნით მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირებულა.

ქორწინებამდე სქესობრივი კავშირისაგან თავის შეკავებას ქალებისათვის აუცილებლად რესპონდენტთა 84.6% თვლის. საინტერესოა, რომ ქალის ქორწინებამდე სქესობრივი ცხოვრების წინააღმდეგი ქალებიც ისევე არიან, როგორც მამაკაცები (მათ პოზიციებს შორის განსხვავება უმნიშვნელოა). ქალისათვის ქორწინებამდე სექსუალურ ცხოვრებას ერთნაირად ზღუდავენ ოთხივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. მამაკაცის ქორწინებამდე სქესობ–რივ თავშეკავებას უჭერს მხარს რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი (39.5). ამ მოსაზრებას არ ეთანხმება მამაკაცების მესამედზე მეტი (38.1%), ხოლო ქალების 26.4%. საინტერესოა, რომ მამაკაცისათვის ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობებისაგან თავის შეკავებას უფრო მეტად უჭერენ მხარს აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის რესპონდენტები. ქართველი რესპონდენტები ქორწინებამდე სექსუალურ ცხოვრებასთან მიმართებაში ორმაგ მორალს ამჟღავნებენ, როცა მამაკაცს თავისუფლებას ანიჭებენ, ხოლო ქალს უზღუდავენ სექსუალურ ცხოვრებას.

გარიგებით ქორწინებასთან მიმართებაში რესპონდენტთა პასუხები თითქმის თანაბრად ნაწილდება შეფასებების სამივე კატეგორიაში. გარიგებით ქორწინებას უფრო პოზიტიურად აფასებენ აზერბაიჯანელები, შემდეგ – სომხები, როდესაც ქართველები ამ გზით დაქორწინების შედარებით წინააღმდეგები არიან. სიყვარულით ქორწინებას გამოკითხულთა უმრავლესობა (76.2%) უჭერს მხარს, მიუხედავად მათი სქესისა. სიყვარულით ქორწინების მხარდამჭერია ქართველი რესპონდენტების უმრავლესობა.


მნიშვნელოვანი განსხვავება ვლინდება მეულლეების ლალატის შემთხვევაში ოჯახის დანგრევასთან მიმართებით. როგორც მოსალოდნელი იყო, ქმრის ლალატის შემთხვევაში ოჯახის დანგრევას რესპონდენტთა მხოლოდ მესამედი უჭერს მხარს. ამ საკითხთან მიმართებით, რა თქმა უნდა, მამაკაცები უფრო ხშირად მიუთითებენ ოჯახის შენარჩუნების აუცილებლობაზე. საინტერესოა, რომ ქართველი რესპონდენტები უფრო ხშირად თვლიან, რომ ქმრის ლალატის შემთხვევაში ოჯახი მაინც უნდა შენარჩუნდეს. თუმცა, ქართველი რესპონდენტები, ძირითადად, ეთანხმებიან დებულებას, რომ ცოლის ლალატის შემთხვევაში ოჯახი უნდა დაინგრეს. ზოგადად რომ შევაფასოთ, ცოლის ლალატის შემთხვევაში ოჯახის დანგრევის მომხრეა გამოკითხულთა უმრავლესობა (69.9%) და, რა თქმა უნდა, მამაკაცები უფრო რადიკალურები არიან ამ საკითხთან მიმართებაში.

ქონების ტრადიციული ფორმით შვილებს შორის განაწილებას რესპონდენტთა დიდი ნაწილი უჭერს მხარს; ანუ გამოკითხულთა 45% თვლის, რომ მშობლების უძრავი ქონება ვაჟს უნდა დარჩეს. მათი სქესის ერთპიროვნულ სამემკვიდრეო უფლებას მამაკაცები უფრო მეტად უჭერენ მხარს. ამ დებულებას უფრო მეტად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ემხრობიან. შვილებს შორის მშობლების უძრავი ქონების თანაბარი განაწილების მომხრე რესპონდენტთა ნახევარია – 50.3% (გენდერული და ეთნიკური ჭრილით მნიშვნელოვანი განსხვავება ამ საკითხთან მიმართებაში არ ვლინდება). ქონების საკუთრების იურიდიული უფლება გამოკითხულთა 37.9%-ის აზრით მხოლოდ მამაკაცს უნდა ჰქონდეს. ამ პოზიციას მამაკაცები უფრო იზიარებენ, ხოლო, ეთნიკური ჭრილის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობები. რესპონდენტთა უმრავლესობა (59.1%) თვლის, რომ საკუთრების ფლობის იურიდიული უფლება თანაბრად უნდა ჰქონდეს მამაკაცსაც და ქალსაც. ქონებრივი უფლებების თანასწორობას, სქესის მიუხედავად, მანდილოსნები მამაკაცებზე ხშირად უჭერენ მხარს. თანაბარი საკუთრების იურიდიულ უფლებას უფრო ხშირად ქართველი რესპონდენტები ეთანხმებიან.

გრაფიკი N<sup>o</sup>L4-ზე გამოსახულია ამ დებულებების შეფასებების საშუალო მაჩვენებლები ეთნიკურ ჭრილში. განვიხილოთ რესპონდენტთა შეფასებები ეთნიკური ჭრილის მიხედვით.



**გრაფიკი № 14 : რომელ დებულებას უჭერთ მხარს? (საშუალო მაჩვენებლები ეთნიკურ ჯგუფში: შეფასება 3 ნიშნავს სრულიად ვეთანხმები, შეფასება 1 სრულიად არ ვეთანხმები)**



მოსახლეობის დამოკიდებულება ქვემო ქართლში მოქმედი სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურისა და არასამთავრობო სექტორების მიმართ

რეზიუმე

დემოკრატიზაციის პროცესი ვერ განვითარდება სამოქალაქო საზოგადოების არსებობის გარეშე. დასავლეთის ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოება ისტორიული განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა. ექსპერტთა უმრავლესობა მიუთითებს, რომ საქართველოში ქმედითი სამოქალაქო საზოგადოება, ჯერჯერობით, არ შემდგარა.<sup>41</sup> სამოქალაქო საზოგადოების ფრაგმენტად ზოგიერთი მკვლევარი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელს ასახელებს, თუმცა მათ ქმედითუნარიანობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით. საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, ქვემო ქართლის რეგიონში არასამთავრობო ორგანიზაციების სიმრავლეა, განსაკუთრებით – ეთნიკური უმცირესობების მიერ შექმნილი ან/და ეთნიკური უმცირესობების პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების კუთხით. მოცემული კვლევის თვისებრივ ეტაპზე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართულნი. ისინი თვლიან, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არ არის დაინტერესებული მათთან თანამშრომლობით და მხოლოდ იმ შემთხვევებში მიმართავენ არასამთავრობო სექტორს, როდესაც ამა თუ იმ საკითხში პირადად ექმნებათ პრობლემები. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მიერ არასამთავრობო სექტორის პრობლემებს შორის დასახელდა ფინანსების სიმცირე და ადგილობრივი მმართველი სტრუქტურების წარმომადგენელთა ინდიფერენტულობა მათთან თანამშრომლობის კუთხით.

კვლევის რაოდენობრივ ეტაპზე შევეცადეთ, გაგვეჩვენა ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობადობა და მათი საქმიანობა შეგვეფასებინა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, არასამთავრობო სექტორის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის დიდი ნაწილი ინფორმაციას ან არ ფლობს ან ფლობს არაადეკვატურ ინფორმაციას. ის ნაწილი კი, რომელიც შედარებით ინფორმირებულია, არასამთავრობო სექტორის გავლენას დადებითად ან ნეიტრალურად აფასებს.

ნებისმიერი საზოგადოების კეთილდღეობაზე მნიშვნელოვანი გავლენა საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და პოლიტიკას აქვს. დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი მაჩვენებელი კი პოლიტიკურ პროცესებში საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობაა. საზოგადოებრივი ჩართულობის მაჩვენებლად სხვადასხვა ინდიკატორი შეიძლება გამოვიყენოთ: პოლიტიკით დაინტერესების ხარისხი, მმართველობითი სტრუქტურების შესახებ ინფორმირებულობა, მოსახლეობასა და მმართველი სტრუქტურების წარმომადგენლებს შორის დიალოგი და სხვადასხვა მმართველობითი სტრუქტურის მიმართ ნდობა.

<sup>41</sup> გაეროს განვითარების პროგრამა. 2011. მშვიდობისა და განვითარების პროგრამა: დემოკრატიზაციის პროცესი, კულტურა და ღირებულებები (ანალიტიკური ანგარიში)

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა პოლიტიკის მიმართ ინდიფერენტულადაა განწყობილი. ამას რესპონდენტები ამბობენ პირდაპირ, როდესაც ვეკითხებით პოლიტიკით დაინტერესების შესახებ. ეს ვლინდება, აგრეთვე, პოლიტიკური მოვლენებისა და ფიგურების მიმართ გამოვლენილი ინფორმირებულობის დაბალ ხარისხში. აღმოჩნდა, რომ მამაკაცები ქალებზე მეტად დაინტერესებულნი არიან პოლიტიკით. ეთნიკური ჯრილის მიხედვით, პოლიტიკით მეტად ინტერესდება ქართველი და ბერძენი მოსახლეობა, როდესაც აზერბაიჯანელი და სომეხი რესპონდენტები შედარებით ნაკლებ ინტერესს იჩენენ. დიალოგის პროცესი მმართველობისა და თვითმართველობის სტრუქტურებსა და მოსახლეობას შორის არც თუ ისე წარმატებით მიმდინარეობს; განსაკუთრებით მაღალ ინდიფერენტულობას იჩენენ მმართველობითი სტრუქტურები ეთნიკური კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით.

ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობა ხშირად იკავებს თავს მმართველობითი თუ ბიზნეს სტრუქტურების, მასშედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებისგან. ამ თვალსაზრისით, ყველაზე პოზიტიურად რელიგიურ ინსტიტუტებს აფასებენ. თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია, რომ მოსახლეობის უმრავლესობა რელიგიურ ცენტრებში ამჟღავნებს და ნეგატიურად აფასებს სხვა რელიგიურ ინსტიტუტებს.

ქვემო ქართლის მოსახლეობის დიდ ნაწილს ასევე უჭირს შეაფასოს საკუთარი ნდობის ხარისხი რეგიონისა და რაიონის თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიმართ. თუმცა, როდესაც შეფასებები კეთდება, ისინი, ძირითადად, ნდობის ველშია მოქცეული. ქვემო ქართლის მოსახლეობაში დაბალია, აგრეთვე, პოლიტიკური პარტიების ცნობადობა. როგორც ცნობადობის, ისე პოზიტიური შეფასების თვალსაზრისით, ყველაზე მეტად მმართველი პარტია გამოირჩევა.

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის რაიონები განსხვავებულ ტენდენციებს აჩვენებენ. მაგალითად, წალკის რაიონი მმართველობითი და თვითმართველობის სტრუქტურების მიმართ ინფორმირებულობის, აგრეთვე მათ მიმართ ნდობის მაღალ ხარისხს ავლენს მაშინ, როდესაც მარნეულის რაიონი ჭარბი ინდიფერენტულობით გამოირჩევა. რაიონებს შორის განსხვავება, ძირითადად, განპირობებულია განსხვავებული ეთნიკური შემადგენლობით. იმ რაიონებში, რომლებშიც სჭარბობს აზერბაიჯანული მოსახლეობა, პოლიტიკური პროცესებისა და სტრუქტურების მიმართ მოსახლეობა, ძირითადად, არაინფორმირებულია.

### *არასამთავრობო სექტორის შეფასება*

პირველ რიგში, რესპონდენტებს შესთავაზეს ღია შეკითხვა, რომლის საპასუხოდ მათ უნდა დაესახელებინათ 5 არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ბოლო 3 წლის განმავლობაში მათს დასახლებულ პუნქტში საქმიანობს. გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 2.5%-მა დაასახელა ერთი ან ორი ორგანიზაცია, რომელთა შორის ზოგიერთი ამ სტატუსს საერთოდ არ ატარებს. მაგალითად, „არასამთავრობო ორგანიზაციათა“ შორის მოხვდა ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა მშობელთა კავშირი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, სახალხო დამცველი, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, სამოქალაქო

განვითარების სააგენტო (CIDA) და სხვ. (სხვათა შორის, სამოქალაქო განვითარების სააგენტო ყველაზე ცნობადი აღმოჩნდა 21 ხმით). ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მოსახლეობა ყველაზე მეტად ინფორმირებულია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა (დაასახელა შვიდმა რესპონდენტმა) და ორგანიზაცია CARE-ს (დაასახელა ცხრამეტმა რესპონდენტმა) შესახებ.

**ცხრილი №S1: რამდენად ახდენს გავლენას არასამთავრობო სექტორი ადგილობრივ პროცესებზე (პროცენტული მაჩვენებლები დასახლებული პუნქტის ტიპის მიხედვით)**

N	ქალაქი	სოფელი	საერთო	
1.	ძალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს	3.6	8.5	6.6
2.	მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს	8.9	9.6	9.3
3.	მცირე გავლენას ახდენს	4.2	2.3	3.1
4.	საერთოდ არ ახდენს გავლენას	7.4	14.1	11.5
5.	მიჭირს პასუხის გაცემა	75.8	65.4	69.5

როგორც ცხრილი №S1 ჩანს, მოსახლეობის უმრავლესობას უჭირს შეაფასოს არასამთავრობო სექტორის გავლენა ადგილობრივ პროცესებზე. ეს, პირველ რიგში, არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონით არის განპირობებული. არასამთავრობო სექტორის შესახებ ინფორმირებული მოსახლეობის მცირე ნაწილი თვლის, რომ ამ სექტორს ქვემო ქართლში მიმდინარე პროცესებზე გარკვეული გავლენა აქვს. დასახლებული პუნქტის მიხედვით საინტერესოა, რომ ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრები რესპონდენტები უფრო გარკვეულები არიან და შეუძლიათ შეაფასონ არასამთავრობო სექტორის გავლენა. თუმცა, ეს შეფასება, ძირითადად, შემოიფარგლება იმით, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს არავითარი გავლენა არა აქვთ ადგილობრივ პროცესებზე. რაიონული ჭრილის მიხედვით არასამთავრობო სექტორის მნიშვნელოვან გავლენაზე უფრო მეტად მიუთითებენ ბოლნისისა და დმანისის რაიონებში მაშინ, როდესაც მცირე გავლენაზე მიუთითებენ მარნეულსა და თეთრიწყაროს რაიონებში.

ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობას (72.5%) ასევე უჭირს შეაფასოს არასამთავრობო სექტორის საქმიანობა. ადგილობრივი მოსახლეობის ის მცირედი ნაწილი, რომელიც არასამთავრობო სექტორზე გარკვეულ ინფორმაციას ფლობს, ძირითადად, დადებითად ან ნეიტრალურად აფასებს არასამთავრობო სექტორის საქმიანობას (ცხრილი №S2).


ცხრილი №S2: როგორ შეაფასებდით ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი სამოქალაქო სექტორის საქმიანობას? (პროცენტული მაჩვენებლები)

N	შეფასებების შკალა	პროცენტული მაჩვენებლები
1.	დადებითად	6.1
2.	უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად	7.1
3.	არც დადებითად, არც უარყოფითად	11.7
4.	უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად	0.7
5.	უარყოფითად	1.9
6.	მიჭირს პასუხის გაცემა	72.5

### სახელმწიფო ინსტიტუტები და საზოგადოებრივი პოლიტიკა

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობის უმრავლესობა პოლიტიკით არ არის დაინტერესებული (62.6%). პოლიტიკით მეტ-ნაკლებად დაინტერესებულია 27.5%, ხოლო დაინტერესებულია 8.6%. გრაფიკი №S1-ზე ასახულია პოლიტიკით დაინტერესების საშუალო მაჩვენებლების განაწილება სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით (კერძოდ, სქესის, დასახლების ტიპის, რაიონების, ეროვნების მიხედვით).

გრაფიკი №S1: რამდენად დაინტერესებული ხართ პოლიტიკით (საშუალო მაჩვენებლები: 1- დაინტერესებული არ ვარ, 3 - დაინტერესებული ვარ)




როგორც გრაფიკზეა ასახული, პოლიტიკით ინტერესი ქალებთან შედარებით მაღალია მამაკაცებში; ეთნიკური ნიშნით კი პოლიტიკით დაინტერესებას ყველაზე მეტად ამჟღავნებენ ქართველები და სომხები, ხოლო ყველაზე ნაკლებად - აზერბაიჯანელები. რაიონულ ჭრილში მონაცემები აჩვენებს, რომ პოლიტიკის მიმართ ინტერესი მაღალია დმანისში, წალკასა და რუსთავში, ხოლო პოლიტიკური პროცესების მიმართ ყველაზე მაღალ ინდიფერენტულობას ამჟღავნებენ მარნეულის რაიონში მცხოვრები რესპონდენტები (რაც იმას უკავშირდება, რომ მარნეული, ძირითადად, აზერბაიჯანული მოსახლეობითაა დასახლებული).

იქედან გამომდინარე, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობა პოლიტიკით ნაკლებად არის დაინტერესებული, მათ, შესაბამისად, მწირი ინფორმაცია აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველი ორგანოების საქმიანობისა და მათი მოვალეობების შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველი ორგანოების საქმიანობისა და მათი მოვალეობების შესახებ არ არის ინფორმირებული ქვემო ქართლის მოსახლეობის 78.7%, საკმაოდ არის ინფორმირებული გამოკითხულთა მხოლოდ 3.7%, ხოლო 15.8% ნაწილობრივ არის ინფორმირებული. გრაფიკი №S2 ასახავს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინფორმირებულობის საშუალო მაჩვენებლებს (ქულა 3 ნიშნავდა „საკმაოდ ინფორმირებული ვარ“, ხოლო 1 – „არ ვარ ინფორმირებული“). ქალები მამაკაცებთან შედარებით ნაკლებ ინფორმირებულნი არიან. ეს კიდევ ერთხელ ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ ქვემო ქართლის რეგიონში სათემო და საზოგადოებრივი აქტივობა, ძირითადად, მამაკაცების დომინაციის სფეროა. პოლიტიკით დაინტერესების მსგავსად, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ სოფლის მოსახლეობა, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, ნაკლებ ინფორმირებულია; ეთნიკური ჭრილის მიხედვით ქართველები მეტად ინფორმირებულნი არიან. რაიონების მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველი ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმირებულია რუსთავის მოსახლეობა, რომელსაც მოსდევს წალკისა და თეთრიწყაროს რაიონები. ინფორმაციის დეფიციტი მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში.



გრაფიკი №52: რამდენად ინფორმირებული ხართ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობისა და მოვალეობების შესახებ? (საშუალო მაჩვენებლები: 1 – „არ ვარ ინფორმირებული“, 3 – „საკმაოდ ინფორმირებული ვარ“)



როგორც უკვე აღვნიშნეთ, დემოკრატიზაციის პროცესისთვის აუცილებელია მმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის მჭიდრო თანამშრომლობა. ქვემო ქართლის მოსახლეობასა და მმართველი ორგანოების შორის თანამშრომლობის დონის გასაზომად გამოყავით ხუთი ინდიკატორი, რომელთაგან პირველია ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებაში მოსახლეობის ჩართულობა. ბიუჯეტის განხილვები საჭაროა. თუმცა, ფოკუს-ჯგუფებში გამოკითხვისას ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მოქალაქეების სურვილი, დაესწრონ მათი დასახლებული პუნქტის ბიუჯეტის ფორმირების პროცესს, ძალიან დაბალია. კვლევის შედეგად ჩანს, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ (84.9%) არ იცის, ხდება თუ არა შეხვედრები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში. 12% მიიჩნევს, რომ მსგავსი შეხვედრები არასდროს ხდება. რესპონდენტთა 4.9% ამბობს, რომ ბიუჯეტთან დაკავშირებით მოსახლეობა და თვითმმართველობის წარმომადგენლები ზოგჯერ ხვდებიან ერთმანეთს, ხოლო 1.9% მიიჩნევს, რომ მსგავსი შეხვედრები ხშირად ხდება.

რაიონებისა და ქალაქების პრიორიტეტების განსასაზღვრად შეხვედრები ასევე იშვიათად ხდება ქვემო ქართლის მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს შორის. ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს გამოკითხულთა


81.5%-ს. მსგავსი შეხვედრების არარსებობაზე მიუთითებს რესპონდენტთა 11.6%. ადგილობრივი პრიორიტეტების განსაზღვრა მოსახლეობისა და მმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა შეხვედრების გზით ზოგჯერ ხორციელდება გამოკითხულთა 5.4%-ის აზრით, ხოლო ყოველთვის - 1.4%-ის აზრით.

ქვემო ქართლის რეგიონის ეთნიკური შემადგენლობის მრავალფეროვნების გამო, ასევე მნიშვნელოვანია ეთნიკური პრობლემების მოგვარებაში მმართველი სტრუქტურების წარმომადგენელთა და მოსახლეობის ჩართულობა. ამ საკითხთან დაკავშირებით შეხვედრები ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მოსახლეობას შორის საკმაოდ იშვიათია. ამ საკითხთან დაკავშირებით არაინფორმირებულია მოსახლეობის უმრავლესობა (82.3%). ინფორმირებული მოსახლეობის ორი მესამედი (ანუ, გამოკითხულთა 13.3%) თვლის, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით შეხვედრები არასდროს ხდება. რესპონდენტთა 3.5% მიიჩნევს, რომ მოსახლეობასთან შეხვედრებს ეთნიკური პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ზოგჯერ მართავენ, ხოლო რესპონდენტთა 0.8% თვლის, რომ ასეთი შეხვედრები ხშირად ხდება.

მუნიციპალური პროგრამების დაგეგმვისას მოსახლეობასთან შეხვედრები ასევე ნაკლებად არის გავრცელებული ქვემო ქართლის რეგიონში. რესპონდენტთა უმრავლესობას ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არა აქვს (81.9%). დარჩენილი (ანუ, ინფორმირებული) მოსახლეობის დიდი ნაწილი (საერთო ჯამში, გამოკითხულთა 11.9%) თვლის, რომ ასეთი შეხვედრები არასდროს ხორციელდება. ამ კითხვაზე პოზიტიურ პასუხს გვაძლევს გამოკითხულთა 6.8%; ამათგან რესპონდენტთა 1.5% მიიჩნევს, რომ მსგავსი შეხვედრები ყოველთვის ხდება, ხოლო 4.8% აღნიშნავს, რომ - ზოგჯერ.

ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის დიალოგის განსაზღვრისათვის გამოყენებული მეხუთე კრიტერიუმი იყო განხორციელებული მუნიციპალური პროგრამების შეფასება, მოსახლეობის კმაყოფილების დონის შესწავლა. რეფორმების გატარების ფაზაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელისუფლების წარმომადგენლები დიალოგებს მართავდნენ მოსახლეობასთან, რათა გაარკვიონ პროგრამების ეფექტურობა და მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხი. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დიალოგი ქვემო ქართლის რეგიონის ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის იშვიათად ხორციელდება. ამ საკითხთან დაკავშირებით არაინფორმირებულია გამოკითხულთა 82.2%. ინფორმირებულთა 11.6% თვლის, რომ მსგავსი დიალოგი არასდროს შემდგარა. გამოკითხულთა 6.2% პოზიტიურ პასუხს სცემს. აქედან 1.3% მიიჩნევს, რომ მსგავსი დიალოგი ყოველთვის მიმდინარეობს, ხოლო 4.9% თვლის, რომ ასეთი შეხვედრები და შეფასებები ზოგჯერ ხდება.


გრაფიკი №S3: ხდება თუ არა ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის შეხვედრები შემდეგი საკითხების გადასაწყვეტად? (საშუალო მაჩვენებლები: 3 - ხშირად, 2 - ზოგჯერ, 1 - იშვიათად)



გრაფიკი №S3-ზე ასახულია ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის თანამშრომლობის ხუთი კრიტერიუმის საშუალო მაჩვენებლები. რაც უფრო დაბალია საშუალო მაჩვენებელი, მით უფრო ნაკლებია ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის შეხვედრები ამ საკითხებთან დაკავშირებით. ხუთი საკითხის ერთმანეთთან შედარება ნათელყოფს, რომ მოსახლეობასა და მმართველ ორგანოებს შორის დიალოგი ყველაზე ხშირად რაიონის/ქალაქის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისათვის ხდება. ამ ფაქტორის მნიშვნელოვნებას, ნაწილობრივ, სოფლის პროგრამების მიმდინარეობაც განაპირობებს. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ყველაზე ნაკლებად ერევიან ეთნიკურ ურთიერთობებში წარმოშობილი პრობლემების მოგვარებაში.

გრაფიკი №S4-ზე ასახულია თვითმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის შეხვედრების საშუალო მაჩვენებლები ქვემო ქართლის სხვადასხვა რაიონის მიხედვით. აღნიშნული გრაფიკის მიხედვით მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის დიალოგი ყველაზე ნაკლებად მარნეულის, წალკისა და ბოლნისის რაიონებში ხდება. რუსთავი საშუალო პოზიციებს იკავებს. სხვა რაიონებთან შედარებით დიალოგი უფრო ინტენსიურად ღმანისის, თეთრიწყაროსა და გარდაბნის რაიონებში ხდება. თუმცა ეთნიკურ ურთიერთობებში არსებული პრობლემების მოგვარებაში ნაკლებად ერევიან თითქმის ყველა რაიონის თვითმართველობის წარმომადგენლები.

გრაფიკი №S4: თვითმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით ჩატარებული შეხვედრების საშუალო მაჩვენებლები (1 - არასდროს; 2 - ზოგჯერ; 3 - ხშირად)




კვლევის პროცესში ვცადეთ გაგვეჩვენა ქვემო ქართლის მოსახლეობას მიუღია თუ არა მონაწილეობა თავისი საკრებულოს ბიუჯეტის წინასწარ განხილვის პროცესში. როგორც კვლევის მონაცემებიდან ჩანს, მოსახლეობის თითქმის მეხუთედმა (18.6%) არ იცის მსგავსი შესაძლებლობის შესახებ. მოსახლეობის 76.8%-ს არ მიუღია მონაწილეობა ბიუჯეტის განხილვის პროცესში. მსგავსი აქტივობა განუხორციელებია გამოკითხული მოქალაქეების მხოლოდ 1.3%-ს. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის განხილვის მონაწილეთა რაოდენობა მცირეა, მაინც საინტერესოა ვნახოთ რომელი სოციალური ჯგუფი იჩენს სამოქალაქო აქტივობას. ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება არ დაფიქსირებულა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბიუჯეტის განხილვაში, ძირითადად, მამაკაცები იღებენ მონაწილეობას. ეთნიკური ნიშნით, ქართველი მოსახლეობა ერთიორად მეტ აქტივობას ამჟღავნებს, ვიდრე სომხური და აზერბაიჯანული წარმომობისა. საინტერესოა რაიონული ჯგუფი. ბიუჯეტის თორმირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა მცირედით მაღალია დმანისისა და თეთრიწყაროს რაიონებში. რუსთავში, გარდაბანსა და წალკაში აქტივობის საშუალო მაჩვენებლები დაფიქსირდა. მარნეულის რაიონში მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, ხოლო ბოლნისში გამოვლინდა უმნიშვნელო რაოდენობა.

ქვემო ქართლის რეგიონში სხვადასხვა ინსტიტუციები თუ ორგანიზაციები ფუნქციონირებენ, რომლებსაც განსხვავებული გავლენა აქვთ რეგიონში მიმდინარე პროცესებზე და განსხვავებულად ფასდებიან ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. კვლევის პროცესში შევეცადეთ გაგვეჩვენა თუ როგორ აფასებს ქვემო ქართლის მოსახლეობა სხვადასხვა სტრუქტურების საქმიანობას, როგორია მათი ნდობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ და როგორი დამოკიდებულება აქვს პოლიტიკური პარტიების მიმართ. განვიხილოთ თითოეული საკითხი ცალკე-ცალკე.

ქვემო ქართლის მოსახლეობას წარუდგინეთ 9 სხვადასხვა სტრუქტურა და მათ უნდა შეეფასებინათ ამ სტრუქტურების საქმიანობა. მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა თავი შეიკავა ამა თუ იმ სტრუქტურის საქმიანობის შეფასებისაგან. გრაფიკი №55-ზე ასახულია შეფასებისგან თავის შეკავების პროცენტული მაჩვენებელი. როგორც ვხედავთ, მოსახლეობას ყველაზე მეტად მართლმადიდებლური ეკლესიის საქმიანობის შეფასება უადვილდება, შემდგომ მასმედიისა და ადგილობრივი ხელისუფლებისა. ყველაზე მწირი ინფორმაცია ქვემო ქართლის მოსახლეობას, როგორც ჩანს, არასამთავრობო სექტორზე და, კერძოდ, საერთაშორისო ბიზნესზე აქვს, რაც, სავარაუდოდ, მათ ხელს უშლის შეფასებაში.

**გრაფიკი №55: სხვადასხვა სტრუქტურის შეფასებისაგან თავის შეკავების პროცენტული მაჩვენებლები**



კვლევის შედეგებიდან გამოვლინდა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში გამოკითხული მოსახლეობა ჩამოთვლილი სტრუქტურების ფუნქციონირებას, ძირითადად, დადებითად ან ნეიტრალურად აფასებს. სტრუქტურები, რომელთა მიმართაც გამოკითხულთა საკმაოდ ნეგატიური პოზიცია გამოვლინდა, არის გრიგორიანული ეკლესია (გამოკითხულთა 10.8% აფასებს მათს საქმიანობას ნეგატიურად) და მუსლიმანური მეჩეთი (გამოკითხულთა 7.6%

ათასებს მათს საქმიანობას უარყოფითად). კვლევის შედეგად დასტურდება, რომ ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრებ სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებს სხვა რელიგიური ინსტიტუტის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ. ცხრილი №S3-ზე ასახულია ქვემო ქართლის რეგიონის სამი დომინანტური რელიგიური აღმსარებლობის მიმდევრების მიერ გაკეთებული ნეგატიური შეფასებების ჯამი ამ სამი რელიგიური ინსტიტუტის მიმართ. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, მართლმადიდებლები ყველაზე ნეგატიურად არიან განწყობილნი გრიგორიანული ეკლესიისა თუ მუსლიმური მეჩეთის მიმართ. გრიგორიანული ეკლესიის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, ერთი მხრივ, გამომწვეულია იმით, რომ საველე სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი დაემთხვა გრიგორიანული ეკლესიისათვის ტაძრების გადაცემის საკითხის გარშემო მიმდინარე განხილვებს. შესაბამისად, მართლმადიდებლური მოსახლეობის მიერ გრიგორიანული ეკლესიის ნეგატიური შეფასება სწორედ იმდროინდელი ვნებათაღელვის გამოძახილია. თუმცა, გარდა სომხური ეკლესიების გარშემო მიმდინარე განხილვებისა, მოსახლეობა „სხვა რელიგიურ ინსტიტუტებს“, ზოგადად, ნეგატიურად აფასებს. მაგალითად, ქვემო ქართლში მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობა ასევე ნეგატიურად (თუმცა მართლმადიდებლებზე ნაკლები სიმძაფრით) აფასებენ გრიგორიანულ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს. შეფასებების თვალსაზრისით შედარებით ნაკლებ რელიგიურ ცენტრიზმს იჩენენ გრიგორიანელები, თუმცა სხვა რელიგიური დომინაციების ნეგატიური შეფასების ტენდენცია ამ შემთხვევაშიც ფიქსირდება.

**ცხრილი №S3: მართლმადიდებლური, მუსლიმური და გრიგორიანული ინსტიტუტების ნეგატიური შეფასებები ამავე რელიგიების მიმდევართა მიერ**


	მართლმადიდებლური ეკლესია	მუსლიმური მეჩეთი	გრიგორიანული ეკლესია
მართლმადიდებელი	0.6%	33.1%	33.6%
მუსლიმანი	21.5%	2.0%	27.6%
გრიგორიანელი	6.3%	8.3%	0.9%

გრაფიკი №S6-ზე ნაჩვენებია ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობის მიმართ სხვადასხვა ინსტიტუტის საქმიანობის შეფასების საშუალო მაჩვენებლები (შეფასება განხორციელდა 5 ბალიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „ძალზე უარყოფითად“, ხოლო 5 – „ძალზე დადებითად“; შესაბამისად, რაც უფრო ნაკლებია შეფასების საშუალო მაჩვენებელი, მით უფრო უარყოფითად არის ამა თუ იმ სტრუქტურის საქმიანობა შეფასებული). მონაცემები აჩვენებს, რომ ყველაზე დადებითად ორი რელიგიური ინსტიტუტის (კერძოდ კი, მართლმადიდებლური ეკლესიისა და მუსლიმური მეჩეთის) საქმიანობაა შეფასებული. ეს იოლად აიხსნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მუსლიმური და მართლმადიდებლური მოსახლეობა ორი მთავარი რელიგიური ჯგუფია, რომელიც ქვემო ქართლის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს (რასაც ვერ ვიტყვით გრიგორიანული ეკლესიის მრევლზე. ამიტომაც, ეს ეკლესია, მართალია, პოზიტიური შეფასების ველში ხვდება, მაგრამ შედარებით დაბალი მაჩვენებლით). ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოები და გუბერნატორის ოფისი თანაბრად შეაფასეს ქვემო ქართლში მცხოვრებმა რესპონდენტებმა და მათი ეს შეფასება დადებითსაკენ იხრება. ქვემო ქართლის მოსახლეობა რეგიონის მმართველობითი



ორგანოების საქმიანობას უფრო დადებითად აფასებს, ვიდრე მასშედის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნესის სექტორების.

**გრაფიკი №56: ქვემო ქართლში მოქმედი სხვადასხვა ინსტიტუციების საქმიანობების შეფასება (საშუალო მაჩვენებლები: 5 - დადებითი, 1 - უარყოფითი)**




ცალკეული ინსტიტუციების საქმიანობის შეფასების გარდა, კვლევის პროცესში გავარკვეით მოსახლეობის ნდობა ქვემო ქართლში მოქმედი სხვადასხვა ადგილობრივი და მმართველობითი ორგანოებისა თუ მათი წარმომადგენლების მიმართ (ნდობა ფასდებოდა კვლავ 5 ბალიან შკალაზე, რომელზეც 1 ნიშნავდა სრულ უნდობლობას, ხოლო 5 - სრულ ნდობას).

რესპონდენტებმა შეაფასეს ქვემო ქართლის გუბერნატორის მიმართ ნდობა. პოლიტიკის მიმართ ინდიფერენტულობა ამ შემთხვევაშიც გავლენას ახდენს რესპონდენტების ზოგად შეფასებებზე. კერძოდ, ქვემო ქართლის მოსახლეობის 29.8% ამბობს, რომ ისინი არ იცნობენ თავისი რეგიონის გუბერნატორს. მაღალია ასევე იმ რესპონდენტთა წილი, რომლებსაც უჭირთ ქვემო ქართლის გუბერნატორის მიმართ ნდობის შეფასება (21.5%). ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობის 23.3% ნდობას უცხადებს რეგიონის გუბერნატორს. ამ თვალსაზრისით, ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს რესპონდენტთა 19.4%. ქვემო ქართლის გუბერნატორს არ ენდობა ან უფრო არ ენდობა რეგიონის მცხოვრებთა 5.9%. საინტერესოა, რომ რეგიონის გუბერნატორის ნდობის ხარისხის საშუალო მაჩვენებელი ამავე 5 ბალიან


სკალაზე შეადგენს 3.6-ს, ანუ შეფასება ხვდება ნდობის პოზიტიურ ველში. გრაფიკზე №S7 წარმოდგენილია ქვემო ქართლის გუბერნატორის ნდობის პროცენტული და საშუალო მაჩვენებლები რაიონულ ტერიტორიაში (რაც უფრო მაღალია საშუალო მაჩვენებელი, მით უფრო პოზიტიურ ნდობის ხარისხს ავლენს ქვემო ქართლის მოსახლეობა).

გრაფიკი №S7: ქვემო ქართლის მოსახლეობის ნდობის შეფასება ქვემო ქართლის გუბერნატორის მიმართ (პროცენტული მაჩვენებლები და საშუალო მაჩვენებელი რაიონულ ტერიტორიაში)




ქალაქ რუსთავის მერს არ იცნობს ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოსახლეობის 12.8%, ხოლო ამ თეგურის მიმართ თავისი ნდობის შეფასება უჭირს 19.6%-ს. მერის მიმართ ნეიტრალურ პოზიციას გამოხატავს რუსთავის მოსახლეობის 30.9%. ნეგატიური შეფასების წილი მცირეა (10.9%) მაშინ, როცა მას ენდობა მოსახლეობის მეოთხედი (25.9%). ნდობის ხარისხის საშუალო მაჩვენებელი 5 ბალიან სკალაზე არის 3.4, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შეფასება პოზიტიურ ველში ხვდება (იხ. მონაცემები გრაფიკზე №S8).

გრაფიკი №88: რუსთავის მოსახლეობის ნდობის შეფასება რუსთავის მერის მიმართ (პროცენტული მაჩვენებლები და საშუალო მაჩვენებელი)



აღნიშნული კვლევის პროცესში გაიზომა, აგრეთვე, ქვემო ქართლის რაიონების გამგებლების მიმართ მოსახლეობის ნდობის ხარისხი (იხ. გრაფიკი №89). როგორც შედეგებიდან ჩანს, მარნეულის რაიონში მცხოვრებთა უმრავლესობა ან არ იცნობს თავის გამგებელს, ან არ შეუძლია შეაფასოს მის მიმართ ნდობის ხარისხი. გარდაბნისა და თეთრიწყაროს მცხოვრებნი ასევე ხშირად უთითებენ, რომ არ იცნობენ თავიანთი რაიონის გამგებელს. თუმცა, ის რესპონდენტები, რომლებიც ამ პირების შეფასებას ახდენენ, ძირითადად, მის მიმართ ნდობით არიან აღჭურვილნი. მონაცემები აჩვენებს, რომ წალკის, დმანისისა და ბოლნისის რაიონების მცხოვრებნი თავიანთი გამგებლის მიმართ ნდობის ყველაზე მაღალ ხარისხს ავლენენ.

გრაფიკი №S10: რამდენად ენდობით თქვენი რაიონის გამგებელს (პროცენტული და საშუალო მაჩვენებლები რაიონულ ჯრილში) (რაც უფრო მაღალია საშუალო მაჩვენებელი, მით უფრო პოზიტიური ნდობის ხარისხს ავლენს ქვემო ქართლის მოსახლეობა)




ქალაქ რუსთავში მცხოვრებ რესპონდენტებს, დამატებით უნდა შეეფასებინათ ნდობის ხარისხი მერიის რწმუნებულების (მერიის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელების) მიმართ. როგორც ცხრილი №S4-დან ჩანს, რუსთავის მცხოვრებთა დიდი ნაწილი ვერ აფასებს მათი ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელებს. ამის მიზეზი ან არის ის, რომ მას არ იცნობენ, ან ამბობენ, რომ მათს დასახლებაში მსგავსი სტატუსის მქონე პირი არ არსებობს, ან უბრალოდ უჭირთ ნდობის ხარისხის შეფასება. შეფასების გამომხატველთა შორის სჭარბობენ ნეიტრალურად განწყობილები („არც ვენდობი და არც არ ვენდობი“). რუსთავის მერიის რწმუნებულთა მიმართ ნდობის პოზიტიური ხარისხი მცირედით აჭარბებს ნდობის ნეგატიურ მაჩვენებლებს.

**ცხრილი №S4: ქალაქ რუსთავის მოსახლეობის ნდობის ხარისხი მერიის რწმუნებულების (ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელების) მიმართ (პროცენტული მაჩვენებლები)**

სრულიად არ ვენდობი	უფრო არ ვენდობი, ვიდრე ვენდობი	არც ვენდობი და არც არ ვენდობი	უფრო ვენდობი, ვიდრე არ ვენდობი	სრულიად ვენდობი	არ ვიცნობ	არ ვცყავს	მიჭირს პასუხის გაცემა
7.8%	1.3%	27.0%	2.4%	7.8%	14.8%	10.9%	28.0%

ამავე წესით, ქვემო ქართლის რაიონების მოსახლეობას უნდა შეეფასებინა ნდობის ხარისხი გამგეობის რწმუნებულების (გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელების) მიმართ. გრაფიკი №S11 ასახავს ქვემო ქართლის ცალკეული რაიონის მცხოვრებთა დამოკიდებულებას მათი გამგეობის რწმუნებულის მიმართ. კვლევის შედეგებით ჩანს, რომ ნალკის მოსახლეობის უმრავლესობა ენდობა გამგეობის რწმუნებულს (64% სრულიად ვენდობი, 12.9% უფრო ვენდობი). ნდობის მაღალი ხარისხი გამოხატულია ბოლნისის, დმანისისა და თეთრიწყაროს გამგეობების რწმუნებულთა მიმართ. მარნეულის მოსახლეობის უმრავლესობა ან არ იცნობს გამგეობის რწმუნებულს, ან უჭირს შეფასება. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობის მიერ გამგებლისა და გამგებლის რწმუნებულის შეფასებები ერთნაირ ტენდენციებს ავლენს, რაც მოსალოდნელიც იყო.

**გრაფიკი №S11: რამდენად ენდობით თქვენს გამგეობის რწმუნებულს (პროცენტული მაჩვენებლები რაიონულ ჭრილში)**





ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის სტრუქტურების გარდა, ქვემო ქართლის მოსახლეობას უნდა შეეფასებინა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები. სულ შესაფასებლად ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობას 14 პარტია წარუდგინეთ. ცხრილ №55-ში წარმოდგენილია ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობის დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიების მიმართ.


ცხრილი №55: დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიების მიმართ (პროცენტული მაჩვენებლები)

	ძალიან უარყოფითი	ძირითადად უარყოფითი	ნეიტრალური	ძირითადად დადებითი	ძალიან დადებითი	არ მსმენია	უარი პასუხზე	მჭირს პასუხის გაცემა
ახალი მემარჯვენეები (დ. გამყრელიძე)	17.0	6.5	23.9	1.9	0.5	18.0	10.3	22.0
დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო (ნ. ბურჯანაძე)	25.4	7.9	18.5	0.4	0.2	16.5	10.0	21.1
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (მ. სააკაშვილი)	6.3	2.6	19.1	17.5	29.6	1.2	8.2	15.6
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ბ. ქარდავა)	16.7	6.2	21.2	0.7	0.2	21.9	10.3	22.7
ეროვნული ფორუმი (კ. შარტავა, გ. სანიკიძე)	16.8	6.6	22.0	2.2	0.4	19.6	10.3	22.0
ეროვნული საბჭო (ზ. ძიძიგური, ვ. კუკავა)	18.3	7.5	21.6	1.4	0.2	18.9	10.3	21.8
ლეიბორისტული პარტია (შ. ნათელაშვილი)	16.8	7.0	22.2	3.6	1.2	17.8	10.3	21.2
რესპუბლიკური პარტია (დავით უსუფაშვილი)	17.6	7.5	21.4	1.7	0.5	19.0	10.4	22.0
სამართლიანი საქართველოსთვის (ზ. ნოღაიძე)	22.6	7.6	18.9	0.4	0.2	18.4	10.4	21.5
საქართველოს დემოკრატიული პარტია (გ. თორთლაძე)	19.1	7.6	20.9	0.9	0.3	18.8	10.5	21.8
ქართულ დასი (ჯ. ბაღათურია)	18.0	7.8	21.3	1.5	0.5	18.6	10.4	22.0
ქართული პარტია (ი. ოქრუაშვილი, ს. სუბარი, ე. კინმარიშვილი)	22.0	8.0	19.4	0.6	0.3	17.9	10.4	21.4
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (გ. თარგამაძე)	13.7	5.3	22.0	7.6	2.7	17.7	10.0	21.0
ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები (ი. ალასანი)	16.5	6.8	22.6	3.1	0.9	18.1	10.3	21.6



როგორც ცხრილიდან ჩანს, თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიის შესახებ არ სმენია გამოკითხულთა, დაახლოებით, მეხუთედს. თითქმის ყველა პარტიის შეფასებაზე უარს ამბობს რესპონდენტთა მეათედი, ხოლო მეხუთედზე მეტს უჭირს გამოხატოს თავისი დამოკიდებულება. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ყველაზე ცნობადია და ყველაზე ხშირად ფასდება რესპონდენტების მიერ. გრაფიკი №S12 გამოხატავს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მიმართ ქვემო ქართლის მოსახლეობის დამოკიდებულების საშუალო მაჩვენებლებს (მაჩვენებლები დათვლილია იმავე 5 ბალიან სკალაზე: 1 ნიშნავს „ძალიან უარყოფითს“, ხოლო 5 – „ძალიან დადებითს“). ქვემო ქართლის მოსახლეობა დადებით შეფასებას გამოკვეთილად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ანიჭებს. სხვა 13 პარტიას შორის ეს არის ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც დადებითი შეფასების ველში ხვდება. განსაკუთრებით ნეგატიურად ქვემო ქართლის მოსახლეობა „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიან საქართველოს“, „სამართლიანი საქართველოსთვის“ და „ქართულ პარტიას“ აფასებს. რაიონულ ჯრილში პოლიტიკური პარტიების შეფასებები მნიშვნელოვნად არ იცვლება. არაარსებითი განსხვავებებია ეთნიკური ნიშნით. აზერბაიჯანული და სომხური წარმომობის მოსახლეობა შედარებით პოზიტიურად აფასებს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, ხოლო ქართულ მოსახლეობაში ოდნავ სჭარბობს „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ოფისის პოზიტიური შეფასება.

**გრაფიკი №S12: პოლიტიკური პარტიების მიმართ ქვემო ქართლის მოსახლეობის დამოკიდებულების საშუალო მაჩვენებლები (შეფასება 1 – ძალიან უარყოფითი, შეფასება 5 – ძალიან დადებითი; ნეიტრალური წერტილია 3; მონაცემები 3-ზე ქვემოთ შეესაბამება უარყოფითი შეფასების ველს, ხოლო 3-ზე ზემოთ - დადებითი შეფასების ველს)**



## Z. მასმედია

### რეზიუმე

2009 წელს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიხედვით, მნიშვნელოვანია სპეციალური ღონისძიებების გატარება ეროვნული უმცირესობების ჯეროვანი ინფორმირების უზრუნველსაყოფად. ამ მიმართულებით შემდეგი ამოცანები იქნა დასახული: ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ეროვნული მათემატიკის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ეროვნული უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამების ხელში-საწვდომობის უზრუნველყოფა; ეროვნული უმცირესობების ენებზე ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა და ა.შ.

მასმედიის როლი ძალზე მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ისეთი რეგიონისთვის, როგორცაა ქვემო ქართლი. აღნიშნული რეგიონისთვის დამახასიათებელია ეროვნული საინფორმაციო საშუალებების შეზღუდული ხელმისაწვდომობა, რაც ქართული ენის ცოდნის დაბალი დონითაა განპირობებული (აღნიშნული კვლევით გამოვლინდა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ორ მესამედზე მეტმა ქართული ენა არ იცის). მეორე მხრივ, აღნიშნული გარემოება ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების ქართული საზოგადოებისგან გაუცხოებას. სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (CIDA) შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასების ანგარიშის მიხედვით (2010-2011 წლის აგვისტო)<sup>42</sup>, მოსახლეობის უმეტესობა თურქულ და რუსულ არხებს ანიჭებენ უპირატესობას. ეთნიკურ უმცირესობათა ძირითადი ნაწილი, ენობრივი ბარიერის გამო, არ უყურებს ნაციონალური არხების არასაინფორმაციო პროგრამებს და ამ ტიპის გადაცემებზე მოთხოვნას სხვა ქვეყნების ტელეარხების საშუალებით ავსებს.

ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის საზოგადოებაში ჩართულობის მნიშვნელოვან ხელშეწყობს ფაქტორს სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების, აქტივობების (რომელიც აგრეთვე მოიცავს სხვადასხვა ბენეფიტებს ეროვნული უმცირესობებისათვის) შესახებ ინფორმირება წარმოადგენს. კვლევის მონაცემებიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიღების ყველაზე პოპულარული წყარო – ტელევიზიაა. თუმცა, ეთნიკური უმცირესობები უპირატესობას ანიჭებენ მეზობელი ქვეყნების ტელეარხების საშუალებით მშობლიურ ენაზე ინფორმაციის მიღებას – მაგალითად: აზერბაიჯანელებით მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში დასახელდა AZTV, რომელიც, კვლევის მონაცემების მიხედვით, სოფლად უფრო პოპულარულია ქალაქთან შედარებით. გამოიკვეთა ადგილობრივი ტელევიზიის (მარნეული TV) ფაქტორი. რეგიონში არსებული ეკონომიკური პრობლემების გამო ინტერნეტი, რუსთავის გარდა, არ არის ხელმისაწვდომი სხვადასხვა რაიონების მოსახლეობისთვის. ყურებადობის მიხედვით ტელევიზიებიდან ლიდერობს „რუსთავი 2“ და „იმედი“, რომლებსაც არაქართული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებშიც შედარებით მაღალი ხვედრითი წილი აქვს. შესაბამისად, მაღალია ამ ტელეარხების მიმართ

<sup>1</sup> იხ. თავი „მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა“

ნდობის კოეფიციენტი. რაც შეეხება პრესას და რადიოს, როგორც მათი ინფორმაციის წყაროდ გამოყენების, ასევე მათ მიმართ ნდობის ხარისხი ძალზე დაბალია, რაც, სავარაუდოდ, კორელაციაშია დაბალ ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და მოსახლეობის ინტერესთან. პრესიდან პოპულარულია ე.წ. ყვითელი პრესის საშუალებები – „კვირის პალიტრა“, „თბილისელები“, რომლებშიც ნაკლები დომინანტია წარმოდგენილი პოლიტიკური ინფორმაცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლის იმ რაიონებში, სადაც არაქართული მოსახლეობა უმრავლესობას წარმოადგენს, პრესას და რადიოს თითქმის არ იყენებენ ინფორმაციის მისაღებად (აღნიშნული ფაქტი, განსაკუთრებით, სოფლად შეინიშნება).

### საინფორმაციო საშუალებები

რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ ინფორმაციის მიღების სამი ძირითადი წყარო (იხ. ცხრილი №Z1). წყაროებს შორის პირველ ადგილზე რესპონდენტთა უმრავლესობა (44.4%) ცალსახად ასახელებს ტელევიზიას. მეორე ადგილზე გამოიკვეთა მეზობლები/მეგობრები (21%), ხოლო მესამეზე – ოჯახის წევრები (13.3%).

რაიონულ ჭრილში გამოვლინდა შემდეგი განსხვავებები: რუსთავში, სხვა რაიონებისგან განსხვავებით, დასახელდა ინტერნეტი. პირველად წყაროებს შორის მისი მაჩვენებელია 9.8%. მეორე რიგის წყაროებში მისი მაჩვენებელი გაორმაგებულია და 18.6%-ს აღწევს. მეორე რიგის წყაროებში, ზოგადი მონაცემებისგან განსხვავებით, ასევე დასახელდა გაზეთები. მარნეულში პირველ წყაროდ დამატებით დასახელდა მეზობლები/მეგობრები. დმანისში და წალკაში მესამე წყაროდ (ძირითადი მონაცემებისგან განსხვავებით) დამატებით დასახელდა ტელევიზია.

ცხრილი №Z1: ქვემო ქართლის რეგიონში ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროები (პროცენტული მაჩვენებლები რაიონულ ჭრილში)

		რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა	გარდაბანი	საერთო
წყარო	თანამშრომლები	4.9	1.5	2.9	2.3	1.8	5.4	2.5	3.2
	ოჯახის წევრები	4.4	18	21.4	17.9	11.3	8	17.1	13.3
	მეზობლები, მეგობრები	12.2	25.5	26.3	27	18.2	26.3	24.6	21
	ინტერნეტი	13.8	0.7	1.1	1.5	2.9	2.6	2.9	5.5
	გაზეთები	17.4	1.5	4.5	7.5	14.6	5.2	7.7	9.4
	რადიო	4.6	0.4	2.7	6.5	6.9	1.7	1.8	3.2
	ტელევიზია	42.8	52.5	41.1	37.3	44.3	50.8	43.5	44.4

რაც შეეხება ინფორმაციის მიღების ენას: რესპონდენტებმა აღნიშნეს, ძირითადად და დამატებით რა ენაზე უსმენენ ტელევიზიას, რადიოს და კითხულობენ გაზეთებს. ამ შემთხვევაშიც დადასტურდა, რომ ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო ტელევიზიაა. მკირეა რადიომსმენელებისა და პრესის მკითხველთა რიცხვი (ინფორმაციის მიღების ძირითადი და მეორე ენის შემთხვევებში იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომლებიც არ უსმენენ რადიოს და არ ეცნობიან პრესას, ვარიანებს დაახლოებით 61–69%-ის ფარგლებში).

ინფორმაციის გაცნობის ძირითადი ენა, ქვემო ქართლის დომინანტი ენებია (იხ. ცხრილი №22): ქართული (ძირითადი ენა – ტელევიზია 56%, რადიო 14.3%, პრესა 25.3%) და აზერბაიჯანული (ძირითადი ენა – ტელევიზია 27%). მეორე ენის შემთხვევაში დომინირებს რუსული ენა (ტელევიზია – 14.1%, რადიო 5.5%, პრესა 5.3%). მხოლოდ ტელევიზიის შემთხვევაში შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს ქართულ ენასაც, როგორც მეორე ენას (10%). რაიონულ ტერიტორიაში გამოვლინდა ლოგიკური განსხვავებები: ეთნიკური აზერბაიჯანელებით ან სომხებით მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში უპირატესობა ენიჭება ინფორმაციის მიღებას მათს მშობლიურ ენაზე. ეროვნულ ტერიტორიაში მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა, გარდა იმ ფაქტისა, რომ ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს ურჩევნია ინფორმაცია თავის მშობლიურ ენაზე მიიღოს.

ცხრილი №22: ინფორმაციის მიღების ძირითადი და მეორე ენა (პროცენტული მაჩვენებლები)

	ძირითადი ენა			მეორე ენა		
	ტელევიზია	რადიო	პრესა	ტელევიზია	რადიო	პრესა
ქართულად	56.5	14.3	25.3	10.0	0.9	0.9
აზერბაიჯანულად	27.9	1.5	1.4	1.7	0.2	0.2
სომხურად	3.0	0.2	0.3	0.5		
თურქულად	2.4	0.0	0.1	5.3	0.4	0.3
რუსულად	5.3	0.8	0.5	24.1	5.5	5.3
ინგლისურად	0.1			2.5	0.5	0.8
გერმანულად	0.1	0.1	0.2	0.4	0.2	0.5
სხვა ენაზე				0.1	0.1	0.1
არ ვუყურებ/ არ ვუსმენ/ არ ვკითხულობ	4.2	69.8	61.0	44.0	66.2	67.8
უარი პასუხზე	0.1	0.3	0.3	0.5	0.7	0.7
მიჭირს პასუხის გაცემა	0.5	13.0	10.7	10.9	25.3	23.4

*კონკრეტულად რომელი მედია საშუალებებით სარგებლობს ქვემო ქართლის მოსახლეობა?*

**ტელევიზია.** ზოგადი შეფასებით, ტელეარხების რეიტინგი ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი №23): ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს ტელეკომპანიებს „იმედი“ და „რუსთავი 2“. ორჯერ ნაკლები მაყურებელი ჰყავს „პირველ არხს“. საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს „სხვა“ ტელეარხებს (26%). ასევე შედარებით გამოიკვეთა აზერბაიჯანული არხი „AzTV“ (10.8%). რაიონების მიხედვით გამოვლინდა შემდეგი განსხვავებები: რუსთავში ტელეკომპანია „იმედთან“ და „რუსთავი 2“-თან ერთად, ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს „პირველ არხს“, „კავკასიასა“ და „სხვა“ არხებს. მარნეულში აღნიშნულ არხებს („კავკასიის“ გარდა) ემატება „მარნეული TV“ და

„AZTV“, ბოლნისში კი - „AZTV“. წალკაში „იმედი“, „რუსთავი 2“-ის და „პირველი არხის“ გვერდით გამოიკვეთა „აჭარის ტელევიზია“. განსხვავება დაფიქსირდა ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლებს შორის: ქალაქში ზემოთ აღნიშნულ ტელეარხებთან ერთად შედარებით მეტი მაყურებელი ჰყავს „კავკასიას“, ხოლო სოფელში „AZTV“-ს.

ცხრილი №Z3: რომელ ტელევიზიას უყურებთ? (პროცენტული მაჩვენებლები რაიონების, ქალაქი/სოფლისა და რეგიონისათვის)

	რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	წალკა	გარდაბანი	ქალაქი	სოფელი	საერთო
აჭარის ტელევიზია	5.4	0.9	4.3	3.0	14.2	38.8	3.2	4.9	7.0	6.2
იმედი	74.3	21.9	69.6	43.7	81.8	64.8	50.8	70.0	47.8	56.5
კავკასია	21.1	0.2	1.1	0.2	4.7	0.5	6.2	16.6	1.8	7.6
პირველი არხი	31.1	6.7	33.6	21.3	43.5	46.6	25.6	31.4	23.2	26.4
მეორე არხი	6.3	0.0	1.1	1.4	3.7	0.5	2.0	5.2	1.0	2.7
მაესტრო	7.4	0.4	4.1	3.8	12.5	23.6	3.9	6.6	5.3	5.8
რეალ TV	2.2	0.4	0.9	0.5	0.2	0.0	1.6	1.9	0.7	1.2
რუსთავი 2	80.4	20.8	66.9	38.4	82.8	60.5	58.6	74.8	47.9	58.4
მე-5 არხი	0.7	0.0	23.3	0.0	1.3	0.0	0.0	1.3	5.3	3.7
ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია IV არხი	8.5	0.0	0.2	0.0	0.5	0.0	0.2	6.3	0.1	2.5
დუშეთი	0.2	0.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.3	0.2	0.2
მარნეული TV	0.2	24.4	0.2	8.5	2.0	0.0	0.0	0.4	9.5	6.0
სამაუნწყებლო კომპანია „ბოლნისი“	0.0	0.0	2.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.4	0.3	0.4
Az TV	0.7	21.9	22.3	2.4	0.2	0.0	14.1	2.2	16.4	10.8
ATV	0.9	0.2	4.8	3.4	0.0	0.0	5.1	0.7	2.9	2.1
სხვა არხი	20.0	29.5	35.8	38.7	14.0	37.0	19.8	22.7	28.1	26.0
არ ვუყურებ	4.8	18.1	2.5	9.2	7.2	9.3	4.1	4.8	9.9	7.9

ჟურნალ გაზეთები. პრესას არ კითხულობს რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (74%) (იხ. ცხრილი №Z4). სხვა ჟურნალ-გაზეთებთან შედარებით, ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს „კვირის პალიტრას“ (12.4%), „სარკეს“(8.1%) და „თბილისელებს“ (7.1%). რაიონების მიხედვით დაფიქსირდა შემდეგი განსხვავებები: რუსთავში გამოკვეთილად ლიდერობს „კვირის პალიტრა“ (25.9%), „სარკესთან“ და „თბილისელებთან“ ერთად შედარებით მეტი ხვედრითი წილი აქვს „ასავალ-დასავალს“ (10.9%). მარნეულში, წალკასა და ბოლნისში მასობრივად არ კითხულობენ პრესას (95.4% – მარნეული, წალკა – 86.8%, 84.7% – ბოლნისი). თეთრიწყაროში, გარდაბანსა და დმანისში სხვა ჟურნალ –გაზეთებთან შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს „კვირის პალიტრას“, „სარკეს“ და „თბილისელებს“. ქალაქსა და სოფელს შორის გამოვლინდა შემდეგი განსხვავებები: იმ რესპონდენტებს, რომლებიც პრესას არ ეცნობიან, სოფელში ძალზე მაღალი ხვედრითი წილი აქვთ (სოფელი – 85.7%, ქალაქი – 55.7%). შესაბამისად, ქალაქში სამ ყველაზე რეიტინგულ ჟურნალ-გაზეთს უფრო მეტი

მკითხველი ჰყავს, ვიდრე სოფელში. ამას გარდა, ქალაქში გამოკვეთილად ლიდერობს გაზეთი „კვირის პალიტრა“ (22.7%)

ცხრილი №Z4: რომელ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობთ? (პროცენტული მაჩვენებლები რაიონების, ქალაქი/სოფლისა და რეგიონისათვის)

	რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	ღმანისი	თეთრიწყარო	წალკა	გარდაბანი	ქალაქი	სოფელი	საერთო
აღია	2.6	0.0	3.0	0.8	5.8	0.2	1.3	2.9	1.2	<b>1.9</b>
ახალი ვერსია	0.2	0.2	1.4	0.7	0.5	0.3	0.2	0.4	0.5	<b>0.4</b>
ახალი თაობა	2.4	0.0	2.1	0.7	3.0	0.0	1.2	2.0	1.1	<b>1.4</b>
ასავალ-დასავალი	10.9	0.4	2.1	2.9	9.7	0.2	5.2	8.9	2.8	<b>5.2</b>
კვირის პალიტრა	25.9	1.7	6.2	13.8	14.0	2.7	10.7	22.7	5.7	<b>12.4</b>
24 საათი	2.2	0.0	1.6	0.5	1.5	0.7	1.1	2.1	0.6	<b>1.2</b>
პრაიმ-თაიმი	2.0	0.0	0.7	0.2	0.2	0.0	0.5	1.5	0.3	<b>0.8</b>
რეზონანსი	2.2	0.2	1.4	0.3	0.5	0.3	0.7	2.2	0.3	<b>1.1</b>
Georgian Times	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.2	0.0	0.1	<b>0.0</b>
სარკე	13.0	0.9	5.8	13.0	13.5	2.6	9.3	12.5	5.4	<b>8.1</b>
თბილისელები	12.0	0.7	4.4	9.3	11.0	2.9	8.8	11.4	4.4	<b>7.1</b>
ლიბერალი	0.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.2	0.5	0.1	<b>0.2</b>
„წალკის უწყებანი“	0.0	0.0	0.0	0.0	0.2	3.0	0.0	0.1	0.2	<b>0.2</b>
რუსთავის ამბები	0.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.2	0.2	0.1	<b>0.1</b>
გაზეთი „რუსთავი“	1.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.2	0.8	0.1	<b>0.3</b>
ჟურნალი „რუსთაველები“	0.0	0.0	0.0	0.0	0.2	0.3	0.0	0.0	0.1	<b>0.0</b>
სხვა გაზეთი/ჟურნალი	12.8	2.4	1.4	3.4	3.2	7.3	8.5	10.7	4.0	<b>6.6</b>
არ ვკითხულობ	52.0	95.4	84.7	74.2	66.3	86.8	73.0	55.7	85.7	<b>74.0</b>

რადიო. გამოკითხულთა უმრავლესობა (88.6%) არ არის რადიომსმენელი (იხ. ცხრილი №Z5). რადიოს მსმენელთა შორის ყველაზე მეტად გამოიკვეთა „რადიო იმედი“ და „არ დაიდარდო“. რაიონებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა, გარდა იმისა, რომ მარნეულში, ბოლნისსა და წალკაში ძალზე მაღალია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომლებიც არ უსმენენ რადიოს (მაჩვენებლები ვარირებს 91–98%-ის ფარგლებში), ხოლო რუსთავში შედარებით უფრო უსმენენ „რადიო თავისუფლებას“, „ფორტუნასა“ და „საპატ რიარქოს რადიოს“ (მაჩვენებლები ვარირებს 2–4%-ს ფარგლებში).



ცხრილი №Z5: რომელ რადიოს უსმენთ? (პროცენტული მაჩვენებლები რაიონების, ქალაქი/სოფლისა და რეგიონისათვის)

რადიო	მწვანე ტალღა	პალიტრა	რადიო თავისუფლება	რადიო იმედი	რადიო   არხი	ფორტუნა	ფორტუნა +	საპატრიარქოს რადიო	საქართველოს სხვა	რადიო „ნიჩობი“	ნაციონალი	არ დაიდარდო	სხვა	არ ვუსმენ
საერთო	0.7	0.2	0.9	4.2	0.6	1.6	1.8	0.9	0.4	0.0	0.1	2.7	0.9	88.6

საინფორმაციო საშუალებების მიმართ ნდობა და მასმედიის საქმიანობის შეფასება

მასმედიის მიმართ ნდობა მნიშვნელოვანი საზომია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია გარკვეული ინფორმაციის მიღება: დემოკრატიის ხარისხის, მასმედიის ეფექტური ფუნქციონირების, მისი რეიტინგის, საზოგადოების განწყობებისა და მოლოდინების და ა.შ. შესახებ. ზოგადად, ქვემო ქართლის რეგიონში უნდობლობის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საინფორმაციო საშუალებების მიმართ (პრესას და რადიოარხებს რესპონდენტთა ნახევარზე მეტი უცხადებს უნდობლობას, ხოლო ტელევიზიას – თითქმის მეხუთედი). როგორც ზოგადად ამა თუ იმ საინფორმაციო წყაროს, ასევე ამ საინფორმაციო წყაროში შემავალი ცალკეული საინფორმაციო საშუალებების მიმართ ნდობა მისი რეიტინგულობის პირდაპირპროპორციულია: ყველაზე პოპულარულ საინფორმაციო წყაროს და მასში შემავალ საშუალებებს შედარებით მაღალი ნდობის მაჩვენებლები აქვს. ნდობის კოეფიციენტი იკლებს ამა თუ იმ საინფორმაციო წყაროს მომხმარებელთა რაოდენობის კლებასთან ერთად (პრესა და რადიო, სარგებლობის თვალსაზრისით, საგრძნობლად ჩამორჩება ტელევიზიას, შესაბამისად, მათ მეტი რესპონდენტი უცხადებს უნდობლობას).

მასმედიის საქმიანობის შეფასება, გარკვეულწილად, კორელაციაშია მის მიმართ ნდობისა და ინფორმირებულობის კოეფიციენტებთან. მიუხედავად იმისა, რომ მასმედიის საქმიანობის შეფასებაში პოზიტიური ტენდენცია იკვეთება, მხედველობიდან არ უნდა გამოვგრჩეს ფაქტი, რომ თითქმის ყოველ მეორე რესპონდენტს გაუჭირდა მედიის საქმიანობის შეფასება. ამგვარი დამოკიდებულება შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით, კერძოდ: 1) თუ გავითვალისწინებთ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მიმართ უნდობლობის მაღალ დონეს, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ აღნიშნული ჯგუფის რესპონდენტთა (მიჭირს პასუხის გაცემა – 48.1%) განწყობები მასმედიის მიმართ უფრო უარყოფითისკენ იხრება, თუმცა მათ არ გააჩნიათ მკაფიოდ გამოხატული პოზიცია; 2) შევვიძლია ვისაუბროთ რესპონდენტთა ნაწილის ინდიფერენტულობაზე (მაგ: ყველაზე მეტად პასუხის გაცემა ეთნიკურ აზერბაიჯანელებს გაუჭირდათ, რომლებიც ნაკლებად არიან ჩართულნი ქართულ საზოგადოებაში/ნაკლებად ავლენენ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის სურვილს). 3) არაინფორმირებულობა – თუ გავითვალისწინებთ კვლევის იმ მონაცემებს, რომლებშიც საუბარია, რომ ინფორმაციის მისაღებად, ტელევიზიის გარდა, ქვემო ქართლში ნაკლებად იყენებენ ამა თუ იმ საშუალებას, ხოლო არაქართული წარმომავლობის რესპონდენტები მეზობელი ქვეყნების საინფორმაციო საშუალებებს ამჯობინებენ, ცხადი გახდება, რომ შეფასება გაჭირდებოდა.

**ნდობა ტელევიზიების მიმართ.** ტელევიზიებს შორის ყველაზე მეტად ქვემო ქართლის მოსახლეობა ენდობა „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ს, ე.ი. ძირითადად, იმ ტელევიზიებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ქვემო ქართლის მოსახლეობის უმრავლესობისთვის (ტრანსლაციის თვალსაზრისით) (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ცხრილი №Z6). რესპონდენტთა თითქმის მეხუთედი – 18.7% – არც ერთ სატელევიზიო არხს არ ენდობა, ხოლო 27.6%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. გარდა ამისა, 4.9%-მა დაასახელა „მარნეული TV“, ხოლო 8.8%-მა სხვადასხვა სატელევიზიო არხები. რაიონებს შორის გამოვლინდა შემდეგი განსხვავებები – მარნეულში ყველაზე სანდო ტელევიზიებს შორის გამოკვეთილად ლიდერობს „მარნეული TV“ (20.3%). დმანისში ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს „სხვა“ ტელევიზიებს (36.2%). გარდაბანში ყველაზე სანდო ტელევიზიებს შორის გამოიკვეთა „რუსთავი 2“.

ცხრილი №Z6: რომელ საინფორმაციო წყაროს ენდობით? (პროცენტული მაჩვენებლები რაიონულ და რეგიონულ ტრილში)

	რუსთავი	მარნეული	ბოლნისი	დმანისი	თეთრიწყარო	ნალკა	გარდაბანი	საერთო
აჭარის ტელევიზია	0.2	0.0	0.7	0.2	0.2	0.8	0.2	0.3
იმედი	10.7	7.8	22.0	21.5	26.5	21.1	7.8	13.5
კავკასია	5.7	0.0	0.0	0.0	0.7	0.0	3.3	2.2
პირველი არხი	2.0	0.2	1.1	1.4	5.0	5.0	1.8	1.8
მეორე არხი	0.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.2
მანსტრო	0.4	0.0	0.9	0.7	5.0	5.0	1.6	1.2
რეალ TV	0.0	0.0	0.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
რუსთავი 2	22.2	10.6	17.2	8.0	27.5	17.8	14.5	16.9
V არხი	0.0	0.0	0.0	0.0	0.3	0.0	0.0	0.0
IV არხი	0.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.2
11 დუშეთი	0.0	0.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მარნეული TV	0.0	20.3	0.0	8.5	0.0	0.0	0.0	4.9
Az TV	0.0	3.9	4.6	1.9	0.0	0.0	4.9	2.5
ATV	0.0	0.2	2.7	2.2	0.0	0.3	3.2	1.2
სხვა ტელეარხები	4.6	1.7	13.2	36.2	0.5	25.6	9.7	8.8
არც ერთს	32.2	6.5	16.8	15.0	14.8	8.3	19.7	18.7
მიჭირს პასუხის გაცემა	20.9	48.6	20.5	4.3	19.5	16.1	33.2	27.6

**ნდობა ჟურნალ-გაზეთების მიმართ.** იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ქვემო ქართლის რეგიონში პრესას ცოტა მკითხველი ჰყავს, სახეზეა ასეთი შედეგი: გამოკითხულთა 55.6% არც ერთ ჟურნალ-გაზეთს არ ენდობა (იხ. ცხრილი №Z7), ხოლო 30.7%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. ჩამოთვლილი ჟურნალ-გაზეთებიდან სხვებთან შედარებით მაღალი სანდოობით გამოირჩევა „კვირის პალიტრა“ (5.2%). დანარჩენ ჟურნალ-გაზეთებს ძალზე მინიმალური მაჩვენებლები აქვთ. რაიონების მიხედვით მაჩვენებლები დიდად არ განსხვავდება ზოგადი სურათისგან, თუმცა მარნეულში არ დასახელდა თითქმის არც ერთი ჟურნალ-გაზეთი და ყველაზე მაღალი

ხვედრითი წილი აქვთ იმ რესპონდენტებს, რომლებიც არც ერთ შურნალ-გაზეთს არ ენდობიან (89%). ხოლო ბოლნისში, ნალკასა და გარდაბანში ყველა შურნალ-გაზეთს ნდობის ძალზე მინილური მაჩვენებლები აქვს.

ცხრილი №27: რომელ შურნალ-გაზეთს ენდობით? (პროცენტული მაჩვენებლები)

	აღია	ახალი ვერსია	ახალი თაობა	ასაულ-დასაფალი	კვირის პალიტრა	24 საათი	პრაიმ-თაიმი	რეზონანსი	Georgian Times	სარკე	თბილისელები	„ნალკის უწყებანი“	გაზეთი „რუსთაველი“	შურნალი „რუსთაველები“	სხვა	არც ერთს	მიჯრს პ/გ
საერთო	1.5	0.1	0.2	1.7	5.2	0.4	0.1	0.4	0	1.2	1.1	0.1	0.1	0.1	1.8	55.6	30.7

ნდობა რადიო არხების მიმართ. როგორც კვლევამ აჩვენა, რადიომსმენელების რაოდენობა კიდევ უფრო ნაკლებია, ვიდრე პრესის მკითხველების. შესაბამისად, მაღალია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომლებიც არ ენდობიან არც ერთ რადიოარხს (59.2%) და გაუჭირდათ პასუხის გაცემა (33.8%) (იხ.ცხრილი №28). ყველა რადიოსადგურს ძალზე მინიმალური რაოდენობის რესპონდენტი უცხადებს ნდობას. ოდნავ მეტი მაჩვენებელი აქვს „რადიო იმედს“ (2.5%)

ცხრილი №28: რომელ რადიოს ენდობით? (პროცენტული მაჩვენებლები)

რადიო	მწვანე ტალღა	პალიტრა	რადიო	რადიო იმედი	რადიო I არხი	ფორტუნა	ფორტუნა +	საპატრიარქოს რადიო	საქართველოს რადიო	რადიო უცნობი	არ დაიდავლო	სხვა	არც ერთს	მიჯრს პ/გ
საერთო	1.8	0	0.4	2.5	0.2	0.2	0.5	0.3	0.2	0.1	0.5	0.4	59.2	33.8

მასმედიის საქმიანობის შეფასება. კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა ძირითად ნაწილს (48.1%) გაუჭირდა მასმედიის საქმიანობის შეფასება (იხ.ცხრილი №29), რაც, ერთი მხრივ, მიუთითებს რესპონდენტთა ზოგადად ნეგატიურ განწყობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მათს ინდიფერენტულობასა და არაინფორმირებულობაზე. პოზიტიურად შემფასებელთა ხვედრითი წილი შეადგენს 28.4%-ს (ცალსახად დადებით და უფრო დადებით შეფასებებს შორის 4%-იანი სხვაობა) და გაცილებით აღემატება ნეგატიურად შემფასებელთა მაჩვენებელს (6.9%). რაც შეეხება ნეიტრალურ შეფასებას, მისი ხვედრითი წილი შეადგენს (16.7%-ს). რაიონულ და ქალაქი/სოფელი ჭრილში გამოვლინდა შემდეგი განსხვავებები: ბოლნისსა და თეთრიწყაროში ყველაზე მაღალია ნეიტრალურად შემფასებელთა (დაახლ. 21–38% ), ხოლო ქალაქში სჭარბობს ცალსახად უარყოფითად შემფასებელთა ხვედრითი წილი (ქალაქი – 11%, სოფელი

– 1.2%). ამას გარდა, მასმედიის შეფასება ყველაზე მეტად გაუჭირდათ მარნეულში, თეთრიწყაროსა და გარდაბანში (მაჩვენებლები ვარირებს 61 – 64%-ის ფარგლებში), ყველაზე ნაკლებად გაუჭირდათ – დმანისში და, შესაბამისად, ამ რაიონში დაფიქსირდა მასმედიის ცალსახად დადებითად შეფასების ხვედრითი წილი (63.7%). ეროვნულ ტრილში ქართველებში ყველაზე მეტად სჭარბობს მედიის როგორც უარყოფითად, ასევე ნეიტრალურად შეფასების ტენდენცია. პასუხის გაცემა ყველა ეთნიკური წარმოშობის რესპონდენტს გაუჭირდა (ზოგადი ტენდენციის მსგავსად), თუმცა, ამ მხრივ, მაინც აზერბაიჯანელები გამოირჩევიან.

**ცხრილი №29: როგორ შეაფასებდით მასმედიის საქმიანობას (პროცენტული მაჩვენებლები ეთნიკური ჯგუფების და მთლიანი რეგიონისათვის)**

	ეროვნება				საერთო
	ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი	სხვა	
უარყოფითად	8.1	1.6	0.9	11.3	5.4
უფრო უარყოფითად , ვიდრე დადებითად	2.3	0.4	0.6		1.5
არც დადებითად, არც უარყოფითად	20.3	13.1	7.3	8.8	16.7
უფრო დადებითად , ვიდრე უარყოფითად	12.9	9.5	23.1	15.0	12.3
დადებითად	15.2	17.0	19.8	11.5	16.1
მიჯნის ჰ/ვ	41.3	58.4	48.3	53.4	48.1

სხვა სტრუქტურების საქმიანობის შეფასებებს თუ შევადარებთ, შეიძლება ითქვას, რომ ჩამოთვლილ 9 სხვადასხვა სტრუქტურასთან ერთად მასმედია სკალის დადებით ველში მოექცა (კოეფიციენტი – 3.62), თუმცა, მეხუთე ადგილს იკავებს რელიგიური და სახელისუფლო სტრუქტურების შემდგომ. (იხ. გრაფიკი №56)